10. HEINRICH-BÖLL-STIFTUNG - თბილისი, სამხრეთ კავკასია, საქართველოს ნეიტრალიზების შეუძლებლობა, ნანახია 3 სექტემბერი, 2019 საიტზე <https://ge.boell.org/ka/2016/06/20/sakartvelos-neitralobis-sheuzlebloba>

ნატო - საქართველოს უსაფრთხოების შესაძლებლობა

შალვა ძინძიბაძე
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების
ფაკულტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

ნაშრომი - „ნატო-საქართველოს უსაფრთხოების შესაძლებლობა“ ეხება ფრიად აქტუალურ თემას. მასში განხილულია საქართველოს საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტები და გაანალიზებულია სხვადასხვა პერსპექტივები. ამ თვალსაზრისით ყურადღება ძირითადად გამახვილებულია დღევანდელ ქართულ პოლიტიკურ სპექტრში არსებულ პერსპექტივებზე. მაგალითად, როგორებიცაა ნეიტრალიტეტი, დსთ და ევროატლანტიკური ინტეგრაცია. მოსაზრება გამყარებულია სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილებითა და ისტორიული ფაქტების ანალიზით. ნეიტრალიტეტთან დაკავშირებით მოყვანილია მაგალითები საქართველოს პირველი რესპუბლიკის ეპოქიდან 1918-21 წწ, რომელმაც ვერ უზრუნველყო საქართველოს უსაფრთხოება. ასევე, ამ კუთხით გაანალიზებულია უკრაინისა და მოლდოვის პრაქტიკა, სადაც ნეიტრალიტეტი უსაფრთხოების გარანტიად ვერ იქცა. ასევე, ნაშრომში მოცემულია ისრაელის მაგალითი, რომელიც შეიძლება იქნას საუკეთესო მოდელი საქართველოს შემთხვევაში უსაფრთხოების თვალსაზრისით.

რაც შეეხება ევროატლანტიკურ ინტეგრაციას, საქართველოს შანსი აქვს ნატო-ში გაწევრიანდეს მსგავსად ტერიტორიული პრობლემების მქონე სხვა ქვეყნებისა (გერმანია), უზრუნველყოს ქვეყნის უსაფრთხოება და სტაბილური განვითარება. დღევანდელი გლობალური უსაფრთხოების გარემოს გათვალისწინებით, ნაშრომში გაანალიზებულია, ნატო როგორც საქართველოს უსაფრთხოების ერთადერთი შესაძლებლობა.

SECURITY POSSIBILITIES OF NATO-GEORGIA

SHALVA DZINDZIBADZE
DOCTORAL STUDENT OF LAW AND INTERNATIONAL RELATIONS
AT TECHNICAL UNIVERSITY OF GEORGIA

ABSTRACT

The paperwork – “Security Possibilities of NATO – Georgia” addresses to quite an actual issue. It overviews Georgia’s Foreign Policy priorities and analyzes various prospective in this way. From this standpoint, the work underlines the existing trends in Georgian Political spectrum; such as neutrality, Commonwealth of Independent States (CIS) and Euro-Atlantic Integration. The abovementioned opinions are strengthened by the experience of various countries and analyzes of historical facts. There are some facts from the period of Georgia’s First Republic (1918-21 years), examined through the light of neutrality, that could not ensure country’s security. Same issue is under discussion in regard with Ukraine and Moldova, where the neutrality also failed to be the guarantee of security. The work suggests the example of Israel as one of the best models for Georgia on its way of security.

While discussing the Euro-Atlantic Integration, it is considered, that Georgia has the chance to become a member of NATO despite of its territorial problems (example of Germany) and by this means to ensure its safety and sustainable development. Taking in to consideration the global safety, NATO is suggested to be the only possibility for Georgia’s security.

საქართველოს რთული გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე, საზოგადოებაში არსებობს სხვადასხვა არჩევანი და პრიორიტეტები ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. განსაკუთრებით აქტუალურია საქართველოს საგარეო პოლიტიკური სტრატეგია ეროვნული უსაფრთხოების თვალსაზრისით, რომელიც ძირითადად ორ ვექტორზე ამახვილებს ყურადღებას; რუსეთის ან რუსეთის ინიციატივით შექმნილ დსთ-ს პოლიტიკურ ორბიტაზე დაბრუნება ნეიტრალიტეტის გამოცხადებით ან ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაცია. ისტორიული და მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების ანალიზი გვკარნახობს, რომ საქართველოსთვის რუსული იმპერიალისტური გამონგვევის წინაშე ნეიტრალიტეტი ეროვნული უსაფრთხოების გარანტიებს ვერ მოგვცემს.

მოგვსენებათ საქართველო დსთ-ს წევრი 1993-2008 წლებში იყო. ამ პერიოდის განმავლობაში საქართველომ კომფლიქტების მოგვარების თვალსაზრისით ვერცერთი ნაბიჯი წინ ვერ გადადგა. გარდა ამისა, რუსეთმა საქართველოს დაუნესა ეკონომიკური ემბარგო ღვინოზე, რომელიც უძველესი და უნიკალური წარმოების ქვეყნადაც იუნესკომ საქართველო აღიარა. უფრო მეტიც, 2006 წელს, რუსეთის მიერ ქართველების მიმართ განხორციელებული არაადამიანური მეთოდებით მასობრივი დეპორტაცია საქართველოში, სტრასბურგის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოს მიერ განხილვის საგანი გახდა და რუსეთს ათი მილიონი ევრო დააკისრა ჯარიმის სახით 1500 საქართველოს მოქალაქის სასარგებლოდ.

რაც შეეხება ნეიტრალიტეტს, კლასიკური განმარტებით, იგი არის სახელმწიფოს მიერ ნეიტრალური პოლიტიკა, რომელიც გამოიხატება კომფლიქტში თუ საომარ მდგომარეობაში მყოფი სახელმწიფოებისადმი ნეიტრალური პოზიციის დაკავების გამოხატულებით. მაგალითები არსებობს მსოფლიოში, სადაც ნეიტრალიტეტი წარმატებით მუშაობს, თუმცა უმეტეს შემთხვევაში წარუმატებელია. პრეზიდენტი ზ. გამსახურდია საუბრობდა „მუდმივ ნეიტრალიტეტზე“, როგორც 1918 წლი 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის ტექსტში იყო განსაზღვრული. რა მოგვცა 1918-21 წლების დამოუკიდებლობის დროს „მუდმივა ნეიტრალიტეტმა“? საქართველოს სრული ოკუპაცია 1921 წლის 25 თებერვალს, ხოლო დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, პრეზიდენტი ზ. გამსახურდიას დამხობა, სამოქალაქო ომი და დესტაბილიზაცია 1992-93 წლებში. ნეიტრალიტეტი რომ გამოსავალი იყოს, ალბათ ყველა პატარა ქვეყანა გამოაცხადებდა და ამით უზრუნველყოფდა საკუთარ ეროვნულ უსაფრთხოებას. მაკიაველის თქმით, „შენი მეგობრები შენგან მეკავშირეობას მოითხოვენ, მტრები კი ნეიტრალიტეტს“. დღეისათვის, საქართველოს ნეიტრალიტეტზეც ვითდება მინიშნება სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფებისა თუ პოლიტიკოსების მხრიდან. 2007 წლის 6 თებერვალს, მაშინდელმა რუსეთის ელჩმა ვიჩესლავ კოვალენკომ, სპეციალური პრესკომენტარით გამართა და მკაფიო მესიჯი გაუგზავნა საქართველოს ხელისუფლებას; „რუსეთს სურს საქართველო იხილოს დამოუკიდებელი, სუვერენული, ნეიტრალური სახელმწიფოდ, რომელსაც კარგი ურთიერთობა ექნება ყველა ქვეყანასთან, მათ შორის რუსეთთან“. იგი ნეიტრალიტეტზე მკაფიო აქცენტს აკეთებდა, რომელიც საქართველომ არ გაითვალისწინა და განაგრძო ევროინტეგრაციის მიმართულებით სვლა. მსგავსი ნარატივი ისმის ქართული სხვადასხვა პოლიტიკური ჯგუფებიდანაც. საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატი 2013 წელს, „დემოკრატიული მოძრაობა-ერთიანი საქართველოს“ ლიდერი, თავის საპრეზიდენტო პროგრამაში საქართველოს საგარეო პოლიტიკურ პრიორიტეტად ნეიტრალიტეტს განიხილავდა. „ნეიტრალიტეტი არის იდეალური ისეთი ქვეყნისათვის, როგორც ვართ ჩვენ, თუ ჩვენ ამის მიღწევა შეგვიძლია და თუ ეს შესაძლებელია“. მისი მოტივაცია ნეიტრალიტეტთან დაკავშირებით, „საქართველოს ნატო-ში განწვრიანების უპერსპექტივობას უკავშირდება, რომელიც გამონგველია რუსული ბაზების თბილისიდან 40 წუთის სავალზე ყოფნით და საზღვრების სპეციპიკით, რომელიც დადგენილი მხოლოდ თურქეთთანაა.“

ნეიტრალიტეტის წარუმატებელი მაგალითი გვაქვს სხვა პოსტ საბჭოთა ქვეყანებშიც. მოლდოვას მაგალითზე, საგარეო პოლიტიკის განმსაზღვრელი „მუდმივი ნეიტრალიტეტი“ არ აღმოჩნდა საკმარისი დნესტრისპირეთში კომფლიქტის დარეგულირების და რეგიონიდან რუსული ბაზების გაყვანის, სადაც პრორუსულ სეპარატისტებს რუსული დანაყოფები უმაგრებენ ზურგს.

განვითარებული მოვლენები უკრაინაში ასევე ადასტურებს ნეიტრალიტეტის არაეფექტურობას. 2010 წელს უკრაინის სათავეში მოსული პრეზიდენტი ვიქტორ იანუკოვიჩი, წინასაარჩევნო პროგრამაში საზოგადოებას რუსეთთან ურთიერთობის მონესრიგებას პირდებოდა. მისი ინიციატივით „უმაღლესმა რადამ“ კანონი მიიღო, უკრაინის „ბლოკგარეშე ქვეყნად“ გამოცხადების თაობაზე. მიუხედავად „ბლოკგარეშე ქვეყნის“ სტატუსის დაკანონებისა, იანუკოვიჩის რუსეთმა ყირიმში სამხედრო ფლოტის ყოფნის გახანგრძლივება მოთხოვა, რაც მიიღო კიდევ. ასევე რუსეთმა უკრაინისაგან სტრატეგიული მილსადენების გადაცემა და ევრაზიულ კავშირში განწვრიანებაც მოითხოვა, ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულების სანაცვლოდ, რასაც სამოქალაქო პროტესტი და იანუკოვიჩის ხელისუფლების დამხობა მოჰყვა. უკრაინის შემთხვევაშიც ვერ უზრუნველყო ნეიტრალიტეტმა ეროვნული უსაფრთხოების გარანტიები, პირიქით ქვეყანა სამოქალაქო ომის ქარცეცხლში გახვია.

- „ნატომ ნატო?“ ხშირია კრიტიკოსების შეკითხვა, რომლებიც ნატო-ში სწრაფვას უკავშირებენ რუსეთიდან წამოსულ აგრესიას საქართველოს წინააღმდეგ. ასევე აქტუალურია ოკუპირებული რეგიონები, რომლის გარეშეც ნატო-ში შესვლას კრიტიკოსები ამ ტერიტორიებზე უარის თქმით აღიქვავენ.

მსოფლიოში არსებული პრაქტიკიდან თუ ვიშკვლევთ, მაგალითისთვის საინტერესოა გერმანიის ნატო-ში განწვრიანების პროცესი. მე-2 მსოფლიო ომის შემდეგ მოგვსენებათ გერმანია გაყოფილ იქნა ოთხ ნაწილად: ბრიტანეთს, აშშ-ს, საფრანგეთს და რუსეთს შორის. ევროპას შუაზე „რკინის ფარდა“ ყოფდა, რომლის დასავლეთ ნაწილი, აშშ-ს, ბრიტანეთისა და საფრანგეთის კონტროლის ქვეშ მათივე ძალისხმევით გაერთიანდა და 1955 წელს ნატო-ს წევრი გახდა. იგი ნატო-ს აღმოსავლეთ ნაწილის გარეშე შეუერთდა. აღმოსავლეთ გერმანია, ნახევარი ბერლინით, საბჭოთა კავშირის გავლენის ქვეშ დარჩა, მაგრამ აღნიშნული გარემოება არასოდეს ყოფილა უარის

თქმის საფუძველი მათ მიერ სამშობლოში დაბრუნების შესაძლებლობის, უბრალოდ შესაბამისი მომენტი იყო საჭირო. ეს მომენტი დადგა, რკინის ფარდა საბჭოთა კავშირის დაშლისთანავე ცუდ მოგონებებში დარჩა და დღეს სუვერენული გერმანია ევროპული ოჯახის სრულფასოვანი წამყვანი წევრია.

საინტერესო მოსაზრება გამოთქვა ნატო-ს ყოფილმა გენერალურმა მდივანმა ანდერს ფონ რასმუსენმა საქართველოს ნატოში გაწევრიანების პერსპექტივასთან დაკავშირებით. მან განაცხად, რომ „ჩვენ უნდა დავთანხმდეთ საქართველოს ნატო-ში გაწევრიანებას, როგორც ევროკავშირის დათანხმდა კვიპროსის მიღებას, მაგრამ ამავე დროს, განვაცხადოთ, რომ ნატო-ს წესები და ვალდებულებები და მათ შორის მესხეთე მუხლი არ გავრცელდება ოკუპირებულ ტერიტორიებზე, ისევე, როგორც ევროკავშირის წესები არ ვრცელდება კვიპროსის ჩრდილოეთ ნაწილზე“. ალექსანდრე ვერშლომ უფრო მეტი დეტალიზაცია მისცა აღნიშნულ ნარატივს და საქართველოს ნატო-ში ინტეგრაციის პერსპექტივა შემდეგნაირად ჩამოაყალიბა. საქართველოს ნატო-ში ინტეგრაციის შემთხვევაში შესაძლებელია მე-5 პუნქტი არ გავრცელდეს ოკუპირებულ ტერიტორიებზე და წუხილი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების გამო ნატო-ს რუსეთთან კონფრონტაციის უსაფუძვლოა.

საქართველო ბუნებრივია არასოდეს არ უნდა შეეგუოს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების ოკუპაციას, მაგრამ აღნიშნული ოკუპაცია, საფუძველიც ვერ უნდა გახდეს საქართველოს ნატო-ში ინტეგრაციის შეჩერების. უფრო მეტიც, ნატო-ს ოჯახის წევრობა და ევროპული კეთილდღეობა, წინაპირობას შექმნის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოქალაქეების საქართველოსთან ინტეგრაციის სურვილის, უკეთესი მომავლის პერსპექტივების შესაქმნელად და მსგავსად გერმანიისა შექმნას ოკუპირებული რეგიონების ინტეგრაციის პროცესის წინაპირობა საქართველოსთან.

ასევე მნიშვნელოვანი დატვირთვა აქვს ნატო-ს საქართველოს სამხედრო კომპონენტის განვითარების თვალსაზრისით. იგი არის შესაძლებლობა ქართული არმიის პროფესიონალიზმის გაზრდის. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საქართველო სანამ საკუთარ სამხედრო პროფესიულ საგანმანათლებლო სისტემას დახვეწდა, ოფიცრების უმრავლესობა განათლებას რუსეთის სხვადასხვა სამხედრო აკადემიებში იღებდა, მაგრამ რუსეთის ხელისუფლებამ 300 ქართველ სტუდენტს „კურსანტს“ რუსეთში სწავლა შეუჩერა 2000 წელს, რაც ქართული არმიის განვითარების წინააღმდეგ გადადგმული ნაბიჯი იყო, მაგრამ აღნიშნული გადაწყვეტილებით, მათ ხელი შეუწყვეს საქართველოს დასავლური სამხედრო სასწავლებლებისადმი მეტად დაინტერესებას და უფრო სწრაფი ტემპებით ქართული არმიის განვითარებას, დღეისათვის 700-ამდე სამხედრო მოსამსახურეს აქვს მიღებული დასავლური განათლება, რაც საფუძველს ქმნის დასავლურ, ნატო-ს სტანდარტებთან თავსებადობის ხარისხის გაზრდის.

შეიძლება ითქვას რომ ნატო-სთან თანამშრომლობის მზარდმა დინამიკამ ქართული არმიის სახმელეთო კომპონენტი ნატო-სთან თავსებადი გახადა, მაგრამ საინტერესოა აღნიშნული შესაძლებლობა რამდენადაა საკმარისი ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების დასაცავად? ბუნებრივია, მხოლოდ სახმელეთო კომპონენტის ნატო-სთან თავსებადობა საკმარისი არაა პოტენციური მტრის აგრესიის მოსაგერიებლად. საზღვაო და საჰაერო კომპონენტების გაძლიერებაც კრიტიკულად მნიშვნელოვანია სრულყოფილი უსაფრთხოების გარანტიების შესაქმნელად, რადგანაც 2008 წლის ომის გამოცდილებით, საქართველო სწორედ ჰაერიდან და ზღვიდან იყო მოწყვლადი, რომელმაც მონინალმდეგეს უპირატესობის მოპოვების შესაძლებლობა მისცა.

უნდა ვალიაროთ, რომ საქართველოს საჰაერო და საზღვაო კომპონენტი დამოუკიდებლად რუსული აგრესიის პირისპირ უძღურია, რომლის განვითარებაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი და ხანგრძლივი პროცესია. მისი განვითარებისათვის აუცილებელ წინაპირობას, ადეკვატური რესურსების მობილიზება და საფრთხეებზე ორიენტირებული თავდაცვითი ძალების მშენებლობა წარმოადგენს, რაც სამუხაროდ, დღევანდელი მდგომარეობით, საქართველოს ეკონომიკურ შესაძლებლობებს აღემატება.

შეიძლება ითქვას, რომ ნატო-ს გარეშე საქართველოს აქვს უსაფრთხოების უზრუნველყოფის შესაძლებლობა, მაგრამ მას ამის მისაღწევად გრძელი განვითარების გზა აქვს დასავლელი. აღნიშნული გზა მიდის ისრაელის მოდელის განხილვებზე, რომელსაც ბევრი საქართველოს მსგავსი გამოწვევა აქვს. ისრაელი მის წინაშე არსებულ გამოწვევებს პირველ რიგში იდეოლოგიით უპირისპირდება. მათი იდეოლოგია და უსაფრთხოების დოქტრინა განსაზღვრავს რწმენას, რომ მათ არ აქვთ ფუფუნება თუნდაც ერთი ომის წაგების. ამ მიზნის მისაღწევად, მათი დაგეგმარება ორიენტირებულია თავდაცვით სტრატეგიაზე, სწრაფი მობილიზაციის შესაძლებლობების უზრუნველყოფით მონინალმდეგეზე უპირატესობის მოსაპოვებლად. მათი საბრძოლო ძალა რეზერვის ჩათვლით 615 000 სამხედრო მოსამსახურეა (170 000 აქტიური ს/მ, 415000 რეზერვისტი), აქედან აქტიური სამხედრო სამსახურის ორ მესამედს, სავალდებულო სამხედრო სამსახურში განვლული ჯარისკაცები შეადგენენ. აღსანიშნავია, რომ ისრაელის არმიის წარმატება დაფუძნებულია კარგად განთვნილ რეზერვზე და სადაზვერვო ინფორმაციის შეგროვების სისტემაზე პოტენციური მონინალმდეგის შესახებ. სავალდებულო სამხედრო სამსახური ეხება როგორც ქალებს ასევე მამაკაცებს, სადაც სამსახურის ხანგრძლივობა მამაკაცისთვის 32 ხოლო ქალისთვის 24 თვეა განსაზღვრული. გამონაკლისს სავალდებულო სამსახურში განვლვის თვალსაზრისით ითვალისწინებს; რელიგიური მიმდევრობა, გათხოვილი ქალი და შვილების დედა. ისრაელის არმიის თანამედროვე ანტი-სარაკეტო სისტემები უზრუნველყოფს ქვეყნის ბალისტიკური რაკეტებისაგან დაცვას. დახვეწილი აქვთ საფრთხის შესახებ წინასწარი შეტყობინების საშუალებები. მათი სამხედრო დანიშნულების საჰაერო საფრენი აპარატი 595-ს, საზღვაო ხომალდი 65 ერთეულს, ხოლო თავდაცვის ბიუჯეტი \$19.6 მლრდს შეადგენს. უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ისრაელი პარტნიორია აშშ-ის, რომლისგანაც მას მე-2 მსოფლიო ომის შემდეგ მიღებული აქვს \$134.7 მლარდი, ასევე იგი არის პირველი საერთაშორისო მომხმარებელი ფ-35 შემტევი გამანადგურებლის, რომლის 50 ერთეულის მფლობელია დღეისათვის.

საქართველოსათვის ვფიქრობ, მართლაც მისაბაძი მოდელია ისრაელის თავდაცვითი პოლიტიკის გაზიარება, რადგანაც მათ ერთნაირად უწევთ მათზე ბევრად მასშტაბური მოწინააღმდეგის პირისპირ ყოფნა. ამ შემთხვევაში ასევე ემთხვევა ის ფაქტორიც, რომ საქართველო მსგავსად ისრაელისა საინტერესოა აშშ-ისთვის და მისი სტრატეგიული პარტნიორიცაა 2009 წლიდან. შესაბამისად, თუ საქართველო გრძელვადიან პერსპექტივაში მიაღწევს განვითარების იმ ნიშნულს, რომელიც მას თავდაცვითი შესაძლებლობებისთვის ადეკვატური რესურსის გამოყოფის შესაძლებლობას მისცემს ანუ საფრთხეებზე ორიენტირებული თავდაცვითი ძალების შექმნის შესაძლებლობა ექნება, ან აშშ-სთან პარტნიორობის ხარისხი გათანაბრდება, ისრაელის თანამშრომლობის ხარისხთან, ვფიქრობ ნატო-ზე უარის თქმის ფუფუნება გაჩნდება. სამწუხაროდ, დღეისათვის აღნიშნული ფუფუნების შესაძლებლობა საქართველოს არააქვს, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ძალისხმევა დინამიურია და ამის პოტენციალი არსებობს.

გრძელვადიანი პერსპექტივის პარალელურად მოკლევადიან შესაძლებლობებს თუ განვიხილავთ, ნატო დღეისათვის უალტერნატივოა საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის თვალსაზრისით. საქართველო ჯერჯერობით მზად არაა დამოუკიდებლად მის წინაშე არსებული გამოწვევების გასამკლავებლად. მისთვის შესაფერისი პრაქტიკა, რომელსაც უნდა მიყვებ ბალტიის ქვეყნების გამოცდილებას. მათთვისაც წარმოუდგენელია რუსული აგრესიის პირისპირ დამოუკიდებლად დგომა. მათ არ გააჩნიათ საკუთარი არც საჰაერო და არც საზღვაო კომპონენტები, ასევე შეიძლება ითქვას, რომ არც საქართველოზე უფრო ძლიერი სახმელეთო კომპონენტი, მაგრამ ისინი ნატო-ს უსაფრთხოების ქოლგის ქვეშ არიან, რაც მათი ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის გარანტიაა. შესაბამისად, ნატო-სთან თავსებადობის გაზრდა და სწრაფვა მასში განევრიანების, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საქართველოს სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებისათვის და თუ საქართველოს გაუჩნდება ისრაელის მსგავსი შესაძლებლობების პოტენციალი, ნატო-დან გამოსვლის გზები არც თუ ისე რთულია განსხვავებით მასში შესვლისა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. United Nations Educational, Scientific and Cultural Organization, "Ancient Georgian traditional Qvevri wine-making method" Intangible cultural heritage 2013. (გადამოწმებულია 11/03/19) <https://ich.unesco.org/en/RL/ancient-georgian-traditional-qvevri-wine-making-method-00870>
2. Erik Slobe, "Europe rights court fines Russia \$11.5 million over Georgian deportation", JURISTS; Legal News & Reserch. 2019. (გადამოწმებულია 09/03/19) <https://www.jurist.org/news/2019/01/europe-rights-court-fines-russia-11-5-million-over-georgian-deportation/>
3. Merriam-Webster Dictionary, "neutrality", (გადამოწმებულია 07/02/19)
4. <https://www.merriam-webster.com/dictionary/neutrality>
5. დიმიტრი ავალიანი, „ნეიტრალიტეტი და ბლოკგარეშე ქვეყანა, კრემლის უკვე დაძლილი სატყუარები“, ტაბულა, 2018 წ. (გადამოწმებულია 06/02/19) <http://www.tabula.ge/ge/story/134620-neutraliteti-da-blokgareshe-qvekana-kremlis-ukve-dacdili-satkuarebi>
6. ნინო ბურჯანაძე, „საქართველოს საგარეო პოლიტიკა – დინებით თუ დინების წინააღმდეგ“, გლობალური კვლევების ცენტრი, 2013 წ. (გადამოწმებულია 09/03/19) <http://globalresearch.ge/workshops/sagareo-politika-burjanadze.html>
7. Svetlana CEBOTARI, "The Republic of Moldova between Neutrality and NATO Membership Status", The Military Institute of the Armed Forces, Republic of Moldova", 2010. (გადამოწმებულია 05/03/19) <http://postmodernopenings.com/wp-content/uploads/2010/10/The-Republic-of-Moldova-between-Neutrality-and-NATO-Memebership-Status.pdf>
8. ახალაია ლ. „ანდერს ფოგ რასმუსენი - ერთადერთი გზა, რომ პუტინის დე ფაქტო ვეტო დაძლიო, არის საქართველოს ნატო-ში მიღება ევროკავშირში კვიპროსის განევრიანების მოდელით“. პირველი არხი. 2019. (გადამოწმებულია 11/04/2019) <https://1tv.ge/>
9. Galler C. "It's Time to Invite Georgia to Join NATO", Atlantic Council. 2019. (გადამოწმებულია 14/04/2019) <https://www.atlanticcouncil.org/>
10. GFP, Strength in Numbers, "Israel Military Strength", 2019 https://www.globalfirepower.com/country-military-strength-detail.asp?country_id=israel (გადამოწმებულია 27/03/2019)
11. MILITARY ORGANIZATION, ISRAEL, „Israel Defense Forces“, Encyclopaedia Britannica. 2018. <https://www.britannica.com/topic/Israel-Defense-Forces> (გადამოწმებულია 28/03/2019)
12. 2 Jeremy M. Sharp. "U.S. Foreign Aid to Israel". Congressional Research Service. 2018.

EXPONENTIAL CAPACITY OF POWER AND ITS IMPACT ON MILITARY ALLIANCE DYNAMICS

DR. NIKOLOZ ESITASHVILI
FLORIDA INTERNATIONAL UNIVERSITY

ABSTRACT

The Cold War ended in 1989, yet the North Atlantic Treaty Organization (NATO) endures despite the disappearance of the Soviet Union — the principal rival that prompted the military alliance's formation¹ and purportedly warranted its endurance for over four decades.² Moreover, the number of cooperative programs has steadily increased after the Cold War and currently, the US and its allies are cooperating in over 20 military programs.³ The enduring capacity of NATO is, indeed, a puzzling political event and a counterintuitive development regarding the internal logic of military alliance theory.⁴

The central goal of the study is to find out why the cooperation among NATO members has endured and even increased since the end of the Cold War. The proposed study aims to advance an important theoretical contribution to the literature on military alliance theory. It will show that the political economy of military production, a variable generally omitted when explaining military alliance dynamics, might be among important causal factors influencing the alliance decisions of states.

სამხედრო ძალაუფლების ექსპონენციალური ზრდა და მისი გავლენა სამხედრო ალიანსების დინამიკაზე

ნიკოლოზ ესიტაშვილი
ფლორიდის საერთაშორისო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

ცივი ომი დასრულდა 1989 წელს, მაგრამ ნატო მანაც აგრძელებს არსებობას მიუხედავად საბჭოთა კავშირის დაშლისა, რომელმაც ბიძგი მისცა ნატოს ჩამოყალიბებას ცივი ომის პერიოდში. უფრო მეტიც, საერთო სამხედრო პროგრამების რაოდენობამ ნატოს წევრ ქვეყნებს შორის მოიმატა და ამჟამად, შეერთებული შტატები და მისი პარტნიორები თანამშრომლობენ 20-ზე მეტ სამხედრო პროგრამაში. ნატოს შენარჩუნებას და განვითარებას ცივი ომის მიღმა ვერ ხსნის არსებული ლიტერატურა სამხედრო ალიანსების შესახებ.

ამ კვლევის მთავარი მიზანია მოიძიოს თუ რატომ გაგრძელდა და გაიზარდა თანამშრომლობა ნატოს წევრებს შორის ცივი ომის შემდეგ. ამ ნაშრომის მიზანია შეიტანოს მნიშვნელოვანი თეორიული წვლილი ლიტერატურაში სამხედრო ალიანსების შესახებ. კვლევის თანახმად სამხედრო წარმოების პოლიტიკური ეკონომიკა, გახლავთ მნიშვნელოვანი ფაქტორი რომელიც გავლენას ახდენს სახელმწიფოების გადაწყვეტილებებზე ალიანსებთან დაკავშირებით.

¹ David Reynolds, *The Origins of the Cold War in Europe: International Perspectives* (New Haven: Yale University Press, 1994), 10-15.

² David C. Isby, and Charles Jr. Kamps, *Armies of NATO's Central Front* (London: Jane's, 1985), 13.

³ "SIPRI military Expenditure." Stockholm International Peace Research Institute. Accessed February 12, 2014, <http://www.sipri.org/research/armaments/milex>.

⁴ According to realist scholars, alliances are temporary partnerships among states to defend themselves from immediate threats or achieve certain political goals. However, military alliance theory—proposed by Realist Scholars—as it stands cannot explain the endurance of NATO. More on this below.

EXPONENTIAL CAPACITY OF POWER AND ITS IMPACT ON MILITARY ALLIANCE DYNAMICS

INTRODUCTION:

The Cold War ended in 1989, yet the North Atlantic Treaty Organization (NATO) endures despite the disappearance of the Soviet Union — the principal rival that prompted the military alliance's formation⁵ and purportedly warranted its endurance for over four decades.⁶ Moreover, the number of cooperative programs has steadily increased after the Cold War and currently, the US and its allies are cooperating in over 20 military programs.⁷ The enduring capacity of NATO is, indeed, a puzzling political event and a counterintuitive development regarding the internal logic of military alliance theory.⁸

The central goal of the study is to find out why the cooperation among NATO members has endured and even increased since the end of the Cold War. The proposed study aims to advance an important theoretical contribution to the literature on military alliance theory. It will show that the political economy of military production, a variable generally omitted when explaining military alliance dynamics, might be among important causal factors influencing the alliance decisions of states.

THEORETICAL PERSPECTIVE:

In the field of International Relations different versions of Realism—ranging from Classical to Neo-classical—have focused on military power as the most significant determinant of military alliance dynamics among Great Powers.⁹ Neorealist scholars have offered three distinct theories expounding the motivations of states to engage in multilateral balancing—balance of power, balance-of-threat, and balance-of-interests theories.¹⁰

Paradoxically, none of the above-mentioned theories explains why alliance members would cooperate, and, critically important, deepen their military cooperation such as, for instance, in military production, in times of peace and in the absence of a clear and immediate external threat or an objective.

In this study, I will argue that the traditional explanation of material capabilities should be expanded to incorporate new political economic variables. This will help explain better the nature of power and its impact on particular alliance choices. The proposed study attempts to demonstrate that market imperfections such as economies of scale, scope, learning-by-doing, and escalating research and development costs in military production provide an important rationale for the cooperation even in the absence of external threats.

MARKET IMPERFECTIONS IN MILITARY PRODUCTION:

Several authors have written about scale economies, economies of scope, learning by doing, and other economic factors influencing military production. Harold Asher showed that the “learning curve” tended to apply to airframe production ... with unit costs declining in a fairly predictable pattern as production expanded.¹¹ Malcolm W. Hoag, also demonstrated that prominent production economies of scale apply with special frequency in military applications. According to Stefan Markowski and et al, scale, scope

⁵ David Reynolds, *The Origins of the Cold War in Europe: International Perspectives* (New Haven: Yale University Press, 1994), 10-15.

⁶ David C. Isby, and Charles Jr. Kamps, *Armies of NATO's Central Front* (London: Jane's, 1985), 13.

⁷ “SIPRI military Expenditure.” Stockholm International Peace Research Institute. Accessed February 12, 2014, <http://www.sipri.org/research/armaments/milex>.

⁸ According to realist scholars, alliances are temporary partnerships among states to defend themselves from immediate threats or achieve certain political goals. However, military alliance theory—proposed by Realist Scholars—as it stands cannot explain the endurance of NATO. More on this below.

⁹ John J. Mearsheimer, “Structural Realism”, *International Relations Theories* (New York: Oxford University Press, 2010), 79–85; and Richard Little, *The Balance of Power in International Relations: Metaphors, Myths and Models* (Cambridge: Cambridge University Press, 2007), 185.

¹⁰ *Ibid.*

¹¹ Harold Asher, “Cost-quantity Relationships in the Airframe Industry: July 1, 1956,” Rand Corporation, accessed January 1, 2014, http://www.rand.org/pubs/authors/a/asher_harold.html

and learning economies do appear to influence defense industry cost conditions, thereby helping prompt restructuring of the industry nationally and globally.¹²

Sandler and Hartley argue that scale economies per se may have had only a modest influence on defense industry structure in the past, though the evidence for learning economies and their impact was more convincing. However, since the 1990s scale economies have had large impact as well.¹³ Dunne suggests that governments now appear more sensitive to the extra cost incurred by small national production runs (and the high technology nature of some manufacture) and more receptive to the argument that 'economies of scale need to be met through international collaboration and industrial restructuring.'¹⁴

The various views summarized above point to one key development: There are clear indications that market imperfections play an important role in the military production of states. Since the end of the Cold War NATO members have increased collaboration with each other and produced common orders, which, I will argue, allowed them to take advantage of economic variables. By cooperating NATO members used less resources yet generated equal or more power than before. The study will investigate how these conditions came about and how important they are for NATO endurance.

METHODOLOGY AND CENTRAL RESEARCH QUESTION:

The study employs a mixture of quantitative and qualitative methods to find out why NATO members continued and deepened their military cooperation after the Cold War, in the absence of an external or extra-alliance threat. I will base my explanation on the compatibility of interests among great powers and political economy of military production: the size and extent of scale economies, economies of scope, learning-by-doing and escalating R & D costs. I will measure these variables with data available in industrial censuses and national trade statistics. Because I only have a few cases, the study will employ the focused method of comparison in order to shed light on the compatibility of national interests of NATO members after the Cold War. I will mix my method with intensive case study approach to learn in depth about the states' military and economic interests and alliance decisions they took. This will allow for finding similarities and reaching specific generalizations and conclusions.

I will have to be ingenuous to measure economic variables. With market imperfections, unit costs differ across plants and firms manufacturing the same product in different volumes. However, it is impossible to directly observe long-run average cost curves; but, fortunately, there are alternative methods to calculate costs. I hope to be able to draw from the unit costs data of engineers who design and construct factories. Market imperfections can be measured as the elasticity of costs with respect to scale – that is how costs fluctuate as the volume of production changes. Huge decreases of costs as the quantity of production increases would be indicative of the presence of significant imperfections. I will be able to find how much states save on weaponry because of transnational production compared to how much they would spend if they produced the same weaponry on their own. Discovering that market imperfections have saved states considerable resources since the Cold War might be one of important explanations as to why they have continued to cooperate militarily.

¹² Stefan Markowski, Peter Hall, and Robert Wylie, *Defense Procurement and Industry Policy: A Small Country Perspective* (London: Routledge, 2010), 96.

¹³ Todd Sandler and Keith Hartley, "Economics of Alliances: The Lessons for Collective Action," *Journal of Economic Literature*, Vol. 39, No. 3 (September 2001), 18.

¹⁴ Paul Dunne and SIPRI Arms Production Program Staff, "Developments in the Modern Arms Industry from the End of the Cold War to the mid-2000s," in *The Modern Defense Industry: Political, Economic, and Technological Issues*, ed. Richard Bitzinger (Santa Barbara: Praeger Security International/ABC-CLIO, 2009), 27-28.

REFERENCES:

Asher, Harold. "Cost-quantity Relationships in the Airframe Industry: July 1, 1956." Rand Corporation. Accessed January 1, 2014. http://www.rand.org/pubs/authors/a/asher_harold.html

Dunne, Paul and SIPRI Arms Production Program Staff. "Developments in the Modern Arms Industry from the End of the Cold War to the mid-2000s." In *The Modern Defense Industry: Political, Economic, and Technological Issues*, ed. Richard Bitzinger, 22-45. Santa Barbara: Praeger Security International/ABC-CLIO, 2009.

Christensen, Thomas J. and Snyder, Jack. "Chain Gangs and Passed Bucks: Predicting Alliance Patterns in Multipolarity." *International Organization*, Vol. 44, No.2 (Spring1990), 137-168.

Hoag, Malcolm. "Increased Returns in Military Production." NBER. Accessed January 1, 2014. <http://www.nber.org/chapters/c5158.pdf>

Kaplan, Lawrence S. *NATO Divided, NATO United: The Evolution of an Alliance*. Westport: Praeger, 2004.

Markowski, Stefan, Peter Hall, and Robert Wylie. *Defense Procurement and Industry Policy: A Small Country Perspective*. London: Routledge, 2010.

Morgenthau, H. J. *Politics Among Nations: The Struggle for Power and Peace*. New York: Knopf, 1967.
Sandler, Todd. "The Economic Theory of Alliances: A Survey," *Journal of Conflict Resolution*, Vol. 37, No.3, (Fall 1993), 446-483.

Schweller L. Randall. "Bandwagoning for Profit: Bringing the Revisionist State Back In." *International Security*, Vol.19, No.1 (Summer 1994), 72-107.

"SIPRI military Expenditure." Stockholm International Peace Research Institute. Accessed February 12, 2014, <http://www.sipri.org/research/armaments/milex>.

Snyder H. Glenn. "The Security Dilemma in Alliance Politics." *World Politics*, Vol.36, No.4, (Fall1994), 461-495.

Walt, Stephen. "Alliance Formation and the Balance of World Power." *International Security*, Vol. 9, No.4 (Winter 1995), 3-43.

Waltz, Kenneth. *Theory of International Politics*, New York: Random House, 1979.

ტერორიზმი - NATO-ს უმთავრესი გამოწვევა XXI საუკუნის დასაწყისში. საქართველოს შეიარაღებული ძალები ტერორიზმის წინააღმდეგ.

გიგა ბასილაძე
ისტორიის აკადემიური დოქტორი,
სსიპ გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სახეიდრო ლიხეუმი.

აბსტრაქტი

საერთაშორისო ტერორიზმი წარმოადგენს თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემას უსაფრთხოების თვალსაზრისით. 2001 წლის 11-მა სექტემბერმა ყველას დაანახა ტერორიზმის სამინელი ძალა და ის, რომ თვით სუპერ სახელმწიფოებიც კი არა არიან დაცულნი მათი თავდასხმისაგან. 11-მა სექტემბერმა გააერთიანა მსოფლიო საზოგადოება ტერორიზმის წინააღმდეგ და ბრძოლა გამოუცხადა ტერორიზმს. ბრძოლის მისია თავის თავზე იტვირთა ისეთმა სამხედრო-პოლიტიკურმა ორგანიზაციამ, როგორც ნატო.

ნატო მე-20 საუკუნის შუა ხანებში კომუნიზმისაგან დემოკრატიული საზოგადოების თავდაცვის მიზნით შექმნეს. მაგრამ ამავე საუკუნის ბოლოს, კომუნისტური ბლოკის დაშლის შემდეგ, იგი ერთადერთ სამხედრო-პოლიტიკურ ორგანიზაციად იქცა, რომელმაც იტვირთა მსოფლიოში მშვიდობისა და უსაფრთხოების დაცვა. 2001 წლის სექტემბრიდან, აშშ-სთან ერთად, ნატოს ქვეყნები აქტიურად ებრძვიან საერთაშორისო ტერორისტულ ორგანიზაციებსა და მათ მხარდამჭერ ქვეყნებს. ამ ბრძოლაში, როგორც ნატოს მოკავშირე, ჩართულია საქართველოს შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფები, რომლებმაც არაერთხელ ისახელეს თავი ტერორისტების წინააღმდეგ ბრძოლაში. სწორედ ტერორიზმის წინააღმდეგ საქართველოსა და ქართველი სამხედროების ბრძოლას შეეხება ჩვენს მიერ წარმოდგენილი მცირე ნარკვევი.

TERRORISM - NATO'S BIGGEST CHALLENGE AT THE BEGINNING OF THE XXI CENTURY. GEORGIAN ARMED FORCES AGAINST TERRORISM

GIGA BASILADZE
ACADEMIC DOCTOR OF HISTORY,
LEPL GENERAL GIORGIKVINITADZE CADET MILITARY LYCEUM

ABSTRACT

International terrorism is considered to be one of the biggest problems threatening security of innocent citizens. The wave of violence which erupted on 11 September, 2001 was the clear example of the fact that even super countries are not protected against terroristic attack. This tragic event united the whole world community against terrorism. NATO, political-military alliance, committed to work in cooperation with this union in order to guarantee security.

NATO was founded to defend democratic society in response to the threat posed by communism in the middle of the XX century. However, at the end of the century after the dissolution of Soviet Union it became the only political-military alliance aiming to secure peace and freedom of the world through political and military means. Since 2001 NATO, in cooperation with America, has been struggling against international terrorism and its supportive countries. Georgian armed forces are successfully participating in this struggle. Our essay briefly outlines how Georgia and Georgian troops act against terrorism in cooperation with NATO.

ნატო (NATO) იგივე ჩრდილო ატლანტიკური შეთანხმების ორგანიზაცია XX საუკუნის პირმშოა, რომელიც სამხედრო-პოლიტიკურ ორგანიზაციას წარმოადგენს. იგი 1949 წლის 4 აპრილს ვაშინგტონის ხელშეკრულების საფუძველზე დასავლეთის 12 სახელმწიფომ შექმნა. ნატოს წინაშე ორი მთავარი ამოცანა იდგა: აშშ-დას. ევროპის სტრატეგიული კავშირის შექმნა და დასავლეთ ევროპის ქვეყნების უსაფრთხოების უზრუნველყოფა საბჭოთა კავშირის კომუნისტური საფრთხისაგან(აბაშიძე 2009:23-24).

ნატოს შექმნამდე მსოფლიოში მრავალი სამხედრო ბლოკი არსებობდა, მაგრამ მათგან ნატოს განასხვავებდა ფასეულობათა სისტემა, რომელიც სიახლეს წარმოადგენდა იმ პერიოდის მსოფლიოსათვის. ვაშინგტონის ხელშეკრულების პრეამბულაში აქცენტი კეთდებოდა შემდეგზე, რომ ალიანსი დაიცავდა თავიანთი ხალხების თავისუფლებას, დემოკრატიის პრინციპებზე დაფუძნებულ საერთო მემკვიდრეობასა და ცივილიზაციას, პირად თავისუფლებასა და კანონის უზენაესობას. ამგვარად, ეს კავშირი განაცხადს აკეთებდა მწეობრივ ფასეულობათა პრიმატზე.

ვაშინგტონის ხელშეკრულების უმთავრეს დებულებას წარმოადგენდა მე-5 მუხლი, რომელშიც ნათქვამია, რომ შეიარაღებული თავდასხმა ერთ-ერთ ან რამდენიმე მხარეზე ევროპაში ან ჩრდილო ამერიკაში, განხილული იქნება როგორც აგრესია ყველას წინააღმდეგ (იქვე). ხელშეკრულებაში არ იყო მითითებული თუ საიდან მოელოდნენ აგრესიას, მაგრამ ყველამ იცოდა რომ საუბარი კომუნისტურ საფრთხეს შეეხებოდა. დასავლეთის სახელმწიფოების ამ ნაბიჯს მოსკოვმა უპასუხა 1955 წელს ვარშავის პაკტის, კომუნისტური სამხედრო ბლოკის შექმნით. ამგვარად, თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში, „ცივი ომის“ პერიოდში, მსოფლიო მომსწრე გახდა ამ ორი სამხედრო-პოლიტიკური ბლოკის დაპირისპირების. საბედნიეროდ საქმე უშუალოდ სამხედრო შეტაკებამდე არ მისულა. 1991 წელს საბჭოთა კავშირი დაიშალა, რასაც მოჰყვა ვარშავის ბლოკის დაშლაც. ცივი ომი დასრულდა ნატოსა და დასავლეთის დემოკრატიული ქვეყნების სრული გამარჯვებით.

ბერლინის კედლის დანგრევისა და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, თითქოს აღარ ჩანდა ნატოს არსებობის აუცილებლობა, მაგრამ მოვლენათა განვითარებამ მსოფლიო დაარწმუნა საპირისპიროში. ცივი ომის დასრულებამ გამოიწვია ბარიერების რღვევა ევროპაში. შეიცვალა მსოფლიო პოლიტიკური რუკაც. გაჩნდნენ ახალი სახელმწიფოები, რომელთაც განსხვავებული სოციალურ-პოლიტიკური თუ რელიგიურ-ეთნიკური ინტერესები გააჩნდათ. ეს კი ზრდიდა ახალი კონფლიქტების წარმოშობის საშიშროებას. სწორედ ამიტომ ნატოს წინაშე დაისვა ახალი ამოცანები---უზრუნველყო საერთაშორისო მშვიდობა და უსაფრთხოება.

შეიცვალა ნატოს კონცეფცია და სამოქმედო მექანიზმები. 1990 წელს ნატოს წევრი ქვეყნების ლონდონის სამიტმა დახმარების ხელი გაუწოდა ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნებს, მათ წინაშე არსებული პრობლემების მოგვარებაში. 1991 წელ შეიქმნა **ჩრდილოატლანტიკური საკოორდინაციო საბჭო**, რომელიც განიხილავდა ნატოსა და მისი პარტნიორი ქვეყნების პრობლემებსა და მათი მოგვარების გზებს (უსაფრთხოება პარტნიორობის მეშვეობით.გვ 6). 1994 წელს ყალიბდება ნატოს პროგრამა „**პარტნიორობა მშვიდობისათვის**“, რამაც კიდევ უფრო გააღრმავა პარტნიორ ქვეყნებთან ურთიერთობა. 1997 წელ კი ჩრდილო ატლანტიკური საკოორდინაციო საბჭო ჩაანაცვლა „**ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭომ**“, რამაც უფრო ღრმა და ოპერატიულ მოქმედებებს შეუწყო ხელი.

პარტნიორობის პროცესი გულისხმობდა დიალოგისა და ურთიერთგაგების დამყარებას ყველა მონაწილე ქვეყნებს შორის, რომელთაგანაც ბევრი დაპირისპირებული იყო (განსაკუთრებით ყოფილი იუგოსლავიის ქვეყნები -გ.ბ.). ამ კუთხით გარკვეული წარმატებები იქნა მიღწეული, თუმცა პრობლემები ბოლომდე ვერ აღმოიფხვრა.

ამგვარად, XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან ნატომ, როგორც ერთადერთმა სამხედრო-პოლიტიკურმა ორგანიზაციამ, საკუთარ თავზე აიღო ევრო-ატლანტიკურ სივრცესა და ცივილიზებულ სამყაროში მშვიდობისა და უსაფრთხოების დაცვა, მაგრამ XXI საუკუნის დასაწყისში ის შეეჯახა ისეთ პრობლემას, როგორც არის საერთაშორისო ტერორიზმი და მათი მხარდამჭერი ქვეყნები. 2001 წლის 11 სექტემბერს ნატოს უმთავრეს დამფუძნებელსა და სუპერ სახელმწიფო **ამერიკის შეერთებულ შტატებზე** განხორციელებულმა ტერორისტულმა თავდასხმამ მსოფლიო შეძრა.

ტერორისტული ორგანიზაცია „**ალ ქაიდას**“ თვითმკვლელობა ისლამისტმა ტერორისტებმა გაიტაცეს 4 სამგზავრო თვითმფრინავი, რომელთაგან ორი მათგანი ნიუ იორკის ტყუპ ცათამბრტყენებს, „**მსოფლიო სავაჭრო ცენტრის**“ შენობებს შეეჯახა. ტერაქტის შედეგად 2977 ადამიანი დაიღუპა, მათ შორის 343 მგზავრი და 60 პოლიციელი. დაღუპული 19 ტერორისტიდან 15 საუდის არაბეთის, 2 არაბთა

გაერთიანებული საემიროების, ერთი ეგვიპტის და ერთი ლიბანის მოქალაქე იყო. ტერაქტის ორგანიზება ოსამა ბინ ლადენმა განახორციელა, რომელიც ავღანეთს აფარებდა თავს. მსოფლიო საყოველთაო შიშმა მოიცვა. თუკი ისეთი ზესახელმწიფო, როგორც აშშ-ა, ვერ ახერხებს ტერორისტებისაგან თავის დაცვას, მაშინ ეს როგორ უნდა მოახერხოს შედარებით სუტმა და პატარა ქვეყნებმა?

ტერორისტული ორგანიზაცია **ალ ქაიდას** შესახებ მსოფლიომ ჯერ კიდევ 1993 წელს შეიტყო, როდესაც მისმა აქტივისტებმა ნიუ იორკში პირველად განახორციელეს ტერაქტი, მაგრამ ბინ ლადენის სახელი ჯერ კიდევ უცნობი იყო მსოფლიოსათვის. იგი წარმოშობით საუდის არაბეთის მდიდარი ოჯახიდან იყო. მიუხედავად ამისა, მან დათმო საოჯახო ბიზნესი და 1979 წლიდან ავღანეთში წავიდა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ საბრძოლველად. ავღანეთიდან საბჭოთა ჯარების გასვლის შემდეგ (1989 წ-გ.ბ), ოსამამ ახალი მტერი გაიჩინა და მთლიანად აშშ-ს წინააღმდეგ ბრძოლაზე გადაერთო. იგი სუდანში გადავიდა და იქ შექმნა ტერორისტული ბაზები. 1994 წელს მას ჩამოართვეს საუდის არაბეთის მოქალაქეობა, ხოლო 1996 წელს ამერიკის ზენოლით სუდანიდანაც გააძევეს. ბინ ლადენი ავღანეთში ბრუნდება და იწყებს ალ ქაიდას საერთაშორისო ტერორისტული ქსელის გაძლიერებას. ამ პერიოდისათვის მას უკვე ჰყავდა 3 ათასამდე კარგად განვრთნილი მებრძოლ-ტერორისტები. 1998 წლის 7 აგვისტოს **ნაირობიში** (კენია) და **დარ ესალამში** (ტანზანია) აშშ-ს საელჩოს წინააღმდეგ მისმა მებრძოლებმა ერთდროულად განახორციელეს ტერორისტული აფეთქებები, რასაც დიდი მსხვერპლი მოჰყვა. ნაირობიში 212 ადამიანი დაიღუპა და 4 ათასამდე დაშავდა, ხოლო დარ ესალამში 11 და დაშავდა 85. ნაირობიში დაღუპულთა შორის 12 აშშ-ს მოქალაქე იყო (აბაშიძე 2012:192-193).

ალ ქაიდას გაძლიერებას და გააქტიურებას ხელი შეუწყო ავღანეთის ხელისუფლებაში „**თალიბების**“ მოსვლამ (1996 წლიდან-გ.ბ). სტყვა „**თალიბი**“, არაბულად სტუდენტს ნიშნავს. თალიბებმა ქვეყნის დიდ ნაწილში დაამყარეს უაღრესად რადიკალური ისლამისტური რეჟიმი და მხარი დაუჭირეს ალ ქაიდას ბრძოლას აშშ-სა და დასავლეთის ქვეყნების წინააღმდეგ. სწორედ ასეთმა შეთანხმებულმა მოქმედებამ წარმოშვა 11 სექტემბრის ტერაქტი, რომელსაც ათასობით მშვიდობიანი მოქალაქე შეენირა.

11-მა სექტემბერმა გააერთიანა ცივილიზებული სამყარო ტერორიზმის წინააღმდეგ. ნატომ 12 სექტემბერს მოწვეულ საგანგებო სხდომაზე დაგმო ტერორისტული აქტი და აამოქმედა ჩვენს მიერ ზემოთ ნახსენები მე-5 მუხლი, რომლის მიხედვითაც თავდასხმა ნატოს წევრ ნებისმიერ სახელმწიფოზე, გულისხმობს თავდასხმას ყველა წევრზე. 2001 წლის 7 ოქტომბერს, ტერაქტიდან ერთ თვეში, ნატოსა და აშშ-ს სამხედრო ნაწილებმა ავღანეთისა და ალ ქაიდას წინააღმდეგ შეტევა დაიწყეს. 20 დეკემბერს მიღებული რეზოლუციით ჩამოყალიბდა „**საერთაშორისო უსაფრთხოების დახმარების ძალები**“ (ISAF), რომლის მისიაც ალ ქაიდასა და მისი მხარდმჭერების, მათ შორის თალიბების წინააღმდეგ ბრძოლა იყო. კოალიციურმა ძალებმა მოახერხეს თალიბების ქაბულიდან განდევნა, (2011 წელს პაკისტანში მოკლეს ბინ ლადენი-გ.ბ) მაგრამ ისინი ბოლომდე დღესაც კი არ არიან დამარცხებული.

საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ნატოს მიერ ჩამოყალიბებულ ISAF ფარგლებში, როგორც ნატოს პარტნიორი ქვეყანა, იბრძვის საქართველოც. ქართული გაძლიერებული ოცეული ავღანეთში პირველად 2004 წლის აგვისტოში გამოჩნდა. მათ მისიას წარმოადგენდა ავღანეთის საპრემიერენტო არჩევნების უსაფრთხოდ ჩატარების უზრუნველყოფა. მისიის მიმდინარეობისას იცვლებოდა ავღანეთში მყოფ ქართველ სამხედრო მოსამსახურეთა რაოდენობა და ამოცანები. ქართული ქვედანაყოფები ახორციელებდნენ: ბაზების დაცვას, პატრულირებას, ჩხრეკას, კორდონს, საკონტროლო-გამშვები პუნქტის ოპერაციებს, ავღანური არმიის საარტილერიო ქვედანაყოფის მომზადებას, სამხედრო ჰოსპიტლის დახმარებას.

2007 წლის ნოემბრიდან 2013 წლის აგვისტოს ჩათვლით, ავღანეთში, გოჰარის პროვინციის ქალაქ ჩაგჩარში, ლიტველ ექიმებთან ერთად მისიას საქართველოს შეიარაღებული ძალების ექიმ ქირურგებიც ასრულებდნენ, რომლებიც როტაციის წესით 6 თვეში ერთხელ იცვლებოდნენ. 2010 წლის აპრილიდან მოყოლებული 2012 წლის ოქტომბრამდე საქართველოს შეიარაღებული ძალები, ჰელმანდის პროვინციაში ერთი ბატალიონით ასრულებდა სამშვიდობო მისიას. 2012 წლის ოქტომბერში ავღანეთში, დამატებით კიდევ ერთი ბატალიონი გაიგზავნა, რის შედეგადაც ქართველ სამხედროთა რაოდენობამ 1600-ს მიაღწია.

2015 წლის 1 იანვრიდან ავღანეთში ნატოს საერთაშორისო მისია „**მტკიცე მხარდაჭერის ფორმატი**“ (RSM) მიმდინარეობს. ქართული ქვედანაყოფები საერთაშორისო მისიებში მონაწილეობისათვის 2015 წლიდან წვრთნას გადიან აშშ-ს სამღვაო ქვეითთა კორპუსის ინსტრუქტორთა ხელმძღვანელობით. ამასთანავე ქართული კონტიგენტი ამოცანაზე ორიენტირებულ სწავლებას გერმანიის ქალაქ ჰოჰენფილდში, ერთი თვის განმავლობაში გადის. სწორედ მტკიცე მხარდაჭერის მისიის ფარგლებში მოუხდათ

ქართველ სამხედროებს ერთ-ერთ ყველაზე რთულ სამხედრო ოპერაციაში მონაწილეობა, რომელიც უდანაკარგოდ, მაღალი პროფესიული სტანდარტით განახორციელეს.

2016 წლის 10 ნოემბერს საღამოს 11 საათზე, ჩრდილო ავღანეთის, ბალხის პროვინციის მთავარ ქალაქ მაზარ-ი-შარიფში, „თალიბანის“ ისლამისტმა ტერორისტებმა სცადეს გერმანიის საკონსულოს აფეთქება. თავდასხმაში ოცდაათამდე ტერორისტი და ორი თვითმკვლეელი იღებდა მონაწილეობას. ტერორისტებმა შეძლეს და დანაღმული მანქანა საკონსულოს ეზოში ააფეთქეს, რის გამოც დამცავი კედელი ჩამოინგრა. თალიბებმა საკონსულოს შენობის დაკავება სცადეს, რასაც ორმხრივი ცეცხლი მოჰყვა. საკონსულოს თანამშრომლებს დროული დახმარება აღმოუჩინა სენაკის მე-2 ბრიგადის ქართულმა ოცეულმა. ჩაბნელებულ მაზარ-ი-შარიფში მოწინააღმდეგის ძლიერი ცეცხლის მიუხედავად, ქართულმა ოცეულმა მოახერხა მათი მოგერიება და საკონსულოს დიპლომატების ევაკუირება. აფეთქების შედეგად 6 ადამიანი დაიღუპა, 130 კი დაიჭრა, მაგრამ მსხვერპლი გაცილებით დიდი შეიძლება ყოფილიყო. გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ფრანკ ვალტერ შტაინმაიერმა გერმანელი ხალხის სახელით მადლობა გადაუხადა საქართველოს მთავრობას, ქართველი სამხედროების მიერ გამოჩენილი მამაცობისა და განუელი სამსახურისათვის.

მიუხედავად ამისა, აქვე ისიც უნდა ავღნიშნოთ, რომ საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლას უდანაკარგოდ არ ჩაუვლია. საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა ავღანეთში სხვადასხვა მისიის დროს 32 ჯარისკაცი დაკარგა, რამდენიმე ასეული კი დაიჭრა და დაშავდა, რაც არც თუ ისე პატარა ციფრია ისეთი ქვეყნისათვის როგორც საქართველოა. ოკუპაციის პირობებშიც კი საქართველო დგას ცივილიზებული სამყაროს გვერდით, საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, რაც, ჩვენი აზრით, ხელს შეიწყობს ნატოსთან კიდევ უფრო დაახლოებას. ეს კი უნდა გახდეს სანინდარი მომავალში საქართველოს ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში განევრიანებისა და დიდ ევროპულ ოჯახში კვლავ დაბრუნების.

გამოყენებული ლიტერატურა

1. აბაშიძე, ზურაბ. ნატო და საქართველო: უტოპიიდან რეალობისაკენ. თბილისი: საარი, 2000
2. აბაშიძე, ზურაბ. დანგრეული კედლის ჩრდილში. თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2012.
3. აბაშიძე, ზურაბ. ცივი ომი. თბილისი, 2009.
4. გაჩეჩილაძე რევაზ. ახლო აღმოსავლეთი: სივრცე, ხალხი, პოლიტიკა. ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2008.
5. გაჩეჩილაძე რევაზ. საქართველო მსოფლიო კონტექსტში. ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2017.
6. უსაფრთხოება პარტნიორობის მეშვეობით. 2016. <https://www.nato.int/docu/sec.../sec-partner-geo.pdf>
7. წულაძე ზაზა. თავდასხმა მაზარ-ი-შარიფში: ქართველებმა გერმანელებს სულზე მიუსწრეს. 2016. [Amerikiskhma.com/a/germany-grateful-to-georgia-for-courage-in-repelling-attack-in mazar-i-shar-if/3594912.html](http://Amerikiskhma.com/a/germany-grateful-to-georgia-for-courage-in-repelling-attack-in-mazar-i-sharif/3594912.html).

ტრანსნაციონალური ტერორიზმი

გიორგი მათიაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, დოქტორანტი
სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამა

აბსტრაქტი

XXI საუკუნის ერთ-ერთ ყველაზე გამოკვეთილ პრობლემად და გამოწვევად ტერორიზმი სახელდება. ტერორიზმი გლობალური პრობლემაა, რომელიც საფრთხეს უქმნის ნებისმიერ სახელმწიფოს, ნაციას, პოლიტიკურ მხარეს, სახელმწიფო ინსტიტუტებს. მისი გავრცელების არეალი განუსაზღვრელია როგორც გეოგრაფიული ისე ეთნიკური მაშტაბით. იგი სერიოზული დარტყმის ქვეშ აყენებს გლობალურ უსაფრთხოებას. ტერორიზმი საერთაშორისო პოლიტიკის წამყვან თემად იქცა 2001 წლის 11 სექტემბერს ამერიკის შეერთებულ შტატებში განხორციელებული ტერორისტული აქტების შემდეგ.

TRANSNATIONAL TERRORISM

GIORGI MATIASHVILI

DOCTORAL STUDENT, GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY,
PHD PROGRAM OF LAW AND INTERNATIONAL RELATIONS

ABSTRACT

One of the most pressing problems and challenges of the 21st century is terrorism. Terrorism is a global problem that threatens any state, nation, political party, state institution. Its distribution area is unbounded both geographically and ethnically. It poses a serious threat to global security. Terrorism has become a leading issue of international politics since the terrorist attacks carried out in the United States on September 11, 2001.

XXI საუკუნის ერთ-ერთ ყველაზე გამოკვეთილ პრობლემად და გამოწვევად ტერორიზმი სახელდება. ტერორიზმი გლობალური პრობლემაა, რომელიც საფრთხეს უქმნის ნებისმიერ სახელმწიფოს, ნაციას, პოლიტიკურ მხარეს, სახელმწიფო ინსტიტუტებს. მისი გავრცელების არეალი განუსაზღვრელია როგორც გეოგრაფიული ისე ეთნიკური მაშტაბით. იგი სერიოზული დარტყმის ქვეშ აყენებს გლობალურ უსაფრთხოებას. ტერორიზმი საერთაშორისო პოლიტიკის წამყვან თემად იქცა 2001 წლის 11 სექტემბერს ამერიკის შეერთებულ შტატებში განხორციელებული ტერორისტული აქტების შემდეგ.

თუმცა ტერორიზმი ნამდვილად არ არის მხოლოდ XXI საუკუნის პრობლემა. იგი უძველეს დროშიც არსებობდა. კლასიკური ტერორიზმი როგორც წესი დაკავშირებული იყო ნაციონალისტურ გამათავისუფლებელ მოძრაობებთან კონკრეტულ ტერიტორიულ საზღვრებში და იშვითად ცდებოდა ამ საზღვრებს. დღეისთვის ტერორიზმი კიდევ უფრო მნიშვნელოვან და საშიშ მოვლენად იქცა, ვინაიდან იგი გადაიქცა გლობალურ საფრთხედ. გლობალიზაციამ ვაცობრიობის განვითარებაში უპრეცედენტო შესაძლებლობებსა და პროგრესთან ერთად დიდი რისკებიც მოიტანა, მან მოწყვლადი გაგვხადა ტერორიზმის წინაშე. მზარდი ურბანიზაციის, თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ელექტრონული ქსელების წყალობით, უფრო მეტი სამიზნე ობიექტი გაჩნდა ტერორისტული აქტებისთვის, ტერორისტებს მიეცა უფრო დიდი შესაძლებლობები ტერაქტის ორგანიზებისა და განხორციელებისთვის. გლობალიზაცია, დაფინანსება და ინტერნეტი საშუალებას აძლევს ტერორისტებს პროპაგანდა განიონ, ერთმანეთში გაცვალონ შეტყობინებები, გამოცდილება, ტექნოლოგია, დაგეგმონ ტერაქტი, დააორგანიზონ და განახორციელონ ტერორისტული დარტყმები. იქმნება გლობალური ტერორისტული ქსელები, ჩვენ ვხდებით ტერორიზმის ახალი ტიპის-ტრანსნაციონალური ტერორიზმის განვითარების მომხრენი, რომლის მიზნებიც და მოქმედების არეალიც გაცილებით უფრო მაშტაბურია.

ტერორიზმის დეფინიცია

ტერორიზმის საყოველთაოდ აღიარებული დეფინიცია არ არსებობს. მის განმარტებასთან დაკავშირებით კონსენსუსი მიღწეული არ არის, მიმდინარეობს კამათი ტერორიზმის ბუნების, მიზნებისა და ამოცანების, დამნაშავეს, მსხვერპლის, კანონიერების და ტერორისტული აქტორების მიზნებისა და მეთოდების თაობაზე. თუმცა ტერმინი „ტერორიზმის“ ყველაზე ფართოდ აღიარებულ მახასიათებლად მიიჩნევა მისი დამანგრეველი და გაუმართლებელი სახე და როგორც წესი, ჯგუფის ტერორისტულად განსაზღვრა ნეგატიურად მოქმედებს ჩვენ მიერ ჯგუფის ლეგიტიმურობის, კანონიერების აღქმაზე.¹ ზოგადი განმარტებით, ტერორიზმი არის ძალადობის უკანონო გამოყენება მოსახლეობაში შიშის დანერგვისა და პოლიტიკური მიზნების მიღწევისთვის. იგი აღიქმება როგორც არასახელმწიფო აქტორების მხრიდან ძალადობის გამოყენება ან მუქარა, რათა ზეგავლენა იქონიონ მოქალაქეებზე ან ხელისუფლებაზე პოლიტიკური ან სოციალური ცვლილებების განხორციელების მიზნით.

ტერმინი „ტერორიზმი“ საფრანგეთის რევოლუციის ეპოქიდან დამკვიდრდა და დაკავშირებულია მაქსიმილიან რობესპიერის მმართველობის ფორმასთან (1793-1794 წწ), რომელიც ძალადობრივ მეთოდებს იყენებდა მოწინააღმდეგეების დასასჯელად. ამ შემთხვევაში სიტყვა ტერორიზმი ასოცირებული იყო ძალადობასთან შინაური მტრის წინააღმდეგ. რევოლუციის შემდეგ გამოცემული ფრანგული ლექსიკონი ტერორიზმს განმარტავდა როგორც პოლიტიკური მმართველობის ერთ-ერთ ფორმას, როდესაც ხელისუფლების შენარჩუნების მიზნით ქვეყნის მმართველობა ძალადობრივი მეთოდებით უპირისპირდება პოლიტიკურ ოპონენტებს. ტერორიზმი, როგორც პოლიტიკური ბრძოლის ფორმა, საფრანგეთის რევოლუციაზე ბევრად ადრე წარმოიშვა, თუმცა ტერორისტულ საქმიანობას იმ ეპოქაში დიდი გასაქანი არ მისცემია.

XX საუკუნიდან ეს ტერმინი გამოიყენება ძალადობის აღსანიშნავად, რომელიც პირდაპირ თუ ირიბად მიმართულია მთავრობების წინააღმდეგ, რათა გავლენა მოახდინონ მათ პოლიტიკურ რეჟიმსა და პოზიციაზე. 1937 წელს, ერთა ლიგას ქონდა ტერორიზმის განმარტების მცდელობა როგორც კრიმინალური აქტისა, რომელიც მიმართულია უშუალოდ სახელმწიფოს წინააღმდეგ, უბრალო ადამიანებში და ადამიანთა ჯგუფებში, ან საზოგადოებაში მთლიანად ტერორის მდგომარეობის შექმნის მიზნით, თუმცა ეს განმარტება ძალაში არასდროს შესულა. 1999 წელს გაერომ, ერთა ლიგის პროექტზე დაყრდნობით, ტერორიზმის შემდეგი ფორმულირება მიიღო: „ყველა კრიმინალური აქტი, მიმართული უშუალოდ სახელმწიფოს წინააღმდეგ, უბრალო ადამიანებსა და ადამიანთა ჯგუფებში, ან საზოგადოებაში მთლიანად, ტერორის მდგომარეობის შექმნის მიზნით, რომელსაც არ გააჩნია გამამართლებელი გარემოება, მიუხედავად იმისა რომ მათი პოლიტიკური, ფილოსოფიური, იდეოლოგიური, რასობრივი, ეთნიკური თუ რელიგიური საფუძველები ამართლებს მათ ქმედებას“.

2002 წლის ოქტომბერში გაეროს გენერალური მდივანი კოფი ანანი თავის განცხადებაში ტერორიზმის განმარტებას შეეცადა: „ტერორიზმი არის გლობალური საფრთხე, გლობალური ეფექტებით... თავისი ბუნებიდან გამომდინარე ეს არის თავდასხმა სამართლის, წესრიგის და ადამიანის უფლებების ფუნდამენტურ პრინციპებზე“. ევროკავშირი ტერორიზმს ასეთ შეფასებას აძლევს: „ტერორიზმი ეს არის ქმედება, რომლის მიზანსაც წარმოადგენს საზოგადოების დაშინება, მთავრობებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებზე არაკანონიერი გზით ზეგავლენის მოხდენა, ქვეყნებისა და დემოკრატიული ინსტიტუტების განადგურება“. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის აზრით ტერორიზმი ეს არის „ქვეეროვნული და ფარული ელემენტების მიერ საზოგადოებაზე ზეგავლენის თვალსაზრისით დაგვემილი ძალადობა, რომელიც მიმართულია არასაომარი – სამოქალაქო სამიზნეების წინააღმდეგ“. აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტო იძლევა ტერორიზმის ოთხ ძირითად დამახასიათებელ ელემენტს: 1) ძალადობის წინასწარ დაგვემილი და არაიმპულსური აქტი. 2) ქმედება, რომელიც განსაზღვრულია პოლიტიკური წესრიგის შესაცვლელად. 3) ქმედება, რომელიც მიმართულია სამოქალაქო პირების წინააღმდეგ. 4) იგი ხორციელდება ქვეეროვნული დაჯგუფების მიერ.²

შესაძლოა გამოვყოთ ტერორიზმის ელემენტები, რომლებიც მეტნაკლებად საერთოა ყველა განმარტებისთვის: უპირველესად, ტერორიზმს აქვს პოლიტიკური მოტივები და პოლიტიკური მიზნები; მეორე, ტერორიზმის სამიზნე როგორც წესი სამოქალაქო პირებია და არა სამხედროები, თუმცა ტერორიზმის მსხვერპლი შესაძლოა იყოს სამხედრო პირებიც. ტერორიზმი დამიზნებულია მშვიდობიან

¹ Transnational Terrorism, Katherine E. Brown, Jan. 19 2017 - https://www.e-ir.info/2017/01/19/transnational-terrorism/?fbclid=IwAR2DAKB7WeLsrd6-M7woPc7BDMsxeB_WUUXcG-sxuLCqm5Y7VU0gN_ADBRk

² ვასილ რუბაშვილი. „ტერორიზმის პრობლემა საერთაშორისო ორგანიზაციებში“ მილიტარიუმი, <https://www.militarium.org/terorizmis-problema/>

მოსახლეობაზე რომელიც პირდაპირ არ არის ჩართული კონფლიქტში; მესამე, ტერორიზმი იყენებს ძალადობას, თუმცა ამ აზრს რიგი ექსპერტები არ იზიარებენ და მაგალითისთვის კიბერტერორიზმს ასახელებენ; მეოთხე - ტერორიზმი ეს არის სუსტის იარაღი ძლიერის წინააღმდეგ ბრძოლაში, ამიტომაც მისი მიზანი სულაც არ არის მტერზე გამარჯვება, ისინი ცდილობენ მესიჯების გაგზავნას; მეხუთე - ტერაქტი ატარებს სიმბოლურ ხასიათს.

ტერორიზმის ისტორია

ტერორიზმი უძველესი დროიდან იღებს სათავეს. ერთ-ერთ ყველაზე ადრეულ ტერორისტულ დაჯგუფებად მიიჩნევენ ახალი წელთაღრიცხვით პირველ საუკუნეში პალესტინაში მოქმედ სიკარიების სექტას, ასევე ინდოეთში მოქმედ სხვადასხვა საიდუმლო საზოგადოებებს.

XI-XIII საუკუნეებში ტერორისტული საქმიანობით მთელ მსოფლიოში გაითქვა სახელი წინა აზიაში მოქმედმა ასასინების სექტანტურმა ნეოსლამისტურმა ორგანიზაციამ, რომელმაც სამოქმედო ტაქტიკად თავიანთი მტრების ლიდერების მკვლელობები აირჩია.

XVIII-XIX საუკუნეებში ტერორიზმი უმეტესწილად წარმოადგენდა ერთი ადამიანის ლიკვიდაციისაკენ მიმართულ პოლიტიკურ აქტს, კონკრეტული ადამიანების ძალზე ვიწრო წრისკენ იყო მიმართული და არ ემსახურებოდა საზოგადოებაში შიშის გენერირების იდეას. ტერორისტული აქტების მსხვერპლი გახდნენ საფრანგეთის ბურბონთა დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენელი - ბერიის პრინცი, რეაქციონერი მწერალი კოცებუ, ფერდინანდ III ნეაპოლიტანელი, ესპანეთის დედოფალი იზაბელა, მიხეილ III სერბიელი, რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე მეორე, საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი კარო, ესპანეთის პრემიერ-მინისტრ ანტონიო კანოვა, იტალიის მეფე უმბერტო, აშშ-ის პრემიერ-მინისტრი უილიამ მაკკინლი და სხვ.

XIX საუკუნეში ტერორიზმი ანარქისტული მოძრაობის მთავარ იარაღად იქცა. 70-90-იან წლებში ანარქისტებმა ტერორისტული აქტები განახორციელეს დასავლეთ და სამხრეთ ევროპის კათოლიკურ ქვეყნებში (საფრანგეთი, იტალია, ესპანეთი), რუსეთში და შეერთებულ შტატებში. საზოგადოებაზე ზემოქმედების მიზნით ტერორიზმი პირველად სწორედ რუსეთში მოქმედი ანარქისტული ტერორისტულ ორგანიზაცია „ნაროდნაია ვოლიას“ ქმედებებში ჩნდება, როდესაც ორგანიზაციის სიძლიერეში საზოგადოების დარწმუნების (და არა დაშინების) მიზნით, ასაფეთქებელი ნივთიერებებით ახორციელებდა ტერორისტულ აქტებს საჯარო ადგილებში.

იმავე პერიოდში მოქმედებდნენ ასევე, სომხების, პოლონელების, ირლანდიელების, თურქების, მაკედონელების, სერბების რადიკალური ნაციონალური ჯგუფები, რომლებიც ტერორისტულ მეთოდებს ეროვნული დამოუკიდებლობის მიღწევის მიზნით იყენებდნენ. ნაციონალიზმთან და ნაციონალურ გამათავისუფლებელ ბრძოლებთან დაკავშირებული ტერორისტული მოძრაობები განსაკუთრებით ძლიერი გახდა XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე იტალიაში, ირლანდიაში, ავსტრია-უნგრეთში, აგრეთვე რუსეთის იმპერიაში. ნაციონალისტური ტერორიზმისთვის დამახასიათებელი იყო სხვადასხვა ეთნიკური ხალხის ძალადრობრივი ქმედებები, რომლებიც მიმართული იყო საკუთარი იდენტობის შესანარჩუნებლად, მისი მოქმედების არეალი ნაციონალურ საზღვრებს ძირითადად არ ცდებოდა. არაერთი ძლიერი ტერორისტული დაჯგუფება შეიქმნა ნაციონალურ ნიადაგზე, მათ შორის ირლანდიის რესპუბლიკური არმია და ეტა (ბასკეთის დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ტერორისტული ორგანიზაცია ესპანეთში), ასევე შრი-ლანკაში მოქმედი „თამილის განმათავისუფლებელი ვეფხვები“ და თურქეთში მოქმედი ქურთ მუშათა პარტია.

დროთა განმავლობაში ტერორისტული აქტები სულ უფრო ორგანიზებული, ფართომასშტაბიანი და სასტიკი ხდებოდა. რუსეთში აქტიურად მოქმედ სოციალისტ ტერორისტებს - ნაროდნიკებს, რომლებმაც იმპერატორი ალექსანდრე მეორეს მკვლელობა განახორციელეს, მოყვა სოციალ-დემოკრატები და ესერები. XX საუკუნის 20-30-იანი წლების ევროპაში ძალას იკრებს მემარჯვენე ტერორიზმი, რომელიც იტალიური ფაშიზმისა და შემდგომში გერმანული ნაცისტური ტერორიზმით გახდა ცნობილი, რიგი ექსპერტები მათ სახელმწიფო ტერორიზმის ტერმინით მოიხსენიებს, როდესაც ტერორი სახელმწიფო პილიტიკის ნაწილია და ქვეყნის სპეცსამსახურების მიერ იგეგმება და ხორციელდება. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ძლიერდება მემარცხენე ტერორიზმი, რომელიც თავისი მასშტაბებით და გავრცელებით აღემატებოდა მემარჯვენე ტერორიზმს. მემარცხენე ტერორიზმის ნათელი მაგალითი საბჭოთა კომუნისტური ტერორი იყო, რომელმაც უამრავი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა. ცივი ომის დამთავრების შემდეგ სუსტდება მემარცხენე ტერორიზმი და თანამედროვე მსოფლიოში ტერორიზმის სხვა ფორმები გამოდის წინა პლანზე.

1968 წლის 22 ივლისი ტერორიზმის ახალი სახის - საერთაშორისო ტერორიზმის გამოჩენის თარიღად მიიჩნევა. სწორედ ამ დღეს პალესტინურმა „პალესტინის განთავისუფლების სახალხო ფრონტმა“ ისრაელის ავიაკომპანიის კუთვნილი თვითმფრინავი გაიტაცა. მას შემდეგ, პალესტინელი ტერორისტების მიერ მრავალრიცხოვანი საერთაშორისო ტერორისტული აქცია განხორციელდა. დასავლეთის სამიზნეებზე იერიშის მიტანით ისინი ცდილობდნენ სულ უფრო მეტი ყურადღება მიეპყროთ. სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა 1972 წელს, მიუნხენის საზაფხულო ოლიმპიურ თამაშებზე 11 ებრაელ სპორტსმენზე განხორციელებული სასტიკი ტერორისტული თავდასხმა. საერთაშორისო ტერორიზმის მნიშვნელოვანი მახასიათებელი იყო მრავალრიცხოვანი ტერორისტული დაჯგუფებების სახელმწიფო მხარდაჭერა, როგორც წესი, ტერორისტული ჯგუფები ისლამური სახელმწიფოების მიერ იყო მხარდაჭერილი. ძირითადად მომხრე ქვეყნები იყვნენ საბჭოთა კავშირის მოკავშირეები, განსაკუთრებით ერაყი, ლიბია, სირია, სამხრეთ იემენი, რომელთაც საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში აშშ-სა და მისი მოკავშირეების მიერ სანქციების დაწესება არ აშინებდათ. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, როდესაც აღარ არსებობდა ამ ქვეყნების სანქციებისგან დაცვის მექანიზმი, ტერორისტული დაჯგუფებები იძულებული გახდნენ სახელმწიფო მხარდაჭერის ნაცვლად გადასულიყვნენ ორგანიზაციის ახალ - ტრანსნაციონალურ ფორმებზე და ფინანსური მხარდაჭერა კერძო პირებიდან მიიღოთ.

ტერორიზმის ისტორიიდან გამომდინარე, ექსპერტები გამოყოფენ ტერორიზმის მნიშვნელოვან ფორმებს: სახელმწიფო ტერორიზმი - როცა ხელისუფლება მისივე ქვეყნის მოქალაქეებზე ახორციელებს ტერორისტულ აქტებს; საერთაშორისო ტერორიზმი - როცა რომელიმე ქვეყნის ხელისუფლება შეიფარებს საერთაშორისო ტერორისტებს (როგორც ავღანეთის თალიბების მთავრობა მოიქცა ოსამა ბინ ლადენთან და ორგანიზაცია ალ-ქაიდასთან მიმართებაში), აფინანსებს საერთაშორისო ტერორისტულ ოპერაციებს, ან რაიმე სხვა გზით უჭერს მხარს ტერორიზმს, რომელიც მის საზღვრებს გარეთ ხორციელდება; საშინაო ტერორიზმი - ერთი ქვეყნის ფარგლებში ხორციელდება ტერორისტების მიერ, რომლებსაც მთავრობასთან არავითარი კავშირი არ აქვს; ტრანსნაციონალური ტერორიზმი - როცა სხვადასხვა ქვეყნის ტერორისტული დაჯგუფებები, რომელთაც არც ერთი მთავრობა არ აფინანსებს, ერთმანეთთან იწყებენ თანამშრომლობას, ან ასეთი დაჯგუფებების ტერორისტული ოპერაციები ერთი სახელმწიფოს საზღვრებს სცილდება.³

საერთაშორისოდან ტრანსნაციონალურ ტერორიზმამდე

ტრანსნაციონალური ტერორიზმის წინამორბედი საერთაშორისო ტერორიზმი განიმარტება როგორც საერთაშორისო ხასიათის დანაშაული. ტერორიზმის ნაირსახეობა - გამოიხატება ცალკეული პირებისა და ორგანიზაციების მოქმედებით ან მოქმედების მუქარით, რომელიც მიმართულია გარკვეული მიზნების (უმეტესად პოლიტიკური, რელიგიური, იდეოლოგიური და სხვა) მისაღწევად ძალადობის, ტერორისტული აქტების საჭაროდ განხორციელების გზით, მოსახლეობის ან ხელისუფლების დაშინების მიზნით და მასზე პირდაპირი ან ირიბი ზეწოლის მოსახდენად. სტ არის საერთაშორისო მასშტაბის საზოგადოებრივად საშიში ქმედებების ერთობლიობა, რომელიც იწვევს ადამიანთა მსხვერპლს, დიპლომატიური სამსახურებისა და მათი პერსონალის ნორმალური საქმიანობის მოშლას, აბრკოლებს საერთაშორისო უერთიერთთანამშრომლობას. სტ-ის დამახასიათებელი ნიშანია სხვადასხვა სახელმწიფოს მოქალაქეების ტერორისტულ ჯგუფებში (ორგანიზაციებში) გაერთიანება, ერთი სახელმწიფოს მოქალაქის მიერ მეორე სახელმწიფოში ტერორისტული აქტის ჩადენა ან ინდივიდისა თუ ტერორისტული ჯგუფის ქმედება საერთაშორისო ორგანიზაციების პერსონალის ან დიპლომატიური წარმომადგენლობისა და დიპლომატიური აგენტების, უცხო სახელმწიფოთა ოფიციალურ წარმომადგენელთა (სახელმწიფო მეთაური, მთავრობის მეთაური, პარლამენტის წევრები, მინისტრები და სხვ). საერთაშორისო ორგანიზაციების და მათი პერსონალის წინააღმდეგ.⁴

საერთაშორისო ტერორიზმიდან ტრანსნაციონალურზე გადასვა თანამიმდევრულად განხორციელდა, ამ პროცესზე პირდაპირი გავლენა ავღანეთის ომმა იქონია. 1979 წელს, პროსაბჭოური ხელისუფლების დასაცავად წითელი არმიის მეზობელ ქვეყანაში შეჭრას დაუყოვნებლივ მოყვა ავღანელ მემბოხეთა დაჯგუფებების ჩამოყალიბება, რომლებიც ძირითადად პაკისტანის ტერიტორიიდან მოქმედებდნენ და აშშ-ს, საუდის არაბეთისა და პალესტინის მხარდაჭერით სარგებლობდნენ. მათ შეუერთდნენ არაბი ისლამისტები სხვადასხვა არაბული ქვეყნიდან, განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ მებრძოლები ეგვიპტიდან, საუდისარაბეთიდან და იემენიდან. ამ დროიდან იწყება ტრანსნაციონალური ისლამისტი ტერორისტების ჩამოყალიბება.

³ მაგშტადტი თ., გავიგოთ პოლიტიკა, იდეები, ინსტიტუტები და პრობლემები, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2010.
⁴ სამოქალაქო განათლების ლექსიკონი, National Parliamentary Library of Georgia - <http://www.nplg.gov.ge/gw-dict/index.php?a=term&d=6&t=6296>

პალესტინელი თეოლოგი აბდულა აზამი (Abdullah Yusuf Azzam, 1941-1989) ცნობილია „ჯიჰადის“ კლასიკური ინტერნაციონალისტური პროპაგანდით. მან თავის ნაშრომებში „ჯიჰადი“ განსაზღვრა როგორც ნებისმიერი ფიზიკურად ჯანმრთელი მუსლიმის უპირობო და პირადი ვალდებულება, სანამ თუნდაც ერთი მუჭა მუსულმანური მიწისა რჩება ოკუპირებულად. აზამმა ხელი შეუწყო ავღანეთში არაბი მოხალისეების თავმოყრას და უდიდესი გავლენა იქონია მათი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე. ავღანეთში შეიარაღებული ბრძოლისკენ მოწოდების პარალელურად, აზამი ნათლად მიაჩნებდა, რომ შემდეგი ნაბიჯი უნდა ყოფილიყო პალესტინის, ასევე ქაშმირის, ჩეჩნეთის, ფილიპინების და სხვა მუსულმანური ტერიტორიების „გათავისუფლება“. აზამი, ოსამა ბინ ლადენის სულიერ მოძღვრად ითვლებოდა.

XX საუკუნის 80-იანი წლებიდან ავღანეთში სულ უფრო გაიზარდა ნაციონალისტურად განწყობილი ეგვიპტელების რიცხვი, რომლებიც, აზამის იდეოლოგიის საპირისპიროდ, თვლიდნენ, რომ უნდა დაპირისპირებოდნენ მათ სამშობლოში არსებულ რეჟიმებს. აზამი, განსხვავებით ეგვიპტელებისგან, არაბულ სამყაროში არსებულ მუსულმანურ რეჟიმებთან ბრძოლის სასტიკი წინააღმდეგი იყო. ეგვიპტური ისლამისტების სტრატეგია ჩამოყალიბდა მუჰამედ აბდ ალ-სალამ ფარაჯის (Muhammad abd-al-Salam Faraj, 1954-1982) იდეებზე დაყრდნობით, რომელიც ამტკიცებდა, რომ ბრძოლა ახლო მტერთან არის უპირატესი, ვიდრე შორეულთან, ყველა მუსლიმურ ქვეყანაში მტერს აქვს ძალაუფლების სადავეები, მტერი არის არსებული მმართველობა.

არსებული ორი დომინირებადი ტენდენციის პარალელურად, შეიქმნა ახალი ინტერნაციონალისტური იდეოლოგია ოსამა ბინ ლადენის (Osama bin Mohammed bin Awad bin Laden, 1957-2011წ.) ხელმძღვანელობით, რომელიც 80-იან წლებში გამოეყო თავის სულიერ მოძღვარ აზამს. იდეოლოგია გულისხმობდა „შორეულ მტერთან“ ბრძოლაზე კონცენტრირებას, თუმცა ამავდროულად არ ივიწყებდნენ „ახლო მტერსაც“. ექსტრემისტულ-ტერორისტული ისლამური ორგანიზაცია ალ ქაიდას მეთაურმა ოსამა ბინ ლადენმა და მისმა უახლოესმა თანამებრძოლმა, ეგვიპტური ჯიჰადის დაჯგუფების ლიდერმა და მსოფლიო ტერორიზმის მთავარ სტრატეგად ცნობილმა ტერორისტმა აიმან ამ-ზავაჰირიმ (Ayman Mohammed Rabie al-Zawahiri, 1951) შეიმუშავეს ერთიანი სტრატეგია. თუ აქამდე ნაციონალისტები დომინირებდნენ ჯიჰადის სცენაზე, 1995 წელს აშკარა გახდა, რომ ისლამისტები ვერ შეძლებდნენ საკუთარ ქვეყნებში რეჟიმების შეცვლას, რამაც სტრატეგიის ცვლილება გამოიწვია. ახალი სტრატეგიის ავტორი აიმან ამ-ზავაჰირი თვლიდა, რომ „შორეულ მტერზე“-აშშ-ზე ტერორისტული დარტყმები აიძულებდა მას დაეტოვებინა ისლამური სამყარო, აშშ-ს წასვლისა და მხარდაჭერის გარეშე კი „ახლო მტრები“ ვეღარ შეძლებდნენ წინააღმდეგობა გაენიათ ჯიჰადისტებისთვის. ეს არგუმენტი მუსტად შეესაბამებოდა ბინ ლადენის იდეებს.

1998 წლის თებერვალში, ოსამა ბინ ლადენმა და აიმან ამ-ზავაჰირიმ გამოაქვეყნეს ფეტვა, რომელშიც „მსოფლიო ისლამური ფრონტის შექმნა“ გამოაცხადეს და დაიწყეს ომი ჯვაროსნების და ებრაელების წინააღმდეგ. ფეტვაში ეწერა, რომ ჩრდილოეთ ამერიკის და მათი მოკავშირეების მოკვლა და მათგან ალ-აქსის და წმინდა მეჩეთების განთავისუფლება თითოეული მუსულმანის ვალი იყო. დაიწყო თავდასხმები აშშ-ს სამოქალაქო ობიექტებზე. რომოდენიმე ტერაქტი განხორციელდა აღმოსავლეთ ამერიკის ქვეყნებში ამერიკის საელჩოებზე. დაილუპა ასეულობით ადამიანი. თუმცა კულმინაციად იქცა 2001 წლის 11 სექტემბრის თავდასხმა, როდესაც ორგანიზაციამ უზარმაზარი დარტყმა მიაყენა პენტაგონსა და ვაშინგტონს. თავდასხმებს მალევე მოყვა აშშ-ს მხრიდან საპასუხო დარტყმები, რაც ავღანეთში თალიბების მმართველობის დამხობით დასრულდა. შედეგად, ალ-ქაიდამ დაკარგა მთავარი თავშესაფარი, სადაც 1996 წლიდან იყო გამაგრებული. მომდევნო რამოდენიმე წელი იგი კვლავ განაგრძობდა ტერორისტულ თავდასხმებს პაკისტანში, არაბულ სამყაროში თუ ევროპაში, თუმცა მისი ძალები ნელნელა სუსტდებოდა.

2011 წელს, არაბული გაზაფხულის სახელით ცნობილი საპროტესტო აქციების შედეგად დამხობილ იქნა რეჟიმები ტუნისში, ეგვიპტეში, ლიბიაში. ამ მოვლენამ დიდი გავლენა იქონია ასევე სხვა არაბულ ქვეყნებზეც. აღნიშნული პროცესი ეწინააღმდეგებოდა არაბი ჯიჰადისტების მიზნებს, რომლის თანახმადაც რეჟიმის დამხობა იარაღის გამოყენებითა და დიდი მსხვერპლით უნდა მომხდარიყო. თუმცა ამ პროცესებიდან ალ ქაიდამ მაინც მიიღო სარგებელი და ბევრ არაბულ ქვეყანაში სახელმწიფო კონტროლის ჩამოშლის შედეგად 2011 წელს კვლავ დაიწყო ძალების მოკრება. ლიბიასა და სირიაში მიმდინარე კონფლიქტების ფონზე სულ უფრო იზრდებოდა ტერორისტ-ისლამისტების რიცხვი. 2014 წლისთვის ლიბია ტერორიზმის ეპიცენტრად იქცა. სირიაში მიმდინარე სამოქალაქო ომის შედეგებიც სათავისოდ გამოიყენა ერაყულმა ალ ქაიდამ. აღნიშნული ორგანიზაცია 2003 წელს შეიქმნა იორდანელი ტერორისტის აბუ მუსაბ ალ-ზარქავის (Abu Musab al-Zarqawi, 1966-2006) მეთაურობით და მან მნიშვნელოვანი როლი ითამაშა აშშ-ს წინააღმდეგ ბრძოლაში. ზარქავი ცნობილია სუნიტებსა და

შიიტებს შორის დაპირისპირების გაღვივებით. 2013 წელს ზარქავის მემკვიდრემ ერაყელმა აბუ ბაქრ ალ-ბაღდადიმ (Ab Bakr al-Baghdadi. 1971) გამოაცხადა „ერაყისა და სირიის ისლამური სახალიფო“. 2014 წელს კი დაჯგუფებამ საკუთარი თავი მსოფლიო სახალიფოდ გამოაცხადა, ოფიციალური სახელწოდებით - „ისლამური სახელმწიფო“. ერაყელ ალ-ბაღდადისა და ბინ ლადენის მემკვიდრე ზავაჰირს შორის არსებული უთანხმოების გამო ისლამური სახელმწიფო ალ-ქაიდას დაჯგუფებას გამოეყო, თუმცა ისლამური სახელმწიფო კიდევ უფრო ძლიერი გახდა და ამავე წელს მოსულისა და ერაყის დასავლეთისა და ჩრდილო-დასავლეთის დიდი ნაწილის დაკავებაც შეძლო, მის კონტროლს ქვეშ მოექცა ასევე ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ სირიის დიდი ნაწილიც. ისლამურ სახელმწიფოს გაუჩნდა პრეტენზია ექსკლუზიურობაზე. იგი გლობალური ტერორიზმის ცენტრი გახდა. ტრანსნაციონალური ტერორიზმის განვითარებას ადგილი ქონდა სამხრეთ აზიაშიც. სულ უფრო გააქტიურდნენ პაკისტანელი ჯიჰადისტები. აღსანიშნავია ერთ-ერთი ყველაზე დიდი და აქტიური ისლამური ტერორისტული დაჯგუფება „ლაშკარ-ე-ტაიბი“, რომელმაც შეიარაღებული ბრძოლა გააჩაღა ქაშმირიდან ინდოეთის პროვინცია პენჯაბამდე. ექსტრემისტ სუნიტთა დაჯგუფება „ლაშკარ-ე-ტაიბის“ მიერ დასახული მიზნები გაცდა ქაშმირის დაპყრობის საზღვრებს, მან თავისი პროგრამის ნაწილად გამოაცხადა ინდოეთის ყველა მუსლიმებით დასახლებული ტერიტორიის დაპყრობა, რამაც ორგანიზაციას ტრანსნაციონალური ხასიათი შესძინა.

ტრანსნაციონალური ტერორიზმი

დღევანდელი ტერორიზმი თავისი ტრანსნაციონალური ხასიათის გამო წარმოადგენს სრულიად ახალ უსაფრთხოების პრობლემას სახელმწიფოებისთვის, როდესაც თავდასხმის საშიშროება გამომდინარეობს მობილური დანაშაულებრივი დაჯგუფებებიდან, რომლებიც გადაადგილდებიან სახელმწიფოებს შორის და არიან გაშლილი მთელი მსოფლიოს მასშტაბით. დღეს მოქმედი ტრანსნაციონალური ტერორისტული დაჯგუფებების მოქმედების არეალი მრავალ სახელმწიფოს მოიცავს და ბევრ მათგანზე აქვს ზეგავლენა, შესაბამისად, იგი სცილდება ნაციონალურ საზღვრებს. ტრანსნაციონალური ტერორიზმის განმასხვავებელი თვისება სწორედ მრავალი სახელმწიფოს დონეზე გაშლილი ტერორისტული ჯგუფების ტრანსნაციონალური ქსელია. ტერორისტულმა ორგანიზაცია ალ ქაიდამ ტრანსნაციონალური ქსელების გამოყენებით შეძლო თავდასხმები განხორციელებინა მთელი მსოფლიოს მასშტაბით, უწევდა რა ფინანსურ და მატერიალურ-ტექნიკურ მხარდაჭერას მცირე დაჯგუფებებს, რომლებიც შეუერთდნენ ორგანიზაციას. ამგვარი კავშირების გაბმა კი შესაძლებელი გახდა ალ-ქაიდას მიერ გლობალური იდეოლოგიის განვითარებით, რომლის თანახმადაც მსოფლიოს მუსულმანი მოსახლეობა დასავლური ზენოლის მსხვერპლად სახელდება. ამ კომპონენტებმა მათ გლობალური მასშტაბით ფუნქციონირების საშუალება მისცა. ტერორისტული დაჯგუფებები წარსულშიც მოქმედებდნენ ტრანსნაციონალური მიზნებით, თუმცა თანამედროვე მიღწევების გარეშე მათი მესიჯები სათანადო გავრცელებას ვერ პოულობდნენ. ალ ქაიდას მიერ გლობალური ტექნოლოგიის, მითოლოგიისა და იდეოლოგიის გამოყენება გახდა აშშ-ის წინააღმდეგ განხორციელებული 11 სექტემბრის დარტყმების წარმატების საფუძველი. ტერორისტული ძალადობის ერთერთი მთავარი მიზანი წევრების მოზიდვა და მომხრეებში ლოიალობის განმტკიცებაა. უსასტიკესი და მაღალტექნოლოგიური ტერორისტული აქტები მიუთითებს დაჯგუფების შესაძლებლობებზე, ამაღლებს მის ავტორიტეტს და აჩვენებს სამხედრო უნარიანობას, რასაც მანდავილი (2007) წარმატების შესახებ მითს უწოდებს.

ტრანსნაციონალური ტერორისტული დაჯგუფებები, როგორცაა ალ-ქაიდა და ისლამური სახელმწიფო, გლობალურ რელიგიურ ენას იყენებენ გლობალური პოლიტიკის ერთიანი აღქმის შესაქმნელად, რომლის მიხედვითაც მსოფლიო ორ ნაწილად იყოფა. ერთ მხარესაა ისლამური სამყარო, სადაც დაცულია რელიგიური კანონები და მუსულმანები არ იჩაგრებიან. მეორე მხარეს - ომის სამყარო, სადაც მუსულმანებს ჩაგრავენ უსამართლო და ტირანი ლიდერები. ისინი ამტკიცებენ, რომ გლობალური კავშირის გამო, რომელსაც მუსლიმები როგორც მორწმუნეები ერთმანეთის მიმართ განიცდიან, ყველა მუსლიმი უნდა შეუერთდეს მათ „მჩაგვრელების“ წინააღმდეგ ბრძოლაში, მიუხედავად მათი საცხოვრებელი ადგილისა და ვინაიდან „მჩაგვრელები“ ყველგან არიან და ყველგან ესხმიან მუსლიმებს, მათი ბრძოლაც გლობალური ხასიათისაა. საუბრობენ „ახლო მტრებზე“ (ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები) და „შორეულ მტრებზე“ (გლობალური შესახელმწიფოების მთავრობა) როგორც შესაძლო აგრესორებზე, რომლის წინააღმდეგაც უნდა იბრძოლოს მათი ორგანიზაციის წევრმა.

ტრანსნაციონალური ტერორისტული ჯგუფებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია თავდასხმის ადგილის შერჩევა, ვინაიდან ის თუ ვინ იქნება თავდასხმის ობიექტი განსაზღვრავს გაგზავნილი მესიჯის არეალს. როგორც წესი, ტერორისტული თავდასხმები ხორციელდება ხალხმრავალ ადგილებზე - ბარებში, სტადიონებსა და კონცერტებზე, სადაც ადამიანი თავს უსაფრთხოდ გრძნობს. ეს არის გზავნილი - ნებისმიერი, სადაც არუნდა იყოს, შეიძლება გახდეს ტერაქტის მსხვერპლი. ტერორისტებისთვის

ხშირად მთავარი არა ტერორისტული აქტის კონკრეტული შედეგი არამედ მისი რეზონანსულობაა, რაც ადრესატების მიერ გაფრთხილებად უნდა იქნას მიღებული.

ტრანსნაციონალური ტერორიზმის თავისებურებაა ასევე - აიძულოს სახელმწიფოები მოქმედებებისკენ. ხშირად დარტყმები სიმბოლურია და მაქსიმალურ ეფექტზეა გათვლილი. წარმოუდგენელი იყო რომ აშშ-ს არ მოეხდინა რეაგირება 11 სექტემბრის მოვლენებზე, და რომ საფრანგეთი არ უპასუხებდა პარიზის ტერაქტებს. ამ შემთხვევაში დარტყმები გამიზნულია იმისკენ, რომ სახელმწიფოები აიძულონ რამე მოიმოქმედონ- დაამტკიცონ, რომ ისინი იცავენ სამოქალაქო მოსახლეობას, თუმცა ამ მოქმედებებმა შესაძლოა შეარყიოს მათი ცხოვრებისეული ღირებულებები ან იმდენად ძვირადღირებული აღმოჩნდეს, რომ მოსახლეობის მხრიდან მხარდაჭერა შესუსტდეს. ასეთი ტერორისტული სტრატეგია შესაძლოა გახდეს ადგილობრივი რევოლუციის გამომწვევი. ტერორისტული ორგანიზაციების სტრატეგია გამოიყენება მსოფლიო ზესახელმწიფოების ძალაუფლებისა და იმიჯის დასანგრევად.

ტერორიზმისა და ტერორისტების ტრანსნაციონალურობაზე მათი მიზნებისა და მოქმედებების გარდა ასევე მეტყველებს მათი ორგანიზაციული ფორმაც. ტრანსნაციონალურ ტერორისტულ ჯგუფებს არ აქვთ იერარქიული სტრუქტურა, ისინი უფრო მრავალი ბირთვისგან შემდგარი ორგანიზაციაა, რომელსაც ფორმალური ლიდერი არ ყავს. ტერორისტული ორგანიზაციები სულ უფრო დეცენტრალიზებული ხდება. ისინი ავტონომიურად თავისი ინტერესებისთვის იყენებენ ახალ ტექნოლოგიებს, ურთიერთობის ფორმებსა და გლობალიზაციის სხვა ასპექტებს. შესაბამისად, ტრანსნაციონალურ ტერორისტულ ჯგუფებთან ურთიერთობა სულ უფრო რთულდება. ცენტრალური ხელმძღვანელობის არარსებობა გაცილებით დიდ მაშტაბებს ქნის მათ და ართულებს მათი განადგურებისა და წინააღმდეგობის განწვევის შესაძლებლობებს. ამასთან ტრანსნაციონალურ ტერორისტულ ორგანიზაციაში ძალიან მნიშვნელოვანია ფულადი რესურსებისა და აღჭურვილობის შექმნა და გადანაწილება, ამ მხრივ იგი მჭიდრო კავშირშია ტრანსნაციონალურ დანაშაულთან, რომლისთვისაც განვითარებადი ქვეყნები მშვენიერი ნიადაგია. გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციებში საუბარია ტერორიზმის, ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის, ნარკოტიკული საშუალებებით უკანონო ვაჭრობის, ფულის გათეთრების, იარაღით არალეგალურად ვაჭრობისა და ბირთვული, ქიმიური თუ ბიოლოგიური იარაღის უკანონოდ გადაზიდვას შორის მჭიდრო კავშირზე.

დასკვნა

წამყვანი სახელმწიფოების პრიორიტეტულ მიმართულებად დღემდე რჩება ბრძოლა ტერორიზმთან, იგი არ არის რომელიმე ერთი სახელმწიფოს პრობლემა, მას ყველა ერთიანად უნდა შეებრძოლოს. ტრანსნაციონალურად მოქმედი ტერორიზმის შესაჩერებლად სახელმწიფოები სხვადასხვა გზებს იყენებენ. რიგი დასავლეთის ქვეყნები ტერორიზმის გავრცელების აღკვეთის მიზნით საერთაშორისო დონეზე მოქმედებენ. ისინი იყენებენ საერთაშორისო დახმარებას, ფინანსურ და სამხედრო მხარდაჭერას. ტრანსნაციონალური ელემენტების ფონზე ცდილობენ უფრო მჭიდრო ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობას სამთავრობო ორგანიზაციებს შორის, განსაკუთრებით სამართალწესრიგის დაცვისა და დაზვერვის კუთხით. ზოგი ქვეყანა კი ადგილობრივად რეაგირებს, ტერორისტული დაჯგუფებების მოქმედებების და მათი შედეგების განეიტრალების მიზნით ზრდის სახელმწიფო უფლებამოსილებას, ხშირად მიმართავს დაკავებებს და დაპატიმრებებს, ზრდის ტერორიზმის წინააღმდეგ მებრძოლი სახელმწიფო დანესებულებების დაფინანსებას. ტერორიზმის დამარცხება და საბოლოოდ აღმოფხვრა შეუძლებელია, იგი ყოველთვის იარსებებს ამათუ იმ სახით, თუმცა ძალისხმევა მიმართული უნდა იყოს მის დასუსტებაზე, ტერორიზმიდან მომდინარე საფრთხის შემცირებაზე, ტერორიზმის განხორციელების შესაძლებლობის მინიმუმამდე დაყვანაზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. მელიქიძე ვ., მსოფლიო პოლიტიკის გლობალიზაცია, თბ., 2006 - <http://old.ucss.ge/005%20Msoflio%20Politikis%20Globalizacia.pdf>
2. მაგშტადტი თ., გავიგოთ პოლიტიკა, იდეები, ინსტიტუტები და პრობლემები, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2010.
3. ვასილ რუბაშვილი. „ტერორიზმის პრობლემა საერთაშორისო ორგანიზაციებში“ მილიტარიუმი - <https://www.militarium.org/terorizmis-problema/>
4. სამართლის ელექტრონული ბიბლიოთეკა - <https://iuristebi.files.wordpress.com/2011/07/e183a2e18394e183a0e1839de183a0e18398e18396e1839be18398e183a1-e183a8e18394e-183a1e18390e183aee18394e18391.pdf>
5. სამოქალაქო განათლების ლექსიკონი, National Parliamentary Library of Georgia - <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=6296>
6. The History of Terrorism by Amy Zalman, Ph.D., ThoutghCo. - <http://terrorism.about.com/od/whatis-terroris1/p/Terrorism.htm>
7. The Changing Faces of Terrorism By Professor Adam Roberts, BBC Home - http://www.bbc.co.uk/history/recent/sept_11/changing_faces_01.shtml
8. Terrorism RESEARCH - <http://www.terrorism-research.com/history/early.php>
9. Transnational Terrorism, Katherine E. Brown, Jan. 19 2017 - https://www.e-ir.info/2017/01/19/transnational-terrorism/?fbclid=IwAR2DAKB7WeLsrd6-M7woPc7BDMsxeB_WUUXcG-sxuLC-qm5Y7VU0gN_ADBRk
10. Transnationaler Terrorismus - Guido Steinberg, 15.7.2015, BPB - https://www.bpb.de/izpb/209663/transnationaler-terrorismus?fbclid=IwAR2-aizCu1CvITjNWLt23QWmVM2gMaKP2_T9aW1mfKyM-mE33IXmadeU3rY

GEORGIA-GERMANY MILITARY RELATIONS IN THE FORMAT OF COOPERATION WITH NATO

SAHADIMAN BITSADZE

ASSOCIATE PROFESSOR OF SECURITY STUDIES AT THE COMMAND AND STAFF COLLEGE
OF THE NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIAN

MAMIA BALAKHADZE

DOCTORAL STUDENT, GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY, PHD PROGRAM OF LAW AND
INTERNATIONAL RELATIONS

ABSTRACT

The Ministries of Defence of Georgia and the Federal Republic of Germany work productively in the format of a bilateral cooperation plan, which includes expert visits and exchange of experience in the fields of logistics, infrastructure, civilian education, personnel management, operational planning, military-medical and sergeant training. According to official data, Germany is the first foreign country after the US in terms of financial assistance provided to Georgia free of charge.

A new direction for existing cooperation is the active involvement of Georgian military personnel in the various trainings planned throughout Germany, facilitating the sharing of practical experience compatible with NATO standards by German instructors. Particularly noteworthy is the participation of the Georgian units in the peacekeeping missions under subordination of the German contingent in Kosovo and Afghanistan. Georgia seeks to establish closer ties with the alliance through the development of bilateral relations with leading NATO countries. In this respect, Georgia's involvement in international peacekeeping missions is a key part of the country's security strategy and is a precondition for the long-term goal of joining NATO.

საქართველო-გერმანიის სამხედრო ურთიერთობები ნატოსთან თანამშრომლობის ფორმატში

შადიმან ბიტაძე

სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის
აკადემიის სამეთაურო-საშტაბო კოლეჯის უსაფრთხოების კვლევების
მეცნიერების ასოციირებული პროფესორი.

მამია ბალახაძე

სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, დოქტორანტი.
სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამა

აბსტრაქტი

საქართველოსა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროები ნაყოფიერად მოღვაწეობენ ორმხრივი თანამშრომლობის გეგმის ფორმატში, რომელიც მოიცავს ექსპერტთა ვიზიტებსა და გამოცდილების გაზიარებას ლოჯისტიკის, ინფრასტრუქტურის, სამოქალაქო განათლების, პერსონალის მართვის, ოპერატიული დაგეგმვის, სამხედრო-სამედიცინო და სერჟანტთა მომზადების სფეროებში. ოფიციალური ინფორმაციით უცხო ქვეყნების მიერ საქართველოსათვის უსასყიდლოდ გაწეული ფინანსური დახმარების თვალსაზრისით, აშშ-ს შემდეგ პირველი სახელმწიფო გერმანიაა.

არსებული თანამშრომლობის ახალ მიმართულებას წარმოადგენს ქართველ სამხედრო პირთა აქტიური ჩართულობა გერმანიის მასშტაბით დაგეგმილ სხვადასხვა სწავლებაში, რაც ხელს უწყობს ნატო-ს სტრატეგებთან თავსებადი პრაქტიკული გამოცდილების გაზიარებას გერმანელი ინსტრუქტორების მიერ. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ქართული ქვედანაყოფების მონაწილეობა სამშვიდობო მისიებში გერმანული კონტინგენტის დაქვემდებარებაში კოსოვოსა და ავღანეთში. საქართველო ნატოს წამყვან ქვეყნებთან ორმხრივი ურთიერთობების განვითარების გზით ალიანსთან გაცილებით მჭიდრო კავშირების დამყარებას ესწრაფვის. ამ თვალსაზრისით საქართველოს მონაწილეობა საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში ქვეყნის უსაფრთხოების სტრატეგიის უმთავრესი ნაწილია და ნატო-ში გაწევრიანების გრძელვადიანი მიზნის წინაპირობას წარმოადგენს

INTRODUCTION

The first steps of Georgian-German military cooperation were taken during World War I. This rapprochement had a real basis. Georgia needed Germany to defend itself against Turkish aggression and to guarantee independence, and Germany needed Georgia as a springboard for its eastern policy. The importance of Georgia was heightened by the fact that the English-oriented Armenia and the Turkish-oriented Azerbaijan opposed the policy of Germany in the Caucasus.

After the Declaration of Independence on May 26, 1918 the first session of Parliament was attended by Graf von der Schulenburg and Major Kaiser, who welcomed the newly established Republic from the tribune. By declaring Georgia's independence, Germany has managed to address three important tasks: it has demonstrated its interests in Georgia, met the political interests of the Georgian nation, maintained allied relations with Turkey and incorporated its annexationist plans into a certain framework.

At the meeting in Berlin in May 1918 the issue of sending several battalions to Georgia was raised. Colonel Baron Friedrich Von Kressenstein was appointed as the Commander of the mission. Kressenstein was promoted to General before leaving for Georgia. One of the goals of the General's future activity was to contain and control the Turkey under the Brest-Litovsk Treaty that was not explicitly stated in the action plan of the mission. This served to prepare the ground for Germany to fill the political vacuum created by Russia's withdrawal from Georgia and the Transcaucasia. General Kressenstein was supported by military force. The first German units were formed by General von Lossow by the German prisoners of war before leaving Georgia. "In order to safeguard the common interests of the allied states", Poti and Sokhumi ports along with the Georgian Railway Communications should also be protected by this unit composed by thousand soldiers. Supreme Command of Germany was angered by the treaty of "truce and friendship" signed on June 4 in Batumi on the basis of an ultimatum of May 26, which was opposed to Poti Agreement. This diplomatic counterattack by Turkey was clearly against Germany.

Ludendorff and Hindenburg addressed directly to Enver Pasha on June 8 and 9 to release occupied territories other than those designated by Brest Truce. The Turkish-German alliance has cracked. Except for the political confrontation, there was a small clash between them. On June 19, Graf Schulenburg notified Berlin from Tbilisi: "Yesterday, Turkish troops opened fire on German troops in the north of Kogalageran morning and they responded with fire too."

On June 8, 1918, the first military unit arrived in Poti, with a total of 1080 soldiers and officers. The Georgians enthusiastically greeted the German battalions. On July 11, a parade of German-Georgian troops was held. The battalions were followed by a German military mission consisting of von Kressenstein, von Lossow, Graf Schulenburg, Dr. Denver and Captain Egan-Krieger.

Soon, 1100 troops were added to the German troops stationed in Georgia that accompanied the new Commander von Holtz. In August, the number of German troops exceeded 5,000. The process of increasing their numbers continued and by mid-September their number was already 19,000. Germany made a significant contribution to the military organization scheme of the young Republic.

The truce signed in the Forest of Compiègne in November 11, 1918, which led Germany out of the war, forced them to leave Georgia. At this time the English were coming from Baku. The Georgian troops besieged the station so that the documentation of the mission would not fall into the hands of the English. The Germans were sent to Kutaisi by a special train and a farewell banquet was organized by the Ministry of Military Affairs.

There were too many people in the station along with the government. The Georgians regretfully farewelled their benefactors. Their safe journey to Batumi was ensured by a representative of the Parliament and Government to German mission, a well-known political activist David Vachnadze and an Adjutant of the Minister of Military Affairs, Major Giorgi Abkhazi. D. Vachnadze later recalled Schulenburg's words: "I vividly remember the heroic history of Georgians ... Thank you very much for the attention, your people showed in those dark days."¹ Georgian-German relation was hindered for over 70 years because of the occupation of Georgia by Soviet Russia.

¹ დაუშვილი რუსუდან, უტიაშვილი შოთა საქართველო- დასავლეთი ნარკვევები სამხედრო ურთიერთობათა ისტორიიდან, თბილისი, 2010;

GEORGIA IN PEACEKEEPING MISSIONS (KOSOVO, AFGHANISTAN)

After gaining independence, a new phase of cooperation with Germany began. Diplomatic relations between Georgia and the Federal Republic of Germany were established on April 13, 1992. Germany was the first state that recognized Georgia's independence in 1991 and opened an embassy in Tbilisi in 1992.

At this point, the support and assistance that international organizations and donor states provided was vital. In this respect, Germany's outstanding caring attitude is priceless, especially with regard to Georgia's participation in NATO-led international peacekeeping missions.

Georgia has expressed support for the international community in the fight against terrorism by participating in peace support operations within the coalition forces. Since 1999, within the coalition forces, the Georgian units have performed many tasks and missions involving a wide range of operations.

Participation in the peacekeeping missions by the Georgian units originates in the Kosovo region.

The operation in the former Yugoslavia is NATO's first peacekeeping mission. In January 1999, a Serbian special police unit against the Kosovo Albanians carried out an ethnic cleansing in Račak (which later became one of the bases of charges brought by the International Tribunal against Milosevic and other Serbian leaders) but the negotiations still took place.

NATO came out as a mediator and guarantor, represented by Secretary-General Javier Solana. The negotiation that took place at the summer residence of the French president in Rambouillet, was attended by the representatives of the United States, Britain and Russia.

During the negotiation process, the position of the Kosovars was gradually softened. They abolished the claim for independence and agreed to the status of broad autonomy within the Serbian constituency. In order to ensure the non-renewal of war and to maintain the peace, Kosovo had to be demilitarized and the peacekeeping forces (KFOR) under the aegis of NATO be deployed there. The text of Agreement of March 18, 1999 was signed by the US, British and Kosovo Representatives, as for Russians and Serbs, they refused to sign it² (2, 177-178).

For the implementation of the United Nations Security Council Resolution # 1244, which included: 1) maintaining stability in the Kosovo region; 2) ensuring a safe environment, order and protection of civilians; 3) assisting international non-governmental organizations in the implementation of humanitarian tasks; 4) contributing to the development of democratic, multi-ethnic and peaceful Kosovo, the first Georgian platoon was sent to the village of Mamusha in Kosovo in 1999 under the Turkish contingent, and another Georgian company (consisting of 144 military servicemen) was sent to Prizren under the German contingent in 2003.

The deployment of the Georgian company to Prizren was conditioned by an agreement between the Ministry of Defence of Georgia and the Federal Ministry of Defence of the Federal Republic of Germany on "Cooperation and Support within the International Security Assistance Force" (KFOR) in Kosovo signed in Berlin on 4 February 2003, that aimed to determine the conditions for the involvement of the Georgian Armed Forces in the German military contingent and to establish specific details of the parties' cooperation .

The tasks of the Georgian units included patrolling, communicating with the local population, military-civilian cooperation, safeguarding military bases and ensuring interaction with NATO forces. The Georgian units completed the international peacekeeping mission in Kosovo in April 2008.

On December 20, 2001, the UN Security Council adopted Resolution # 1386 that envisaged the deployment of the International Security Assistance Force (ISAF) in Kabul and its surroundings to enable the Afghan government and United Nations personnel to operate in a safe environment.

² დაუშვინი რუსუდან, უტიაშვილი შოთა საქართველო- დასავლეთი ნარკვევები სამხედრო ურთიერთობათა ისტორიიდან, თბილისი, 2010;

The process of rebuilding the Afghan state began in 2004 - a new constitution was adopted, a presidential election was held that ended with Hamid Karzai's victory. With the help of the USA and NATO member countries, the formation of the Afghan army and security forces began. Most of the Taliban armed forces have fled to Pakistan.

On September 23, 2004, the Ministry of Defence of Georgia and the Federal Republic of Germany signed an agreement on "Cooperation and Support within the International Security Assistance Force in Afghanistan". The given agreement set out the terms and details of cooperation between the two parties, which included an infantry platoon of the Georgian Armed Forces to be attached to German contingent in support while accomplishing the ISAF VI peacekeeping mission in Afghanistan.

In accordance with the agreement, the Georgian military contingent (infantry platoon) was operating under the command of ISAF VI commander of the German military contingent as a security and defence platoon. The Georgian military contingent delegated the authority of the tactical command to the commander of the German military contingent, and was subordinate to the Georgian Ministry of Defence at the national level. Kabul was defined as the area of operation of the Georgian peacekeeping contingent. By virtue of Article 5 of the Agreement, only those persons who had accomplished training in NATO training institutions, especially those who had received primary (basic) military and special education with the assistance of the German side, would be appointed to the senior position of military personnel. They were selected in agreement with the German Defence Attaché in Tbilisi. The selected contingent was taking preparatory training in Germany. In 2014, the Georgian peacekeeping contingent finished participation in the ISAF operation.⁷

Cooperation between the countries has been particularly strengthened since Georgia joined NATO's Resolute Support Mission (RSM) in 2015.

The infantry company of Defence Forces of Georgia and its supporting elements are participating in an international mission in the TAAC North with the German contingent deployed in Mazar-i-Sharif that is responsible for the northern Afghanistan. Georgian Forces are used as Quick Reaction Forces or to accomplish instructor and adviser protection tasks in accordance with appropriate operating procedures. Georgian Quick Reaction Forces can be deployed throughout the TAAC North area of responsibility. The area of deployment of the company commander and commander of the Georgian forces is Base Camp Marmal (Mazar-i-Sharif). According to the agreement, supporting elements of the Georgian company remain under the command of the Georgian National Command and coordinate logistical aspects with the authorities of the German side, while at the national level the Georgian contingent continues reporting to the Ministry of Defence of Georgia.

The Georgian contingent includes one infantry company consisting of three platoons, one company headquarters and service elements. The total number of these forces is 140 people. The company commander is the staff officer (Major or Lieutenant Colonel).

Before the deployment in Afghanistan Georgian contingent is involved in one-month mission-oriented training in Germany, Hohenfeld. The Georgian peacekeepers will continue to participate in NATO's Resolute Support Mission on a rotating basis until the mission ends. In November 2016, Georgian fighters made great contribution to repel the Taliban attack on the German consulate in Mazar-i-Sharif. German Foreign Minister Frank-Walter Steinmeier then thanked Georgian soldiers.⁴

On May 26-30, 2017, within the framework of NATO Parliamentary Assembly in Tbilisi, the Head of the Delegation of the German Parliament, Deputy Chairman of the Defense Committee of the German Parliament, Karl Lamers assessed the importance of the NATO Parliamentary Assembly and bilateral relations between Georgia and Germany: "Holding the NATO Parliamentary Assembly in Georgia is of paramount importance. We received an invitation from Georgia in 2014, and we agreed with great pleasure as Georgia is an important partner for NATO and its Parliamentary Assembly.

³ შეთანხმება საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს შორის ავღანეთში უსაფრთხოების უზრუნველყოფის საერთაშორისო ძალების ფარგლებში თანამშრომლობისა და მხარდაჭერის შესახებ;

⁴ შტაბერი სილვია გერმანიის საგარეო პოლიტიკა და საქართველო, თბილისი, 2017.

NATO has a very close relationship with Georgia. Georgia is the largest contributor of military forces in Afghanistan among non-member states, and we are connected by the partnership of enhanced capabilities. Bilateral relations between Georgia and Germany were definitely positive. That is why we are pleased to be here to demonstrate our strong message that Germany supports Georgia on its path to Euro-Atlantic integration. SNGP measures have also been developed with the support of Germany. We are mutually supportive of one another and I can say that everything is developing well," said Karl Lamers.

Particular attention should be paid to the cooperation between the Ministries of Defence of Georgia and Germany in the field of radiation, chemical, biological and nuclear defence, which was established in 2014. With the material and technical as well as practical support of the German side, the Georgian CBRN company was established, technically equipped and manned in the Georgian Defense Forces. German experts have developed a special program for the company, which is successfully functioning. The practical support of the Federal Republic of Germany in implementing the substantial NATO-Georgia package is noteworthy. Germany is the leader of the Defence Institution School Project (DIBS) and the head of the NATO Core Team. Accordingly, two representatives within the SNGP and one political officer at the NATO Liaison Office are permanently dispatched in Georgia. Germany's financial contribution to the development of the Defence Institution Building School (EUR 821 295) and the NATO Joint Training and Evaluation Centre (202 198) is also worth mentioning.

Cooperation in military education is also noteworthy. The Georgian soldiers attend courses of various levels and content offered annually by the Bundeswehr. Within the framework of military education, many Georgian military servicemen have completed relevant courses in the Federal Republic of Germany.

Particular emphasis should be placed on the importance of high-level visits. On the occasion of the 100th anniversary of the proclamation of the First Republic of Georgia on 26 May last year, Parliamentary Secretary of the Bundeswehr, Mr. Peter Tauber, and the senior representative of the German Armed Forces, Brigadier General Stefan Galen, paid an official visit to Georgia. On May 30-31 of the same year, Chief of the German Armed Forces, General Eberhard Zorn, paid his first official visit to Georgia.

Conclusion

Georgia-Germany military cooperation has a solid foundation but the modern level of communication in this respect far outstrips its potential. Deepening the activities in this area is a priority for Georgia and, most importantly, it is strategically important and desirable to make these activities regular. The progress and dynamics of military cooperation between the two countries must be non-reversible, which will not only bring Georgia-Germany bilateral partnership to a new level, but will also provide an additional impetus to Georgia's prospect of joining NATO.

REFERENCES

1. დაუშვილი რუსუდან, უტიაშვილი შოთა საქართველო- დასავლეთი ნარკვევები სამხედრო ურთიერთობათა ისტორიიდან, თბილისი, 2010;
2. გვენეტაძე ედიშერ საერთაშორისო უშიშროების ასპექტები, თბილისი, 2017;
3. შეთანხმება საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის თავდაცვის ფედერალურ სამინისტროს შორის კოსოვოში უსაფრთხოების უზრუნველყოფის საერთაშორისო ძალების (KFOR) ფარგლებში თანამშრომლობისა და მხარდაჭერის შესახებ;
4. შეთანხმება საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს შორის ავღანეთში უსაფრთხოების უზრუნველყოფის საერთაშორისო ძალების ფარგლებში თანამშრომლობისა და მხარდაჭერის შესახებ;
5. შტობერი სილვია გერმანიის საგარეო პოლიტიკა და საქართველო, თბილისი, 2017.

ბუქარესტის სამიტი და მისი გავლენა 2008 წლის აგვისტოს ომზე

ნინო ოხანაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

სტატიის ძირითად მიზანს წარმოადგენს აჩვენოს, თუ რა გავლენა იქონია 2008 წლის ბუქარესტის სამიტი და ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მიერ მიღებულმა კომუნიკემ, რომელშიც გაიწერა, რომ საქართველო და უკრაინა გახდებიან ალიანსის წევრი სახელმწიფოები, რუსეთის მიერ საქართველოში განხორციელებულ სამხედრო აგრესიაზე.

სტატიის მიზანია აჩვენოს, რომ აგვისტოს ომის გამომწვევი ერთ-ერთი მიზეზი გახდა ბუქარესტის სამიტი, სადაც ალიანსის წევრები შეთანხმდნენ, რომ საქართველო გახდებოდა ნატოს წევრი სახელმწიფო. 2008 წელს რუსეთი საქართველოს დაესხა თავს, რათა ხელი შეეშალა საქართველოსთვის გამხდარიყო ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრი. რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული სამხედრო აგრესია და სეპარატისტული რეგიონების დამოუკიდებლობის აღიარება ერთადერთ მიზნს ემსახურებოდა, კერძოდ, საქართველოს პროდასავლური საგარეო პოლიტიკის კურსის შეცვლას, რათა არ დაეკარგა გავლენა ყოფილ პოსტსაბჭოთა რესპუბლიკაზე და შესაბამისად გავლენა მთლიანად სამხრეთ კავკასიის რეგიონში.

BUCHAREST SUMMIT AND ITS IMPACT ON THE 2008 AUGUST WAR

NINO OKHANASHVILI
DOCTOR OF SOCIAL SCIENCES
IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY

ABSTRACT

The main goal of this research paper is to determine what impact the 2008 Bucharest Summit has had, Communiqué adopted by the North Atlantic Alliance it states that Georgia and Ukraine will become members of the alliance in the wake of Russia's military aggression in Georgia.

The purpose of the article is to show that one of the reasons for the start of the August war was the Bucharest Summit, where the allies agreed that Georgia would become a NATO member state. Russia invaded Georgia in 2008 to prevent Georgia from becoming a member of the North Atlantic Treaty Organization. The sole purpose of the Russian military aggression on the territory of Georgia and the recognition of the independence of the breakaway regions was, in particular, changing the course of Georgia's pro-Western foreign policy, in order not to lose influence on the former post-Soviet republic and consequently on the whole of the South Caucasus region.

შენახვალი

აღნიშნული თემა საკმაოდ აქტუალურია, გამომდინარე იქიდან, რომ აგვისტოს ომს არ დაუკარგავს მნიშვნელობა და მრავალი გადაუჭრელი საკითხი რჩება დღის წესრიგში. ამრთა დიდი სხვადასხვაობა არსებობს იმ საკითხთან დაკავშირებით, თუ რამ გამოიწვია, რატომ მოხდა 2008 წლის აგვისტოს ომი, რა როლი შეასრულა საერთაშორისო სისტემაში არსებულმა მდგომარეობამ და რა მარცხი განიცადა კოოპერატიულმა ევროპულმა უსაფრთხოებამ. სტატიის მთავარ მიზანს ამ საკითხებში მეტი სიცხადის შეტანა წარმოადგენს.

მეთოდოლოგიურად სტატია თვისებრივი კვლევის კატეგორიაში მოიაზრება და საბაზისო მეთოდოლოგიურ მიდგომად შემთხვევის შესწავლის მეთოდს იყენებს. მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზისთვის გაანალიზდა პირველადი წყაროები; მეორადი წყაროები; სამეცნიერო ლიტერატურა, რომელიც შესასწავლი საკითხის ირგვლივ არსებობს, რათა შექმნილიყო მეცნიერული საფუძველი კვლევის გასაგრძელებლად. ამგვარი მიდგომა, მეცნიერული თვალსაზრისით რელევანტურს ხდის კვლევის შედეგებს. ასევე, ქართული და უცხოური ბეჭდვითი პრესა, ქართველ მეცნიერთა სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომები, სტატიები, ელექტრონულ მედიაში მოძიებული მასალები. კვლევაში ასევე გამოყენებულ იქნა მონაცემთა შეგროვების ისეთი კონკრეტული მეთოდოლოგიური ტექნიკა, როგორცაა ჩაღრმავებული ინტერვიუები საექსპერტო წრეების წარმომადგენლებთან.

სტატიის მიზანია პასუხი გასცეს შემდეგ საკვლევ კითხვას: **რა გავლენა იქონია 2008 წლის ბუქარესტის სამიტმა აგვისტოს ომზე?**

საკვლევ კითხვიდან გამომდინარე შემუშავდა შემდეგი **ჰიპოთეზა - ბუქარესტის სამიტზე, ალიანსის მიერ მიღებული გადაწყვეტილება გახდა აგვისტოს ომის გამომწვევი ერთ-ერთი მიზეზი.**

სტატიაში არაერთი ცვლადი და მათი ურთიერთმიმართება შეიძლება გამოიყოს, თუმცა გადამწყვეტ განტოლებად მიმაჩნია შემდეგი ცვლადები:

დამოუკიდებელი ცვლადი: ბუქარესტის სამიტი.

დამოკიდებული ცვლადი: აგვისტოს ომი.

სტატიაში შემოთავაზებულია შედარებითი ანალიზი უკრაინასთან, რომელიც სწორად და თანმიმდევრულად ასაბუთებს იმ სირთულეების გამომწვევ მიზეზებს, რომელიც სტატიის ფარგლებშია განხილული.

საქართველოს ევროინტეგრაციული არჩევანი - ბუქარესტის სამიტი

2008 წლის აგვისტოს ომი ერთ–ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო საქართველოს თანამედროვე ისტორიაში; განუყოფელი ნაწილი დიდი ხნის რუსეთ–საქართველოს დაპირისპირებისა, რომელსაც ღრმა ისტორიული ფესვები ჰქონდა.

აგვისტოს ომის გამომწვევ მიზეზად შეიძლება გამოვყოთ რამოდენიმე ფაქტორი, კერძოდ:

1. რუსეთის ინტერესი კავკასიაში;
2. საქართველოს ევროინტეგრაციული არჩევანი- ბუქარესტის სამიტი;
3. დასავლეთის მხრიდან კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარება;
4. რუსეთის ზრუნვა პრესტიჟისთვის;
5. საქართველოს გაძლიერება „ვარდების რევოლუციის შემდეგ“;
6. საქართველო–რუსეთის რიტორიკა;
7. გამაფრთხილებელი სიგნალი ყოფილი პოსტსაბჭოთა ქვეყნებისთვის.¹

აღნიშნული ფაქტორებიდან, სტატია აქცენტს საქართველოს ევროინტეგრაციულ არჩევანსა და ბუქარესტის სამიტზე აკეთებს, როგორც კონფლიქტის გამომწვევ ერთ-ერთ ფაქტორზე.

დაძაბულობა საქართველოსა და რუსეთს შორის წლების განმავლობაში ღრმავდებოდა. 2003 წლიდან, საქართველოს ხელისუფლების მკვეთრად პროევროპული კურსის გატარება რუსეთის ეროვნული ინტერესებისთვის საფრთხის შემცველი იყო. საქართველო „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ძალიან

¹ ოხანაშვილი, ნინო. აგვისტოს ომი საერთაშორისო ურთიერთობების თეორიებისა და შედარებითი ანალიზის ჭრილში. სამაგისტრო ნაშრომი. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. 2014. გვ. 33

სწრაფი ნაბიჯებით მიიწვეს წინ. სახელმწიფოს მიზანი გახდა რუსეთის გავლენისგან საბოლოოდ თავის დაღწევა, რომელიც მიჩნეული იყო საქართველოს წინსვლის ძირითად შემაფერხებელ ფაქტორად.²

2006 წლიდან, რუსეთის მიერ განხორციელებული ქმედებები აშკარად მიანიშნებდა, რომ რუსეთი ომისთვის ემზადებოდა. სიტუაციის განსაკუთრებული გამწვავება ბუქარესტის სამიტმა გამოიწვია, როდესაც ჩრდილო-ატლანტიკურმა ალიანსმა საქართველოს და უკრაინის მომავალში ალიანსში ინტეგრირება განაცხადა. აღნიშნულმა სამიტმა დააჩქარა ომი. შეიძლება იმის თქმა, რომ ბუქარესტის სამიტმა განაპირობა ის ფაქტი, რომ რუსეთმა სამხედრო აგრესია განახორციელა 2008 წელს და არა მაგალითად 2007 წელს ან 2009 წელს.

კომუნიკეში აღნიშნულია, რომ ნატო მიესალმება უკრაინასა და საქართველოს ევროატლანტიკურ მისწრაფებებს ნატოში განევრიანებისთვის (P.Gallis,2008). „ჩვენ დღეს შევთანხმდით, რომ ეს ქვეყნები გახდებიან ნატოს წევრები. ორივე ქვეყანამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ალიანსის ოპერაციებში“(- Bucharest Summit Declaration, 2008).

2008 წელს რუსეთის მიერ საქართველოში განხორციელებულმა აგრესიამ და საქართველოში რუსეთის ფედერაციის საოკუპაციო ჯარების განლაგებამ ცხადყო, რომ რუსეთის ფედერაციის ხელისუფლება არ ეგუება საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტს, მის ევროინტეგრაციულ არჩევანს. რუსეთს უჭირს იმ ფაქტთან შეგუება, რომ საქართველო აღარ იმყოფება მისი კონტროლის ქვეშ ისე, როგორც ეს გასულ წლებში იყო. სამხრეთ კავკასიის ქვეყნებიდან ყველაზე დაძაბული ურთიერთობა რუსეთს საქართველოსთან აქვს, საქართველოს ნატოსა და ევროკავშირში ინტეგრაციის მისწრაფების გამო. გამომდინარე იქიდან, რომ დიდია რუსეთის ინტერესი სამხრეთ კავკასიაში, ამ რეგიონის დაკარგვას რუსეთი ვერ ეგუება. კავკასიაში არსებული ენერგორესურსები რუსეთისთვის ძალიან მიმზიდველია, შესაბამისად მას სურს კონტროლის მოპოვება ენერგორესურსებსა და სატრანზიტო გზებზე.

რუსეთის მხრიდან ადგილი ჰქონდა გაფრთხილებებს, რომ დასავლეთისკენ სწრაფვა საქართველოს სავალალო შედეგებს მოუტანდა. რუსეთმა ბუქარესტის სამიტს სეპარატისტულ რეგიონებთან კავშირების გაძლიერებით უპასუხა და დაიწყო „მცოცავი ანექსიის“ სტრატეგიის შემუშავება. უკანონოდ შეჰყავდა ჯარი, შეჰქონდა შეიარაღება, რაც იძლეოდა წინაპირობას, რომ რუსეთი თავდასხმისთვის ემზადებოდა.²

საქართველო დასავლეთს სთხოვდა ზემოქმედება მოეხდინა რუსეთზე, მაგრამ დასავლეთი თავს იკავებდა დახმარების განწვეისგან, რადგან მიაჩნდა, რომ საქართველოს მხრიდან ადგილი ჰქონდა რუსეთის აგრესიული პოლიტიკის გაზვიადებას. ევროპას საქართველოსთვის არ ეცალა. ერთის მხრივ, საზაფხულო შვებულებების და მეორეს მხრივ, ჩინეთში, ოლიმპიურ თამაშებზე დასასწრები მზადების გამო.

ამერიკა ძირითადად ერაყის პრობლემებით იყო დაკავებული და ჯორჯ ბუში ხელისუფლებაში ყოფნის ბოლო თვეებს სწორედ ამ პრობლემას და ახლო აღმოსავლეთში ვითარების რეგულირებას უთმობდა. აგრეთვე, გადამწყვეტ ფაზაში შედიოდა წინასაარჩევნო კამპანია და ბრძოლა ბარაკ ობამასა და ჯონ მაკ-კეინს შორის და სწორედ ამ მოვლენებზე იყო მიპყრობილი ვაშინგტონის მთელი ყურადღება. აგვისტოს ომის შემდეგ, რუსეთის ყოფილმა პრეზიდენტმა, დიმიტრი მედვედევმა შემდეგი განცხადება გააკეთა: „საქართველოსთვის ჩვენ სწორედ ასეთი პასუხი უნდა გაგვეცა. წინააღმდეგ შემთხვევაში, დავკარგავდით კავკასიას და საბოლოო ჯამში დავკარგავდით მთლიანად რუსეთს. ვფიქრობ არ მჭირდება თქვენთვის უბრალო ჭეშმარიტების დამტკიცება: რუსეთს შეუძლია იყოს ძლიერი და დიდი, ან ის არ იქნება საერთოდ. რუსეთს შეუძლია დაიცვას წესრიგი მსოფლიოში და ალბათ, ეს არის კავკასიის ომის მთავარი გაკვეთილი.“⁴

რუსეთს სურს საქართველოზე კონტროლის მოპოვება, რის შედეგადაც შეძლებს წრეში მოაქციოს ჩრდილოეთ კავკასიის ქვეყნები და თურქეთისა და ამერიკის გავლენის შემცირებას რეგიონში.⁵ დიმიტრი მედვედევის განცხადებით, სამხრეთ კავკასია წარმოადგენს რუსეთის „ინტერესების პრივილეგიურ ზონას“.

² რონალდ დ. ასმუსი. მცირე ომი რომელმაც მსოფლიო შეძრა. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. 2010. გვ. 61.

³ იქვე.

⁴ რუსეთის პრეზიდენტის ოფიციალური ვებ-გვერდი 30.09.2008 <http://news.kremlin.ru/transcripts/1564> (წვდომა 24.09.2019)

⁵ Bishku, Michael. The South Caucasus Republics and Russia's Growing Influence: Balancing On a Tightrope, Gloria Center, Global Research in International Affairs, August 2011.

„2008 წლის აგვისტოს ომი ძირითადად გამოწვეული იყო რუსეთის გადანაცვლებით, დაპირისპირებოდა ევროპული უსაფრთხოების სისტემას, რომელიც 2006–2007 წლებში იქნა მიღწეული.“ ომის გამომწვევი ძირითადი მიზეზი გახდა საქართველოს იმდროინდელი მთავრობის პროდასავლური პოლიტიკა. საქართველოს მიერ აღებულ დასავლურ კურსს ვერ შეეგუა რუსეთი. ის ყველანაირად ეწინააღმდეგებოდა საქართველოს ევროპასთან ინტეგრაციას და ცდილობდა არ დაეშვა საქართველოს რუსეთის ისტორიული გავლენის სფეროდან გამოსვლა. 2008 წელს კი მოსკოვი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ საქართველო არჩეული გზიდან არ გადაუხვევდა, რუსეთი კი მხოლოდ მაშინ გრძნობს თავს დაცულად, როცა მისი მეზობელი სახელმწიფოები მისი კონტროლის ქვეშ არიან.

საქართველოს მთავრობა ღიად აცხადებდა, რომ საქართველოს მთავარი საგარეო პრიორიტეტი ევროატლანტიკური ინტეგრაციაა. საქართველო ნატოს განიხილავს, როგორც სტაბილურობისა და უსაფრთხოების უმთავრეს მექანიზმს. რუსეთი ყველანაირი მეთოდით შეეცდებოდა ხელი შეეშალა საქართველოსთვის, რათა მას გადაეხვია ევროპული გზიდან. ბუქარესტის საგაზაფხულო სამიტი და ნატოს პოზიცია საქართველოსა და უკრაინის მიმართ გახდა ომის დაჩქარების ძირითადი მიზეზი.

უკრაინა „ბამოქახილი“

რუსეთს როგორც საქართველოსთან, ისე უკრაინასთან მიმართებაში ერთი და იმავე მიზანი ამოძრავებს: ამ ქვეყნების საკუთარი გავლენის სფეროში მოქცევა და მათთვის ხელის შეშლა გახდნენ ევროატლანტიკური სივრცის ნაწილი. 2008 წლის აგვისტოს ომი, საქართველოსთვის იყო ნატო-ში განწევრიანების დამაბრკოლებელი ფაქტორი, 2014 წლის მოვლენები კი, რომელიც უკრაინაში განვითარდა, უკრაინის ევროატლანტიკური ინტეგრაციის არჩევანის სანაღმდეგოდ მიმართული.

კრემლმა უკრაინის აღმოსავლეთი ნაწილი და პრორუსული სეპარატისტები გამოიყენა უკრაინის სახელმწიფოს დესტაბილიზაციის მოსახდენად. რუსეთისთვის ყირიმი გახდა უკრაინაზე ზეწოლის ბერკეტი. რუსეთის ხელისუფლებამ განაცხადა, რომ უკრაინაში მომხდარი არეულობის გამო დაიცავდა თავის მოქალაქეებს, რომლებიც საფრთხეში იმყოფებოდნენ. რუსეთმა მიიერთა ყირიმი; მან გააკრიტიკა ამერიკის შეერთებული შტატები და ევროპა და აღნიშნა, რომ რუსეთის საზღვართან ნატოს ჯარების ყოფნას არ დაუშვებს.

რუსეთს როგორც საქართველოსთან, ისევე უკრაინასთან მიმართებაში ერთი და იგივე მიზანი გააჩნია - ძალაუფლების/გავლენის შენარჩუნების სურვილი, რომლის განხორციელებასაც რუსეთი ძალადობრივი პოლიტიკის გატარებით ახორციელებს.

უკრაინასა და საქართველოში რუსეთის მიერ სამხედრო შემოჭრა აშკარად წააგავს ერთმანეთს, არა მხოლოდ იმიტომ რომ ოკუპანტის ხელწერა არის მსგავსი, არამედ იმიტომაც რომ ზემოთხსენებულ ორ ქვეყანას მსგავსი წარსული აქვს.

უკრაინისგან განსხვავებით, რუსეთისთვის გაცილებით იოლი იყო საქართველოში ომის წამოწყება რადგან არსებობდა რუსეთის მიერ ორგანიზებული და დაფინანსებული სეპარატიზმის გამოცდილება, რაც იმ ეტაპზე არ ხდებოდა უკრაინაში. საქართველოში განხორციელებული სამხედრო აგრესია კი იყო ასევე გამაფრთხილებელი სიგნალი უკრაინისთვის, რომ ევროატლანტიკური ალიანსისკენ სწრაფვა მსგავს შედეგებს მოუტანდათ.

რუსეთმა მთლიანად დაარღვია 1994 წელს უკრაინასა და რუსეთს შორის დადებულ ხელშეკრულება, სადაც პირდაპირ წერია, რომ არც ერთი მხარე არ გამოიყენებს თავის ეკონომიკურ ბერკეტებს, არ შეუშლის ხელს ნებისმიერ საერთაშორისო ორგანიზაციაში განწევრიანებას.

დასკვნა

2008 წლის აგვისტოში, საქართველოში განვითარებულმა მოვლენებმა ცხადყო, რომ რუსეთი კვლავ ცდილობს აქტიური როლი ითამაშოს მსოფლიო ასპარეზზე. რუსეთის ასეთ მისწრაფებას აღვივებს ნატოს გაფართოება აღმოსავლეთით, რაც მას უბიძგებს აქტიურად ჩაერიოს აღმოსავლეთ ევროპისა და სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოთა პოლიტიკაში.

საქართველოსთან 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად, რუსეთმა ხელი შეუშალა საქართველოს ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში განწევრიანებასა და ენერგორესურსების გადაზიდვას გლობალურ

სისტემებში საქართველოს სტაბილურ პარტნიორად ჩამოყალიბების პერსპექტივას.⁷ 2008 წელს რუსეთის მიერ საქართველოში განხორციელებულმა აგრესიამ და საქართველოში რუსეთის ფედერაციის საოკუპაციო ჯარების განლაგებამ გააუარესა ქვეყნის უსაფრთხოების გარემო. „ამ ომმა ცხადყო, რომ რუსეთის ფედერაციის ხელისუფლება არ ეგუება საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტს, მათ შორის, მის მიერ დემოკრატიის სასარგებლოდ გაკეთებულ არჩევანს, ქვეყნის დამოუკიდებელ საშინაო და საგარეო პოლიტიკას“.⁸ 2014 წელს კი რუსეთმა უკრაინაში მოაწყო არეულობა, უკრაინის ევროკავშირში ინტეგრაციის ხელისშემშლის მიზნით.

სტატიაში შემოთავაზებული შედარებითი ანალიზისას, ცხადი გახდა, რომ რუსეთის მიერ უკრაინაში განხორციელებული ქმედებები ერთგვარი დადასტურებაა იმ მოსაზრებისა, რომ აგვისტოს ომი ძნელად თავიდან ასაცილებელი იყო.

რუსეთის მიერ საქართველოში განხორციელებული სამხედრო აგრესია აიხსნება, როგორც რუსეთის მიერ ბრძოლა ძალაუფლებისთვის; საერთაშორისო სისტემის ბიპოლარულობის აღდგენის მცდელობა და ამერიკის, როგორც ჰეგემონი სახელმწიფოს დაბალანსება.⁹ სწორედ ამ მიზნის განსახორციელებლად სჭირდებოდა საქართველო, შემდგომში უკრაინა, რათა ეს სახელმწიფოები საბოლოოდ არ დაეკარგა მათი ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციით, რის შედეგადაც, შესაბამისად, საბოლოოდ დაკარგავდა რეგიონში ჰეგემონიის შანსს. ეს ერთ-ერთი იმ მიზეზთაგანია, რამაც საქართველო და რუსეთი კონფლიქტის ზღვარზე მიიყვანა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ასმუსი, რონალდ. მცირე ომი რომელმაც მსოფლიო შეძრა. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
2. ფხალაძე, თენგიზ. რუსეთის კავკასიური პოლიტიკის ძირითადი ვექტორები/SOFT POWER რუსეთის საგარეო პოლიტიკის ახალი კონცეფცია საქართველოსთან მიმართებაში, 2008 წლის აგვისტოს შემდგომი პერიოდი, ICGS, კონრად ადენაუერის ფონდი, 2010.
3. თხანაშვილი, ნინო. აგვისტოს ომის გამომწვევი მიზეზები თავდაცვითი და თავდასხმითი რეალიზმის ჭრილში. თბილისი: ჟურნალი - ინტელექტუალი. 2017. გვ. 122-126.
4. თხანაშვილი, ნინო. აგვისტოს ომი საერთაშორისო ურთიერთობების თეორიებისა და შდარებითი ანალიზის ჭრილში. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. 2014.
5. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია. 2012. გვ. 8.
6. Bishku, Michael. The South Caucasus Republics and Russia's Growing Influence: Balancing On a Tightrope, Gloria Center, Global Research in International Affairs, August 2011.
7. The NATO Summit at Bucharest, 2008, CRS Report for Congress. Paul Gallis. 2008.
8. Bucharest Summit Declaration, 2008. წვდომა, 23/09/2019. https://www.nato.int/cps/en/natolive/official_texts_8443.htm
9. რუსეთის პრეზიდენტის ოფიციალური ვებ-გვერდი 30.09.2008 <http://news.kremlin.ru/transcripts/1564> (წვდომა 24.09.2019)

⁷ თ. ფხალაძე. გ. ვოლსკი, რუსეთის კავკასიური პოლიტიკის ძირითადი ვექტორები/SOFT POWER რუსეთის საგარეო პოლიტიკის ახალი კონცეფცია საქართველოსთან მიმართებაში, 2008 წლის აგვისტოს შემდგომი პერიოდი, ICGS, კონრად ადენაუერის ფონდი, 2010, გვ.16

⁸ საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია. 2012. გვ.8

⁹ თხანაშვილი, ნინო. აგვისტოს ომის გამომწვევი მიზეზები თავდაცვითი და თავდასხმითი რეალიზმის ჭრილში. თბილისი: ჟურნალი - ინტელექტუალი. 2017. გვ. 122-126.

ნატოს ახალი სტრატეგია რუსეთთან მიმართებაში და საქართველოს როლი. პოლიტიკური და სამხედრო ასპექტები

ნიკა ჩიტაძე

**შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი
საერთაშორისო სწავლების ცენტრის ხელმძღვანელი.
სპეციალობა: პოლიტიკა/საერთაშორისო ურთიერთობები**

გიორგი ქავთარაძე

ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტის მაგისტრანტი

აბსტრაქტი

ნაშრომში ძირითადი ყურადღება გამახვილებულია ნატო-ს მიერ რუსეთის აგრესიული პოლიტიკის შესაკავებლად შემუშავებული ოთხპუნქტიანი გეგმის ანალიზზე, რომელიც თავის მხრივ მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორებიცაა: რუსეთზე სანქციების მეშვეობით ზეწოლის გაძლიერება; ალიანსის გააქტიურება შავი ზღვის რეგიონში; დახმარების პაკეტი მოკავშირეებისათვის, პირველ რიგში საქართველოსა და უკრაინისათვის; კიბერსაფრთხეებთან ბრძოლა. თემის მეორე ნაწილი ეთმობა საქართველოს - როგორც ნატო-ს ერთ-ერთი მთავარი პარტნიორი ქვეყნის - ჩრდილოატლანტიკური ალიანსის აღნიშნული სტრატეგიის ფარგლებში როლისა და ადგილის განხილვას, ასევე საქართველოს სამხედრო ძალების მიერ ნატოს წევრ ქვეყნებთან ერთად საერთაშორისო უსაფრთხოების სფეროში შეტანილი წვლილის გათვალისწინებით - კერძოდ საქართველოს მონაწილეობა სამშვიდობო და ანტიტერორისტულ ოპერაციებში კოსოვოში, ერაყსა და ავღანეთში განხილვა იმისა, განიხილება, თუ რა პერსპექტივები არსებობს სამხედრო, უსაფრთხოების და პოლიტიკური თვალსაზრისით ჩვენი ქვეყნის ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის მიმართულებით, მათ შორის ნატო-ს მიერ წარმოდგენილი ოთხპუნქტიანი გეგმის ფარგლებში.

NATO'S NEW STRATEGY TOWARDS RUSSIA AND ROLE OF GEORGIA POLITICAL AND MILITARY ASPECTS

NIKA CHITADZE

**PROFESSOR OF INTERNATIONAL BLACK SEA UNIVERSITY
HEAD OF INTERNATIONAL STUDIES CENTER.
SPECIALTY: POLITICS / INTERNATIONAL RELATIONS**

GIORGI KAVTARADZE

GEORGE WASHINGTON UNIVERSITY MA STUDENT

ABSTRACT

The main attention in the research is focused the analysis of the four-point plan of NATO related to the countering the aggressive policy of Russia, which from its turn consists such important topics, as: intensifying pressure through sanctions on Russia; Activating the Alliance in the Black Sea region; Assistance package for allies, primarily to Georgia and Ukraine; Cybersecurity.

Second part of the research is dedicated to review the role and place of Georgia, as a main partner country of the North Atlantic Alliance within the new strategy of NATO. Also, taking into account the contribution of the military forces of Georgia together with NATO members states in the International Security – particularly participation of Georgian military forces in the antiterrorist and peacekeeping operations in Kosovo, Iraq and Afghanistan, it is considered what kind of perspectives are from the military, political and security point of view toward the direction of the integration of our country to the Euro-Atlantic structures, including the four-point plan, which has been presented by NATO.

შესავალი

მსოფლიო პოლიტიკაში არსებული თანამედროვე რეალობების გათვალისწინებით, რუსეთის იმპერიალისტური ამბიციების შესაკავებლად, ჩრდილო-ატლანტიკურმა ალიანსმა მთელი რიგი ღონისძიებები შეიმუშავა.

კერძოდ, ცვლილებები იქნა განხორციელებული სამხედრო სტრატეგიაში. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ „ცივი ომის“ დასრულების შემდეგ ნატო-ს მიერ მიღებული დოკუმენტები - მაგალითად ნატო-ს სტრატეგიული კონცეფცია და ა.შ. ცვლილებას ყოველი 10 წლის შემდეგ განიცდიდა, თუმცა, რუსეთის მიერ უკანასკნელი წლების განმავლობაში განხორციელებული აგრესიული პოლიტიკის შედეგად, ასევე, თუ დავყვარდნობით ნატო-ს გენერალური მდივნის იენს სტოლტენბერგის განცხადებას რუსეთის მხრიდან ბირთვული საფრთხის არსებობასთან დაკავშირებით, შესაბამისი პოლიტიკური და სამხედრო ხასიათის დოკუმენტების გადახედვა გაცილებით ადრე განხორციელდა.

ალიანსის გენერალური მდივნის განცხადების თანახმად, ახალი სამხედრო კონცეფცია სტაბილურობასა და თავდაცვისუნარიანობის გაზრდისა და გაძლიერებისაკენ იქნება მიმართული.

საქართველოსა და უკრაინაში განვითარებულმა მოვლენებმა ნატო-ს წინაშე ახალი ამოცანები დასახა, რომელთა განხორციელების ფარგლებში ნათლად გამოჩნდა, რომ კრემლის ექსპანსიონისტური და აგრესიული პოლიტიკის შეკავებას განსაკუთრებული მიდგომები სჭირდება.

ნატოს მიერ რუსეთის შესაკავებლად შემუშავებული ახალი ოთხპუნქტიანი გეგმის ძირითადი ასპექტები სწორედ ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შემუშავებულ იქნა სტრატეგია, რომელიც 4 პუნქტისგან შედგება, კერძოდ:

1. მოსკოვზე ზეწოლის გაძლიერება. სანქციები და ბაზები.

აღნიშნული პუნქტის ფარგლებში განიხილება ის პოლიტიკური ზეწოლა, რომელშიც სანქციები იგულისხმება. იმის მიუხედავად, რომ ნატო-ს ევროპელ მოკავშირეებში აღნიშნულის მიზანშეწონილობის და ეფექტურობის შესახებ ქვეყნების პოზიციები ერთმანეთისაგან განსხვავდება, საერთო ჯამში არსებობს კონსენსუსი იმასთან დაკავშირებით, რომ ვიდრე რუსეთი არ გამოხატავს თავის პატივისცემას საერთაშორისო სამართლის მთავარი პრინციპების მიმართ, სანქციები სხვადასხვა ფორმით ამ ქვეყნის მიმართ შენარჩუნებულ უნდა იქნეს.

აღნიშნული პუნქტის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია ნატოს წევრი ქვეყნების თავდაცვისუნარიანობის ზრდა. ასე მაგალითად, ნატომ საკუთარი რეგულარულად ბაზირებული კონტიგენტი გააძლიერა რუმინეთში, ხოლო ამავე სახელმწიფოს ქალაქ ოტოპენში 2019 წლის მაისში დასრულდა სწავლება „კომუნიკაციის და ინფორმატიკის“ სფეროში (მედია ბიზნესისთვის, 2019).

ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის ოფიციალური წარმომადგენლების აზრით, აღნიშნული ფაქტორები მოსკოვზე ფსიქოლოგიურ ზეწოლას აძლიერებს და ხელს უწყობს ალიანსის პოზიციების გამყარებას ევროპის კონტინენტზე, მათ შორის რუსეთის საზღვრების უშუალო სიახლოვეს.

ამავე დროს ნატო-ს შტაბ-ბინაში აღნიშნავენ, რომ აღმოსავლეთ ევროპაში განლაგებული ალიანსის ოთხი ბატალიონი, თავისი შეიარაღებით და რაოდენობით არ მოდის თანაფარდობაში, მოსკოვის მიერ, ნატოს ქმედებების საპასუხოდ, რუსეთის დასავლეთ და სამხრეთ ნაწილებში განლაგებულ დივიზიების რაოდენობასთან (მედია ბიზნესისთვის, 2018).

2. შავი ზღვის უსაფრთხოება. „ის არცერთ მხარეს ვუთენის“.

ნატოს ახალი სტრატეგიის მეორე პუნქტის არსი - ალიანსის მონაწილეობა შავი ზღვის რეგიონში. საუბარია საპატრულო თვითმფრინავებზე, საზღვაო ფრეგატების, ავია გამანადგურებისა და სხვა საბრძოლო ხომალდების რეგიონში განთავსებასა და სამხედრო წვრთნების ორგანიზებაზე.

რუსეთის მიერ ყირიმის ოკუპაციამდე ნატო-ს პრიორიტეტს ბალტიის ზღვის რეგიონში პოზიციების გამყარება წარმოადგენდა, თუმცა განსაკუთრებით 2014 წლიდან განვითარებული მოვლენების შედეგად, ნატო-ს უელსისა და ვარშავის სამიტებზე მიღებულ დეკლარაციებში მკაფიოდ იყო წარმოდგენილი ალიანსის მიერ შავი ზღვის რეგიონში გააქტიურების აუცილებლობა.

„დადგა ის ხანგრძლივი პერიოდი, რომლის ფარგლებში შავი ზღვის რეგიონი, რუსეთის ძლიერი სამხედრო მონაწილეობის გამო, არასტაბილური გახდა. ჩვენ გვაქვს სწავლებების გრძელი სია, რომლებსაც ნატო მოკავშირეებთან ერთად განახორციელებს ამ ტერიტორიაზე. ეს გამომდინარეობს სამხედრო რეალობით, პოლიტიკური მოტივებით და ძალების დემონსტრირების მიზნით“, - განაცხადა ნატოს გენ-მდივნის წარმომადგენელმა, ჯეიმს აპათურაიმ (James Apathuray, 2018).

3. დახმარების პაკეტი მოკავშირეებისთვის

აღნიშნული პრიორიტეტების ფარგლებში პირველ რიგში საქართველო და უკრაინა მოიაზრებიან. ერთობლივი წვრთნები ჩატარება ნატო-ს წევრი ქვეყნების შეიარაღებულ ძალებთან ერთად მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ჩვენი ქვეყნის ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებთან დაახლოების პროცესს და დადებითად აისახება საქართველოს შეიარაღებული ძალების თავდაცვისუნარიანობის ამაღლების პროცესზე.

უკრაინასთან დაკავშირებით თანამშრომლობის მთავარ სფეროებად მიიჩნევა სპეცსამსახურების დონეზე, ასევე სამხედრო-საზღვაო ძალების გაძლიერების მიმართულებით კავშირუერთობების განმტკიცებაზე.

4. კიბერსაფრთხეებთან ბრძოლა

ალიანსის ოფიციალური წარმომადგენლების აზრით, თანამედროვე რეალობის ფარგლებში კიბერსაფრთხეები რეალურ სამხედრო ქმედებებს უტოლდება. როგორც მინიმუმ ერთმა კიბერ შეტევამ შესაძლოა ეკონომიკას მილიარდობით დოლარის მოცულობის ბარალი მიაყენოს, მოახდინოს კრიტიკულად მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურის პარალიზება და შეაფერხოს როგორც წამყვანი სახელმწიფო ინსტიტუტების, ასევე მსხვილი კომპანიების ფუნქციონირება.

ნატოს გენერალური მდივნის, იენს სტოლტენბერგის განცხადების თანახმად, „კიბერუსაფრთხოების მიმართულებით ნატო-ს იმუნიტეტი არ გააჩნია. ჩვენი მხრიდან ყოველი დღის განმავლობაში ხორციელდება საფრთხის შემცველი ქმედებების რეგისტრაცია, რომელიც ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის კიბერსისტემის წინააღმდეგაა მიმართული. ახალი ტექნოლოგიების, ხელოვნური ინტელექტის, „ფიქ-ნიუსების“ განვითარება კიდევ უფრო მეტად ზრდის კიბერსაფრთხეების მნიშვნელობას“ (Stoltenberg, 2019).

თანამედროვე პირობებში, ხდება ნატო-ს მიერ სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო სივრცესთან კიბერსივრცის გათანაბრება. შესაბამისი კიბერსაფრთხეების თავიდან ასარიდებლად ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ფარგლებში ფუნქციონირება დაიწყო კიბერ-ოპერაციების სპეციალურმა ცენტრმა, რომლის მაქსიმალური დატვირთვაც 2023 წლისთვისაა ნავარაუდები (მედია ბიზნესისთვის, 2019).

ნატოს ყოფილი გენ-მდივანი, ანდრეს ფოგ რასმუსენის აზრით, ნატო-მ ახალ საფრთხეებთან ბრძოლის გზაზე ყურადღება ელექტრონულ დაზვერვაზე უნდა გაამახვილოს და მცირე დროის განმავლობაში ოპერატიული გადანაცვებები მიიღოს. ალიანსის ყოფილი ხელმძღვანელის აზრით, უმნიშვნელოვანესია, რომ კიბერ-ოპერაციების ცენტრმა 2023 წლამდე დაიწყოს სრული დატვირთვით მუშაობა და აღნიშნული სტრუქტურის საკადრო შემადგენლობა მნიშვნელოვნად უნდა აღემატებოდეს იმ რაოდენობას, რომელიც დღევანდელ ეტაპზე გათვალისწინებული (მედია ბიზნესისთვის, 2019).

საქართველო-ნატო-ს ურთიერთობები და ოთხპუნქტიანი გეგმა

ძირითადი ძლიერი მხარეები საქართველოს ნატოში ინტეგრაციის გზაზე, სამხედრო და უსაფრთხოების ასპექტები

სამხედრო კონტრიბუცია: 1999 წლიდან საქართველო აქტიურად მონაწილეობს ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის მიერ ინიცირებულ სამშვიდობო და ანტი-ტერორისტულ ოპერაციებში. ჩვენი ქვეყნის შეიარაღებული ძალების საერთაშორისო ასპარეზზე პირველ აქტიური ჩართვა კოსოვოს კონფლიქტის დასრულების შემდგომ პერიოდში განხორციელდა, როდესაც ნატო-ს ეგიდით, სამშვიდობო მისიაში დაახლოებით 150 ქართველი სამხედრო მოსამსახურე იყო მობილიზებული.

საქართველომ უმნიშვნელოვანესი წვლილი შეიტანა ერაყის სამშვიდობო მისიის ფარგლებში

შეიტანა, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული სამშვიდობო და ანტიტერორისტული ოპერაცია ნატო-ს ვეგდით არ ხორციელდებოდა, მაგრამ მასში ძირითადად ნატო-ს წევრი სახელმწიფოების სამხედრო ძალების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ, სადაც უდიდესი გახლდათ ამერიკის შეერთებული შტატების წვლილი. კერძოდ, 2008 წლის პირველ ნახევარში ქართული კონტინგენტის რაოდენობამ ახლო აღმოსავლეთის ამ სახელმწიფოში 2,300 სამხედროს მიაღწია. მოგვიანებით, რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული სამხედრო აგრესიის დროს, აღნიშნული კონტინგენტი, რომელმაც ანტიტერორისტული და სამშვიდობო ოპერაციების განხორციელების ფარგლებში უდიდესი გამოცდილება მიიღო, საქართველოში დააბრუნეს. იმ დროს აღნიშნული საჯარისო ფორმირებები მზად იყვნენ დაეცვათ საქართველოს დედაქალაქი, თბილისი და საქართველოს დამოუკიდებლობა.

ავღანეთში, ქართული საჯარისო ნაწილები ISAF-ის მისიის ფარგლებში დაგეგმილ ოპერაციებში პირველად 2004 წელს ჩაერთვნენ და მათი რაოდენობა რამდენიმე ათეულ სამხედრო მოსამსახურეს შეადგენდა. თუმცა ეტაპობრივად ქართული კონტინგენტის რაოდენობა ავღანეთში თანდათან იზრდებოდა და ISAF - ის მისიის საბოლოო ფაზის ფარგლებში საქართველო ავღანეთში დაახლოებით 1,560 სამხედრო მოსამსახურით იქნა წარმოდგენილი. შესაბამისად, ავღანეთში დისლოცირებული 50 ქვეყნის შეიარაღებულ ძალებს შორის, საქართველო ნატოს არანევრი ქვეყნებიდან „ISAF-ის“ მისიის ფარგლებში გახლდათ ყველაზე დიდი წვლილის შემტანი, მითუმეტეს თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ქართველი სამხედროები დისლოცირებულები იყვნენ ჰელმანდის პროვინციაში, რომელიც ნარკოტიკული ნივთიერებების წარმოების გამო ავღანეთის ყველაზე ცხელ რეგიონს წარმოადგენდა. „ISAF“-ის მისიის დასრულების შემდეგ, 2015 წლის 1 იანვრიდან, ჩრდილო-ატრანტიკურმა ალიანსმა, ახალი ოპერაციის, „მტკიცე მხარდაჭერის მისია“ (Resolute Support Mission - RSM) განხორციელება დაიწყო. მის მიზანს ავღანეთის არმიისა და უსაფრთხოების ძალების მხარდაჭერა წარმოადგენს. პროგრამაში მონაწილე დაახლოებით 13 ათასი სამხედრო მოსამსახურიდან, საქართველო - როგორც მისიის ერთ-ერთი აქტიური წევრი, 870 სამხედრო მოსამსახურითაა წარმოდგენილი (ჩიტაძე, 2018).

სამხედრო ხარჯები: როგორც ცნობილია, ალიანსის წევრ ქვეყნებს აღებული აქვთ ვალდებულება, რომ აღნიშნული სახელმწიფოების თავდაცვის ბიუჯეტი მთლიანი შიდა პროდუქტის 2%-ზე არანაკლები უნდა იყოს. დღევანდელ ეტაპზე, აღნიშნულ კრიტერიუმს ნატო-ს მხოლოდ 3 სახელმწიფო აკმაყოფილებს. სხვადასხვა მონაცემებზე გაანგარიშებით, 2024 წლისათვის შესაბამის ზღვარს ალიანსის წევრი 29 ქვეყნიდან დაახლოებით 15 დააკმაყოფილებს. საქართველო შესაბამის სტანდარტს რამდენიმე წლის განმავლობაში აკმაყოფილებს. გარდა ამისა, ალიანსის ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნაა, რომ თავდაცვის ბიუჯეტის არანაკლებ 20% შეიარაღებისთვის იყოს გათვალისწინებული. აღნიშნულ მოთხოვნასაც საქართველო აკმაყოფილებს. მეორეს მხრივ, 2018 წელს ბიუჯეტის მხოლოდ 53% (2015 წლის 66%-ის ნაცვლად) გამოიყოფა ხელფასებსა და სოციალურ დახმარებებზე, რაც აგრეთვე ნატო-ს საკუთარი წევრებისათვის მოთხოვნის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კრიტერიუმს წარმოადგენს (ჩიტაძე, 2018).

ნატო-საქართველოს შორის ბოლო პერიოდში გამართული სამხედრო სწავლებები

„ნატო-საქართველოს სწავლება 2019“ გახლავთ სამეთაურო-საშტაბო სწავლება, რომელიც 18-29 მარტის ჩათვლით “წვრთნისა და შეფასების ერთობლივ ცენტრში” (JTEC) გაიმართა და მასში 343 სამხედრო და სამოქალაქო პირმა მიიღო მონაწილეობა.

„ნატო-საქართველოს სწავლება 2019“ გახლდათ პირველი ერთობლივი მრავალეროვნული ბრიგადის დონის სამეთაურო-საშტაბო სწავლება, რომელსაც საქართველოს თავდაცვის ძალები ხელმძღვანელობდა.

სწავლება მიზნად ისახავდა საქართველოს, ალიანსის და პარტნიორი ქვეყნების შეიარაღებული ძალების ურთიერთთავსებადობის ამაღლებასა და საქართველოს თავდაცვის ძალების მართვისა და კონტროლის შესაძლებლობების გაძლიერებას. სწავლება ასევე გამოცადა ალიანსის Non Article 5 კრიზისებზე რეაგირების ყოვლისმომცველ მიდგომა.

„ნატო-საქართველოს სწავლება 2019“ გახლდათ რიგით მეორე სწავლება, რომელიც ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის ფარგლებში (SNGP) ჩატარდა - პაკეტი საქართველოს 2014 წელს უელსში გამართულ ნატოს სამიტზე მიენიჭა. ნატო-საქართველოს პირველი ერთობლივი სწავლება 2016 წელს ჩატარდა.

იმ სამხედრო წვრთნებისაგან განსხვავებით, რომელიც წინა წლებში ჩატარდა, 2019 წელს

ლონისძიების მასშტაბი გაფართოვდა, კერძოდ თუ წინა სწავლებაში მონაწილეობას 14 სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების წარმომადგენლები იღებდნენ, მიმდინარე წელს გამართულ წვრთნებში 24 ქვეყანამ მიიღო მონაწილეობა (ალბანეთი, ბელგია, ბულგარეთი, ჩეხეთის რესპუბლიკა, გერმანია, დანია, ესტონეთი, საფრანგეთი, საბერძნეთი, გაერთიანებული სამეფო, უნგრეთი, ლატვია, ლიეტუვა, პოლანდია, ნორვეგია, პოლონეთი, პორტუგალია, რუმინეთი, სლოვაკეთი, თურქეთი, აშშ, აზერბაიჯანი, საქართველო, შვედეთი) (საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, 2019).

სწავლება ღირსეული პარტნიორი - სამხედრო წვრთნები „ღირსეული პარტნიორი“ - გახლავთ საქართველოს შეიარაღებული ძალებისა და აშშ-ის ევროპაში დისლოცირებული სამხედრო ძალების ერთობლივი წვრთნები. სწავლების ძირითად მიზანს წარმოადგენს საქართველოს, აშშ-ის და სხვა მონაწილე ქვეყნების სამხედრო ძალების თავდაცვისუნარიანობის ამაღლება მრავალეროვნული სამხედრო სწავლებების ფარგლებში. სწავლებები „ღირსეული პარტნიორი“ ვაზიანის სამხედრო ბაზის ტერიტორიაზე ტარდება (U.S. Army Europe, 2019).

სამოგადოებრივი მხარდაჭერა ნატოში ინტეგრაციის გზაზე

სხვადასხვა სოციოლოგიურ კვლევებზე დაფუძნებით, რომელიც საქართველოში 2006 წლიდან იწარმოება, საქართველოს მოსახლეობის მინიმუმ 65% მხარს უჭერს ქვეყნის ევროპულ და ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის პროცესს. მაგალითად, 2018 წელს „კავკასიის კვლევების რესურს ცენტრი საქართველოში“ მიერ განხორციელებულ კვლევაზე დაყრდნობით, საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილისათვის, ჩვენი სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის მთავარ პრიორიტეტს ნატო-სა და ევროკავშირში გაწევრიანება წარმოადგენს. გამოკითხულთაგან 67% -მა სრულად ან ნაწილობრივ მხარი დაუჭირა საქართველოს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანებას, ხოლო წინააღმდეგი გახლდათ მხოლოდ 20% (ჩიტაძე, 2018).

დასკვნა

როდესაც ვსაუბრობს იმაზე, რომ საქართველოს გააჩნია მისწრაფება გახდეს ნატოს-ს სრულუფლებიანი წევრი. შესაბამისად, ჩნდება კითხვა, რატომ ჩრდილოატლანტიკური ალიანსი? დღეს საუბარი მიმდინარეობს იმაზე რომ ნატო თანდათან ხდება უფრო გლობალური მოთამაშე და მეტი წვლილი შეაქვს მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში (მაგ: ბალკანეთი, ავღანეთი, ლიბია, ერაყი და ა.შ.) მშვიდობის, სტაბილურობისა და უსაფრთხოების განმტკიცების საქმეში. აქედან გამომდინარე, მთელი რიგი ქვეყნებისთვის და განსაკუთრებით იმ სახელმწიფოებისათვის, რომელთა დამოუკიდებლობას და ტერიტორიულ მთლიანობას საფრთხე ემუქრება, ნატოსთან თანამშრომლობის განვითარებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. შესაბამისად, ისმის კითხვა, რას ნიშნავს ნატოში გაწევრიანება კონკრეტულად საქართველოსთვის?

პირველი, ნატოს წევრობა გახლავთ ძალიან ეფექტური იარაღი პოლიტიკური და უსაფრთხოების მიმართულებით რეფორმების განხორციელების გზაზე. მეორე, ნატო არის გაერთიანება, რომლის ფარგლებშიც წევრი ქვეყნები, ერთმანეთს სახელმწიფოებრიობის განმტკიცების პროცესში ეხმარებიან. მესამე, ნატოს წევრობა მიღწევაა იმ შემთხვევაში, თუკი ქვეყანა აკმაყოფილებს დემოკრატიულ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ, თავდაცვისა და უსაფრთხოების სტანდარტებს. შესაბამისად, ნატოში გაწევრიანებისკენ სწრაფვა ბადებს კითხვას: „რისი მიღწევა სურს საქართველოს?“ ნატო-ს შესაბამისი პოლიტიკური, სამხედრო, ეკონომიკური, სამართლებრივი და სხვ. სტანდარტების დაკმაყოფილება ქვეყნის სახელმწიფოებრიობის განმტკიცების მიზნით შესაბამისი რეფორმების განხორციელების აუცილებლობას განაპირობებს.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო ნატო-ს წევრი ჯერ არ გამხდარა, არსებობს ორ მხარეს შორის თანამშრომლობის განვითარების მრავალი მექანიზმი, მათ შორის, ნატო-საქართველოს კომისია, ყოველწლიური ეროვნული პროგრამა, ნატო-ს სასწავლო ცენტრის ფუნქციონირება საქართველოს ტერიტორიაზე, ერთობლივი სამშვიდო და ანტი-ტერორისტული ოპერაციები და ა.შ. რაც იძლევა იმის საფუძველს, რომ განვაცხადოთ, საქართველო ნატო-ს ერთ-ერთ საიმედო და სანდო პარტნიორს წარმოადგენს და ალიანსის ახალი ოთხპუნქტიანი სტრატეგიის პრაქტიკული განხორციელების საქმეში, მათ შორის, ან პირველ რიგში სამხედრო მიმართულებით ჩვენს ქვეყანას მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლია.

REFERENCES

მედია ბიზნესისთვის (2019). ნატოს რუსეთის შესაკავებლად ახალი ოთხპუნქტიანი გეგმა შეიმუშავა. მასალა გამოყენებულია შემდეგი ვებ-გვერდიდან: <https://www.m2b.ge/post/272821-natom-ruse-tis-sesakaveblad-axali-otxpunqtiani-gegma-seimusava>

ჩიტაძე, ნიკა (2018). საერთაშორისო სწავლების კვლევითი ცენტრი. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიები და ახალი პერსპექტივები ქვეყნის ნატო-ში განწევრიანების გზაზე. მასალა გამოყენებულია შემდეგი ვებ-გვერდიდან: <https://centerforis.blogspot.com/2018/03/blog-post.html?sref=fb>

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო (2019). ნატო-საქართველოს სწავლება 2019 ოფიციალურად გაიხსნა. მასალა გამოყენებულია შემდეგი ვებ-გვერდიდან: <https://mod.gov.ge/ge/news/read/7203/nato-saqartvelos-swavleba-2019-oficialurad-gaixsna>

First Channel (2015). James Appathurai – I will return to Brussels with Salome Zurabishvili's messages. Retrieved from: <https://1tv.ge/en/news/james-appathurai-will-return-brussels-salome-zurabishvilis-messages/>

NATO (2019). Secretary General gives keynote speech on NATO's adaptation to cyber threats Retrieved from: https://www.nato.int/cps/en/natohq/news_166287.htm?selectedLocale=en

U.S. Army Europe (2019). Noble partner. Retrieved from: <https://www.eur.army.mil/noblepartner/>

მიჯელ მუსხელი - ევროკული კავშირის ინსტიტუციური საქართველოს შესახებ

ედიშერ ჯაფარიძე
სოციალურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

ევროკავშირში გასაწევრიანებლად ჯერ კიდევ ბევრი გამოწვევა არსებობს, მაგრამ არც თუ ისე მიუღწევადია და საამისოდ ქმედითი ნაბიჯები უკვე გადადგმულია. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ევროკული ერების ოჯახს საქართველოც მალე შეუერთდება. მ. მუსხელიშვილის შემოქმედების მიზანი და ნატვრაც სწორედ ეს იყო, საქართველო ყოფილიყო დემოკრატიული და ევროკული ყაიდის ქვეყანა. მან საამისოდ პარიზში და ბრიუსელში ჩაუყარა საფუძველი ევროკული იდეების დამუშავებას და ევროკული საქართველოს საფუძვლებს (ევროკავშირის ფუნდამენტურ კონსტიტუციას) - ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების დაცვას. 1950 წლის 6 აგვისტოს სტრასბურგში, ევროკონფერენციის გახსნის წინა დღეს, ევროპის 8 ქვეყნის 300 ზე მეტმა სტუდენტმა, ევროგაერთიანების მგზნებარე ინიციატორის მიხეილ მუსხელიშვილსადა სამი სხვა მომხრე პროფესორის წინამძღოლობით, მოშალა საფრანგეთ-გერმანიის სასაზღვრო ინფრასტრუქტურა და აღმართა ერთიანი ევროპის დროშა, „ჩვენ მხოლოდ პატარა ვოცონი დავანთეთ, დიდი ცეცხლი ეხლა სტრასბურგში უნდა გაჩაღდეს, რომ ევროკული გულებიც აინთოს,.... თქვა მაშინ მ. მუსხელიშვილმა.

დიახ საქართველო ევროკულია, თავისი კულტურით, ისტორიით, რელიგიით და თავისუფალი მისწრაფებებით, ამიტომაცაა, რომ ევროკავშირის წევრი ქვეყნების მიერ დროულად მოხდა ამის გაცნობიერება-აღიარება და საქართველოს ვიზალიბერალიზაციის იმპლემენტაცია. ვიზალიბერალიზაცია ეს იყო ისტორიული მომენტი საქართველოსთვის და ქართველი ხალხისთვის.

2017 წლის 2 თებერვალს ევროპის პარლამენტმა საქართველოს მოქალაქეებისათვის 553 ხმით 66-ის წინააღმდეგ (28 დებუტატმა თავი შეიკავა ხმის მიცემისაგან) მხარი დაუჭირა სავიზო რეჟიმის გაუქმებას. საქართველოსთვის უვიზო მიმოსვლის შემოღება დაფუძნებულია ჩვენს მიერ ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის (VLAP-Visa Liberalisation Action Plan) შესრულებით და გულისხმობს მოგზაურობას ყოველ 6 თვეში 3 თვე ანუ 90 დღე, ევროკავშირის 22 წევრ, 4 არაწევრ (ისლანდია, ლიხტენშტეინი, ნორვეგია და შვეიცარია) და შენგენის 4 კანდიდატ (ბულგარეთ, კვიპროსი, რუმინეთი და კოვრატია) ქვეყანაში (გამონაკლის წარმოადგენენ ევროკავშირის ორი წევრი ქვეყანა დიდი ბრიტანეთი და ირლანდია). იგი ძალაში 2017 წლის 28 მარტს შევიდა, ძალაში შესვლისთანავე 2017 წლის 28 მარტს საქართველოს პრემიერ მინისტრი გორგი კვირიკაშვილი წარჩინებულ სტუდენტებთან და პროფესორ მასწავლებლებთან ერთად სიმბოლური ვიზიტით პირველად, უვიზოდ ჯერ ათენში, შემდგომ კი ბრიუსელში გაემგზავრა. ამით კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვა მის ისტორიული და პოლიტიკურ მნიშვნელობას ადგილობრივ და საერთაშორისო ასპარეზზე. ეს ნიშნავს ქართველი ხალხის დაბრუნებას თავის პირვანდელ სამშობლოში-ევროპაში, რომელიც სულ მუდამ ისწრაფოდა და ბრძოლობდა ამისათვის, განაცხადა ერთ-ერთ ინტერვიუში პრემიერმა.

ვიზა ლიბერალიზაცია არ ნიშნავს ევროკავშირის ქვეყნების ტერიტორიაზე ხანგრძლივი ცხოვრების ან მუშაობის უფლების მიღებას, ის გვაძლევს საშუალებას ვიმოგზაუროთ 90 დღე ნებისმიერი 180 დღის განმავლობაში.

საქართველოსათვის ევროკავშირის ქვეყნებში უვიზოდ მიმოსვლამ შესაძლოა მოიტანოს როგორც დადებითი ასევე უარყოფითი შედეგები. ორივე მათგანი, ბუნებრივია, გამომდინარეობს ვიზალიბერალიზაციის რაობიდან, რომელიც ლოგიკურად შეიძლება ასე დავალაგოთ:

- ევროკავშირის ქვეყნებში თავისუფლად გადაადგილება, რაც გამოიწვევს ბიუროკრატიული წესების მოხსნას საზღვრის გადაკვეთისას;

- საქართველოს ევროპასთან ინტეგრაცია, რაც ხელს შეუწყობს და დააჩქარებს ევროინტეგრაციულ პროცესებს საქართველოს სასარგებლოდ;
- ეკონომიკური სარგებელი, რომელიც გულისხმობს ზოგადად საქართველოს ეკონომიკური ბაზრის მიერთებას ევროპის მსხვილ და კონკურენტულ ბაზართან;
- ოკუპირებულ ტერიტორიაზე აფხაზი და ოსი მოსახლეობისათვის საქართველოს პასპორტების შეთავაზება, რაც მოახდენს აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის საქართველოსთან გამწვავებული ურთიერთობის საბოლოოდ დეესკალაციას;
- პოლიტიკური, კულტურული და სოციალური პირობების გაუმჯობესება და ევროპულ სტანდარტებთან დაახლოება;

რაც შეეხება უარყოფით შედეგებს, შეიძლება შემდეგნაირად მოვახდინოთ მისი მოკლედ ფორმულირება:

- დემოგრაფიული პრობლემა, საზღვრების გახსნამ მთელი ევროპის მამუბით შესაძლოა გამოიწვიოს ადგილობრივი ქართველი მოსახლეობის უფრო მეტი დობით შემცირება საქართველოდან მიგრაციის ხარჯზე;
- მიგრაციული პროცესების გაზრდა, ვინაიდან მოსახლეობის უმეტესი ნაწილი დაუსაქმებელია და საარსებო მინიმუმის მოსაპოვებლად აქ თუ მთელი ერთი თვე მუხლჩაუხრელად მუშაობს, ევროპაში შესაძლოა უფრო მეტი ანაზღაურება ჰქონდეს „შავ მუშას“ ვიდრე საქართველოში, შესაბამისად მას გაცილებით უფრო გაუადვილდება იქ თავის გატანა;
- პროფესიონალი და ნიჭიერი კადრების გადინება უცხოეთში. ბუნებრივია კარგ პროფესიონალს და ნიჭიერ ადამიანს ევროპაში უფრო მეტი შესაძლებლობა და ანაზღაურება აქვს, ვიდრე საქართველოში ნიებისმიერი მაღალი რანგის საჯარო მოსამსახურეს, შესაბამისად ყოველგვარი ბიუროკრატიული წესების გავლით და ზედმეტი შეზღუდვების გარეშე მოხდება პროფესიონალი ადამიანების უცხოეთში გადინება, რას საქართველოსთვის დიდი დანაკარგი იქნება;
- უცხოელი ლტოლვილების მიღება, როცა ქვეყანას საკუთარი ლტოლვილები ჰყავს. ისეთი ქვეყნისთვის, როგორც საქართველოა, რომელსაც საკუთარი ლტოლვილებიც ბევრი ყავს ქვეყანაში, ვფიქრობ გაუჭირდება ვიზალიბერალიზაციით აღებული ვალდებულებების შესრულება, რაც გულისხმობს საჭიროების შემთხვევაში გარკვეული რაოდენობის ლტოლვილების მიღებას სიირიდან და ახლო აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებიდან;

საქართველოს ევროკავშირთან ვიზალიბერალიზაციის შეჩერების მთავარი აქტორი ევროკომისიაა, იგი უწევს კონტროლს და მონიტორინგს აღნიშნულ თანამშრომლობას. საქართველოში წარმატებით განხორციელებული რეფორმათა ციკლი და ასოცირების ხელშეკრულება გახდა საწინდარი ვიზალიბერალიზაციის მიღებისა, რამაც კიდევ ერთხელ ერთი ორად გაზარდა შანსი საქართველოს დაბრუნების თავის ევროპულ ოჯახში. ქართველი მოსახლეობისათვის ეს გახლავთ საბოლოოდ დაახლოება ევროპულ ფასეულობებთან და ღირებულებებთან, რომლისკენაც საუკუნეების მანძილზე მისწრაფოდნენ. ამიტომ საზოგადოებისა და სახელმწიფოს ერთობლივი ძალისხმევა მოითხოვს კოორდინირებულად მუშაობას, რათა თავიდან იქნას აცილებული შესაძლო მოსალოდნელი ექსცესები „შეჩერების მექანიზმის“, „ვიზალიბერალიზაციისთვის“ ამოქმედება. „შეჩერების მექანიზმი“ ამოქმედდება იმ შემთხვევაში თუკი:

- მოხდა რეადმისია, ანუ ქვეყანაში 90 დღიანი ყოფნის ვადის გადაცილების შემთხვევაში, შენგენის ქვეყნის ტერიტორიაზე პირის ყოფნა ჩაითვლება არალეგალურად და ასეთი პირი მოძებნილი იქნება ორივე მხარის მიერ და პოვნის შემთხვევაში მოხდება მისი საქართველოში დაბრუნება. ამასთან ერთად ასეთ შემთხვევაში მოქალაქეს შეეზღუდება შენგენის ტერიტორიაზე შესვლა 5 წლამდე ვადით, ხოლო ალტერნატივის სახით შესაძლოა გამოყენებულ იქნას ადმინისტრაციული ჯარიმა 3000 ევრომდე ოდენობით, გადაუხდელობის შემთხვევაში კანონდამრღვევს აევრძალება შესვლა შესაბამის ან ზოგადად შენგენის ტერიტორიაზე, ან უარეს შემთხვევაში მოხდება მისი გონივრული ვადით დეპორტაცია. ამიტომ საქართველოს თითოეულმა მოქალაქემ უნდა გააცნობიეროს არსებული პასუხისმგებლობა, რათა ასეთ ქმედებებს არ მიეცეს მასიური ხასიათი, რაც საქართველოსა და ევროკავშირის ურთიერთობებზე ნეგატიურად შეიძლება აისახოს მომავალში;
- გაიზარდა არალეგალურად დარჩენილთა რაოდენობა;
- საფრთხე შეუქმნეს მასპინძელი ქვეყნის საზოგადოებას, მონაწილეობას მიიღებენ საზოგადოებრივი

წესრიგის დარღვევის ნებისმიერი სახის ღონისძიებებში და გამოავლენენ კრიმინალურ მოქმედებებს;

- შესამჩნევად გაიზარდა დეპორტირებული და უკან გამობრუნებული მოსახლეობის რაოდენობა; ვიზალიბერალიზაცია წარმოადგენს საქართველოსა და ევროკავშირს შორის აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში გათვალისწინებულ ურთიერთობათა საბოლოო შედეგს, რომლის შესაძლებლობები უკვე ამოწურულია და საბოლოო მიზანი მიღწეული. საქართველოს ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლა ეს არის კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯი საქართველოსთვის თავის ევროპულ ოჯახში საბოლოოდ ინტეგრაციისა. თუმცა იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ საქართველოს ევროკავშირში განვერიანება აქტიურად ჯერ არ განიხილება, საქართველო მაინც მიმზიდველი რჩება ევროპისათვის (ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულებისათვის), მთავარია საქართველომ არ შეაჩეროს დინამიური პოლიტიკა და პრაქტიკული წინადადებების განხილვა ორმხრივ ურთიერთობებში ევროკავშირში ასოცირების ან სრული წევრობაზე გადასასვლელად. ამისთვის საქართველოს მთავრობამ ყურადღება უნდა გაამახვილოს ძირითადად სამ მთავარ ასპექტზე: ქვეყნის მდგრადი დემოკრატიულობის პროცესების შეუქცევადობაზე და კანონის უზენაესობაზე, ეკონომიკურ ინტეგრაციაზე და ქვეყნის სამხედრო და თავდაცვით საითხებზე, რომელიც გულისხმობს: ქვეყანაში უზრუნველყოფილი უნდა იყოს მდგრადი დემოკრატიული განვითარება, რომლის გარეშეც ევროინტეგრაცია წარმოუდგენელია. საქართველოს მთავრობამ არ უნდა შეცვალოს პილიტიკური კურსი და მაქსიმალურად ხელი შეუწყოს დემოკრატიულ პროცესებს ქვეყნის შიგნით და მოახდინოს საზოგადოების მობილიზება, რათა არ მოდუნდეს ყურადღება და მისწრაფება ევროკავშირში გასაწევრიანებლად.

ვიზალიბერალიზაცია თავისი შინაარსიდან გამომდინარე ამ ეტაპზე არ გულისხმობს ეკონომიკურ ინტეგრაციას, ევროპის ეკონომიკურ ზონაში ჩართვა ამ ეტაპზე საქართველოსთვის მომგებიანი ვერ იქნება, გამომდინარე იქედან რომ საქართველო საგარეო ვაჭრობის ლიბერალურ პოლიტიკას ატარებს. საქართველომ თავი უნდა შეიკავოს საგარეო ვაჭრობის შემზღვეველი ხელშეკრულებების ხელმოწერისა და მისი იმპლიმენტაციისაგან (მაგ. ევროკავშირის საბაჟო კავშირი) და ასევე შეეცადოს მოიძიოს ორმხრივი მოლაპარაკებების საფუძველზე სხვა ალტერნატიული გზები ეკონომიკური კავშირებისათვის, რათა მოხდეს დროული და მიზნობრივი ეკონომიკური ინტეგრაცია.

რაც შეეხება სამხედრო რესურსს და უსაფრთხოებას, საქართველომ არ უნდა შეაჩეროს ნატოში ინტეგრაციის მისწრაფება და აქტიურად ითანამშრომლოს ევროპის თავდაცვით სააგენტოებთან და ყველა სამხედრო ინტიტუციურ წარმომადგენლობასთან, რომელიც კარს გაუღებს და დაეხმარება დინამიური სამხედრო და თავდაცვითი პოლიტიკის გატარებაში.

ამრიგად, ნაშრომში შესწავლილია აქამდე ნაკლებად ცნობილი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწის მ. მუსხელიშვილის პოლიტიკური, კულტურული და სამეცნიერო მოღვაწეობის არქივი, მისი ღვაწლი და დამსახურება ევროპაში ქართულ-ევროპულ ურთიერთობის გაღრმავებისა და ევროინტეგრაციის საქმეში.

MIKHEIL MOUSKHELY ABOUT EUROPEAN UNION INSTITUTIONAL LAW

EDISHER JAPHARIDZE
PHD IN SOCIAL SCIENCE
GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

ABSTRACT

Georgia has always been the centuries long to aspire to Europe. Today Georgia is pursuing thoroughly the path of western orientation. From the beginning of European History, Georgia participated in the development of Humanity of spiritual, cultural, political and economic formations in forming, which it constituted the essence of European life. We became Europeans then, when we got Christianity and to became part of Hellenistic world and share of Roman and Greek Civilization. Georgia is giver of share in the European creative works. It is very important to designate Georgian emigrant professor merits in the development and forming of European Union. Muskhelishvili was the first Georgian European who preached about the idea of Creating European Union in his way and erasing frontiers among European countries. He formed the European Center of scientific research and study in Strasburg named „Muskheli” center (where it is operating with the name) which researched European integration issues. After the War he raised the idea of uniting Europe and its federation and protected it. To his opinion, European federalism is not only surviving necessity for European people but also a guarantee of peace and for general flourishing in Europe, freedom and integrity of human race...., he wrote in his work, „The structure of Europe’s federalism”.

Till Jean Monnet became founder of EU, for this time M. Muskhelishvili had publish many publications about European confederation and they found many scientific Center of EU for EU. While Robert Schuman and Jean Monnet talked about the idea of uniting Europe, M. Muskhelishvili were publishing articles on the same subject in the leading newspapers and magazines and actively participated in the processes of creating the European Union.

In Strasburg in August of 1950, Michel Mouskheli with him students and supporter of European Union was demolished France-German frontier infrastructure and he hoisted common European flag. He said that we had light a fire, the big one fire should be kindling in Strasburg now that European Heart will be relight.

M. Muskhelishvili talked also about European common market creating and European common educational system creating and harmonization which it meant bologna process today. We hardly can say that bologna process ideology is on the base of M. Muskhelishvili’s law conceptions. The aim is getting close to European countries educational system and harmonization, and creating of European common educational system for high education

Georgia got EU visa liberalization in 2 February of 2017 (VLAP-Visa Liberalisation Action Plan). It was result of success reforms which it was realized by Georgian Democratic Government and we hope that it will be the beginning of integration process of Georgia to European Union.

At the present time Visa liberalization represents Michel Mouskheli’s four main conception for the creating of European Union, which he fought for it. The conception meant at that time, European Countries Union (EU, Confederation), Creating of European common market, Demolish border between European countries and creating of European common educational system and harmonization. Georgia already participated in last two conception and another conceptions are also main provoke for Georgia too. We hope that Georgia will connect with success follow up reforms to European common market and finally Georgia will return own in European family.

Also, thus, it can be said that at the initial point of European Integration were standing the First in the world famous Georgian emigrant scientists M. Muskhelishvili, who are widely credited with forming and developing the European Union.

ნაშრომის მიზანია პარიზში მოღვაწე, ქართული ემიგრაციის პირველი ტალღის თვალსაჩინო წარმომადგენლის მიხეილ მუსხელიშვილის შემოქმედების, მისი მეცნიერული, პოლიტიკური და კულტურული მემკვიდრეობის შესწავლა-გაცნობა, სამეცნიერო წრეებში მიმოქცევა და მისი ფართოდ სამჯავროზე გამოტანა.

მსოფლიოში ცნობილი პროფესორი, იურისტი, ადამიანის უფლებათა დამცველი, საერთაშორისო სამართლის დარგის სპეციალისტი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, ევროპის ხალხთა კონგრესის პრეზიდენტი, „ფედერალური ევროპის მოძრაობის“ ცენტრალური კომიტეტის წევრი, ევროპის ფორმირების ინტერნაციონალური ცენტრის ბიუროს ვიცე-პრეზიდენტი, ევროპის უნივერსიტეტთა ასოციაციის დამაარსებელი და გენერალური მდივანი, მთამსვლელი, მეცნიერი და „აკადემიური პალმის“ ჯილდოს კავალერი მიხეილ მუსხელიშვილი დაიბადა 1903 წლის 8(21) ივლისს ქალაქ თბილისში.

მიხეილ მუსხელიშვილის მშობლები კეთილშობილი და განთქმული ოჯახი ყოფილა ძველ თბილისში. მამა - ვახტანგი სოლომონის ძე მუსხელიშვილი, ცნობილი ოფთალმოლოგი და აკაკი წერეთლის პირადი ექიმი იყო. დედა - ნატალია მირზაშვილი მეტად კეთილი, სათნო და ლამაზი ქალი ყოფილა. ექიმის ოჯახში ოთხი ვაჟი იზრდებოდა. ოთხივემ უმაღლესი განათლება საზღვარგარეთ მიიღო: ლევან მუსხელიშვილი ცნობილი ისტორიკოსი და არქეოლოგი იყო, აკადემიკოს დავით მუსხელიშვილის მამა. გიორგი მუსხელიშვილი ცნობილი ინჟინერი, რომელიც სამხრეთ აფრიკაში პროფესიული მუშაობისას დაიღუპა, ხოლო სოლომონ მუსხელიშვილი ცნობილი ექიმი გახდა, რომელიც 1934 წლამდე პარიზში მოღვაწეობდა.

ვახტანგ მუსხელიშვილის ოთხივე ვაჟი თბილისში, ლევანდოვსკის გიმნაზიაში სწავლობდა და ოთხივემ წარჩინებით დაამთავრა. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ მიხეილ მუსხელიშვილი მიდის 1921 წლის ოქტომბრიდან (18 წლის) ჯერ გიოტინგენისა და მიუნხენის, შემდგომ კი პარიზის და ლიონის უნივერსიტეტებში სასწავლებლად, სადაც იღებს უმაღლეს იურიდიულ განათლებას. 1929 წელს დაასრულა სორბონის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი საერთაშორისო სამართლის სპეციალობით. სორბონის უნივერსიტეტშივე დაამთავრა ერთწლიანი „აგრეგასინ“ (საკანდიდატო გამოცდები) და მიიღო კანდიდატის ხარისხი, სადაც მუშაობას იწყებს ამავე უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტის პრივატ-დოცენტად, ხოლო პარალელურად 1932-33 წლებში იგი ლექციებს კითხულობდა პარიზის უნივერსიტეტის საერთაშორისო გამოკვლევათა უმაღლეს ინსტიტუტში.

როგორც უკვე ზემოთ ავღნიშნეთ, მ. მუსხელიშვილი ემიგრაციაში 1921 წელს წავიდა, როცა მოხდა საქართველოს ანექსია საბჭოთა რუსეთის მიერ. იგი ვერ ეგუებოდა არსებულ მდგომარეობას და სრულიად დაუფარავად აკრიტიკებდა მას, საინტერესოა მისი იურიდიული შეფასება, სადაც მან 1783 წლის რუსეთ-საქართველოს ტრაქტატს საქართველოს დამოუკიდებლობის დასასრული უწოდა. ამან გამოიწვია მ. მუსხელიშვილის პოლიტიკური დევნა და მისი ისტორიოგრაფიის სრულად გაქრობა-ამოძირკვა საქართველოში ბოლშევიკთა მიერ. თუმცა მასზედ ფრანგულენოვან მანქანაში მოიპოვება გარკვეული სახის ინფორმაციები ემიგრანტულ ჟურნალებში [1] სადაც წერია, რომ მ. მუსხელიშვილი იყო მუდამ მგზნებარე, ფიცხი ტემპერამენტის კაცი, დაულაღავი მკვლევარი და მაძებარი, მწხრევავი, რაც გამოიხატება იმაში, რომ იგი ვერ კმაყოფილდებოდა იურისპრუდენციით და აქტიურ მონაწილეობას იღებდა პოლიტიკურ საქმიანობაშიც. გარდა ამისა მ. მუსხელიშვილის პიროვნული დახასიათებას ვხვდებით აგრეთვე ბატონ ილია ტაბაღუას ნაშრომში, სადაც მას დეტალურად აქვს აღწერილი მათი შეხვედრა პარიზში, 1961 წლის მაისში პროფესორ მიხეილ მუსხელიშვილთან, იგი წერს, რომ [2] მ. მუსხელიშვილი იყო მაღალი, ახოვანი, სიმპატიური და რაინდული შესახედაობის კაცი. მუსხელიშვილს პირადად ვიცნობდი, როდესაც 1961/62 სასწავლო წლებში საფრანგეთში, პარიზში მუშაობის დროს, არქივებსა და ბიბლიოთეკებში სტრასბურგში ჩავედი. ერთხელ საღამოს მის ბინაზე დავერევე, მოვახსენე ვინც ვიყავი და შეხვედრა ვთხოვე. პასუხი, რომელშიც დიდი სითბო იგრძნობოდა, იყო მოკლე, „თუ გნებავთ, ახლავე გელოდებით“. მივედი, დამხვდა თვითონ და მისი მეუღლე. მიღება იყო ძალიან გულთბილი, ვახშამი, საუბარი..., ბატონი მიხეილი აღმოჩნდა უაღრესად სასიამოვნო, მომხიბლავი პიროვნება, მრავალი ენის მცოდნე (ქართული, რუსული, ფრანგული, ინგლისური, გერმანული), საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო პოლიტიკის ნამდვილი დიდი სპეციალისტი, ღრმად ერუდირებული. დავესწარი მის ლექციებს სტრასბურგის უნივერსიტეტში ფრანგულ და ინგლისურ ენებზე. ამ ენებზე ისე თავისუფლად, მჭევრმეტყველურად და ორატორულად კითხულობდა ლექციებს, რომ თითოეული ამ ენის ქვეყნის მკვიდრი გეგონებოდათ. ლექციებს ზეპირად ყოველგვარი ჩანაწერების გარეშე, ორატორულად სასიამოვნო მანერით კითხულობდა. ჩვენი საუბრის დროს სულ დეტალებში მეკითხებოდა საქართველოს ამბებს. მას ყველაზე მეტად უფრო აინტერესებდა ქართველის (საბჭოთა მოქალაქის) უფლებრივი მდგომარეობა. ჩემში გაოცებამ გამოიწვია საბჭოთა კანონმდებლობის მისმა

ღრმა ცოდნამ. ვისაც მ. მუსხელიშვილთან ურთიერთობა ჰქონდა ყველა მიუთითებდნენ მის მაღალ კულტურაზე, ელენატობაზე, გულწრფელობაზე, საქმისადმი ერთგულებაზე, მაღალ ერუდიციაზე, ადამიანებთან საერთო ენის გამონახვის იშვიათ თვისებაზე, კეთილშობილებასა და მის თბილ დამოკიდებულებაზე კოლეგებთან და სტუდენტებთან [2,129].

მიხეილ მუსხელიშვილი 1935-48 წლებში მუშაობდა კაიროს სამართლის ფრანგული სკოლისა და კაიროს უნივერსიტეტის ჯერ ექსტრაორდინალურ, შემდგომ კი ორდინარულ პროფესორად. 1946-48 წლებში იყო ამავე უნივერსიტეტის სამართლის კათედრის გამგე და ასევე ეგვიპტის ხელისუფლების მრჩეველი საერთაშორისო სამართლისა და პოლიტიკურ მეცნიერებების მიმართულებით. ამის შემდგომ მიხეილი ბრუნდება საფრანგეთში და 1948 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ წლებამდე იყო სტრასბურგის იურიდიულ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის წამყვანი პროფესორი.

1948-1949 წლებში მან შექმნა სსრკ-ისა და აღმოსავლეთ ევროპის (ე.წ. სოციალისტური) შემსწავლელი სამეცნიერო კვლევითი ცენტრი, რომელიც 18 წელი სათავეში ედგა მას, რომელსაც შემდგომ მას „მუსხელის“ [3] (საფრანგეთის რესპუბლიკის ოფიციალურ გაზეთშია ცნობა, სადაც წერია, რომ ქაიროს ფრანგული სკოლის პროფესორმა Michel Mouskhelishvili-მა მიმართა ქაიროში იუსტიციის სამინისტროს, მისი გვარის შეცვლის თაობაზე. უნივერსიტეტის პროფესორმა მიხეილ მუსხელიშვილმა შეიცვალა გვარი და ის იწოდება დღეიდან მიშელ მუსხელად, Michel Mouskell) ცენტრი უწოდეს (ეხლაც მუსხელის ცენტრი ჰქვია). „მუსხელის“ ცენტრი წარმოადგენდა პოლიტოლოგიისა და საერთაშორისო სამართლის, სოვეტოლოგიის დარგის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცენტრს საფრანგეთში, სადაც მუშავდებოდა ევროინტეგრაციის და ევროპული საზღვრების მოშლის იდეა. იგი იყო პირველი ქართველი და ერთ-ერთი პირველი პოლიტიკური მოღვაწე მსოფლიოში, რომელმაც ევროგაერთიანების და ევროპული საზღვრების მოშლის იდეა წამოაყენა და დაიცვა. ამის პოლიტიკური და სამართლებრივი ხედვა ასახულია მის მონოგრაფიაში „ევროპის ფედერალიზმის სტრუქტურა“. ამავე ცენტრში დაარსა საერთაშორისო სამეცნიერო კრებული, რომელშიც აქტიურად თანამშრომლობდნენ მსოფლიოში ცნობილი მეცნიერები: ჟორჟ კედელი, რობერ მოსესე, გუი ერო, ანრი შამბრი და მრავალი სხვა. პროფესორმა ამავე ცენტრში გამოსცა ორი კრებული, რომელსაც უძღვის მისი ვრცელი წინასიტყვაობა, ორივე ტომმა მალევე ჰპოვა საერთაშორისო გამოხმაურება მსოფლიოს წამყვან მეცნიერთა წრეებში [4]. ამიტომაცაა, რომ მ. მუსხელიშვილი დღემდე რჩება პოლიტოლოგიის ფრანგული სკოლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან და წამყვან ლიდერად. ხოლო მუსხელის ცენტრში მისი რედაქციით და თანაავტორობით გამოცემული პოლიტოლოგია-სამართალმცოდნეობის დარგის ფუნდამენტური ორტომიანი მონოგრაფია, დღესაც დასავლეთის პოლიტოლოგთა სამაგიდო წიგნად ითვლება.

საინტერესო მოსაზრებებია ასახული აგრეთვე ევროპული ფედერაციის მომავალი ფორმის და მის გაერთიანების შესახებ მუსხელიშვილის ნაშრომებში, რომლებიც ფრანგმა გამომცემლებმა ჟან ფრანსის ბიონმა და ჟან ლუკ პრეველმა მოიძიეს, შეკრიბეს და ერთ წიგნად გამოსცეს 1930-40-50 იან წლებში მუსხელიშვილის მიერ დაწერილი სტატიები, საერთო სათაურით „კონფედერაცია და ფედერაცია“ რომელთა ანოტაცია გვამცნობს 2012 წლის 20 ივლისის ნომერში [5] ფედერალიზმის რაობას: ფედერაცია ეს არის სუვერენიტეტის ცნება, რომელიც ასაფუძვლებს განსხვავებას ფედერაციასა და კონფედერაციას შორის. კონფედერაცია ეფუძნება ხელშეკრულებას, ფედერაცია კი-კონსტიტუციას. კონფედერაცია ქვეყნების გაერთიანებაა, ფედერაცია კი ამასთან ერთად -ინდივიდების საზოგადოება. ფედერაციაში კანონი დომინირებს ძალაზე. ფედერაცია აღჭურვილია უფლებამოსილებით, რომლის განხორციელებაც აღარ ან არ არის მიზანშეწონილი ფედერირებულ სამელმწიფოსათვის (თავდაცვა, საგარეო პოლიტიკა, ეკონომიკური პოლიტიკა და ა.შ). უფლებამოსილებათა გადანაწილება ხდება სუფსიდიარულ პრინციპებზე: ფედერირებული სახელმწიფოები ფლობენ ყველაინაირ უფლებამოსილებას, რომელიც არ იყო ფორმალურად მინიჭებული ფედერალური სახელმწიფოსათვის. ეს უფლებები განეკუთვნება ნაციონალურ, რეგიონალურ, კანტონალურ (შვეიცარია) საქმეებს, რომელთა განგებაც თვით მათ სრულყოფილად შეუძლიათ (განათლება, სამოქალაქო და სისიხლის სამართლის კანონმდებლობა, საქველმოქმედო დაწესებულებები, საყოფაცხოვრებო მომსახურება და ა.შ.). მუსხელიშვილი თავის ნაშრომში წერს, რომ ფედერალიზმში „ძალასა და თავისუფლებას შორის ნაციონალური ავტონომია მორიგებულია საზოგადო წესრიგის მორჩილებასთან. წევრ-სახელმწიფოების საკონსტიტუციო ავტონომიის, სამთავრობო დაწესებულებების, შემდგომლობის, კავშირის სურვილების ფორმირებაში მონაწილეობის, კომპეტენციების გადანაწილების და არბიტრალური ხასიათის ფედერალური სასამართლოს დაწესების საშუალებით. მიშელ მუსხელი ასევე საუბრობს ფედერალურ კონსტიტუციაზე და აღნიშნავს, რომ იგი უნდა იყოს მოკლე და შემოგვათავაზოს „საერთო იდეალი“. რა იქნება ეს იდეალი ევროკავშირისათვის?!

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ თანამედროვე ევროკავშირის კონსტიტუცია დგას მიხეილ მუსხელიშვილის მიერ დაწერილი კონსტიტუციის ფუნდამენტალურ პრინციპებზე. მ. მუსხელიშვილმა, გასტონ სტეფანთან ერთად 1949 წელს დაწერა ევროპული კონსტიტუცია, სადაც განწერილია პოლიტიკური და სოციალური დემოკრატიის პრინციპები, რაც დაფუძნებულია მშვიდობაზე და სოციალურ სამართალზე ფედერაციის ერთიანობაში და ფედერაციული სახელმწიფოების სხვადასხვაობაში. მუსხელიშვილი განმარტავს, რომ თუ „კონსტიტუციამ მიიღო გარკვეული ეკონომიკური და სოციალური ლოგიკა, ის შემოიტანს ფედერაციაში განხეთქილების სხვადასხვა მოტივებს, რომელთაც შეეძლება ფატალური დისკუსიების პროვოცირება კავშირის შენარჩუნებაზე“. მართლაც ძნელი წარმოსადგენია, რომ ფედერაციის კონსტიტუცია იღებს გარკვეულ ეკონომიკურ და სოციალურ იდეოლოგიას წევრ-სახელმწიფოების მთავრობების დაპირისპირების რისკის ფასად, ევროპული ხალხის დემოკრატიული კონტროლის ქვეშ მყოფ ფედერალურ მოძრაობაზე დამოკიდებული ისეთი არჩევანის გაკეთება, რომელსაც შეეძლება შემდგომი არჩევნების მიმდინარეობის შერყევა. დღეს იმ სიძნელის წინაშე, რასაც ევროპის დონეზე გადანყვებილების მიღება ქვია, კავშირის კონფედერალური ბუნების გამო, მთავრობები ცდილობენ გადანყვებილებათა კონსტიტუციონირებას, მაგალითად საბიუჯეტო ხელშეკრულების შემთხვევაში, რომელიც არ უნდა იყოს კონსტიტუციური ხასიათის. ჩვენ მოხარული ვიქნებით დავრჩეთ მასტრიხტის შეთანხმების ფარგლებში. ეს მდგომარეობა ფაქტობრივად არის აღიარება უმწეობისა, რომელიც, პირველყოვლისა, გამოწვეულია კავშირის ცუდი მმართველობისაგან. დასასრულს იგი წერდა, რომ „უნდა გამოვიდეთ ევროპული რეალობებიდან და ფედერალიზმი შეუთავსოთ ამ რეალობებს. ევროპა კი არ უნდა დაექვემდებაროს ფედერალისტურ პრინციპებს, არამედ უფრო ფედერალისტური პრინციპები უნდა მოერგოს ევროპულ რეალობას“. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ევროპული ფედერალიზმის ფორმა კიდევ გამოსაგონებელია?. ნაშრომის დასასრულს იგი ხაზგასმით აღნიშნავს ფედერაციული პრინციპის მოქნილობას და სიმდიდრეს, რომელიც ითვალისწინებს ყველა რთულ და მგრძობიარე დე ფაქტო სიტუაციებს. ეჭვს გარეშეა, რომ ევროპული ფედერაცია არ მიიღებს ფორმას, ადაპტირებულს ძლიერ ინდივიდუალიზმთან და მისი შემქმნელი ნაციონალური სახელმწიფოების ხანგრძლივ ისტორიასთან. ამიტომ არის, რომ შეიძლება აპრიორი ითქვას, რომ ევროპული ფედერაცია არ იქნება არცერთი მანამდე არსებულ ფედერალურის სისტემის მსგავსი. ეს იქნება ფაქტობრივად ერთი სუვერენული სახელმწიფო სხვებს შორის, ერთი ეტაპი მსოფლიო ფედერაციისაკენ, რომელიც ერთადერთი საშუალება იქნება ფედერალიზმის სრული რეალიზაციისა ომის ლოგიკის უნივერსალური გადაჭრის გზით, რომელიც შედგება სახელმწიფოების სუვერენიტეტისა, მისი უსასრულო მშვიდობის ლოგიკით შეცვლა და სამართლის გაბატონება ძალმომრეობაზე.

მიხეილ მუსხელიშვილი აქტიურად მონაწილეობდა ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენცია - კონგრესებზე. იგი ყოველთვის საინტერესო და ვრცელი მოხსენებებით გამოდიოდა ევროინტეგრაციის და ერთიანი ევროპული საზღვრების მოშლის ინიციატივით, ევროპის საერთო ბაზრის შექმნის და ერთიანი ევროპული განათლების სისტემის მოდერნიზაციის იდეით. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მისი მოხსენება და ისტორიული გამოსვლა 1950 წლის 6 აგვისტოს ევროკონფერენციაზე სტრასბურგში, რომელიც ჩატარდა მისი უშუალო ინიციატივით. ევროკონფერენციის გახსნის წინა დღეს, ევროპის 8 ქვეყნის 300-ზე მეტმა სტუდენტმა, ევროგაერთიანების მგზნებარე ინიციატორის მიხეილ მუსხელიშვილის და სამი სხვა მომხრე პროფესორის წინამძღოლობით, მოშალა საფრანგეთ-გერმანიის სასაზღვრო ინფრასტრუქტურა და აღმართა ერთიანი ევროპის დროშა „ჩვენ მხოლოდ პატარა კოცონი დავანთეთ, დიდი ცეცხლი ეხლა სტრასბურგში უნდა გაჩაღდეს, რომ ევროპული გულებიც აინთოს,.... თქვა მაშინ მ. მუსხელიშვილმა.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია აგრეთვე მისი გამოსვლა და ინიციატივა საერთო ევროპული ბაზრის შექმნის შესახებ ბრიუსელში, [6, 43-44] 1958 წლის 23-27 აპრილს ბრიუსელში მსოფლიო გამოფენის C.E.C.A-ს პავილიონში შედგა ევროპულ პროფესორთა ასოციაციის მორიგი კონგრესი, რომლის მუშაობის დღის წესრიგში იყო ორი საკითხი: ევროპის საერთო ბაზარი და ევროპის საერთო დაწესებულებები. მოხსენებები ეხებოდა ევროპის ეკონომიკური მთლიანობის იურიდიულ ბუნებას და მის საერთო ასპექტს, მის ფსიქოლოგიურ მხარეს. მ. მუსხელიშვილმა კი ვრცელი მოხსენება წარადგინა, ევროპის საერთო ბაზრის შექმნის, მისი ინტეგრაციის (მთლიანობის) შესახებ და მის სამართლებრივ ასპექტებზე, რომელმაც დიდი გამოხმაურება ჰპოვა, როგორც ადგილობრივ ისე საერთაშორისო პრესა-პუბლიკაციებში. იგი მიიჩნევდა, რომ ევროპის გაერთიანების შედეგად უნდა მოხდეს ევროპის ბაზრის გაერთიანება, რაც გაადვილებდა სავაჭრო კავშირებს ქვეყნებს შორის და შექმნიდა ერთიან საბაზრო სისტემას ევროპის კონტინენტზე. ევროპის საერთო ბაზრის სისტემის შექმნა ხელს შეუწყობდა ევროპული ქვეყნების გაერთიანებას და გაერთიანების შემდგომ მის საერთო სიმტკიცის შენარჩუნებას. 1948-51 წლებში მ. მუსხელიშვილი საუნივერსიტეტო საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტ-დამაარსებელია. 1952 წლიდან იგი იყო ევროპულ პროფესორთა ასოციაციის გენერალური მდივანი. 1952 წლის 25 სექტემბერს პარიზში შეიქმნა სპეციალური კომისია [7], რომლის შემადგენლობაში შევიდნენ მ.

მუსხელიშვილი, მ. ორე, ს. ბერგსტონი, ა. ნიკურაძე, გ. მიშო, ალ. მარკი. რ. ნორთი და სხვა. ამ კომისიას უნდა შეემუშავებინა დებულება ევროპულ პროფესორთა ასოციაციის შესაქმნელად, ხოლო 1955 წლის სექტემბერში ქ. ტრიესტში მოიწვიეს კონგრესი, რომელშიც წარმოდგენილი იყო 18 ქვეყნის 120 წარმომადგენელი. აქ შეიქმნა ევროპულ პროფესორთა ასოციაცია, რომლის მიზანი იყო ევროპული ინტელექტუალური და კულტურული ერთიანობის ორგანიზაციის და განვითარების ხელშეწყობა. ტრიესტის კონგრესზე მთავარმა მომხსენებელმა მიშელ მუსხელმა თქვა, ახლა დადგა საკითხი ევროპელთა ინტელექტუალური და კულტურული ერთობის გაერთიანების შესახებ. აღსანიშნავია ისიც, რომ ტრიესტის კონგრესის მიზანი იყო ევროპის ქვეყნების უმაღლეს სასწავლებლებში, სწავლების მეთოდების ჩამოყალიბება, ევროპის უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა დაახლოება, გონივრული ურთიერთობების განვითარება. ეს იგივეა, რასაც დღეს ბოლონის პროცესი გულისხმობს, რომლის მიზანია ევროპული ქვეყნების განათლების სისტემების დაახლოება და ჰარმონიზაცია, ერთიანი ევროპული სივრცის შექმნა უმაღლესი განათლებისათვის. ტრიესტის კონგრესზე შეიქმნა ევროპულ პროფესორთა ასოციაცია და განხილული იქნა საკითხების საფუძვლიანად შემუშავებისათვის კომისიები, ასოციაციის პრეზიდენტად არჩეულ იქნა პროფესორი ვ. არანჯო-რუიმი-ლინიჩის ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი იტალიიდან, ვიცე-პრეზიდენტად პროფესორი ს. დემპვი-მიუნხენიდან, ასევე პროფესორთა საჭოს წევრი ალ. ნიკურაძე გერმანიიდან და გენერალურ მდივანად პროფესორი მ. მუსხელიშვილი საფრანგეთიდან.

მ. მუსხელიშვილი აქტიურად მონაწილეობდა საფრანგეთში „ერთიანი ევროპის წარმომადგენელთა არჩევნებში, იყო ჟურნალ „ევროპის ფორმირები“-ს რედაქციის კომიტეტის წევრი და ჟურნალ „სოციალისტური ამრის“ დამაარსებელი და რედაქტორ-გამომცემელი.

1953 წლის 10 აგვისტოს ოფიციალურად დაარსდა სტრასბურგში „ევროპული ქართული მოძრაობა“, რომლის სულისჩამდგმელი და ინიციატორი ასევე მიხეილ მუსხელიშვილი იყო. „ქართულ-ევროპული მოძრაობის“ საინიციატივო წრემ დაარსა სამდივნო შემდეგი შემადგენლობით: ალ. ჯინჭარაძე, ვ. სალია, მ. ალშიბაია, ვ. ცხომელიძე. სამდივნო ხელმძღვანელობდა მოძრაობის მუშაობას ყრილობის მოწვევამდე. „ევროპული ქართული მოძრაობის“ საპატიო თავმჯდომარედ არჩეულ იქნა პროფესორი მიხეილ წერეთელი, ხოლო საპატიო წევრად გრიგლ რობაქიძე. „ევროპული ქართული მოძრაობა“-ს საფუძვლად დაედო 1953 წლის 7 აპრილს, ქ. მიუნხენში შეკრებილი დამფუძნებელი კრების მიერ შემუშავებული და დამტკიცებული შემდეგი წესდება: 1) ქართველთა შორის ევროპის სახელმწიფოთა კავშირის და მასში სუვერენული, დემოკრატიული საქართველოს შესვლის აუცილებლობის იდეის გავრცელება. 2) გაცნობა უცხოელთათვის, რომ საქართველო მუდამ იყო სულიერად და კულტურულად ნაწილი ევროპისა და სურს გახდეს მისი წევრი. ამ მიზანთა მისაღწევად, იგი უკავშირდება კავკასიელ მეზობელთა და ევროპის სხვა ერთა ევროპულ მოძრაობებს. მოძრაობის წესდებაში ხაზგასმულია, რომ „ქართული-ევროპული მოძრაობა“ არ იყო კუთვნილება რომელიმე პარტიისა ან ჯგუფისა. მასში მონაწილეობის მიღება შეეძლო ნებისმიერ ქართველს, განურჩევლად რელიგიური მრწამსისა და პოლიტიკური შეხედულებებისა, ვინც აღიარებდა საქართველოს სუვერენობას და იზიარებდა ევროპის მთლიანობის იდეას [8, 30-31].

მიშელ მუსხელი 1954 წლიდან იყო ევროპის უნივერსიტეტთა ასოციაციის დამაარსებელი და ორჯერ არჩეული გენერალური მდივანი. ამავე წლებში პოლიტიკურ მეცნიერებათა საერთაშორისო საზოგადოების დამაარსებელი, მეცნიერული პრესის საერთაშორისო კავშირის (ამ კავშირის ვიცე პრეზიდენტი იყო კალისტრატე სალია) და სხვა უამრავი სამეცნიერო თუ საზოგადოებრივი გაერთიანების წევრი.

ცნობილ მეცნიერს ხშირად იწვევდნენ ლექციების წასაკითხად მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში, მათ შორის ნორვეგიაში, იტალიაში, აშშ-ში, სკანდინავიის ქვეყნებში, ჰოლანდიაში, შვეიცარიაში და სხვა. მ. მუსხელიშვილი 1954 წელს მიწვეული იყო The American Friends Service Committee-ს მიერ აშშ-ში ლექციების წასაკითხავად. პროფესორმა წაიკითხა მოხსენებები ჩრდილოეთ ამერიკის ყველა დიდ ქალაქში და უნივერსიტეტებში, პოლიტიკურ და დიპლომატიურ წრეებში, რელიგიურ საზოგადოებებში. მის ლექციებს ყველგან უამრავი ხალხი ესწრებოდა. ვაშინგტონში ერთ მის მოხსენებაზე მოვიდნენ მთელი დიპლომატიური წარმომადგენლობის კულტურულ სექციათა ხელმძღვანელები. იქიდან დაბრუნების შემდეგ იგი გაემგზავრა სკანდინავიაში ოსლოსა და უკსალას უნივერსიტეტების მიწვევით, მოხსენების თემა იყო ევროპის ცივილიზაციის კრიზისი და ევროპის კულტურის გაცოცხლების აუცილებლობა [9, 30]. მ. მუსხელიშვილის სტატიებიდანაშრომები იბეჭდებოდა ფრანგულ, გერმანულ, ინგლისურ ენებზე. „Monde Nouveau“, Trvaux et Enquetes კრებულებში, ასევე ნინო და კალისტრატე სალიას პარიზში გამომავალ ქართულ ჟურნალში „ბედი ქართლისა“ ესენია: „საქართველო და ევროპა“, „ერთა თვითგამორკვევის უფლებისათვის“, „რუსეთი არ არის ევროპა“, „დამონებულ ერთა წამომადგენლობისათვის“, „სსრკ

ანუ მითი ბედნიერ ერებზე”, „პროლეტარიატის დიქტატურა სახელმწიფო ლევიათანში”, „საბჭოთა ფედერალიზმი”, „ეროვნებები და ლინგვისტიკა სსრკ-ში”, „იურიდიული ბუნება საბჭოთა კავშირში” და მრავალი სხვა.

მიხეილ მუსხელიშვილის პირველი, ყველაზე ცნობილი და პოპულარული ნაშრომებია გამოცემული ფრანგულ ენაზე, ესენია: 1) Michel Mouskheli. L'equite en Droit International Modern. Paris. 1933. 2) Michel Mouskheli. Autonomie. 1934, 3) Michel Mouskheli. Le Plebiscite de la Sarre. 1933. (პირველი სამი ნაშრომი გამოსვლისთანავე მიშელ მუსხელმა დიდი სიყვარულითა და ენთუზიაზმით 1933 წელის მაისში გამოუგზავნა თავის დედას წარწერით „ჩემ საყვარელ და ძვირფას დედიკოს სახსოვრად მისი საყვარელი შვილისაგან”, რომელიც დაცულია მუსხელიშვილების პირად არქივში) 4) Michel Mouskheli. La theorie juridique de l'Etat federal: 60 fr. (J.Pedone) 1931. (18 ივლისის #457 წელს „ახალი ლიტერატურა“-ში პარიზის სამეცნიერო ჟურნალში ცნობაა, რომ გამოვიდა მუსხელის ნაშრომი ფედერალური სახელმწიფოს იურიდიული თეორია). 5) Michel Mouskhely, Gaston Stefani, „Draft of a European Federal Constitution” 1948.

მ. მუსხელიშვილი გატაცებული იყო ალპინიზმით, ის ხშირად დადიოდა სალაშქროდ. 1964 წლის 16 ივლისს ერთ-ერთი ასვლის დროს იტალიის ალპებში, აოსტას ხეობაში მწვერვალ სევინის დაპყრობის შემდეგ, დაშვებისას იგი კლდიდან ჩამოვარდა და ტრაგიკულად დაიღუპა. უფრო დეტალურადაა ფრანგულად აღწერილი გარდაცვალების მიზეზი ნეკროლოგში, რომლის თარგმანი ასეთია: მ. მუსხელი 1964 წლის ივლისის დასაწყისში გაემგზავრა სტრასბურგიდან ვალე დ'აოსტაში იტალიაში, ევროპის ფედერალიზმის უნივერსიტეტში ლექციების წასავითხად. იგი ამას ყოველწლიურად აკეთებდა არდადეგების დროს. მან გადაწყვიტა, რომ ჯერ ასულიყო იტალიის ალპებში, სერვენის მასივში „დიდი ტორნალინის მწვერვალზე (3.378 მ) ხოლო შემდეგ ჩასულიყო ქალაქ აოსტაში და ლექციები წაეკითხა, რომელიც მდებარეობს ჩრდილოეთ იტალიის ალპებში საფრანგეთისა და შვეიცარიის საზღვართან. მას ახლდა სამი პიროვნება: თავისი შვილობილი ვაჟიშვილი ფრანგი, ჰოლანდიელი მეგობარი ჟან ვესტერნბროეკი, რომელიც ასევე ლექციებს კითხულობდა ქალაქ აოსტას უნივერსიტეტში და ერთი გერმანელი სტუდენტი. „1964 წლის 11 ივლისს დილით მ. მუსხელიშვილი ავიდა მწვერვალზე და უკან დაბრუნებისას ფეხი დაუსხლტა და გადაიჩეხა კლდეზე. ძალზედ საინტერესოა ამ უბედური შემთხვევის აღწერა ბატონი ჟან ვესტერნბროეკის მიერ, რომელიც დეტალურადაა ფრანგულ ნეკროლოგში გადმოცემული. სამშაბათს ჩვენ დილით დავტოვეთ ვალტურმანში. „დიდი ტორნალინის“ მწვერვალზე ასვლის შემდგომ ვისაუბრეთ და სურათები გადავიღეთ. ამინდი ისეთი კარგი იყო, რომ სამწუხაროდ უკან დავბრუნდით მხოლოდ დღის სამ საათზე, როდესაც უკვე ყინულს დნობა დაეწყო. ჩვენ ვიყავით ნახევარ გზაზე, ტორნალინის დიდ და პატარა მწვერვალებს შორის, როდესაც გზაზე პროფესორი ნაბორძიკდა და ფეხი დაუსხლტა. რამდენადაც ჩვენ თოკებით უკვე აღარ ვიყავით ერთმანეთთან გადაბმული, ჩვენ არაფრის გაკეთება აღარ შეგვეძლო, თუ არა მართო გვეყვირა, „ბუჩქებს მოეჭიდეთ“, მან ვერაფერს მოსჭიდა ხელი და პირდაპირ გადაეცვა 150 მეტრიდან ციკაბო შიშველ კლდეზე“. პროფესორის მხლებელნი მაშინვე გაეშურენ ვალტურმანთან ახლოს მდებარე პატარ სოფელ შენეილისაკენ და უხმეს მაშველებს. მაშველების მობილიზებას და იქ მისვლას ათი საათი დასჭირდა, რა დროსაც პროფესორი უკვე გადრაცვლილი იპოვეს და მისი ცხედარი აოსტაში ჩამოასვენეს. ამ უბედური შემთხვევის გაგების შემდგომ მუსხელიშვილის მეუღლე ქალბატონი ნინა ჩამოვიდა აოსტაში და მისი ცხედარი სტრასბურგში გადაასვენა, სადაც მისი დასაფლავება მოხდა 17 ივლისს პარასკევს 16 საათზე სტრასბურგ-რობერტსოს ჩრდილოეთ სასაფლაოზე. აღსანიშნავია ისიც, რომ მისი დასაფლავება მოხდა ორთოდოქსული წესით და ამ მესიას ხელმძღვანელობდა მამა ჟან არნუ. ვინაიდან მუსხელიშვილს საკუთარი შვილი არ ყავდა (თუ არ ჩავთვლით მის ფრანგ შვილობილს), ტრადიციისამებრ მისი კუბო ჩასვენა საფლავში მისმა ყოფილმა უახლოესმა ექვსმა სტუდენტმა.

მ. მუსხელისშვილის დაკრძალვას მთელი უნივერსიტეტი დაესწრო, სამგლოვიარო სიტყვა წარმოსთქვა სტრასბურგის უნივერსიტეტის რექტორმა დ. ფ. ანჟელოსმა, პროფესორმა ა. ვიელმა და იურიდიული ფაკულტეტის დეკანმა პროფესორ რუაერ-მა. ასევე ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის მოადგილემ პოლ მოდინმა. ორივე პროფესორმა განსაკუთრებით აღნიშნა მიშელ მუსხელის სიკეთე, სისადავე, სულიერი კეთილშობილება, ინტელიგენტობა, ცოცხალი ხასიათი და მგზნებარება, რაც ნამდვილად ახასიათებდა ამ ქართველ კაცს, რომელიც ვერ მოესწრო თავისი მშობლიური უნივერსიტეტი დაემშვენებინა [10, 184-186].

61 წლის მეცნიერის დაკარგვამ დიდი სინანული გამოიწვია მთელ ევროპაში. ეს ჩანს ფრანგული წამყვანი გაზეთების „მონდის“ და „ფიგაროს“ ფურცლებიდან, სადაც ვკითხულობთ... „პირადი ვაჟკაცობა და შემართება, გასაოცარი ენთუზიაზმი, ინტელექტუალური სიმდიდრე შეადგენდა, ხასიათის სიძლიერესა და ნებისყოფის სიმტკიცესთან ერთად, ამ შესანიშნავი პიროვნების თვისებებს. ევროპის უნივერსიტეტთა

და ევროპულ მოძრაობათათვის ეს აუნაზღაურებელი დანაკლისია, მიშელის დაკრძალვამ გვიჩვენა, თუ რაოდენ დიდი პატივისცემით და სიყვარულით სარგებლობდა იგი კოლუგებსა და სტუდენტებში. მისი სახით ჩვენ დავკარგეთ ნათელი გზის და მაღალი კვალიფიკაციის პროფესორი, სულიერებით, კეთილშობილებით და გონიერებით გამორჩეული.....

ასევე ვკითხულობთ გაზეთი „ფიგარო“-ში, [11] რომ ნიჭიერი პროფესორის სიყვარული და პატივისცემა იმდენად დიდი იყო, რომ მუსხელიშვილის გარდაცვალების წლისთავზე ორმა რომაელმა სტუდენტმა 23 წლის ჯანი რუტმა და 22 წლის კარლო გრაციანიმ მონ ბლანზე ერთიანი ევროპის დროშა აღმართა, ერთიანი ევროპისათვის მხურვალე მებრძოლის სახელის უკვდავსაყოფად. მათ ეს დიადი ქცევის აქტი, საყვარელი სტრასბურგელი პროფესორის სიონისადმი მიუძღვნიათ.

ამრიგად, აქ წარმოდგენილი პოლიტიკური ინიციატივები მოწმობს იმას, რომ ევროპის კავშირის შექმნის იდეის პირველი აპოლოგეტი სწორედ მიშელ მუსხელი იყო. აქედან გამომდინარე შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ ცნობილი ევროპოლიტიკოსის მიხედვით მუსხელიშვილის შემოქმედების ანალიზის საფუძველზე გამოვლინდა მის მიერ ინიცირებული შემდეგი ახალი მნიშვნელოვანი ფაქტები, რაც დასკვნის სახით შეიძლება ასე ჩამოვაცალიბოთ: კერძოდ, ა) 1948 წელს მან ფრანგ კონსტიტუციონალისტ გასტონ სტეფანის ერთად შექმნა ევროპის ფედერალური კონსტიტუციის პროექტი, რომლის მნიშვნელოვანი დებულებანი საფუძვლად დაედო თანამედროვე ევროკავშირის სამართალს. ბ) მას ეკუთვნის ერთიანი ევროპული ბაზრის შექმნისა და ევროგაერთიანების ინსტიტუციების დაარსების იდეა (რაც მერე განხორციელდა ევროპარლამენტის, ევროკომისიის, ევროკავშირის საბჭოს და სხვათა შექმნით). გ) ევროპაში საზღვრების მოშლის კონცეფცია (რაც დღეს განხორციელდა ე.წ. შენგენის ვიზის სახით, რამაც ევროკავშირში ფაქტობრივად საზღვრები მოშალა). დ) ევროპულ საგანმანათლებლო სივრცის მოდერნიზაცია და ევროპულ საგანმანათლებლო სისტემების და პროგრამების ჰარმონიზაცია (რაც მერე განხორციელდა ე.წ. „ბოლონიის პროცესის“ სახით და ა.შ). ე) მიხედვით მუსხელიშვილი „ევროპის საბჭოს საკონსულტაციო ასამბლეის წარმომადგენლის მანდატს“ ფლობდა, რომელიც დათარიღებულია 1952 წლით, ხოლო აღნიშნული საბჭო შეიქმნა 1949 წლის 5 მაის ლონდონში დასავლეთ ევროპის ათი სახელმწიფოს მიერ, რომლის შტაბბინა სტრასბურგში მდებარეობს. ამ საბჭოს ფუნქციონირებასა და მის დაარსებაში ქართველი ევროპოლიტიკოსის წვლილი შემდგომი კლევის საგანია. და ბოლოს ვ) 1953 წელს მან შექმნა პირველი „ქართულ-ევროპული მოძრაობა“ საფრანგეთში, რომელიც შემდგომ საფუძვლად დაედო ქართულ-ევროპული მოძრაობის შემორანდუმის კონცეფციას.

ბამოყენებული ლიტერატურა

1. ჟურნალი „კავკასიონი“ 1965 წ. ტ. X, პარიზი. გვ.166
2. საქართველოს ურთიერთობა ევროპისა და ამერიკის ქვეყნებთან. ევროპისა და ამერიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. ტ. 1, მეცნიერება. 1994, გვ. 115/118/129
3. Journal Officiel de la Republique Francaise # 73. 1944 წლის 31 აგვისტო
4. გაზეთი „ფიგარო“ 2.ÍÍ. 1965
5. La Taurillon -ევრომოქალაქის ჟურნალი. მიშელ მუსხელი. კონფედერაცია და ფედერაცია: ანტითემა. 2012. 20 ივნისი. სტატიის ავტორი ჯონათან ლევეგლი.
6. ჟურნალი „ბედი ქართლისა“ #28-29 გვ.43-44
7. ჟურნალში „ბედი ქართლისა“ #21-22. გვ. 27-29, 1-5, 7-8.
8. ჟურნალი „ბედი ქართლისა“ #15, 1953 წლის სექტემბერი. გვ.30/31.
9. ჟურნალი „ბედი ქართლისა“ 1954 წლის #17, გვ 30
10. Revue de Kartvelologie. # 45/46. Paris. გვ.184/86
11. Figaro, 12.08.1965
12. Berdiev. Les sources et le sens du communism russe.
13. Preface au livre de G.Jorre, L'URSS,la terre et les homes.1946
14. Ils'agit de la terminologie de Sir Harold Mackinder, Democratic Ideals and Reality
15. ჟურნალი „ბედი ქართლისა“ #18. 1954 პარიზი, მ. მუსხელიშვილი, გვ.15/16
16. მ. მუსხელიშვილი, ქართულ-ევროპული მოძრაობის გამოცემა, 1952 წ. პარიზი. გვ. 10-16
17. მ. მუსხელიშვილი, საქართველო და ევროპა. 1953 პარიზი.

ევროკავშირის გაფართოების თეორიული ხედვები და მათი პრაქტიკული იმპლემენტაცია საქართველოს სახელმწიფო ინსტიტუტებში

ნინო ფაულენიშვილი
ასოცირებული პროფესორი,
ხელოვნებისა და მეცნიერების ფაკულტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

მაია იაკობიძე
პროტოკოლის განყოფილების უფროსი
საერთაშორისო ურთიერთობის დეპარტამენტი

აბსტრაქტი

წარმოდგენილი ნაშრომი იკვლევს ევროკავშირის გარე მმართველობის პოლიტიკას არანევრი ქვეყნის შიდა სტრუქტურების ინსტიტუციური განვითარების პროცესში. განხილულია გარე მმართველობის ძირითადი მექანიზმები. ნაშრომი მიმოიხილავს რაციონალურ და კონსტრუქტივისტულ თეორიებს ევროკავშირის გაფართოებასთან მიმართებაში. გარე-მართველობითი პოლიტიკის თეორიული საფუძვლები თეორიული ხედვების მნიშვნელოვანი ნაწილია. კვლევა ცდილობს, აჩვენოს არანევრი სახელმწიფოში გარე მმართველობის ინსტიტუციური პოლიტიკის ფარგლებში იმპლემენტირებული ინსტიტუციური გარდაქმნები სხვადასხვა შიდა სტრუქტურებში. აღწერილია საქართველოში მიმდინარე ცალკეული ინსტიტუციური სისტემების (სასჯელალსრულება, მართლმსაჯულება) ინსტიტუციური რეფორმირება. ნაშრომი ასკვნის, რომ ევროკავშირის სამომავლო გაფართოების პოლიტიკა განისაზღვრება ორგანიზაციის დამოკიდებულებით წევრობის მსურველი ცალკეული ქვეყნის მიმართ - გაფართოების სტრატეგია იცვლება ყოველი კონკრეტული ქვეყნისათვის.

THEORETICAL VISIONS OF EU ENLARGEMENT AND THEIR PRACTICAL IMPLEMENTATION IN THE STATE INSTITUTIONS OF GEORGIA

NINO PAVLENISHVILI
ASSOCIATE PROFESSOR
FACULTY OF ART AND SCIENCE ILIA STATE UNIVERSITY

MAIA IAKOBIDZE
HEAD OF PROTOCOL DIVISION
DEPARTMENT FOR INTERNATIONAL RELATIONS

ABSTRACT

The paper presents the research on the European Union (EU) support to non-member countries' institutional development through the external governance control mechanisms. The effectiveness and importance of the domestic structural model, which stands out as a leading mechanism of the external governance are demonstrated. The rationalistic and constructivist theoretical approaches in terms of EU enlargement are overviewed. For theoretical complementarity is utilized Gänzle theory of the external governance policy of the EU enlargement. The work investigates institutional changes in non-member countries made in accordance with the institutional policy of the external governance of the EU that proceed unequally in the different policy making domestic structures. The paper depicts deeply the institutional development/transformation of the concrete institutions (domestic structures) in Georgia to show that the comparison demonstrates that the EU's enlargement policy prospects are determined by the EU's specific attitudes towards individual aspirant countries (difference in enlargement strategies for each).

შენაშნა

1990-იანი წლების შემდგომ, არაერთი მნიშვნელოვანი გეოპოლიტიური მოვლენის გამო ევროკავშირის პერიფერიების გაფართოების პოლიტიკა არაერთხელ შეიცვალა. ცვლილებები ძირითადად განპირობებული იყო სამი ძირითადი მიზეზის გამო (ასმუსი 2008). პირველი დაკავშირებულია ევროპაში მიმდინარე ცვლილებებთან, რომელიც განაპირობა ამერიკის შეერთებული შტატების ყურადღებისა და რესურსების ევროპიდან ახლო აღმოსავლეთში გადატანასთან 9/11-ის თავდასხმის შემდგომ. თავად ევროპაშიც დაიკვირვებოდა გაფართოებით გამოწვეული დაღლა დაკავშირებული ზოგიერთი ინსტიტუტის არასწორი რეფორმის ან ახალი წევრების მიღებისას გაუთვალისწინებელ ხარჯებთან. მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა ურყევი გადანაცვტილება დასავლეთ ბალკანეთის (ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკები, ალბანეთი) ევროკავშირსა და ნატოში ინტეგრირების შესახებ, პროცესი გაინელა. თურქეთის შანსი, გამხდარიყო ევროკავშირის წევრი, საკმაოდ შემცირდა. დემოკრატიული სამყაროს გაფართოების "ფანჯარა", რომელიც „ცივი ომის“ დასრულების შემდეგ გაიხსნა, დადგა დახურვის რისკის წინაშე (ასმუსი 2008).

მეორე ფაქტორი - სიტუაცია შეიცვალა აღმოსავლეთის მიმართულებითაც. 1990-იანი წლების ძირითადი გამოწვევა იყო დემოკრატიის კონსოლიდირება ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში. დღეს კი, ევრაზიის რეგიონის გამოწვევა სტაბილიზაციის შენარჩუნებაა შემდეგ სახელმწიფოებში: უკრაინა, თურქეთი, საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი. კვლევების მიხედვით, უკვე გამოცდილმა გაფართოების პოლიტიკამ შეიძლება, გაამართლოს ბალკანეთის ქვეყნებში, მაგრამ პოსტ-საბჭოთა სახელმწიფოებში გაფართოების პოლიტიკა ითხოვს მოდიფიცირებას ქვეყნების თავისებურებებიდან გამომდინარე. აღნიშნული რეგიონის სახელმწიფოებს აქვთ პრეტენზია, გახდნენ ევროპის ნაწილი და, შესაბამისად, მიიღონ დახმარება. ამბიცია შეუსაბამოა მათ ეკონომიკურ განვითარებასა და ღირებულებით ხედვებთან (სედელმაიერი 2003).

მესამე ფაქტორი რუსეთია - 90-იან წლებში სუსტი, ჰიბრიდულად დემოკრატიული სახელმწიფო სურვილით გამხდარიყო განვითარებული დასავლეთის ნაწილი. დღევანდელი რუსეთი ფლობს მეტ ძალაუფლებას, არის ნაციონალისტური, ავტორიტარიზმთან მიახლოებული ძალა. მოსკოვი საკუთარ თავს განიხილავს რეგიონულ, ევრაზიულ, ჰეგემონად და, შესაბამისად, საეთაშორისო თანამეგობრობას განვითარების ავტორიტარულ კაპიტალისტურ მოდელს სთავაზობს ნაცვლად დემოკრატიული ლიბერალიზმისა. კრემლის მერკანტილისტური გეოპოლიტიკა გულისხმობს, ნებისმიერი მეთოდით შეინარჩუნოს გავლენის სფეროები. თვალსაჩინო გახდა, რომ რუსეთი ცდილობს შეაფერხოს ან სულაც მოსპოს დემოკრატიული წინსვლები ისეთ ქვეყნებში, როგორცაა, საქართველო და უკრაინა. ის, როგორც წესი, იყენებს ენერგორესურსებს და ენერგომატარებლებს ზეგავლენის მოხდენის ინსტრუმენტად. სიტუაცია იძულებულს ხდის ევროპულ ქვეყნებს დაუპირისპირდნენ რუსეთს რიგ საკითხებში. სავარაუდოდ, მოსკოვის გავლენები შენარჩუნდება მანამ, სანამ ევროკავშირი ვერ შეძლებს ენერგომომწოდებლების დივერსიფიცირებას (სეფი 2014).

ცივი ომის დასრულების შემდგომ, დასავლურმა პოლიტიკამ მიიღწია ორ მნიშვნელოვან მიზანს: (ა) დამკვიდრდა ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში და (ბ) შექმნა სტაბილურობა ნატოსა და ევროკავშირის ფარგლებს გარეთ (ასმუსი 2008). გაფართოების წინა პერიოდში არსებობდა მოსაზრება, რომ გაფართოებას მოჰყვებოდა ევროკავშირის წევრებსა და არა-წევრ სახელმწიფოებს შორის დიდი პოლიტიკო-ეკონომიკური სხვაობა (შიმელფენიგი 2001). მოხდა პირიქით, ნატოსა და ევროკავშირის გაფართოება, კერძოდ კი, ბალტიის ქვეყნების მიერთება, გახდა პოზიტიური პრეცედენტი სხვა პოსტ-საბჭოთა ქვეყნებისთვის. ბალტიისპირეთის ქვეყნებმა შეასრულეს სადემონსტრაციო ეფექტის როლი. ვარდებისა და ნარინჯისფერი რევოლუციების შემდგომ, საქართველოსა და უკრაინის ხელისუფლება მეტი ერთუზიანობით მოვიდა მათი სახელმწიფოების დასავლეთთან დაახლოების თემას (ასმუსი 2008).

ევროკავშირის გაფართოების თეორიული ხედვები

სანამ უშუალოდ შევეხები გაფართოების თეორიებს, განვმარტავ ევროკავშირის გაფართოების კონცეფციას. ის ეხება, როგორც ორგანიზაციის ფორმალური წესებისა და ნორმების ეტაპობრივი ჰორიზონტალურ ინსტიტუციონალიზაციას, ასევე სოციალურად აქტიური ინდივიდების ნორმატიულ ქმედებებსა და ურთიერთქმედებებს. ჰორიზონტალური ინსტიტუციონალიზაციის პროცესში ინსტიტუტები აფართოებს ორგანიზაციას წევრებით, რომელთა ღირებულებები და ქმედებები თანხმობაშია ორგანიზაციის წესებთან. ორგანიზაციაში ყოფნა განსაზღვრულია საკანონმდებლო ბაზით. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, ყურადღება გამახვილდეს ჰორიზონტალური ინსტიტუციონალიზაციის ფორმალურ და მიზანმიმართულ ქმედებებზე. ასეთია, მაგალითად, ასოცირების შეთანხმებება ან განწვერიანების

ხელშეკრულებები - მათი გაფორმება, ხელმოწერა და ძალაში შესვლა. აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის ორგანიზაციული ნორმები შეიძლება, გავრცელდეს არაფორმალურად ორგანიზაციის საზღვრებს გარეთ, როგორც აპლიკანტ ქვეყნებში, ასევე სახელმწიფოებშიც, რომელნიც ევროკავშირის წევრობას არ გეგმავენ. პროცესი სიფრთხილეს მოითხოვს, რადგან ნორმების (ორგანიზაციის ინსტიტუციური მოდელების) არაფორმალური გავრცელება, შესაძლოა არანაწიერი ქვეყნების მიერ იმპლემენტირებული იყოს ფართო სისტემურ გამოწვევებზე რეაგირებისთვის; წარუმატებლობის შემთხვევაში იქმნება ევროკავშირისადმი უარყოფითი დამოკიდებულება. მნიშვნელოვანია, ორგანიზაციულ წესებთან, როგორც მიკრო-ჰარმონიზაცია (შიდა სტრუქტურა), ისევე მაკრო, როდესაც ინსტიტუციური რეფორმები მოჰყვება რეგიონულ ინტეგრირებას (სედელმაიერი 1998).

გაფართოების ძირითადი თეორიული ხედვები მოიცავს რაციონალურ და სოციოლოგიურ/კონსტრუქტივისტულ ინსტიტუციონალიზმს შორის დისკუსს და ეყრდნობა ინსტიტუციონალიზაციისა და ინსტიტუციური განვითარების თეორიულ კვლევებს. რაციონალური და კონსტრუქტივისტული ინსტიტუციონალიზმის საფუძველი განსხვავებულია. თუ რაციონალური ინსტიტუციონალიზმი ეყრდნობა ინდივიდუალიზმისა და მატერიალიზმის სოციალურ ონტოლოგიას, კონსტრუქტივისტულის წამყვანი ონტოლოგია - სოციალური და იდეურია (Ideational). შესაბამისად, არსებობს გადაწყვეტილების მიღებისა და შემდგომი ქმედების ორგვარი ლოგიკა - რაციონალური და კონსტრუქტივისტული (მარჩი, ოლსენი 1989).

რაციონალურ ინსტიტუციონალიზმში ინდივიდუალური, მატერიალური ინტერესები პირველადია ინსტიტუტების/ორგანიზაციების პრეფერენციებთან მიმართებაში. ორგანიზაცია განიხილება, როგორც შუალედური რგოლი, რომელიც აკავშირებს აქტორების მატერიალურ ინტერესებსა და მატერიალურ გარემოს მათ კოლექტიურ გადაწყვეტილებებთან და ქმედებებთან. ინსტიტუტებისათვის მნიშვნელოვანია სუბიექტის ქმედების შემლუდვა და წახალისება, და არ ინტერესდება მის მიერ განხორციელებული ქმედების მიზნით. ისინი აკორექტირებენ დანახარჯისა და სარგებლის კალკულაციას, მაგრამ არ ცვლიან თავად პრეფერენციებს.

კონსტრუქტივისტული მიდგომით, ინსტიტუტები ქმნიან, როგორც აქტორის იდენტობას, ისე ინტერესებს. სუბიექტები არ არიან კავშირში გარე შემლუდველ/წამახალისებელ სტრუქტურებთან. ისინი მოქმედებენ წინასწარი გეგმით, რადგან ინსტიტუტები ადგენენ მათთვის უფლებებისა და ვალდებულებების კონტენტს და განსაზღვრავს სოციალურ გარემოს. ინსტიტუტურად დადგენილი ქცევის წესები თუ ნორმატიული ვალდებულებები ხშირად გარდაიქმნება სუბიექტისათვის ჩვევად, ამიტომ მისთვის რთული აღარაა წესებისა და ნორმების დაცვა (სკოტი 1995).

ინსტიტუტების შესახებ კონცეფციები განსხვავდება ორგანიზაციების ფუნქციებისა და აქტორების მოქმედებების მიხედვით. შესაბამისად, ორივე თეორია საკუთარი კონდეპტუალური ხედვით აღწერს საერთაშორისო ორგანიზაციას. რაციონალური ინსტიტუციონალიზმი თვლის, რომ საერთაშორისო ორგანიზაციები არის დამხმარე ასოციაციები, რომელნიც ეხმარებიან სახელმწიფოებს დასახული მიზნების სრულყოფილად განხორციელებაში.

სახელმწიფოებისათვის საერთაშორისო ორგანიზაცია საინტერესოა ორი მახასიათებლის გამო: ცენტრალიზაცია და დამოუკიდებლობა (ებოტი, სნაიდალი 1998). ისინი ეფექტურად ფუნქციონირებენ ერთობლივად, ხშირი შეხვედრების, მოლაპარაკებების, სხვადასხვა ფორმატის ფორუმების მეშვეობით. კოოპერაცია გაუმჯობესებს ნორმებს და ობიექტური ინფორმაციის მიმწოდების მექანიზმებს; მრავალფეროვანი ხდება წარმომადგენლობა და სამართლიანი არბიტრაჟი. ამ და სახელმწიფოები არჩევენ გაერთიანებას ქმედით საერთაშორისო ორგანიზაციაში, მიუხედავად იმისა, რომ თმობენ გარკვეულად სახელმწიფოებრივ სუვერენიტეტს და უფლებას აძლევს საერთაშორისო ორგანიზაციას, რათა „შემლუდონ და აკონტროლონ ისინი“ (მორავჩიკი 1998).

რაციონალური ინსტიტუციონალიზმი ფოკუსირებულია საერთაშორისო ორგანიზაციებზე, რომელნიც ეფექტურად ეხმარებიან, როგორც წევრ, ისე აპლიკანტ ქვეყანას ინსტიტუციური განვითარებისათვის აუცილებელი ნორმების დანერგვით. კონსტრუქტივისტები კი თვლიან, რომ ფაქტურად, საერთაშორისო ორგანიზაციები, ერთის მხრივ, არიან „საზოგადოების წარმომადგენლები“ (ებოტი, სნაიდალი 1998) და, მეორეს მხრივ, საერთაშორისო თუ ადგილობრივი საზოგადოების შემქმნელები. თუ საზოგადოებას, მათ შორის საერთაშორისოს, აქვს საერთო ინსტიტუციური ნორმები და წესები, ის ქმნის ლეგიტიმურობისა და ღირებულებების სტანდარტებს და განსაზღვრავს მის მიზნებს, დებულებებს და პროცედურებს (ბარნეტი, ფინემორი 1999). ამგვარად, საერთაშორისო ორგანიზაციებს აქვთ, შესაძლებლობა იქცნენ ძალაუფლების ავტონომიურ წყაროდ, რომელსაც აქვს „რაციონალურ-სამართლებრივი უფლებამოსილება; და კონტროლის მექანიზმი ტექნიკური ცოდნისა და ინფორმაციაზე“

(ბარნეტი, ფინემორი 1999). მსგავსად სხვა საერთაშორისო ორგანიზაციისა, ევროკავშირი ფლობს ძალაუფლების მითითებულ წყაროებს და, შესაბამისად, შეუძლია, დაადგინოს ორგანიზაციაში განვერიანების სტანდარტები, წევრი-ქვეყნების საეთო მიზნები და მათი განხორციელების გზები (მაკნილი 1995, ფინემორი 1996).

ევროკავშირის გარე მართველობა - გაფართოების სპეციფიური ფორმატი

ევროკავშირის სამეზობლო ჰგავს ქვეყანათა ერთობლიობას მიერთებულს ამ ორგანიზაციასთან "ჭიშკრით", რამეთუ ევროპის სურვილია, ჰქონდეს სტაბილურობა ევროპის "უკანა ეზოში" (ზაიოტის 2007). ევროკავშირმა 2000-იანი წლების გაფართოების ტალღის შემდგომ, შეცვალა განვერიანების პოლიტიკა (ველი 2004, ტუპი 2003) და შემუშავა ახალი სტრატეგის - გარე მართველობა, რაც გულისხმობს სახელმწიფოს შიგნით პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმებისათვის ბიძგის მიცემას. მართველობის სტილი მრავალდონიანია და მოიცავს ბევრ სფეროს, ცდილობს ძალაუფლებრივი ურთიერთობის ფორმის მიახლოებას ევროპულთან და ქვეყნის ინტეგრირებას ევროკავშირის საგარეო ურთიერთობების დღის წერიგში (კოფლერ-კოფი 2005).

გარე მართველობის იმპლემენტაციისას ევროკავშირი ითვალისწინებს საზღვრების სხვადასხვა ფორმატს: (ა) გეოპოლიტიკური საზღვარი, რომელმაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰერ შეიძინა ცივი ომის დასრულებისას და შემდგომ რუსეთის "ნეოიმპერალისტური" გაძლიერებისას (ფილტენბორგი, გენზლე, ჯოჰანსენი 2002); (ბ) კულტურული საზღვარი, რომელიც განისაზღვრება სახელმწიფოს პოლიტიკური, მათ შორის, დემოკრატიული ღირებულებებით; (გ) ტრანზაქციური საზღვარი, რომლის მეშვეობითაც ევროკავშირი ქმნის ხელწვდომას მის ბაზარზე; (დ) სამართლებრივი საზღვარი, გულისხმობს ევროსტანდარტის კანონმდებლობის იმპლემენტაციას და სამართლებრივი ღირებულებების დამკვიდრებას; და (ე) ინსტიტუციური საზღვარი, რომელიც რეალურად არის ევროკავშირის მართველობითი კონტენტის მატარებელი (გენზლე 2010).

ამგვარად, ევროკავშირი გარე მართველობის მექანიზმით ცდილობს, გააძლიეროს ინტეგრაციის პოლიტიკა სხვადასხვა მიმართულებით. ზემოთ ჩამოთვლილი საზღვრებით, ის ახდენს ევროკავშირის მეზობელ სახელმწიფოებში ინსტიტუტების რეფორმირებას წევრობის ქვედონის (ასოცრების) ფორმის დამკვიდრებით. სტანდარტი არა-წევრი ქვეყნებთან ასოცირების ხელშეკრულების გაფორმებისას არის *acquis*¹ შესრულება. ის გულისხმობს არა-წევრი სახელმწიფო იმპლემენტაციას უკეთებს ევროკავშირის ნორმებს და ღირებულებებს (ლავენაქსი 2008). ინსტიტუციური თვალსაზრისით, გარე მართველობით იწყება ევროკავშირის მსგავსი ინსტიტუტების ამოქმედებას სახელმწიფოს შიგნით. სახელმწიფო იღებს ვალდებულებას საკანონმდებლო ბაზით შეცვალოს არსებული ინსტიტუტები და მოახდინოს ევროკავშირის ფარგლებს გარეთ ევროპული ნორმების ლეგიტიმაცია (შიმელფენიგი, სელემაიერი 2002).

გარე მართველობა ფოკუსირებულია სახელმწიფოს შიდა სტრუქტურებზე. გაფართოების ამ პოლიტიკის მიზანია, შესაბამისობაში მოვიდეს არაწევრი ქვეყნის შიდა-ინსტიტუციური სტრუქტურა ევროპულთან ანუ შიდა და გარე მართველობა უნდა იყოს ლეგიტიმური და განხორციელებადი.

და ბოლოს, გარე მართველობა ეფექტურია, თუ ის (ა) ითვალისწინებს არა-წევრი სახელმწიფოს შიდა-სტრუქტურულ აგებულებას; (ბ) თუ შიდა სტრუქტურა ახერხებს ევროკავშირის კანონებთან ჰარმონიზაციას; (გ) თუ სახელმწიფო საშინაო დონეზე ხდება თავსებადი ევროკავშირის შესაბამის ინსტიტუტებთან; (ე) სახელმწიფოში მცირდება ევროკავშირის მოწინააღმდეგეთა რიცხვი.

ევროკავშირის გარე გაფართოება და ინსტიტუციური სვლილებები საქართველოში

ევროკავშირის გარე მართველობის ეფექტურობა ცხადია, როცა სახელმწიფო ინსტიტუტების შიდა სტრუქტურები ცვლიან ფუნქციონირების წესებს. ევროკავშირის სტრუქტურებთან თავსებადობის ზრდას ხელს უწყობს ორგანიზაციის მხრიდან მონიტორინგი და კონტროლი (ფრანკი 1990).

საქართველოს შემთხვევაში გარე მართველობის ეფექტურობა თვალსაჩინოა სასჯელაღსრულებისა/ პენიტენციური სისტემისა და მართლმსაჯულების სისტემის რეფორმირების პროცესში. ორივე სტრუქტურა, მართლაც, რომ ითხოვდა მნიშვნელოვან ცვლილებებს. ევროკავშირმა შეისწავლა ორივე

¹ The *acquis* - სავალდებულო უფლებები და ვალდებულებები სავალდებულო ევროკავშირის წევრი ქვეყნებისათვის.

ორგანიზაციის გამონვევები და დაეხმარა საქართველოს ხელისუფლებას დონორ ორგანიზაციებთან ერთად. ყველა შემოთავაზებული ცვლილება ეფუძნებოდა ადამიანის უფლებების დაცვას. ფინანსური დახმარებასთან ერთად ორგანიზაციამ ხელი შეუწყო პროექტს, რომელიც პენიტენციური და პრობაციის სფეროების ინსტიტუციურ გაძლიერებას და პატიმართა პირობების გაუმჯობესებას ითვალისწინებდა², მათ შორისაა მსჯავრდებულების რეაბილიტაცია-რესოციალიზაცია და პენიტენციური ჯანდაცვის მიღება. შედეგად, პატიმართა რაოდენობა 24,000-დან 10,000-მდე ჩამოვიდა. პარალელურად მოგვარდა საპატიმროების გადატვირთულობის საკითხიც.

გარე მართვლობა თეორიით ითხოვს არანევი ქვეყნისგან კანონების დაახლოებას ევრო-სტანდარტებთან. პრაქტიკული პროცესი საქართველოში დაიწყო 2017 წელს. პარლამენტს წარედგინა კანონპროექტი “პატიმრობის კოდექსი” სხვა 19 კანონპროექტი პატიმრობისათვის პირობების გასაუმჯობესებლად.³ ცვლილებები შეეხო დისციპლინური პატიმრობის ვადებს; სასამართლოს მიეცა უფლება მიიღოს გადაწყვეტილება მსჯავრდებულის გათავისუფლებაზე რიგ შემთხვევებში.⁴ გაიზარდა უფლებადამცველის, ექსპერტებისა და სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა და სხვა.

პარალელურ რეჟიმში დაიწყო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, ადაპტირებული გარემოს შექმნა პენიტენციურ სისტემაში და დაბალი რისკი პატიმრობის დააქმება მშენებლობებზე. გრძელდება ელექტრონული და ვიზუალური სამეთვალყურეო მონაცემილოების ეტაპობრივი ინსტალაცია. ყველა ცვლილება, რომელიც განხორციელდა პენიტენციურ სისტემაში გამყარებული საკანონმდებლო ბაზით. “ადამიანთა უფლებათა დაცვის კუთხით ლამბრინიდის ინიციატივით ა.წ. სექტემბერში გაეროს გენერალურ ასამბლეაზე წელს პირველად საქართველო შევიდა ერთადერთი ქვეყანა რეგიონიდან გაეროს იმ 14 ქვეყანას შორის, რომლებიც წარმოადგენენ ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით საუკეთესო გამოცდილებას გაეროს მასშტაბით მთელ მსოფლიოში” (ინტერვიუ ვიქტორ დოლიძესთან, 20.12.2018).

მართლმსაჯულების სისტემის რეფორმირება ევროკავშირისათვის ერთ-ერთი სერიოზული გამონვევაა. ორგანიზაციის მხარდაჭერის პაკეტი აძლიერებს სისტემის ინსტიტუციურად: სისტემის საკანონმდებლო ბაზის მისადაგება ევროპულთან, ეფექტიანი სტრუქტურების შექმნა და პროფესიონალების მომზადება. ასოცირების ხელშეკრულებამ გააღრმავა ქართველი და ევროპელი პარტნიორების ჰარმონიზაციისადმი დამოკიდებულება. პროცესი განვილია ეტაპობრივად. რიგი საკითხებში საქართველო და ევროკავშირი მჭიდროდ თანამშრომლობს (ინტერვიუ თამარ ბერუჩაშვილთან, 20.12.2018). სასამართლოს რეფორმირებისათვის უმნიშვნელოვანესია სამოქმედო გეგმისა და სტრატეგიის შექმნა, რომელიც მოსამართლეს და სასამართლო სისტემას გახდის დამოუკიდებელს.

2014 წლიდან იწყება საკანონმდებლო ცვლილებები მომავალ მოსამართლეთა შერჩევისა და კრიტერიუმების დასადგენად. კანონის მოთხოვნით, კანდიდატურების განხილვის პროცესი არის გამჭვირვალე და ობიექტური. ევროკავშირის ეგიდით მართლმსაჯულების სისტემაშიც მომზადდა პროფესიული კადრები: ჩატარდა სემინარები და ტრენინგები პროკურატურის თანამშრომლებისათვის.

“საქმეთა ელექტრონული გადანაწილების პრინციპის”⁵ ამოქმედება (31.12.2017) მნიშვნელოვანი ნაბიჯია სასამართლოს რეფორმირების გზაზე. ამავე წელს იუსტიციის საბჭომ მიიღო 2017-2020 წლების სასამართლო სისტემის გარდაქმნის სამოქმედო გეგმა, რის საფუძველზეც დადგინდა რეფორმის ძირითადი პრიორიტეტები. კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებებით გადაწყდა მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნა.

მართლმსაჯულების სისტემის რეფორმირება დღესაც გრძელდება. საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი “შრომის უსაფრთხოების შესახებ”, კანონი “სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ”, კანონი “სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ”.⁶

² http://www.moc.gov.ge/images/files/pdf/text_14461272421.pdf

³ <http://www.moc.gov.ge/images/temp/2016/05/25/e5f33831c5284d959490086d83bf94c2.pdf>

⁴ <http://www.moc.gov.ge/images/catalog/items/zxxx.pdf>

⁵ <http://hcoj.gov.ge/ge/reforms/judicial-reform/gankhortsielebuli-reforma>

⁶ http://www.parliament.ge/ge/saparlamento-saqmianoba/plenaruli-sxdomebi/plenaruli-sxdomebi_news/parlamentis-riggareshe-sesiis-plenaruli-sxdoma3.page

უკვე გატარებული, თუ მიმდინარე რეფორმები, როგორც სასჯელალსრულების/პენიტენციურ, ასევე მართლმსაჯულების/სასამართლო სისტემაში მიუთითებს იმაზე, რომ სახელმწიფოს შიდა სტრუქტურების ინსტიტუციური ცვლილებები საქართველოს აახლოებს ევროპულ ნორმებთან და წესებთან.

და ბოლოს, რაციონალური თეორია, რომელიც განსაზღვრავს წევრი და არა-წევრი სახელმწიფოების მოსალოდნელ ხარჯებს და სარგებელს, აჩვენებს, რომ ორივე აქტორი უპირატესობას ანიჭებს ჰორიზონტალურ გაფართოებას გარე მართველობის მექანიზმით. გარე ინტეგრაცია უნდა მიმდინარეობდეს ინსტიტუციური ცვლილებებით სახელმწიფოს შიდა სტრუქტურებში სექტორულად. კონსტრუქტივისტული მიდგომა, რომელიც ითვალისწინებს იდეურ “კონფლიქტს” არა-წევრ სახელმწიფოსა და ორგანიზაციას (ევროკავშირი) შორის, ემხრობა ისეთ გაფართოებას, რომელიც შეეხება იდეურად მსგავს ქვეყანას. და თუ იდეოლოგიური განსხვავება თვალსაჩინოა, მაშინ გარე-მართველობითი პოლიტიკა, რომელიც გარდაქმნის სახელმწიფო სტრუქტურებს, ამავედროულად, ცვლის, ერთის მხრივ, სტრუქტურებში მომუშავე ადამიანების ხედვებს და, მეორეს მხრივ, მოქალაქეების (რომელთაც აღნიშნული ინსტიტუტები ემსახურებიან) დამოკიდებულებას ევროპული ღირებულებებისადმი. ცალკე რაციონალური ან კონსტრუქტივისტული თეორია ვერ ახსნის არა-წევრი სახელმწიფოსა და ევროკავშირის ურთიერთობას, მაგრამ ორივე შეწყვილებულად აღქმადს ხდის გარე-მართველობითი პოლიტიკის ეფექტიანობას ევროკავშირის გაფართოების პროცესში.

ბამოყენებული ლიტერატურა

1. Abbott K.W., Snidal D. 1998. “Why States Act through Formal International Organizations”. The Journal of Conflict Resolution. Vol. 42. No. 1.
2. Asmus R.D., 2010. “Europe`s Eastern Promise: Rethinking NATO and EU Enlargement”. Council of Foreign Relations
3. Barnett M.N., Finnemore M. 1999. “The Politics, Power, and Pathologies of International Organizations”. International Organization. Vol. 53. No. 4
4. Filtenborg M. S., Ganzle S., Johansson E. 2002. “An Alternative Theoretical Approach to EU Foreign Policy ‘Network Governance’ and the Case of the Northern Dimension
- Finnemore M. 1996. “Norms, Culture, and World Politics: Insights from Sociology’s Institutionalism”. International Organization. Vol. 50. No. 2
5. Franck, T. 1990. The Power of Legitimacy among Nations. New York: Oxford University Press.
6. Gänzle S. 2010. “EU Governance and the European Neighbourhood Policy: A Framework for Analysis”. Europe-Asia Studies.
7. Kelley J. 2004. Ethnic Politics in Europe: The Power of Norms and Incentives. Princeton: Princeton University Press.
8. Kohler-Koch B. 2005. “European Governance and System Integration”. EUROGOV. European Governance Papers.
9. Lavenax S. 2008. “A governance perspective on the European neighbourhood policy: integration beyond conditionality?” Journal of European public policy
10. March J.G., Olsen J.P. 1989. Rediscovering institutions: The organizational basis of politics. New York. Free Press
11. McNeely C.L. 1995. Constructing the Nation-State: International organization and perspective action. Greenwood Press
12. Moravcsik A., 1998. The Choice for Europe: Social Purpose and State Power from Messina to Maastricht. Cornell University Press
13. Schimmelfennig F., 2001. “The Community trap: liberal norms, rhetorical action, and the eastern enlargement of the European Union”. /International Organization 55/.
14. Schimmelfennig F., Sedelmeier U., 2002. „Theorizing EU enlargement: research focus, hypotheses, and the state of research“. /Journal of European Public Policy/.
15. Scott W.R., 2008. /Institutions and Organizations, Thousand Oaks/. Sage
16. Sedelmeier U. 1998. The European Union’s association policy towards the countries of Central and Eastern Europe: collective EU identity and policy paradigms in a composite policy. Doctoral Thesis. University of Sussex
17. Smith K. 2001. “Western Actors and the Promotion of Democracy,” Oxford University Press.
18. Speck U. 2014. “Russia’s New Challenge to Europe”. Carnegie Europe. <https://carnegieeurope.eu/2014/04/17/russia-s-new-challenge-to-europe-pub-55368> (30.05.19)
19. Tupy M. 2003. “EU Enlargement: Costs, Benefits, and Strategies for central and European Countries”. Policy Analysis.
20. Zaiotti R. 2007. “Of Friends and Fences: Europe’s neighbourhood policy and the ‘gated community syndrome’”. European Integration Initiative”. Cooperation and Conflict: Journal of the Nordic International Studies Association

EUROPEAN DEMOGRAPHIC AND POLITICAL CHALLENGES CAUSED BY MODERN MIGRATION CRISIS

EMILIA ALAVERDOV
ASSOCIATE PROFESSOR,
FACULTY OF LAW AND INTERNATIONAL RELATIONS, GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

ABSTRACT

The problem of Islam in Europe in all its aspects and completeness is currently one of the most acute and urgent topic, it is given special attention in political circles and in international clubs. As, Islam is not only a religion, it is a quite strong ideology and like every ideology with its certain features, which are usually expressed in: society, nationality, nation and defines their activities and of course the rule of their lives, relations between the society and political force with different ideology. Muslims in Europe are, first and foremost, immigrants whose influx into the European continent over the past 20 years has seriously changed its demographic picture and political situation. While speaking about the demographic picture we have to highlight that the birth rate in Muslim population is much more than the Europeans and if we consider the already high number of Muslim refugees plus their birth rate we can say that in couple of decades Europe will face Islamisation. However it does not mean that the refugees have to suffer from negative attitude, harassment and discrimination.

თანამედროვე მიგრაციის კრიზისით გამოწვეული ევროპის დემოგრაფიული და პოლიტიკური ვითარება

ემილია ალავერდოვი
ასოცირებული პროფესორი,
სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

ისლამის პრობლემა ევროპაში ყველა მისი ასპექტისა და სისრულით გამოწვეული საკითხით ამჟამად ერთ-ერთი ყველაზე მწვავე და აქტუალური მოვლენაა, აქედან გამომდინარე მას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა პოლიტიკურ წრეებში და საერთაშორისო ორგანიზაციებში.

ისლამი მხოლოდ რელიგია არ არის, ის საკმაოდ ძლიერი იდეოლოგიაა. იდეოლოგიისათვის კი ისაა დამახასიათებელი, რომ გარკვეული სახით, ფორმით ასახავს და გამოხატავს საზოგადოების, ქვეყნის, სახელმწიფოს ფენების, ერებისა და ეთნოსების, თვით სახელმწიფოს (როგორც პოლიტიკური ორგანიზაციის) პოლიტიკას და განსაზღვრავს მათი საქმიანობის ძირითად მიმართულებას, ცხოვრების წესს, ურთიერთობებს სხვა იდეოლოგიის მატარებელი სოციალურ და პოლიტიკურ ძალებთან. რაც შეეხება მუსლიმანებს ევროპაში უპირველეს ყოვლისა, ისინი ემიგრანტები არიან, რომლებმაც ბოლო 20 წლის განმავლობაში ევროპის კონტინენტზე შემოდინებით სერიოზულად შეცვალეს მისი დემოგრაფიული სურათი და პოლიტიკური ვითარება. დემოგრაფიულ სურათზე საუბრისას უნდა აღვნიშნოთ, რომ მუსლიმურ მოსახლეობაში შობადობა ბევრად მეტია, ვიდრე ევროპულში და თუ გავითვალისწინებთ მუსლიმი ლტოლვილების ისედაც საკმაოდ მაღალ რაოდენობას, და ამას დავამატებთ მათ შობადობას, შეგვიძლია ვთქვათ, რომ რამდენიმე ათეულ წელიწადში ევროპა ისმალაციის საფრთხის წინაშე აღმოჩნდება. თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ლტოლვილებმა უნდა განიცადონ უარყოფით დამოკიდებულება, შევიწროება, დისკრიმინაცია და დაირღვას ადამიანის ფუნდამენტური უფლებები, როგორც ხდება ევროპის რიგ ქვეყნებში.

INTRODUCTION

Several periods can be distinguished in the modern history of migration flows to Europe. First the beginning of the twentieth century, after the First World War, however the influx of Muslim immigrants was very small. The second flow can be considered the period of after Second World War, as a result of post-colonial development. Since many European countries urgently needed cheap labor to restore the post-war economy, their governments stimulated the influx of foreign workers from countries.

The next period began in the late 80s. A new stream poured into Europe, due to several reasons and acted in a quite new way, turning migration into the central social problem of our time. The above mentioned facts and the demographic factor - the decline in fertility of Europe; and economic, a new TNC strategy related to the transition to the neoliberal policy of monetarism; and geopolitical - the collapse of the socialist bloc and the USSR with the corresponding political and economic consequences. (L'Harmattan, 2004)

Europe is currently home to an extremely diverse landscape of political Islamic¹ movements. This diversity is even greater than in most Muslim countries, where ideological Islamic expression is often limited by the official ideology of the state. In Europe, these movements are often mobilized in defense of European Muslim interests; they work for the recognition of Islam or as its spokesperson in dealing with European states or with the majority of Muslims who are not concerned with political Islam. These movements have been present in Europe for a long while now (between 20 and 40 years for most of them) but their daily realities are still not well known to European policy-makers, neither at the European, national nor local level.

STATISTICS OF MIGRANT SINCE 2017

ნატოს პოლიტიკა დაიცვას მშვიდობა, თავიდან აიცილოს ომი, გაზარდოს უსაფრთხოებისა და სტაბილურობის დონე. პოლიტიკურ ასპექტში ნატო-ს წევრობა იძლევა საერთაშორისო პროცესებსა და მნიშვნელოვან საკითხებზე გადაწყვეტილების მიღებაში თანაბარი მონაწილეობის შესაძლებლობას, ეს კი თავისთავად წევრ სახელმწიფოებს აძლევს საშუალებას ხელი შეუწყოს საკუთარი ეროვნული ინტერესების განხორციელებას საერთაშორისო პროცესში, ასევე მიიღოს მონაწილეობა ქვეყნის და რეგიონისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე საკითხების გადაწყვეტაში. ასევე ნატოს წევრობა დაეხმარება საქართველოს და დადებითად აისახება ევროკავშირის ინტეგრაციის პროცესებზე, რაც საკმაოდ მნიშვნელოვანია საქართველოს ახალგაზრდა სახელმწიფოსთვის. დაეხმარება საქართველოს უფრო მყისიერად გაატაროს დემოკრატიული რეფორმები და აამაღლოს დემოკრატიული მაჩვენებელი მთლიანად რეგიონში, ვინაიდან საქართველოს თავისი გეოგრაფიული ადგილმდებარეობიდან გამომდინარე იკავებს რეგიონში მონიწივე პოზიციას, რაც გამოიხატება შავ ზღვაზე გასვლის წერტილებით.

ეკონომიკური თვალსაზრისით, ალიანსის წევრობა ნიშნავს სტაბილურ და უსაფრთხო განვითარებას. ხოლო სტაბილურობა და უსაფრთხოება, წარმოადგენს, როგორც ეკონომიკური განვითარების ზრდის წინაპირობას, ასევე ხელს უწყობს პოტენციურ მსხვილი ინვესტიციების შემოსვლას და ნდობის ჩამოყალიბებას, რაც, თავის მხრივ, პოზიტიურად აისახება ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ მდგომარეობაზე მოიმატებს სამუშაო ადგილები და გაიზრდება მათი ანაზღაურება. ეს ყველაფერი ხელს უწყობს ინფრასტრუქტურის მშენებლობას და გაძლიერებას, სატრანზიტო გზების უსაფრთხოების გაზრდას და მრავალი ერთობლივი რეგიონალური მნიშვნელობის პროექტების განხორციელებას.

ნატოს წევრობა მნიშვნელოვნად გააძლიერებს საქართველოს პოლიტიკურ პოზიციებს მსოფლიო პოლიტიკურ არენაზე და გახდის რეგიონში ანგარიშ გასანვე ძალად. დაამღვევს საქართველოს მომავალი სამხედრო აგრესიისგან რუსეთის ფედერაციის მხრიდან, რაც მისცემს ამოსუნთქვის საშუალებას საქართველოს ეკონომიკას და მოხსნის საყოველთაო დაძაბულობას როგორც ქვეყნის შიგნით ასევე ქვეყნის გარეთ. ხელს შეუწყობს საქართველოს, როგორც ენერგო-ტრანზიტული ქვეყნის იმიჯის გაძლიერებას. როგორც ცნობილია 2008 წლის აგვისტოს ომის პერიოდში რუსეთის ერთ-ერთი მთავარი მიზანი იყო ზიანი მიყენებინა საქართველოს გავლით გამავალი ნავთობ მილს და მიიტანა საჰაერო იერიში, საბედნიეროდ ბომბები აცდა მიზანს, მაგრამ პოლიტიკური გამარჯვება მოიპოვა რუსეთის ფედერაციამ, წარმოაჩინა საქართველო, როგორც არასანდო და არასტაბილური პარტნიორი ქვეყანა რეგიონში, რამაც დიდად დაგვაზარალა.

საქართველოს ინტერესები და ნატოს წევრი ქვეყნების ინტერესები თანხვედრაშია, ვინაიდან ყველა სურს სტაბილური და მშვიდობიანი განვითარება, რაც ძლიერი მოკავშირეების გარეშე შეუძლებელია და ეს სიძლიერე გამოიხატება მათი სამხედრო და ეკონომიკური პოტენციალით. ვინაიდან ძლიერი სამხედრო ძალის გარეშე სტაბილურობის მიღწევა შეუძლებელია.

მიუხედავად დიდი სამხედრო და პოლიტიკური ზენოლისა რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველომ არ გადაუხვია თავის არჩეულ კურს ნატოში ინტეგრაციის და მტკიცედ აგრძელებს მონაწილეობას, როგორც სამშვიდობო ოპერაციებში, ასევე სამხედრო ოპერაციებში ახლო აღმოსავლეთის რეგიონში: ერაყის მისია და ავღანეთის ისლამური რესპუბლიკა, ასევე აფრიკის კონტინენტზე: ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა (ც.ა.რ), რაც უპირატესობას ანიჭებს ჩვენ ქვეყანას ნატოში ინტეგრაციის მიმართულებით და წარმოაჩენს სანდო პარტნიორად, რომელსაც თავისი დიდი წვლილი შეაქვს საერთაშორისო უსაფრთხოებაში.

საქართველოს თავდაცვითი ძალები, უკვე რამდენიმე წელია მონაწილეობას იღებენ სამშვიდობო მისიებში ავღანეთში და ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში მანამდე კი კოსოვოს რეგიონში და ერაყში. საქართველო იქ ნატოს საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ძალების, ISAF-ის, ვგიდით დაახლოებით 900 ჯარისკაცი ჰყავს გაგზავნილი და არაერთი მადლობაც აქვს მიღებული საერთაშორისო თანამეგობრობის უმაღლესი პირების მხრიდან. ავღანეთის სამშვიდობო ოპერაციებში ჩართული საქართველოს არმიის კონტინგენტი საამაყო ნაწილად მოიხსენიება:

“საქართველოს უმაღლესი კლასის ჯარისკაცები ჰყავს. ამის გამო, ავღანეთში მისიებზე წასვლა ყველას ქართველ ჯარისკაცებთან ერთად უნდა”, – განაცხადა გადამდგარმა გენერალ-ლეიტენანტმა ბენ ჰოჯსმა ვაშინგტონში, ევროპის პოლიტიკის ანალიზის ცენტრში სიტყვით გამოსვლისას. [3]

ნატოს არანაწევრი პარტნიორი ქვეყნებიდან, საქართველო, ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით, ავღანეთში ყველაზე დიდი სამხედრო კონტინგენტი ჰყავს გაგზავნილი. ვიდრე ამ პირველობას მოიპოვებდა, 1999 წლის შემდეგ, საქართველოს უკვე ჰქონდა ბალკანეთის რეგიონში კოსოვოსა და ერაყის სამშვიდობო მისიებში მონაწილეობის დიდი გამოცდილება. პირველად 50-მა ქართველმა სამხედრო მოსამსახურემ 2004 წელს მიიღო მონაწილეობა ISAF-ის ოპერაციაში, სადაც მათი ამოცანა ავღანეთში არის მშვიდობის დაცვა და საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლა.

საქართველოს სამხედრო კონტინგენტის მე-3 ქვეითი ბრიგადის 31-ე ბატალიონი ამერიკული კონტინგენტის შემადგენლობაში გაემგზავრა ავღანეთის ყველაზე ცხელ, ჰელმანდის პროვინციაში. სადაც მაღალი შეფასება დაიმსახურა ნატო-ს სარდლობის მხრიდან: "საზღვაო ქვეითებზე, რომლებიც გწვრთნიდნენ, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა თქვენმა თავდადებამ, ერთუბიანობამ და პროფესიონალიზმმა...", უთხრა ქართველ სამხედროებს 7 აპრილს გაცილების საზეიმო ცერემონიაზე შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების საზღვაო ქვეითი ძალების სარდალმა გენერალ-ლეიტენანტმა რიჩარდ ნატონსკიმ. [4]

რაც მთავარია, ქვეყანა, რომელიც თავად ისწრაფის სამხედრო ალიანსში განწევრიანებისთვის თავად უნდა შეიტანოს დიდი წვლილი საერთო უსაფრთხოების კუთხით. პირველ რიგში ეს გვკირდება ჩვენ, ჩვენი რეალობიდან და პრობლემებიდან გამომდინარე, რომელიც სუფევს ისეთ არასტაბილურ რეგიონში, როგორც სამხრეთ კავკასია და რაც უფრო მიმზიდველს ხდის დასავლეთთან სამხედრო-პოლიტიკურ ინტეგრაციას.

დასკვნა

ბუნებრივია, ბევრს ებადება კითხვა თუ, რატომ გზავნის საქართველო, პატარა და ორი ოკუპირებული რეგიონების(აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის) მქონე ქვეყანა დიდ სამხედრო კონტინგენტს საერთაშორისო სამხედრო მისიებში, რას ელის საქართველო ამ ოპერაციებში მონაწილეობისგან, რა პოლიტიკურ თუ, სამხედრო დივიდენდებს? ბევრი არგუმენტის მოყვანა შეიძლება თუ რატომ, მაგრამ გამოვყოფ მნიშვნელოვან ფაქტორებს:

საქართველოს სჭირდება ძლიერი მოკავშირეები;

საქართველოს სჭირდება ბრძოლისუნარიანი და გამოცდილი არმია, რომელიც დაიცავს საქართველოს ინტერესებს და ეს მისიები საუკეთესო საშუალებაა ამისთვის და იყოს სამხედრო კომუნიკაციურ თანხვედრაში დასავლურ არმიებთან, რაც მომავალში გააუმჯობესებს თანამშრომლობას და აძლევს

დიდ პრაქტიკულ გამოცდილებას საქართველოს თავდაცვით ძალებს, რომელსაც ვერ მოიპოვებ მხოლოდ წვრთნებით;

საქართველოს სჭირდება საერთაშორისო მხარდაჭერა მსოფლიო პოლიტიკურ არენაზე, რაც „სახლში ჯდომით“ არ მოიპოვება და ნატოს მისიებში მონაწილეობა აძლიერებს საქართველოს პოლიტიკურ პოზიციებს, რაც ხელს შეუწყობს მაქსიმალურად მიუახლოვდეს და ასევე მოახდინოს დასავლეთთან ინტეგრაცია, მოახდინოს საქართველოს დროშის დემონსტრაცია, რაც ხდის საქართველოს ცნობად სახეს მსოფლიოში.

სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით, ნატოს წევრობა საუკეთესო გარანტია ეროვნული უსაფრთხოებისათვის, წინაპირობა და საშუალება თანამედროვე და სათანადოდ აღჭურვილი შეიარაღებული ძალების მშენებლობისათვის. აგრესიის შემთხვევებში ადეკვატური და კოლექტიური რეაგირების უნარით, რომელიც ქმნის სტაბილურ გარემოს, ხოლო სტაბილური და დემოკრატიული ქვეყანა იზიდავს დიდი ინვესტიციებს რაც აისახება მოსახლეობის კეთილდღეობაზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Сайт Евразийского союза **გადამონწმეულია 19.08.2019** <http://www.eaeunion.org>
2. Новый интеграционный проект для Евразии — будущее, которое рождается сегодня **გადამონწმეულია 11.08.2019** <https://iz.ru/news/502761>
3. იყიდეთ ისეთი იარაღი, რომ რუსეთისთვის მოუნელებელი ლუკმა გახდეთ – აშშ-ის გენერალი საქართველოს **გადამონწმეულია 19/08.2019**
<http://cyc.ge/იყიდეთ-ისეთი-იარაღი-რომ/>
4. საქართველოს არმიის როლი საერთაშორისო სამშვიდობო მისიაში. **გადამონწმეულია 16.08.2019** <https://www.radiotavisupleba.ge/a/2053740.html>

ეროვნული მოძრაობის აღზევება ევროპაში და მისგან გამომწვეული პრობლემები

ლევან ოსიძე

სტუ საპარტოლისა და საერთაშორისო ურთიერთობების
ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

აბსტრაქტი

რა არის ლიბერალიზმის ექსპანსიის ახლანდელი შეჩერების და მისი საკმაოდ სწრაფი უკანდახევის მიზეზები უახლოეს მომავალში, რატომ გაუარესდება ეკონომიკური და სოციალური ვითარება დასავლეთ ევროპაში, სადაც “საშუალო” კლასის ლიბერალ და სამომავლოდ ღატაკ წარმომადგენლებს დაჩაგრავენ კონსერვატიული მიგრანტები, რომლებსაც გამრავლებას რელიგიური მრწამსი ავალეებს, ასევე რატომ მოხდა, რომ აღმოსავლეთ ევროპაში თავი წამოყო სასტიკმა და აშკარა ნაციონალიზმისკენ გადახრილმა კონსერვატიზმმა. ეკონომიკურმა ვარდნამ და მოქალაქეთა შემოსავლების შემცირებამ ევროკავშირში შეიძლება 50 %, ხოლო აშშ-ში - 60 % შეადგინოს. ქრისტიანული იდეების ერთგული ორთოდოქსების აზრით, ლიბერალიზმი ძალიან ძვირი დაუჯდება ევროპას.

ეკონომიკური მოდელის მიღმა შექმნილი ფარული პოლიტიკური ქსელი, რომელიც უცხოეთიდან დაფინანსებული არასამთავრობოების შეუზღუდავი საქმიანობის წახალისებით პატარა ქვეყნებში იწვევს ნეგატიურ შედეგებს. ისრაელისა და უნგრეთის პოლიტიკოსთა აზრით, ამგვარი არასამთავრობოები მათ პოლიტიკურ სუვერენიტეტს საფრთხეს უქმნიან და მცირე და ღარიბი ქვეყნის შემთხვევაში ის თითქმის განუსაზღვრელი კონტროლის საშუალებას იძლევა. დოლარის ემისიით ხელოვნურად შენარჩუნებული ეროვნულ ვალუტაზე ბენოლის მექანიზმი და მოჩვენებით იმიტირებული ეკონომიკური ზრდა, რეალურად კი მიღებული - დაგროვებული საბანკო ვალები, ბევრ ქვეყანაში აგრესიული ნაციონალიზმის სახეს ღებულობს, როგორც ესაა უკრაინასა და ბალტიისპირეთში, ასევე არანაკლებია მუსლიმური ფუნდამენტალიზმი თავისი კონსერვატორული ბუნების გამო.

THE RISE OF THE NATIONAL MOVEMENT IN EUROPE AND ITS PROBLEMS

LEVAN OSIDZE

ASSOCIATE PROFESSOR AT THE FACULTY OF LAW AND INTERNATIONAL
RELATIONS AT GTU

ABSTRACT

What is liberalism expansion of the current suspension and its pretty quick retreat reasons for the near future, why will the economic and social situation be worse in Western Europe, where the “average” class of Liberals and the future of poor representatives disadvantage conservative migrants, who reproduced the religious faith instructs, as well as why it happened, that there in east Europe again we had brutal and overt nationalism leaning conservatism. The economic downturn and the decline in citizens' incomes in the EU could make up 50% and in the US - up to 60%. According to the Orthodox faithful of Christian ideas, liberalism will cost a lot for Europe.

The hidden political network behind the economic model, which encourages the unlimited activity of foreign-funded NGOs in small countries, has negative consequences. According to Israel and Hungarian politicians, such NGOs threaten their political sovereignty, and in the case of a small and poor country it provides almost indefinite control. The mechanism of artificially maintained national currency pressures on the dollar and the seemingly mock economic growth, in fact of the accumulated bank debt, has emerged as aggressive nationalism in many countries, such as Ukraine and the Baltic states, and not least Muslim fundamentalism because of its conservative nature.

ბოლო 30 წელია პერმანენტულად უარესდება საშუალო ფენის მდგომარეობა. სწორედ ეს ვითარება გახდა სოციალური უკმაყოფილებისა და საპროტესტო მოძრაობების მიზეზი, ისეთებისა, როგორიცაა მაგალითად, „ყვითელი ჟილეტები“ საფრანგეთში, ბრექსიტი - ინგლისში, ასევე დონალდ ტრამპის არჩევა აშშ-ს პრეზიდენტად, ეროვნული ძალების მოსვლა იტალიაში, უნგრეთში და სხვ. მოასწავებს ნაციონალური მოძრაობების აღზევებას არა მარტო ევროპულ ქვეყნებში, ასევე მის განაპირა მხარეში. საშუალო კლასი, ანდა ფენა შესაბამისი ცხოვრების პირობებით ყოველთვის არსებობდა ევროპაში, ხოლო მისი რაოდენობრივი ზრდა დაკავშირებულია ვაპიტალიზმის „ოქროს ხანასთან“, გასული საუკუნის 40-იანი წლებიდან დაწყებული 70-იანი წლების შუახანებამდე პერიოდს. ფრანგმა ისტორიკოსმა ჟან ფურასტიემ ამ პერიოდს უწოდა „დიდებული ოცდაათი წელი“. ეს იყო პერიოდი, როდესაც საბჭოთა საფრთხისაგან დაშინებული დასავლური პოლიტიკური ელიტები იძულებულნი იყვნენ გაეყოთ მოგება ხალხისათვის. შედეგად მთელი მოსახლეობის 50-60%, მათ შორის მუშათა კლასის დიდი ნაწილი მოექცა საშუალო ფენის წიაღში. მაგრამ „საყოველთაო კეთილდღეობის საზოგადოება“ დაამსხვრია ორმა ფაქტორმა: ერთი - ფინანსურმა ლიბერალიზმმა და გლობალიზაციამ (თავისი ლიბერალურ-ეკონომიკური ექსპანსიით, რომელიც თანდათან მეთოდურად გარდაიქმნა პოლიტიკურ ტოტალიტარიზმში - ლ. ო.) და მეორე - სსრკ-სა და სოციალისტური ბანაკის დაშლამ (გასული საუკუნის 80 - 90-იანი წლები). ამ პროცესში დიდი როლი შეასრულა ინგლისის პრემიერ-მინისტრმა მარგარეტ თეტჩერმა, რომელმაც 1978 წელს ღიად განაცხადა: „საზოგადოება, როგორც ასეთი, არ არსებობს, არიან მხოლოდ მამაკაცები, ქალები და ოჯახები“. თეტჩერმა გეგმაზომიერად გაანადგურა ბრიტანული მრეწველობა და პროფკავშირები, გადააქცია ქვეყანა პოსტმოდერნისტურ საზოგადოებად, რომელიც დაფუძნებული იყო უპირატესად ფინანსური სფეროს მომსახურეობაზე. აქამდე მთელი დასავლური სამყარო ვითარდებოდა ლიბერალური პროექტის ფარგლებში, რომელსაც მარგარეტ თეტჩერმა და აშშ-ს პრეზიდენტმა რონალდ რეიგანმა მისცეს იმპულსი.

ქრისტიანული იდეების ერთგული ორთოდოქსები ძალზე არასახარბიელო დაკვნებს აკეთებენ, მათი აზრით, „ლიბერალიზმი ძალიან ძვირი დაუჯდება ევროპას, განსაკუთრებით, დასავლეთ ევროპას. სავსებით შესაძლებელია, რომ ზოგიერთი ქვეყანა (მაგალითად, ნორვეგია და შვედეთი) „ახალ აფრიკად“ და „ახალ ხალიფატად“ გადაქცეული, მსოფლიო რუკიდან სამუდამოდ გაქრეს. ვერავინ უშველის, რადგან ბიბლიურ ფასეულობებზე უარის თქმა (ანუ, რელიგიური თვალსაზრისით, სულის გაყიდვა - ლ. ო.) ყოველთვის ძვირი ჯდება! გასათვალისწინებელია ისიც, თუ რა მოხდება ლიბერალიზმის წასვლის შემდეგ იმ ტერიტორიაზე, სადაც ისინი თითქმის ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში ბატონობდნენ. ლიბერალიზმის თანამედროვე კრიზისს საბაზისო მიზეზები გააჩნია, რომელიც სოციალურ-პოლიტიკური უთანასწორობის საფუძველია და უზრუნველყოფდა ლიბერალიზმის ეკონომიკურ ექსპანსიას, რითაც ვინრო - მერკანტელურ იდეოლოგიას უკვალავდა გზას. დოლარის ემისიით ისინი ხელოვნურად ინარჩუნებდნენ ეროვნულ ვალუტაზე ზენოლის მექანიზმს და მოჩვენებით იმიტირებდნენ ეკონომიკურ ზრდას, რეალურად კი დაგროვებული საბანკო ვალები და მისი პროცენტები ერთნაირად აწვებოდა სახელმწიფოსა და ობივატელს. ეკონომიკურმა ვარდნამ და მოქალაქეთა შემოსავლების შემცირებამ ევროკავშირში შეიძლება 50 %, ხოლო აშშ-ში - 60 % შეადგინოს, რაც ხელს უწყობს კონსერვატიულ ძალებს, ზედპირზე გამოვიდნენ. ბევრ ქვეყანაში მათი საქმიანობა აგრესიული ნაციონალიზმის (ფაშიზმის) სახეს ღებულობს, როგორიცაა უკრაინასა-ბალტიისპირეთში და ასევე არანაკლებ აგრესიულია მუსლიმური ფუნდამენტალიზმი თავისი კონსერვატორული ბუნების გამო“. (1) ერთი შეხედვით პოლიტიკური ცხოვრების ყბადაღებული დეიდეოლოგიის ფონზე გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან, რეალურად კი ლიბერალური იდეოლოგიის აქტიური განვითარებისა და აღზევებიდან, დაიწყო ყოველგვარი ლიბერალური უმსგავსობანი, რომლებიც ადამიანის უფლებების, მისი გამოხატვის თავისუფლების აფიშირების მომიზეზებით მოიცავს გეიალღუმებიდან მოყოლებული, იუვენალური იუსტიციით დამთავრებულ ყველა იმ პროცესს, რომელსაც საფუძვლად უდევს ორმაგი სტანდარტების პრინციპი. თუკი კომუნისტურ ხანაში ანათემას გადაცემული იდეოლოგია იძულებით თავსმოხვეულად დასიბნელებად აღიქმებოდა, დასავლური და როგორც თავად თვლიდნენ, პროგრესული საზოგადოებრიობის მიერ, მაგრამ როცა თავად დასჭირდათ, ყველაფერი მკაცრად რეგლამენტირებულ ჩარჩოებში მოაქციეს, აქ რეალურად იგულისხმება („საშუალო“ კლასისთვის) გარანტირებული „ჯიპი და სახლის“ ტიპის სტანდარტები, რომლებიც სინამდვილეში შინაარსობრივად სხვა ფასეულობებით იყო შენიღბული. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია: შვილებსა და შვილიშვილებზე ზრუნვა აუცილებელი არ იყო, რადგან ეწინააღმდეგებოდა „ლიბერალურ ღირებულებებს“. ყველამ უნდა იზრუნონ საკუთარ თავზე. ევროსაბჭოს ქვეყნებში ე. წ. „მომხმარებლობის ოქროს ხანა“ დაიწყო.

ბუნებრივია, ხალხს დაუმალებს, რომ ეკონომიკური მოდელი, რომელიც საფუძვლად უდევს ამ „აყვავებას“, დაუსრულებელი არ არის. მისი ხანგრძლივობა 40 წელიწადს გაგრძელდა. ამ დროში „ლიბერალების“ ორი თაობა გაიზარდა და ჩვენ სრული უფლება გვაქვს გავანალიზოთ მათი მმართველობის დადებითი და უარყოფითი შედეგები.

ამ ეკონომიკური მოდელის მიღმა საინტერესოა როგორი პოლიტიკური ქსელი შეიქმნა არა მარტო ევროპის, არამედ მსოფლიოს მასშტაბით, რომლის საფუძველში ჩადებული იქნა ადამიანის უფლებების დამცველის ეგიდით შექმნილი არასამთავრობოების დაფინანსება უცხოელი დონორების მხრიდან და მათი შეუზღუდავი საქმიანობის დაშვება, რომლის ჩანასახებს თქვენ ჯერ კიდევ ალენ დალესის ცნობილი გეგმის სახელით იცნობთ.

რეალურად მცირე ქვეყანაში უცხოეთიდან დაფინანსებული არასამთავრობოების შეუზღუდავი საქმიანობა იმ მოცემულობის დაშვებაა, რომ უცხოურმა დონორმა ორგანიზაციებმა ქვეყნის შიდაპოლიტიკური დამოუკიდებლობის შეზღუდვა მოახერხონ. მათი გავლენა ძალიან დიდი ხდება, რომ ქვეყნის პოლიტიკურ სივრცეში ეროვნული ინტერესების და პოზიციების დასაცავად მოქმედების საშუალება თითქმის აღარ რჩება.

ისეთი ეკონომიკურად ძლიერი ქვეყნებიც კი, როგორც ისრაელი და უნგრეთია, აცხადებენ, რომ უცხოეთიდან დაფინანსებული არასამთავრობოები მათ პოლიტიკურ სუვერენიტეტს საფრთხეს უქმნიან და ამ ორგანიზაციების საქმიანობას გარკვეულ ბუნებრივ საკანონმდებლო შეზღუდვებს უწესებენ.

დონალდ ტრამპის არჩევის შემდეგ აშშ-ს დღევანდელი ხელისუფლებაც კი გლობალისტი მილიარდერის, ჯორჯ სოროსის მიერ დაფინანსებულ არასამთავრობო ორგანიზაციებს ჯანსაღი პოლიტიკური გარემოსთვის საფრთხედ განიხილავს. უნგრეთის ხელისუფლება მზადაა საერთოდ აკრძალოს სოროსის ფონდის საქმიანობა თავის ქვეყანაში.

ნათელია, იდეოლოგიური ქვეტექსტის მქონე არასამთავრობო ორგანიზაციების კარგად დაფინანსებული ქსელის ეფექტურობა დიდია და მას მსოფლიოს უძლიერესი ქვეყნის პოლიტიკურ პროცესებზე შეუძლია უზარმაზარი გავლენის მოხდენა, ხოლო ჩვენისთანა მცირე და ღარიბი ქვეყნის შემთხვევაში ის თითქმის განუსაზღვრელი კონტროლის საშუალებას იძლევა.

უცხოეთიდან დაფინანსებული არასამთავრობოების საქმიანობაზე გარკვეული საკანონმდებლო კონტროლის დაწესება ზედმეტი გარე გავლენებისგან დაცული, სუვერენული პოლიტიკური გარემოს უზრუნველყოფისთვის აუცილებელი ნაბიჯია და მისი სასურველი ფორმების განხილვა საზოგადოებაში სწრაფად უნდა დაიწყოს. მითუმეტეს, როცა ევროკავშირის წევრ უნგრეთში უკვე სახეზე გვაქვს უცხოეთიდან დაფინანსებულ არასამთავრობოებზე საკანონმდებლო შეზღუდვების დაწესების პრეცედენტი, ხოლო ევროპის ქვეყნებში და აშშ-ში აქტიურად მზარდი პოპულარობის პატრიოტული ძალები სულ უფრო მკაფიო კრიტიკას გამოთქვამენ მსგავსი არასამთავრობოების მავნებლურად ზედმეტ გავლენებთან დაკავშირებით - ძნელია არ დაეთანხმო შოთა მარტინენკოს ამ დასკვნას. (2)

რა არის ლიბერალიზმის ექსპანსიის ახლანდელი შეჩერების და მისი საკმაოდ სწრაფი უკანდახევის მიზეზები უახლოეს მომავალში, რატომ გაუარესდება ეკონომიკური და სოციალური ვითარება დასავლეთ ევროპაში, სადაც ჩემის ღრმა რწმენით, ყოფილი "საშუალო" კლასის ლიბერალ და სამომავლოდ დატაკ წარმომადგენლებს შთანთქავენ კონსერვატიული მიგრანტები, რომლებსაც გამრავლებას რელიგიური მრწამსი ავალებს, ასევე რატომ მოხდა, რომ აღმოსავლეთ ევროპაში უკვე თავი წამოჰყო სასტიკმა და აშკარა ნაციონალიზმისკენ გადახრილმა კონსერვატიზმმა, რომლის განვითარების პროგნოზირება ძნელი არაა. აი არასრული ჩამონათვალი იმ პრობლემებისა, რომელსაც განვიხილავ.

ჩემს მიერ ბოლო ათი წლის განმავლობაში ჩატარებული კვლევებისა და დაკვირვების შედეგად, ერთმნიშვნელოვნად შემიძლია განვაცხადო, რომ ლომის წილი ამ პრობლემების წარმოშობაზე მოდის მიგრანტებზე, რომელთაც ევროპასა და დანარჩენ მსოფლიოს არაერთი თავსატეხი გაუჩინა. მისი სათავე ეკონომიკური სიდუხჭირეშია, რომლის განსაკუთრებით გამძაფრება ე.წ. „არაბული გაზაფხულის“ წიაღში (2010 – 2015 წწ) უნდა ვეძიოთ, (და ვინაა ამ პროცესის მაპროვოცირებელი, ეს აქსიომასავით ნათელია - ლ. ო.), რომელმაც ძირითადად მოიცვა ტუნისის, ეგვიპტის, ლიბიის და იემენის სახელმწიფოები, ხოლო შემდეგში „დომინოს პრინციპით“ გავრცელება ჰპოვა დანარჩენ მსოფლიოში და შედეგად არაბი მოსახლეობის მასიური მიგრაცია მივიღეთ ევროპაში.

მიგრაციას ყოველთვის ახლავს ისეთი შედეგები, რომელსაც უმეტესად მასპინძელი ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი და გადამწყვეტია. ვფიქრობ, არაგონივრული და წინდაუხედავი პოლიტიკური ქმედებები და პროგნოზები სავალალო მდგომარეობას უქმნიან თანამედროვე ქვეყნებს. ფაქტი ჭიუტია: დღეს ევროპის უამრავი ქვეყანა მსგავსი პრობლემის წინაშე დგას. თითქმის 10 წელია ევროპაში მიგრანტების რაოდენობის ზრდასთან ერთად მატულობს ცალკეულ სახელმწიფოს წიაღში მივიწყებული ნაციონალისტური განწყობების გამოცოცხლება. არა ერთი დასავლური მედიის ცნობით,

ევროპის მოსახლეობის სულ უფრო მეტ რაოდენობას მიიჩნია, რომ აზია-აფრიკიდან შემოსული „იაფი სამუშაო ხელის“ მოზღვავეებამ ევროკავშირის სახელმწიფოების თუ საზოგადოების მდგომარეობაზე ნეგატიური ზემოქმედება მოახდინა. სწორედ ამიტომ, რომ ევროკავშირის სახელმწიფოებში თანდათან მატულობს მუსლიმთა მასიური შემოდინების შეკავების მსურველთა რაოდენობა. თავის დროზე თუ მომხრე და ინიციატორი იყო, 2010 წლის ბოლოს გერმანიის კანცლერმა, ანგელა მერკელმა აღნიშნა, რომ ევროპა მიგრანტებისგან დაიღალა, მულტიკულტურალიზმი არ შედგა. დრო გადის, ევროპის წინაშე კი საჭირო რესურსების პრობლემა სულ უფრო მეტად მწვავედება. გარდა ამისა, ბუნებრივად იზრდება ისლამის როლი და გავლენა. ეს ყველაფერი თანამედროვე პოლიტიკის სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს, რადგან ევროპაში ემიგრირებული მუსლიმებს გააჩნიათ საკმაო ამბიცია და პრეტენზიები, რომელიც ძირითადად გამოიხატება საყოფაცხოვრებო დავებში, ხოლო ტრადიციული ქრისტიანული სალოცავების ხარჯზე მეჩეთების მომრავლება (აქ საფრანგეთის მაგალითიც კმარა - ლ. ო.) ხშირად გადადის ეთნიკურ-რელიგიურ დაპირისპირებებში. ეს ყველაფერი სამომავლოდ სერიოზული პრობლემების წარმოშობას შეუწყობს ხელს, ამასთან, არაბული ქვეყნებისგან მომავალი ძირითადი საშიშროება არის ტერორიზმი, რომელიც ადევკატურ პროტესტს წარმოადგენს ამა თუ იმ პოლიტიკურ ქმედებაზე და მსოფლიოს დიდ საშიშროებას უქადის. ერთი შეხედვით, ის არის შეუკავებელი საფრთხე როგორც პოლიტიკურ-კულტურულად და ეკონომიკურად განვითარებული დასავლური სამყაროსთვის, ასევე დანარჩენი მსოფლიოსათვის. ევროპის ქვეყნებში მიმდინარე ბოლოდროინდელი მოვლენები მუსლიმთა ინტეგრაციის შედეგად გამომწვეულ პრობლემებზე მიუთითებს, რადგან ევროპაში დამკვიდრების მერე საკუთარ თავს მეორეხარისხოვან მოქალაქეებად თვლიან, ამიტომ მთავრობის დიდი ძალისხმევითა და მცდელობების მიუხედავად, მომრავლებული ისლამის მომხრეთა გაკონტროლება სულ უფრო რთული ხდება. თუ გვსურს პრობლემის მოგვარება, ბუნებრივია, მის ძირითად არსს უნდა ჩავწვდეთ: რამ გამოიწვია ამჟამინდელი ინტეგრაციის პრობლემები? რაში მდგომარეობს დღევანდელი კრიზისული პოლიტიკური სიტუაციის არსი - გასარკვევია, გახდა თუ არა იდენტობის კრიზისი მაპროვოცირებელი მიზეზი თანამედროვე ექსტემისტული განწყობებისა, რომელიც ევროკავშირის ქვეყნებს შიგნიდან ანგრევს და კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს მის ერთგვარ ხელოვნურ წარმონაქმნს.

ეს ურთულესი პრობლემაა, ამიტომ ყურადღების მიღმა არ უნდა დაგვრჩეს მიგრაციის გამომწვევი ობიექტური მიზეზები და ფაქტორები (საერთაშორისო და შიდა მიგრაციების ფონზე - ლ. ო.). მუსლიმური ემიგრაციის პირველი ტალღა საფრანგეთში ჩავიდა და ევროპისა სახელმწიფოთა ლიდერთა არასწორმა დასკვნა-პროგნოზებმა იაფი მუშახელით იოლი გამდიდრების ილუზიის თაობაზე და ადგილობრივი მთავრობის მიერ გატარებულმა გაუთვლელმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ ადევკატური უარყოფითი შედეგი დააყენა, ამიტომ დასავლეთის სახელმწიფოთა მესვეურნი თუ ობიექტურად არ შეაფასებენ, რა პრობლემებმა გამოიწვიეს ევროპაში მუსლიმი არაბების რადიკალიზაცია თავის მიზეზ-შედეგობრივი მონაცემებით და ყოველივე ამან როგორ შეცვალა ევროპის სახელმწიფოთა სამეგობლო პოლიტიკა, ეს იქნება პრობლემისადმი წაყრუება და მისი თვითდინებაზე მიშვება. შეიძლება ითქვას, რომ დღეს მიგრანტთა კრიზისი - მსოფლიოს წინაშე ერთგვარი პასუხისმგებლობაა და მიგრაციული ტენდენციები კი - ევროკავშირის უშიშროების გამოწვევა და მისი პოლიტიკური რეჟიმი, რაოდენ სანწყინადაც არ უნდა მოეჩვენოთ ზოგ-ზოგიერთებს ჩემი ეს განცხადება - პროგნოზი. ევროკავშირში არსებული შიდა პოლიტიკური კრიზისი გამძაფრდა, მასობრივმა მიგრაციამ ევროკავშირის თითოეულ სახელმწიფოში ახალი ეკონომიკური შესაძლებლობის ნაცვლად დიდი ეკონომიკური ეპათია წარმოშვა. არაბულ სამყაროში არსებული პოლიტიკური კრიზისი ბუნებრივად იწვევს ევროკავშირის მუსლიმურ ჯგუფებში სოციალური იდენტობის კრიზისის გაღრმავებას, რაც პირდაპირპროპორციულად ზრდის ევროკავშირის მოწყვლადობას განსაკუთრებით ტერორისტული საფრთხეების მიმართ.

მიგრაციას დიდი გავლენა აქვს ქვეყნის სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ განვითარებაზე, მის სტაბილურობასა თუ უშიშროებაზე, ამიტომ მისი მეცნიერული შესწავლა ყოველთვის დიდ ყურადღებას იქცევდა, ბოლო პერიოდში ინტერესი კიდევ უფრო გაძლიერდა, მიზეზი - მიგრაციის მასშტაბების ზრდაა. საერთაშორისო მიგრაციის ინტენსივობა სწრაფი ზრდის ტენდენციით ხასიათდება. ევროპული მიგრაციული კრიზისის მთავარი ტალღა ევროპაში 2014 წლის ბოლოს დაიწყო, როდესაც მიგრანტებმა მასიურად დაიწყეს თავშესაფრის ძიება ევროკავშირის მასშტაბით. ევროპის ტრიტორაიაზე მიგრანტთა კრიზისი, თავისი უპრეცედენტო და მასობრივი ხასიათის გამო, სერიოზულ გამოწვევად იქცა. სიტუაციას ართულებს ისიც, რომ ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს არ გააჩნიათ ერთიანი პოზიცია ამ საკითხთან მიმართებაში. კრიზისის უმნიშვნელოვანესი გამომწვევი ფაქტორი ახლო აღმოსავლეთში აღმოცენებული კონფლიქტები და არასტაბილური ვითარებაა. მიგრანტთა კრიზისის მთავარ გამომწვევ მიზეზად შეგვიძლია განვიხილოთ შეიარაღებული დაპირისპირებები ახლო აღმოსავლეთში და მეტად მწვავე შედეგების მქონე - სირიის სამოქალაქო და ასევე ერაყში სამთავრობო ძალებსა და ისლამური სახელმწიფოს ტერორისტულ დაჯგუფებებს შორის ომი. სირიის სამოქალაქო ომი დაიწყო 2011 წლის

გაზაფხულზე და იგი ჯერჯერობით ითვლება 21-ე საუკუნის ყველაზე სისხლიან სასაკლავოდ. მიგვაჩნია, რომ სამეცნიერო წრეებმა კომპლექსურად უნდა შეისწავლოს არაბული სამყაროს კრიზისის გავლენა ევროპის უშიშროებაზე, რათა ვეძებოთ კანონზომიერება არაბულ სამყაროში მომხდარ პოლიტიკურ ცვლილებებსა და ევროკავშირის უშიშროებაზე რა გავლენას ახდენს „არაბული გაზაფხული“ და მის გამო „დომინოს პრინციპით“ წარმოშობილი და გავრცელებული პრობლემები ევროპასა და დანარჩენ მსოფლიოში. (3)

განსაკუთრებული სიმძაფრე ამ ნეგატიურმა გამოწვევებმა 2008 წლის მსოფლიო ფინანსური კრიზისის მერე შეიძინა. დასავლეთის ქვეყნების საშუალო ფენა მოუშადადებელი შეხვდა ამ პრობლემას, ახლა თითქმის ათი წლის შემდეგაც სიტუაცია უფრო უარესდება, ნათქვამია ბრუკინგის ინსტიტუტის კვლევებში. ფრანგული საქმიანი გაზეთი „ეკო“ (Les Echos) წერს: „ევროპაში უკვე საშუალო ფენა არ არის კეთილდღეობის სინონიმი, მათი შემოსავლები მცირდება. მცირე და საშუალო ბიზნესი და შესაბამისად საშუალო ფენის კეთილდღეობა ქრება ტრანსნაციონალური კორპორაციებისა და სტარტაპების ზენოლის შედეგად და ამას საზოგადოებისათვის შესაძლოა ჰქონდეს კატასტროფული შედეგი“.

სინამდვილეში მოუთოკავმა გლობალიზაციამ წერტილი დაუსვა დასავლეთის ქვეყნებში საშუალო კლასს. აზიის ქვეყნებში და უპირატესად ჩინეთში წარმოების გადატანას შედეგად მოჰყვა ძველი სამრეწველო ცენტრების დეინდუსტრიალიზაცია. პრაქტიკულად ჩაკვდა ევროპული გემთმშენებლობა, საფეიქრო წარმოება, ელექტრონიკა და სხვა დარგები. როგორც აღნიშნავს ფრანგული ყოველკვირეული გამოცემა (Marianne) განადგურებულია მთელი თაობის შრომითი კულტურა, ევროპის მუშათა კლასი ქუჩაში გამოყრილი და გამოუსადეგარი დარჩა ხელოსნები და მცირე ბიზნესის წარმომადგენლები, მწარმოებლები. მომსახურეობის სფეროში გადასულმა ევროპის პროლეტარიატმა დაკარგა კავშირი მარქსისტულ იდეოლოგიასთან. დაეცნენ ერთ დროს მგრგვინავი მუშათა კლასის პარტიები, ისეთები, როგორებიც იყვნენ იტალიისა და საფრანგეთის კომუნისტური პარტიები. დეიდოლოგიზირებული მასების ტვინებს დაეპატრონენ ყველა ჯურის პოპულისტები - საფრანგეთის „ნაციონალური ფრონტის“, იტალიის „ლიგით“ დაწყებული, დონალდ ტრამპით დამთავრებული ამერიკაში. ამასთანავე გლობალიზაციის შედეგად მოხდა მმართველი ელიტის კოლოსალური გამდიდრება, ეროვნული სიმდიდრე კონცენტრირებული იქნა დასავლური სამყაროს ფინანსურ ცენტრებში, ხოლო პროვინციები დარჩნენ ფულადი დინებების მიღმა. კიდევ უფრო დიდი ტემპებით მიმდინარეობს საზოგადოების პოლარიზაცია, წარმოიშვა გადაულახავი უფსკრული მცირერიცხოვან მდიდრებსა და ფართო მოსახლეობას შორის, რომელშიც შედის არა მარტო სოციალური ქვედა, ასევე - საშუალო ფენა.

მომდევნო 40 წლის განმავლობაში გლობალიზაციამ თანამიმდევრულად დაანგრია დასავლური საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურა: ადრინდელი პოლიტიკურად ორგანიზებული და არაფრის დამკარგავი მუშათა კლასის (პროლეტარიატის) მოსპობის შემდეგ დადგა თვითდასაქმებული მუშების, მწარმოებლების, ხელოსნების, წვრილი მოვაჭრეებისა და ჩინოვნიკების რიგი. ცნობილი ფრანგი სოციოლოგი ქრისტოფერ გილიუი (Christophe Guilluy) თავის ბეტსელერში: „არ არსებობს საზოგადოება: დასავლური საშუალო ფენის დასასრული“, ასე აღწერს შექმნილ ვითარებას: „ბრექსიტი და დონალდ ტრამპის არჩევა არ არის შემთხვევითი ინგლისისა და ამერიკის ისტორიაში. ესაა განბილებული საშუალო ფენის საპროტესტო არჩევანი“. საფრანგეთსა და გერმანიაში უფრო განონასწორებული სოციალური ტრადიციული სისტემის შენარჩუნებით ჯერ კიდევ ახერხებენ უთანასწორობის გამო შესაძლო პროტესტის გარკვეულწილად ჩახშობას, მაგრამ ამ ქვეყნებშიც ეს მოჩვენებითი ილუზია და დროებითი მოვლენაა. ამ სიმშვიდის წიაღში შეიმჩნევა პროტესტის ზრდა: „ყვითელი ჟილეტების“ აჯანყება ამ სოციალური უთანასწორობისა და საფრანგეთის ფართო წრეების უკმაყოფილების ნათელი დადასტურებაა. ფრანგული საშუალო ფენის ეროზია გრძელდება: უფრო და უფრო მეტი მასები ლატაკდებიან და განსაკუთრებით ეს პროცესი შეიმჩნევა პერიფერიებში, რადგანაც საფრანგეთის „სიღრმეში“ საშუალო ხელფასი 1500 ევროზე ნაკლებია (მაშინ, როდესაც ქვეყანაში მოსამსახურეთა საშუალო ხელფასი 1637 ევროს შეადგენს, ხოლო მუშებისა კი - 1717 ევროს)., ამასთან საფრანგეთში მოკრძალებული ბინის დაქირავება ღირს ათასი ევრო. ქრისტოფერ გილიუის აზრით კი - ფრანგები მოწმე ხდებიან მიტოვებული და მიგდებული პერიფერიების რევოლუციისა. წარმოიშვა და პოლიტიკურ ლექსიკონში სულ უფრო ხშირად გვხვდება ტერმინები: „პერიფერიული საფრანგეთი“, „ამერიკის სიღრმეში“ და ა.შ., ზუსტად პერიფერიების თანადგომამ განაპირობა დონალდ ტრამპის აშშ პრეზიდენტად არჩევა, დიდი ბრიტანეთის პერიფერიამ ბრექსიტს მისცა ხმა, იტალიურმა პერიფერიამ მოიყვანა სახელმწიფო სათავეში მემარჯვენე და მემარცხენე პოპულისტები, ფრანგულმა პერიფერიამ „ყვითელი ჟილეტების“ აჯანყება წარმოშვა საერთაშორისო ფინანსური კაპიტალის წარმომადგენლის ემანუელ მაკრონის წინააღმდეგ. სოციალური რყევების მიზეზი - ცხოვრების დონის დაცემა და ეროვნული სიმდიდრის არათანაბარი გადანაწილებაა. ფინანსური ნაკადები ძირითადად მიმართული იყო დიდი ქალაქების ნიუ - იორკის, ლონდონისა და პარიზის ტრანსნაციონალური ელიტის მაღალი ცხოვრების

დონის უზრუნველსაყოფად, საცხოვრებლის ფასებმა მაღალ და საშიშ ნიშნულს მიაღწია. უპირველესად ფინანსურ-სპეკულაციურმა სიმდიდრემ ეს ცენტრები გადააქციეს ახალ ბაბილონად, მაშინ როდესაც პერიფერიები მოცულია ეკონომიკური სიღუბლით და სოციალური დეპრესიით.

დასავლეთელი პოლიტიკოსები, მეცნიერები და ჟურნალისტები დიდი ყურადღებით აკვირდებიან ნეგატიურ პროცესებს, რომელიც მოიცავს: უმუშევრობას, უთანასწორობის გაღრმავებას, ბანკებისადმი დავალიანებების ზრდას, მაგრამ სხვებს არწმუნებენ, რომ რამდენიმე დამატებითი პროცენტით ეკონომიკის ზრდა ამ პრობლემას გადაწყვეტს. ისინი ვერ ხვდებიან, ანდა არ უნდათ დაინახონ, რომ კლასობრივ ფენებს შორის განსხვავების პროცესი დაუმორჩილებელია და მას არაფერი აქვს საერთო ეკონომიკურ ზრდასთან. ვფიქრობ, ბევრი დამეთანხმება, უმთავრესი პრობლემა - ეროვნული სიმდიდრის არათანაბარ განაწილებაშია. იგი აქტუალურია არა მარტო დასავლეთის, არამედ მთელი სამყაროსათვის. საკმარისია დავაკვირდეთ ჩინეთს, სადაც ეკონომიკური განვითარების სწრაფმა ტემპებმა ვერ აღმოფხვრეს მზარდი ქონებრივი განსხვავება, ის იქ კიდევ უფრო მძაფრად იგრძნობა, ვიდრე დასავლეთში. მსოფლიო გლობალიზაციის ბენეფიციარები თავს შესანიშნავად გრძობენ და არც ფიქრობენ უსამართლობის აღმოფხვრაზე. დასავლეთის უკლასო მუშებსა და დეგრადირებულ საშუალო ფენას არ შესწევს ძალა ორგანიზებული წინააღმდეგობა გაუწიოს ნეოლიბერალურ წესრიგს. თუ დავესხვებით ქრისტოფერ გილიუსის კონსტატირებას: „უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში დასავლეთის საშუალო ფენამ დაკარგა ამერიკული და დასავლეთევროპული ცხოვრების წესის მფლობელის სტატუსი, გადაიქცნენ რა სოციალურ ლუბრებად“ (სოციალური ქსელების მომხმარებლად - ლ. ო).

ამერიკელი პოლიტოლოგი მარკ ლილა (Mark Lilla) წერს: რომ ამერიკულმა ნეოლიბერალურმა ელიტამ და უპირველესად დემოკრატიულმა პარტიამ უარი განაცხადა ამერიკული საშუალო და დაბალი ფენების მხარდაჭერაზე. მათ დადეს ხელშეკრულება ეთნიკურ, რელიგიურ და სექსუალურ უმცირესობებთან, ფემინისტებთან, აფროამერიკელებთან, ლათინებთან, ლგბტ-ს წარმომადგენლებთან და ა.შ., ყოველივე ამან საზოგადოების კოლოსალური პოლარიზაცია და დონალდ ტრამპის, როგორც „ღრმა ამერიკელის“ 2016 წლის არჩევნებში გამარჯვება გამოიწვია. დასავლეთში კიდევ უფრო მკვეთრად გამოიკვეთა ორი იდეოლოგიური დაპირისპირება. ერთ მხარესაა ქალაქების ტრანსნაციონალური ელიტები, მენეჯერები, ფინანსისტები, ყველანაირი უმცირესობები და მარგინალები, საოფისე პლანქტონები (გადატ. მნიშვნელობით - ცხოველები - ლ. ო.) და მიგრანტები. მეორე მხარესაა - მუშათა კლასის ნარჩენები, ფერმერები, წვრილი მოვაჭრეები, ხელოსნები, პოლიციისა და სახელმწიფო ორგანოების ქვედა რგოლის წარმომადგენლები, ჩვენს რეალობაში ამათ უნდა დავამატოთ პროფესორ-მასწავლებლები და პენსიონერები.

არ მოვერიდები და ყოველგვარი შელამაზების გარეშე მათ კუთვნილ სახელს, ნეოლიბერალური იდეოლოგიის მქადაგებელ ახალ ნეოლიბერალურ პარაზიტულ კლასს ვუნოდებ, სწორედ ისინი და მასთან მიტმასნილნი მარგინალები ეწინააღმდეგებიან მშრომელებისა და ეროვნული კაპიტალის მწარმოებელ საზოგადოების ტრადიციულ სტრუქტურას. ე.წ. წინააღმდეგობანი შესამჩნევია დასავლეთის ყველა ქვეყნისათვის. ასე რომ, შეიძლება პირდაპირ ითქვას, რომ არჩევნების დროს საფრანგეთის პრეზიდენტი იმანუელ მაკრონი არჩევნებში ძირითადად იყრდნობა მიგრანტებისა და არაბული წარმომავლობის „ახალი“ ფრანგების ხმას. არის თუ არა გამოსავალი არსებული სიტუაციიდან? ჩემი აზრით, მსგავს სიტუაციაში საშუალო ფენა განწირულია. დეკლასირებული მასები ხმას მისცემენ მემარჯვენე და მემარცხენე პოპულისტებს, იქნება ეს აშშ, იტალია, საფრანგეთი, ავსტრია და თუნდაც შვეიცია, სადაც ე.წ. „სკანდინავიური მოდელი“ არაერთი მკვლევარის აზრით, უკანასკნელ დღეებს ითვლის. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ნეოლიბერალიზმის სავარაუდო ალტერნატივად შეიძლება „ახალი ტოტალიტარიზმი“ გახდეს თავისი მემარჯვენე თუ მემარცხენე საბურველით. არ უნდა დავივიწყოთ, რომ მოსახლეობის პაუპერიზაცია გახდა მეოცე საუკუნის დასაწყისში კომუნიზმისა და ფაშიზმის აღმოცენების მიზეზი. (4)

ჩვენი საქართველოსნაირ პატარა ქვეყნებში განსაკუთრებით საყურადღებოა მსგავსი პროცესების დადებითი და უარყოფითი მხარეები. მსოფლიოში XX საუკუნის 20-იან წლებში დაწყებულმა მონდიალიზაციამ - ვესტერნიზაციამ, რომელიც ამავე საუკუნის 70-იან წლებში გლობალიზაციად მოგვევლინა, ამ წლების განმავლობაში ხელოვნურად გამოიყვანა მცირე ელიტური ჯგუფები ე.წ. (არასამთავრობო) იგი სექტორის, ჟურნალისტების, ფსევდო-ექსპერტერების, ლექტორების სახით და ყველაფერი ეს მოხდა ყოველგვარი საზოგადოებრივი ლეგიტიმაციის გარეშე. გემოთხსენებული სუბიექტები ხალხის სახელით ახდენენ ლიბერალური ნარატივის იდეოლოგიზირებულ პროპაგანდას საკუთარი ვინრო-პარტიული და მერკანტილური ინტერესების შესაბამისად, რაც ხშირ შემთხვევაში არ შეესაბამება ერი-სახელმწიფოს ნაციონალურ ინტერესებს. ისინი არ ერიდებიან სხვა იდეოლოგიური

ჯგუფების წარმომადგენლების წინააღმდეგ ყველანაირი ბინძური მეთოდების („შავი პიარის“) გამოყენებას (როგორცაა, მაგალითად: ბულინგი, ტროლინგი, ფსიქოლოგიური ტერორი), მხოლოდ იმიტომ რომ მათ სხვა აზრი და დანიშნულება არ გააჩნიათ. ანუ მარტივად რომ ვთქვათ, ეს ხალხი გარკვეული ფინანსური სარგებლის მიღების სანაცვლოდ მდიდრების ინტერესების დაცვით არიან დაკავებული. ყოველივე ამის გამო ჩვენს საზოგადოებაში დამოკიდებულება ამ კატეგორიის ხალხისადმი არაერთმნიშვნელოვანია და უმეტესობას აღიზიანებს მათი ზედმეტად ვითომ დამაჯერებელი მენტორული ტონი და ყოველმცოდნის ვითომმიჯი.

ასევე მიმაჩნია, აუცილებელია შესაძლებლობის ფარგლებში განვიხილოთ ევროკავშირის ქვეყნებში მიმდინარე დადებით პროცესებს, რომელსაც ადგილი აქვს ანტიგლობალისტური განწყობის მთავრობების მოსვლის შემდეგ, რომელთაც ცალსახად უარი თქვეს ლიბერალურ განწყობებზე და არ აპირებენ ბრმად შეასრულონ მათი მითითებები და ღირეფტივები. ევროპის მთელი რიგი სახელმწიფოების გარკვეული პროგრესული ძალები დადგნენ დიდი ეროვნული გამოღვიძების გზაზე და უპირველეს მიზნად დაისახეს ეროვნული ღირებულებებისა და ღირსების დაცვა.

ასე მაგალითად, ევროკავშირში შობადობის საშუალო მაჩვენებელი ყოველ ერთ ქალზე 1.59 ბავშვია, უნგრეთში კი - 1.49. ამ საგანგაშო მაჩვენებელმა ორბანის მთავრობა მიიყვანა შემდეგი გადანყვეტილებამდე: 2019 წლია 30 ივლისიდან უნგრეთის მთავრობა დაქორწინებულ წყვილებს 30 000 ევროს ფარგლებში სესხს სთავაზობს, რომლის დაბრუნება მათ არ მოუწევთ, თუ სამი შვილი ეყოლებათ. ფული ხელმისაწვდომია სპეციალური პროგრამის საშუალებით. თანხის დახარჯვა მშობლებს ნებისმიერ რამეზე შეეძლება და ის უპროცენტოა.

უნგრეთში, როგორც ევროკავშირის სხვა ქვეყნებში, მუშახელის სიმცირის პრობლემა დგას, რადგან ადგილობრივები ქვეყნიდან უკეთესი ანაზღაურების გამო მიდიან. უნგრეთის ხელისუფლების მიზანია მოსახლეობის ზრდა უნგრელების წახალისების გზით მოხდეს და არა მიგრანტების ხარჯზე. უნგრეთის ლიდერმა ვიქტორ ორბანმა განაცხადა, რომ ქვეყნის მიზანი არაა უბრალოდ რიცხვები, არამედ – უნგრელი ბავშვები. (5)

უნგრეთისა და პოლონეთის მთავრობებს ევროკავშირისადმი თანხების გადარიცხვის საკითხშიც განსხვავებული პოზიციები გააჩნიათ, ამასთან ისინი უარს აცხადებენ მიგრანტების მიღებაზე, რის გამოც უკმაყოფილებას გამოთქვამენ დიდი სახელმწიფოები:

ასე მაგალითად, 2018 წლის 6 იანვარს გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის (SPD) ლიდერის, მარტინ შულცის განცხადებით, თუ პოლონეთი და უნგრეთი ევროპის საიმპერაციო კრიზისის მოგვარების პროცესში საკუთარი წვლილის შეტანას და მიგრანტების მიღებას არ დაიწყებს, გერმანია ევროკავშირის ბიუჯეტში გადარიცხვებს შეამცირებს და თუ ეს მართლა მოხდება, იგი კიდევ უფრო დააჩქარებს ევროკავშირის დაშლის პროცესს. (6)

02 აგვისტო, 2019 წ., პოლანდიაში თავშეყრის ადგილებში ნიქაბის და ბურკის ტარება აიკრძალა, SNN-ის ცნობით, კანონი 1 აგვისტოდან შევიდა ძალაში. შინაგან საქმეთა სამინისტროს განაწესის თანახმად, პოლანდიის სკოლებში, საავადმყოფოებსა და საზოგადოებრივ ტრანსპორტში ისეთი სამოსის ტარება იკრძალება, რომელიც სახეს ბოლომდე ფარავს. კანონის თანახმად, ქალებს ჯერ ნიქაბის მოხსნა მოუწევთ, თუ პოლიციას არ დაემორჩილებიან, ჯარიმის სახით ან 150 ევროს, ან 166 აშშ დოლარის გადახდა მოუწევთ. პოლანდიაში დაახლოებით 400 ადამიანი ცხოვრობს, რომელიც ნიქაბს ატარებს. მსოფლიოში ნიქაბსა და ბურკას თითქმის 17 მილიონი ადამიანი იყენებს.

დანიში მიიღეს კანონი, რომელიც საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას იმ ნივთების ტარების აკრძალვას გულისხმობს, რომელიც სახეს მთლიანად ფარავს, მათ შორის ნიქაბი და ბურკა. ინფორმაციას ამის შესახებ The Guardian-ი ავრცელებს.

შესაბამისი კანონი ქვეყნის პარლამენტმა 75 ხმით დაამტკიცა, 30 წინააღმდეგი იყო, ხოლო 74-მა შეიკავა თავი.

ბურკისა და ნიქაბის ტარების აკრძალვა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში აიკრძალა, მათ შორის ავსტრია, ბელგია, საფრანგეთი და ასევე შვედეთისა და ესპანეთის ნაწილები.

საფრანგეთმა 2010 წელს მიიღო კანონი, რომლის მიხედვითაც, საჯარო ადგილებში აკრძალულია სახისა და სხეულის სრულად დაფარვა. 2011 წელს საფრანგეთში სასამართლომ ქალები პირველად დააჯარიმა ჩადრის ტარებისთვის.

imedi / 23 ოქტომბერი 2018,

გაერო: საფრანგეთმა ნიქაბის ტარების აკრძალვით ადამიანის უფლებები დაარღვია. საფრანგეთში მუსლიმთა სამოსის, ნიქაბის ტარების აკრძალვა ადამიანის უფლებებს უხეშად არღვევს და ქვეყანამ კანონმდებლობას უნდა გადახედოს, - ეს გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის პოზიციაა. ინფორმაციას Reuters-ი ავრცელებს.

კომიტეტმა საფრანგეთს კანონის ხელახალი განხილვისთვის 180 დღე მისცა. ქვეყანა ამ კანონს უსაფრთხოების ნორმების დაცვის აუცილებლობით ხსნის, რადგან სხეულისა და სახის სრულად დაფარვა, ტერორისტებისთვის „მოსახერხებელია“, რაც საზოგადოებას საფრთხეს უქმნის. imedi / 03 ოქტომბერი 2018

იტალიაში მუსლიმ ქალებს შვილის სკოლიდან გამოყვანისას ბურკის ტარებას აუკრძალავენ. იტალიის ულტრამემარჯვენე პარტიის, „ჩრდილოეთის ლიგის“ დეპუტატების თქმით, აპირებენ, მუსლიმ დედებს აუკრძალონ ტრადიციული ბურკისა და ნიქაბის ტარება შვილების სკოლიდან გამოყვანისას. ამის შესახებ Dailysabah-ი წერს.

დეპუტატების მტკიცებით, სკოლის თანამშრომლებმა უნდა შეძლონ იმ ადამიანის ცნობა, ვისაც სკოლიდან ბავშვი გაჰყავს. ისინი ინიციატივას ბავშვების უსაფრთხოებით ხსნიან.

პირველი ევროპული ქვეყანა, სადაც 2010 წელს, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში მუსლიმური სამოსელის, ფარანჯის ტარება აკრძალა, საფრანგეთია.

იქედან გამომდინარე, რომ ყველა სათანადოდ ვერ ერკვევა მსგავს სიტუაციებში, არსებობს მუსლიმი ქალის სამოსელის რამდენიმე სახეობა და უფრო მეტად თვალსაჩინოებისათვის მოვიტანთ მათ მოკლე დახასიათებას:

- ჰიჯაბი - თავსაბურავი, ფარავს თავს და მხრებს, მაგრამ არა სახეს;
- ნიქაბი - თავსაბურავი, რომელიც ფარავს სახესაც, თუმცა თვალები არ არის დაფარული;
- ჩადრი - სამოსი, რომელიც ფარავს მთლიანად სხეულს თმის ღერიდან ფეხის ტერფის ჩათვლით, თუმცა სახე არ არის დაფარული, ქალი ჩადრის ტარებისას ცალკე თავსაბურავსაც ატარებს;
- ფარანჯა - ხალათის მსგავსი უხელო სამოსი, რომელიც მთლიანად ფარავს სხეულს და ასევე სახეს. სახე დაფარულია პირბადით. ამ სამოსის ტიპს მიეკუთვნება ბურკაც - ის სრულიად ფარავს ქალის სხეულის ზედა ნაწილს.

შვიდი თვის წინ (2019 წ. მარტი) საქართველოს პარლამენტშიც მომზადდა მუსლიმური სამოსის შეზღუდვის შესახებ კანონპროექტი, მაგრამ გარკვეული პოლიტიკური მიზნებისა თუ წრეების ზეგავლენით ყოვნდება მისი მიღების პროცესი.

ჩადრით, ნიქაბით და ბურკით სიარული აკრძალულია: ჰოლანდიაში, ბელგიაში, საფრანგეთში, ავსტრიაში, ბულგარეთში და ლატვიაში. მიმდინარე წლის 1-ელი ივლისიდან ამ ქვეყნების რიცხვს დანიაც შეუერთდა.

საქართველოში უკანასკნელ ხანებში გამძაფრებულმა ანტისაიმიგრაციო განწყობებმა, ამ თემაზე ჩატარებულმა რამდენიმე საპორტესტო აქციამ, რომელთაგანაც 2017 წლის 14 ივლისს გამართულ „ქართველთა მარშზე“ რამდენიმე ათასი ადამიანი გამოვიდა, ამ საკითხის მიმართ კიდევ უფრო გაზარდა საზოგადოებრივი ინტერესი და საზოგადოების კონსერვატიულ და ლიბერალურ ნაწილებს შორის მწვავე და დიდწილად აგრესიული პოლემიკა წარმოშვა.

ავსტრიის საგარეო საქმეთა მინისტრი სებასტიან კურცი საქართველოს 2017 წლის 3 თებერვალს სტუმრობდა. იმავე წლის 5 მარტის განცხადებით, ევროკავშირის ლტოლვილთა მიღების ცენტრები ევროკავშირის ფარგლებს მიღმა უნდა გაიხსნას. ეს ქვეყნები შეიძლება იყოს საქართველო, ეგვიპტე და დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნები. ის პირები, რომლებიც ევროკავშირის საზღვარს არალეგალურად გადაკვეთენ, ამ ცენტრებში იქნებიან მოთავსებული.

„ჩვენ გვჭირდება ცენტრები ლტოლვილებისთვის ევროკავშირის გარეთ, რომლებიც ლტოლვილების

საკითხებში გაერო-ს უმაღლეს კომისარიატთან ერთად იფუნქციონირებს. კონკრეტულად სად განთავსება ასეთი ცენტრები, ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი არ არის. ასეთი ობიექტები შეიძლება განთავსდეს ისეთ ქვეყნებში, როგორცაა მაგალითად საქართველო, ეგვიპტე ან დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნები”, - განაცხადა სებასტიან კურცმა. რომ იტყვიან კომენტარი ზედმეტია.

უნგრეთის პრემიერ-მინისტრის, ვიქტორ ორბანის 2019 წლის 12 მარტის განცხადებით, მის ოპონენტებს აცოფებს, რომ უნგრეთი ქრისტიანული ქვეყანაა და იქ მულტიკულტურიზმის ადგილი არ არის.

“ჩვენს ოპონენტებს აყველაზე მეტად ის ფაქტი აცოფებს, რომ ჩვენს კონსტიტუციაში ჩავწერეთ, რომ უნგრეთს ქრისტიანული ფესვები აქვს; რომ აქ მულტიკულტურიზმის ადგილი არ არის; რომ ბავშვს აქვს დედის და მამის ყოლის უფლება; ხოლო ჩვენს სახელმწიფოს აქვს უფლება, დაიცვას საკუთარი საზღვრები – რაც ასევე ევროკავშირის საზღვრებიც არის.” (7)

შვედური კონსერვატიული პარტია “შვედი ქრისტიან-დემოკრატების” ერთ-ერთი ლიდერის, ება ბუმტორის 2019 წლის 11 მარტის განცხადებით, მასიურმა მიგრაციამ ქვეყანაში ქალების დაუცველობის პრობლემა წარმოშვა და ეს პრობლემა მწვავედ დგას.

“შიში პირველ რიგში უკავშირდება ახალგაზრდა მამაკაცების მოხეტიალე ჯგუფების მხრიდან შევიწროების საფრთხეს, ხშირად ეს მამაკაცები არიან მსოფლიოს იმ ნაწილებიდან ჩამოსულები, სადაც ქალების თავისუფლად გადაადგილება არ არის მიღებული,” – განაცხადა მან. (8)

ისრაელის პრემიერ-მინისტრ ნეთანიახუს მიაჩნია, რომ ისრაელი მისი ყველა მოქალაქის სახელმწიფო არ არის, ისრაელი მხოლოდ ებრაელების ნაციონალური სახელმწიფოა.

ამერიკელი პოლიტიკოსის ჰილარი კლინტონის 2018 წლის 23 ნოემბრის განცხადებით, მემარჯვენე პოპულიზმის და ნაციონალიზმის მზრდი საფრთხის შესაჩერებლად ევროპამ იმიგრაციის პრობლემა უნდა მოაგვაროს და გაავრცელოს უფრო ძლიერი სიგნალი, რომ ლტოლვილების მასისთვის თავშესაფრის და შემწეობის მინიჭების საშუალება აღარ გააჩნია. (9)

შვედეთის მთავრობა გეგმავს გამოსცეს “სექსის სახელმძღვანელო”, რომელიც აუხსნის ახალგაზრდა მიგრანტებს, რომ ხალხი არ უნდა გააუპატიურონ, ამის თაობაზე 2017 წლის 12 სექტემბრის შვედეთის ახალგაზრდობის და სამოქალაქო საქმეების სამინისტრომ დაგეგმა საგანმანათლებლო პროგრამის დაწყება, რომელიც ქვეყანაში გახშირებული სექსუალური თავდასხმების პრობლემის მოგვარებაზე იქნება მიმართული.

პროგრამის ფარგლებში იგეგმება “სექსის სახელმძღვანელოს” გამოცემა, რომელმაც ახალგაზრდა მიგრანტებს უნდა ასწავლოს სექსის საფუძვლები, ასევე, რომ ადამიანები არ უნდა გააუპატიურონ და რომ ქალებს აქვთ უარის თქმის უფლება.

სახელმძღვანელო განკუთვნილია იმ სპეციალისტების დასახმარებლად, რომლებიც ახალგაზრდა მიგრანტებთან მუშაობენ სექსის და გენდერული პრობლემების საკითხებზე.

უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში შვედეთში სექსუალური თავდასხმების გახშირების ტენდენცია აღინიშნება. თავდასხმები ყველაზე ხშირად მიგრანტების თავშესაფრების სიახლოვეს და მუსიკალურ ფესტივალებზე ხდება. ამ თემაზე ჩატარებული რამდენიმე კვლევის მიხედვით, სექსუალური თავდასხმების დაახლოებით 90% უცხოელების მიერ არის ჩადენილი. (10)

ძალიან ბევრი ადამიანისათვის ყველაფერი ამ უბედურების სათავეს უცხოეთიდან დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციები წარმოადგენენ, რომლებიც მცირე ქვეყნებისათვის პოლიტიკური დამოუკიდებლობის დიდ საფრთხედ ჰყავთ მიჩნეული.

ვენაში ულტრა-მემარცხენებმა წაბილწეს იმ პოლონელი მეფის ქანდაკება, რომელმაც 1683 წელს ვენა თურქების ალყისაგან იხსნა.

უცხოეთიდან დაფინანსებული ლიბერალური არასამთავრობო ორგანიზაციები მცირე ქვეყნებისთვის პოლიტიკური დამოუკიდებლობის დაცვას საფრთხეა

ლიბერალური არასამთავრობო ორგანიზაციები – მოვლენა, რომელიც საქართველოში დაახლოებით

ორი ათწლეულის წინ გაჩნდა და დღეს უკვე ამ ორგანიზაციების შესახებ სმენია ყველას, ვინც ოდნავ მაინც ადევნებს პოლიტიკას თვალყურს.

ყველას უნახავს ამ ორგანიზაციების წარმომადგენლები ერთგვარი ექსპერტების რანგში მუდმივ რეჟიმში სხედან ტელეეფერებში ნებისმიერ პოლიტიკურ თუ სოციო-კულტურულ საკითხზე და პრეტენზიულ-დამრიგებლური ტონით პოლიტიკოსებს, მედიას და მთლიანად საზოგადოებას ასწავლიან, რა პოზიცია და დამოკიდებულება უნდა ჰქონდეთ.

ჩვენს ქვეყანაში ევროკავშირისადმი დამოკიდებულება არაერთგვაროვანია, ხოლო წარმოშობილი პრობლემები შესაბამის ადეკვატურ ასახვას პოულობს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაზე, მაგრამ ეს ისეთი წელი ტემპით მიმდინარეობს, რომ სასაცილოცაა მასზე საუბარი. თბილისში აშშ-ს საელჩოს წარმომადგენლებმა სამი წლის შემდეგ „ძლივს გაიგეს“, რომ დონალდ ტრამპი არჩეულია მათ ახალ პრეზიდენტად და ამ ქვეყნის საგარეო-პოლიტიკური კურსი რადიკალურად განსხვავდება ბარაკ ობამას დროინდელისაგან. ასეთივე შენელებული კურსი აქვთ აღებული პოლიტიკური ორიენტაციის თვალსაზრისით, ის კი არადა კონსტიტუციის ახალ ტექსტში შეიტანეს ცვლილება, რომ ქვეყნის საგარეო-პოლიტიკური არჩევანი არის ევროპული. ამიტომ მსგავსი პრობლემები, რომელიც ასევე ჩვეულებრივია საქართველოსათვის, შესაბამის საპროტესტო განწყობებს წარმოშობს. ჩვენთან იქმნება საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობები, როგორცაა „ქართული მარში“. „ქართული ერთობა“, „ქართული მისია“ და ა.შ., რომლებმაც თავიანთ მიზნად ეროვნული სულის აღზვევა დაისხეს და ევროშვედეთის ახალგაზრდობის და სამოქალაქო საქმეების სამინისტრო გეგმავს საგანმანათლებლო პროგრამის დაწყებას, რომელიც ქვეყანაში გახშირებული სექსუალური თავდასხმების პრობლემის მოგვარებაზე იქნება მიმართული.

პასა და დანარჩენ მსოფლიოში მიმდინარე მსგავს პროცესებს აუწყვეს ფეხი. საზოგადოებისთვის ამ ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვან თემაზე ალტ-ინფომ ჩანერა ინტერვიუს ფილოსოფოს ზაზა შათირიშვილთან:

ბატონო ზაზა, უკანასკნელი კვირების განმავლობაში საზოგადოებაში ყველაზე აქტუალური თემაა „ქართველთა მარშის“ თემა. როგორ ფიქრობთ, რას უკავშირდება საზოგადოებაში ანტისაიმიგრაციო განწყობების იმდენად გამძაფრება, რომ მის წინააღმდეგ მიმართული აქტიური მედია კამპანიის მიუხედავად, „ქართველთა მარშზე“ მაინც ათასობით ადამიანი გამოვიდა?

– მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს თუ დააკვირდებით, საიმიგრაციო ტალღებით დაიფარა დასავლეთი და იქაც აბსოლუტურად ურთიერთსაწინააღმდეგო და ურთიერთგამომრიცხავი რეაქციებია. ამ ფონზე სრულიად ბუნებრივია ქართული საზოგადოების შიშები, ანუ, თუ შეიძლება ეს პროცესი დასავლეთსაც კი გამოწვევებით დაემუქროს, მაშინ პატარა საქართველოსთვის, რომელიც დასავლეთის ნაწილია, ეს სრულიად ბუნებრივი დასავლური შიშებია.

აქ უნდა გავითვალისწინოთ, რომ თანამედროვე დასავლეთის წარმოშობა ზუსტად ასეთი საიმიგრაციო ტალღებით დაიწყო მეექვსე-მეცხრე საუკუნეებში, რასაც მაშინ ხალხთა დიდი გადასახლება ერქვა, ასე რომ, უნდა ჩავთვალოთ, რომ ეს არის მეორე დასავლური ტალღა.

კი, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს ტალღა უკვე დასავლური აღარ არის, ეს არის აზიურ-აფრიკული ტალღა...

– ხო არა, მე დასავლურ ტალღაში ვგულისხმობ დასავლეთის შიშებს აღმოსავლეთის წინაშე და გარკვეულ კომპლექსზე, რომელიც დასავლელი ინტელექტუალების ნაწილს აქვს აღმოსავლეთის წინაშე. დასავლელი ინტელექტუალების გარკვეული ნაწილი მიიჩნევს, რომ აი, ვთქვათ, საუკუნეების განმავლობაში ხდებოდა მესამე სამყაროს დამონება და ახლა რაც ხდება, ეს არის ბუნებრივი შედეგი. და რადგანაც ჩვენ დასავლეთის განუყოფელი ნაწილი ვართ, ჩვენც სრულიად დასავლური შიშები გვაქვს.

და ხომ შეიძლება ითქვას, რომ დასავლური შიშები დღევანდელ იმიგრაციასთან დაკავშირებით არ არის რაღაც ირაციონალური კომპლექსებიდან ამომავალი, არამედ ეს არის საკმაოდ რაციონალური შიში, რადგან ამ იმიგრაციის ქვეტექსტი დიდწილად არის იდეოლოგიური ისლამი, რომელიც ამ საიმიგრაციო ტალღის გაგრძელების შემთხვევაში, იდეოლოგიური რეალობის ცალსახა ცვლას გულისხმობს?

– აღმოსავლეთი არ არის ერთგვაროვანი, არის ისლამი, არის ინდოეთიც, არის წარმართული აფრიკა. თუ მთლიანობაში განვიხილავთ, დასავლეთს აქვს გარკვეული კომპლექსი, ერთგვარი ცივილიზაციური შიში, რომელსაც თავისი ისტორიული საფუძველი აქვს, რომის იმპერია სწორედ ასეთმა ტალღებმა დაანგრია და ეს მესხიერება არსებობს.

რა თქმა უნდა, არის სრულიად რეალური შიშები და გამოწვევები, საიმიგრაციო ტალღა სრულიად რეალურია. ცხადია.

საერთოდ, ყველა ცივილიზაციაში არსებობს გარკვეული შიში უცხო სწინაშე. ყველა ცივილიზაცია იგება ასეთ განცდაზე, რომ არსებობს ჩემი, რომელიც არის კულტურა და სხვა, რომელიც არის ბარბაროსი. ყველა კულტურას ახასიათებს ესეთი მომენტი. აი გლობალური, ლიბერალური ცივილიზაცია გამოირჩევა იმით, რომ მისთვის თითქოს ასეთი ბარბაროსი და სხვა არ არსებობს. პრაქტიკულად ყველა უნდა იყოს სამომხმარებლო საზოგადოების წევრი, ანუ ყველა უნდა იყოს ის, ვინც უნდა იყიდოს ჩემი პროდუქცია. სწორედ ეს წარმოდგენა, რომ ყველა არის თანაბარი იმ გაგებით, რომ ყველა არის მომხმარებელი, გაირკვა, რომ არ აღმოჩნდა უნივერსალური. ამიტომ უნდა ვთქვათ, რომ გლობალური პროექტი ჩავარდა და მთელი სამყარო არ გახდა ერთიანი კორპორაცია და ერთიანი კორპორაციის მომხმარებელი. ეს მიგრაციული ტალღები სწორედ ამ გლობალური პროექტის ჩავარდნის გარკვეული გამოხატულებაა. ეს ფაქტიურად ნიშნავს ძველი ცივილიზაციის დემონტაჟს და ახალი ცივილიზაციის წამრმოშობას.

მაგრამ, რომ შევადგათ იგივე შიში რომის დაცემის გამო, და მესხიერება იმის გამო, რომ რომი დაცვა თავის დროზე, პრინციპში ეს არის სრულიად ლოგიკური შიში, რადგან რომის დაცვას მოჰყვა სრულიად ცალსახა ეკონომიკური და კულტურული დაცემა.

– აბსოლუტურად გეთანხმებით. ლიბერალურ, გლობალისტურ ცივილიზაციას უნდა იმის თქმა, რომ ეს არის არაცნობიერი ფობიები, რომლებიც წმინდა სუბიექტური და ფსიქოლოგიური ხასიათის არის. სამწუხაროდ ეს ასე არ არის. სამწუხაროდ ხდება ის, რომ ლიბერალური ცივილიზაცია ინგრევა და ეს ტალღები სწორედ ამის ნიშანია.

ანუ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ შეფასება, თითქოს ანტისაიმიგრაციო შიშები საქართველოში არის რუსული პროპაგანდის შედეგი, არასწორია და ამ შიშების საფუძველი სურლიად რაციონალურია და ემთხვევა დასავლეთის ნაწილში არსებულ განწყობებს?

– კი, როგორც მაგალითად ტრამპს უნდა კედლის აშენება, როგორც გერმანიაში პეგიდა არსებობს, ლე პენი საფრანგეთში, იტალიაში მარჩელო პერა, თუ წაიკითხავთ მის ბოლო ინტერვიუს, ეს ძალიან ცნობილი იტალიელი ინტელექტუალი წერს, რომ იტალია მიატოვებს და მართო დარჩა იმიგრაციის ტალღის წინაშე.

იციტ რაშია საქმე, ყველაფერს როცა რუსულს უძახი, რუსეთი უკვე კარგავს თავის რეალურ შინაარსს. ხდება რუსეთის რეალური შინაარსის გაცვეთა. ამ ვითარებაში, რუსული ოკუპაციაც კი, რომელიც სრულიად რეალური პრობლემაა, ასეთი ტიპის მითოლოგიური განცხადებებით ჰკარგავს თავის რეალურ შინაარსს. ანუ ფაქტობრივად ხდება ამ ძალიან სერიოზული თემის რეალური გაუბრალოება. ამით ქართველი ევროლიბერალები ძალიან დათვურ სამსახურს უწევენ თავიანთ თავს და თავიანთ ქვეყანას.

ანუ, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში გააქტიურებული ეს ანტისაიმიგრაციო მოძრაობა, რომლის ერთ-ერთი გამოხატულებაც იყო „ქართველთა მარში“, არის იმ კონსერვატიულ-ნაციონალისტური აღმავლობის გაგრძელება, რომელიც დასავლეთში გამოიკვეთა უკანასკნელ წლებში?

– კი, რა თქმა უნდა, ეს არის ზუსტად ის, რამაც დაბადა ტრამპი ამერიკაში, ლე პენი საფრანგეთში, პეგიდა გერმანიაში, უამრავი ამგვარი მოძრაობები ევროპის სხვა ქვეყნებში. ეს არის აბსოლუტურად ჩვეულებრივი, დასავლური სიმპტომი. დასავლეთს უნდა თავისი თავის დაცვა. მე ამას დავარქმევდი, გარკვეული აზრით, ადამიანური ბუნების წარმართულ გამოვლინებას. იმიტომ რომ, ადამიანი თავისი ბუნებით არის წარმართი, რომელიც ორიენტირებულია როგორც ნებისმიერი ცხოველი, თავისი გვარის გაგრძელებაზე. ამას უპირისპირდება გნოსტიკური ტენდენცია, რომელიც თავისი არსით არის ანტიბიოლოგიური და რომელსაც თვითონ უნდა ადამიანის შექმნა. აი დღეს ეს ორი ტენდენცია უპირისპირდება ერთმანეთს. (11)

დასკვნის სახით მინდა განვაცხადო, რომ ზუსტად ამგვარი იდეოლოგიური დაპირისპირება საიმიგრაციო საკითხებზე, რომელსაც კიდევ უფრო დაძაბული და მკაფიო სოციალურ-ეკონომიკური ხასიათი აქვს, უკვე რამდენიმე ათეული წელია სახეგმა ევროკავშირის ქვეყნებსა და აშშ-ში. შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ამ საიმიგრაციო დაძაბულობის შედეგია დასავლეთში კონსერვატიულ-ნაციონალისტური მოძრაობების იმდენად მნიშვნელოვანი აღმავლობები, რომ დასავლეთის ბევრ ქვეყანაში ისინი უკვე წამყვანი პოლიტიკური პოზიციებისთვის იბრძვიან.

გამოყენებული ლიტერატურა

1. <http://geworld.ge/.../%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%91%E1%83%94%E.../> (უკანასკნ. ნანახი 2019 წლის 30 აპრილს)
2. მართინკო შოთა
3. ოსიძე ლ., კლანდანი ბ., მიგრაცია ევროპაში და მისი პრობლემები, ჟურნ. „საინტერნო ვერტიკალიზაცია“, N – 39, თბ., 2017
4. Mark Lilla (2019)
5. https://www.euronews.com/2019/07/29/hungary-offers-30-000-to-married-couples-who-can-produce-three-children?utm_medium=Social&utm_source=Facebook&fbclid=IwAR0VRc00cAf90-EHkozho-Jr9wUtmLHVzGYraq-cl3y2h8R2rOSgdCjxnmL8#Echobox=1564459433 (უკანასკნ. ნანახი 2019 წლის 30 აპრილს)
6. <http://www.thenews.pl/1/10/Artykul/343021,Germany-to-limit-contributions-to-EU-if-Poland-doesnt-accept-migrants-SPD-chief> (უკანასკნ. ნანახი 2019 წლის 30 აპრილს)
7. <https://www.breitbart.com/europe/2019/03/10/orban-no-place-for-multiculturalism-in-hungary/?fbclid=IwAR0EtvEpVBedRRRegTy69vxpgxY5uld7jM77nt4BH-2-OHn2sgKf81P4XQsl> (უკანასკნ. ნანახი 2019 წლის 30 აპრილს)
8. https://www.breitbart.com/europe/2019/03/10/swedish-conservative-leader-mass-migration-has-led-insecurity-women/?fbclid=IwAR1BHWAXvbl2nbAT-ly7HXRelFF4iHvzLu4EF3SKhFwEv_uZr-rTvmcbAZI (უკანასკნ. ნანახი 2019 წლის 30 აპრილს)
9. https://www.theguardian.com/world/2018/nov/22/hillary-clinton-europe-must-curb-immigration-stop-populists-trump-brexit?CMP=Share_iOSApp_Other&fbclid=IwAR15UaOf36haNseOcp3mZX-Ei_DPe8sQUVtOikx-ppi4ZW2RGfotUD4oUhdS (უკანასკნ. ნანახი 2019 წლის 30 აპრილს)
10. http://www.breitbart.com/london/2017/09/12/sweden-sex-guidebook-migrant-sex-attacks/?utm_source=facebook&utm_medium=social (უკანასკნ. ნანახი 2019 წლის 30 აპრილს)

ნატო და მისი ტრანსფორმაცია ცივი ომის შემდეგ

დავით გეგეჩკორი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
კროფაქსორი სოციალური მეცნიერებების მიმართულებით

აბსტრაქტი

ნატო არის რეგიონალური ორგანიზაცია მსოფლიო მასშტაბით სხვადასხვა პოლიტიკური და სამხედრო დავალებების შესასრულებლად. ალიანსმა განაგრძო არსებობა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, იმიტომ, რომ მან განახორციელა მიზნებისა და სტრატეგიების შეცვლა წლების განმავლობაში და მოერგო ახალ გარემოებებს. დემოკრატია, სტაბილურობა, უსაფრთხოება და მშვიდობა იყო და დღესაც არის მისი მთავარი მიზანი. ამ მიზნების მისაღებად მნიშვნელოვანი იყო კონფრონტაციიდან თანამშრომლობაზე გადასვლა და სამხედრო ძალის გაერთიანება დიპლომატიურ და ჰუმანიტარულ ძალისხმევასთან. დღეს ნატომ გააფართოვა მისი მოქმედების არეალი ისეთი მისიებით, როგორცაა ავღანეთის მისია, ადენის ყურის ოპერაცია და ბრძოლა კიბერ-შეტევებთან.

NATO AND ITS TRANSFORMATION AFTER THE COLD WAR.

DAVID GEGECHKORI
AKAKI TSERETELI STATE UNIVERSITY
PROFESSOR OF SOCIAL SCIENCES

ABSTRACT

NATO is a regional organization worldwide for various political and military tasks. The Alliance has continued to exist since the collapse of the Soviet Union, as it has changed goals and strategies over the years and adapted to new circumstances. Democracy, stability, security and peace have been and are still its main goals. To achieve these goals it was important to change from confrontation to cooperation and combine military force with diplomatic and humanitarian efforts. Today NATO has even expanded its actions to further regions, such as the mission in Afghanistan, counter-piracy in the Gulf of Aden and combating cyber-attacks.

შესავალი:

ნატო ან ჩრდილოატლანტიკური ალიანსი დაარსდა 1949 წლის 4 აპრილს [4.], აშშ-ს ინიციატივით, ხელი მოეწერა ჩრდილო ატლანტიკური ხელშეკრულებას, რომელიც უფრო პოპულარულია ვაშინგტონის ხელშეკრულების სახელით. დამფუძნებელი წევრების მთავარი მიზანი იყო წინ აღდგომოდნენ საბჭოთა კავშირის გავლენის გავრცელებას ევროპის კონტინენტზე. ხელშეკრულების ხელმოწერით წევრებმა ვალდებულება აიღეს დაეცვათ საკუთარი თავისუფლება და უსაფრთხოება ერთობლივად, როგორც პოლიტიკური ისე სამხედრო საშუალებებით. ჩრდილოეთ ამერიკის ჩართვა დასავლეთ ევროპის დაცვის საქმეში ცალსახად მოწმობდა, რომ დასავლეთ ევროპაზე პოლიტიკური ან სამხედრო ზეწოლის ნებისმიერი მცდელობა წარუმატებლობისთვის იქნებოდა განწირული.

ძირითადი ნაწილი: ალიანსის მთავარი გადაწყვეტილების ორგანო არის ჩრდილოატლანტიკური საბჭო, რომელიც მოქმედებს სამ დონეზე: მუდმივი წარმომადგენლები, საგარეო და თავდაცვის მინისტრები, სახელმწიფო მეთაურები. [2. 1.2008]. გადაწყვეტილებები თანაბარია მათი სამართლებრივი სტატუსისა და ძალის შესაბამისად. "ნატოს გადაწყვეტილება" არის 28-ე წევრი ქვეყნის კოლექტიური ნების გამოხატულება, რადგან ყველა გადაწყვეტილება მიიღება კონსენსუსით.

ჩრდილოატლანტიკური საბჭოს შეხვედრებს ორგანიზებას უწევს გენერალურ მდივანი. ნატოს მთავარი სამხედრო ორგანოა სამხედრო კომიტეტი, რომელიც შედგება წევრი ქვეყნის შეიარაღებული ძალების წარმომადგენლებისგან. ორგანიზაციას ასევე აქვს საპარლამენტო ასამბლეა, რომელიც წევრ სახელმწიფოებს საშუალებას აძლევს განიხილონ უსაფრთხოების საკითხები. ნატოს სამხედრო მოქმედებებს ხელმძღვანელობს სამხედრო კომიტეტის თავმჯდომარე და ხორციელდება ორი სამხედრო კომენდაციის გზით - ატლანტიკური და ევროპული.

ევროატლანტიკური პარტნიორობის საბჭოს მიზანია დისკუსიის გამართვა, რომელიც ეხება პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებს.

ნატოს ძირითადი მიზანია მისი წევრების თავისუფლებისა და უსაფრთხოების დაცვა პოლიტიკური და სამხედრო გზით.

პოლიტიკური - ნატო ხელს უწყობს დემოკრატიულ ფასეულობებს და ხელს უწყობს კონსულტაციასა და თანამშრომლობას თავდაცვისა და უსაფრთხოების საკითხებზე ნდობის გასაშენებლად და, გრძელვადიან პერსპექტივაში, კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად.

სამხედრო - ნატო მონოდებულია დავების მშვიდობიანად მოგვარებაში. თუ დიპლომატიური ძალისხმევა არ მოხდება, მას აქვს სამხედრო შესაძლებლობები, რომელიც საჭიროა კრიზისების მართვის ოპერაციების გასატარებლად. ეს ხორციელდება ვაშინგტონის ხელშეკრულების მე -5 მუხლით - ნატოს დამფუძნებელი ხელშეკრულებით - ან გაეროს მანდატით, მართო ან სხვა ქვეყნებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით.

ნატო ერთგულია იმ პრინციპის, რომ ერთი ან რამდენიმე წევრის თავდასხმა განიხილება, როგორც თავდასხმა ყველას წინააღმდეგ. ეს არის კოლექტიური თავდაცვის პრინციპი, რომელიც ასახულია ვაშინგტონის ხელშეკრულების მე -5 მუხლში. ჯერჯერობით, მე -5 მუხლი იქნა გამოყენებული ერთხელ - საპასუხოდ აშშ - ში 9/11 წლის ტერაქტებზე [3.767].

სტრატეგიულ კონცეფციებში მოცემულია ალიანსის ძირითადი ამოცანები და პრინციპები, მისი ფასეულობები, განვითარებადი გარემო და ალიანსის სტრატეგიული მიზნები მომდევნო ათწლეულის განმავლობაში. 2010 წლის სტრატეგიული კონცეფცია განსაზღვრავს ნატოს ბირთვულ ამოცანებს: კოლექტიური თავდაცვა, კრიზისების მენეჯმენტი და თანამშრომლობითი უსაფრთხოება.

ნატო უნიკალურ შესაძლებლობას აძლევს წევრ ქვეყნებს კონსულტაციისა და გადაწყვეტილების მისაღებად უსაფრთხოების საკითხებზე ყველა დონეზე და სხვადასხვა სფეროში.

ყოველდღე, ასობით მშვიდობიანი სამოქალაქო და სამხედრო ექსპერტი და ოფიციალური პირი მიდიან ნატოს შტაბში, ინფორმაციის გაცვლის, იდეების გაზიარებისა და საჭიროების შემთხვევაში, გადაწყვეტილების მომზადებაში, ნაციონალური დელეგაციებისა და ნატოს შტაბის წარმომადგენლებთან თანამშრომლობით.

ნატო აქტიურ როლს ასრულებს კრიზისების მართვის ოპერაციებისა და მისიების ფართო სპექტრში, მათ შორის სამოქალაქო საგანგებო ოპერაციებში.

ნატო მრავალი წლის განმავლობაში ეწევა უწყვეტ ტრანსფორმაციას იმის უზრუნველსაყოფად, რომ მას აქვს პოლიტიკა, შესაძლებლობები და სტრუქტურები, რომლებიც საჭიროა გაუმკლავდეს მიმდინარე და მომავალ საფრთხეებს, მათ შორის, მისი წევრების კოლექტიურ დაცვას.

ცივი ომისა და დასავლეთ-აღმოსავლეთის ბლოკების დაპირისპირების დასრულებასთან ერთად გაქრა მიზეზები, რომელთა გამოც შეიქმნა ნატო. მნიშვნელოვანწილად შეიცვალა თანამედროვე გამოწვევების ბუნებაც. ალიანსი გადარჩა იმიტომ, რომ მან მოახდინა მისი მიზნებისა და სტრატეგიების შეცვლა წლების განმავლობაში და მოერგო ახალ გარემოებებს. დემოკრატია, სტაბილურობა, უსაფრთხოება და მშვიდობა იყო და დღესაც არის მისი მთავარი მიზანი. ამ მიზნების მისაღებად მნიშვნელოვანი იყო კონფრონტაციიდან თანამშრომლობაზე გადასვლა და სამხედრო ძალის გაერთიანება დიპლომატიურ და ჰუმანიტარულ ძალისხმევასთან. დღეს ნატომ გააფართოვა მისი მოქმედების არეალი ისეთი მისიებით, როგორცაა ავღანეთის მისია, ადენის ყურის ოპერაცია და ბრძოლა კიბერ-შეტევებთან.

2001 წლის 12 სექტემბერს, ჩრდილოატლანტიკურმა საბჭომ, წინა დღით ნიუ-იორკსა და ვაშინგტონში განხორციელებული ტერორისტული თავდასხმა გამოაცხადა თავდასხმად ყველა წევრ სახელმწიფომც. ეს იყო პირველი შემთხვევა ნატოს ისტორიაში, როდესაც ვაშინგტონის ხელშეკრულების მე-5 მუხლი ამოქმედდა [3.771]. ერთი წლის შემდეგ პრადის სამიტზე მოკავშირეებმა მოიწონეს რიგი ინიციატივებისა ნატოს შესაძლებლობების განსამტკიცებლად ტერორიზმის წინააღმდეგ და სხვა გამოწვევებთან ბრძოლის კუთხით. მიღებული იქნა ტერორიზმისაგან თავდაცვის სამხედრო კონცეფცია. წევრმა ქვეყნებმა დაამტკიცეს ტერორიზმის წინააღმდეგ სამოქმედო გეგმა, რომელიც მოიცავს პარტნიორ ქვეყნებს და ითვალისწინებს სადაზვერვო ინფორმაციის გაცვლას და სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ ბირთვული, ქიმიური და ბიოლოგიური იარაღით შესაძლო თავდასხმისთვის მზადყოფნის ამაღლებას.

ამასთან დაკავშირებით დამტკიცდა ხუთი თავდაცვითი ინიციატივა ბირთვული, ქიმიური და ბიოლოგიური იარაღის წინააღმდეგ. ამის ერთ-ერთი პირდაპირი შედეგი იყო 2003 წლის დეკემბერში ქიმიური, ბიოლოგიური, რადიოლოგიური და ბირთვული იარაღისგან თავდაცვის ბატალიონის ჩამოყალიბება შტაბით ლიბერეცში. (ჩეხეთის რესპუბლიკა). ბატალიონი, რომელშიც ალიანსის 13 წევრი სახელმწიფო მონაწილეობს, ნატოს რეაგირების ძალების შემადგენელი ნაწილია.

გარდა ამისა, ნატომ წამოიწყო მნიშვნელოვანი კვლევა რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სფეროში და კიბერ თავდასხმის წინააღმდეგ თავდაცვისუნარიანობის ამაღლების მიმართულებით.

2003 წლის ნოემბერში, ნატოს შტაბ-ბინასთან დაფუძნდა ტერორისტული საფრთხის სადაზვერვო შენაერთი, რომლის მიზანიც იყო განმტკიცებინა წევრ სახელმწიფოთა შორის სადაზვერვო ინფორმაციის მიმოცვლის შესაძლებლობები. დამატებით შეიქმნა მექანიზმი ინფორმაციის გაცვლისთვის ნატოს პარტნიორ ქვეყნებთან IAPC –სა და ხმელთაშუა ზღვის დიალოგიდან.

დასკვნა:

ვინ იცის იქნებ ერთ დღეს რომელიმე სახელმწიფო მოისურვებს გაძლიერებას და თავისი ძალაუფლების გაფართოებას, ან თუნდაც რუსეთის ფედერაციის სურვილი ევრაზიული კავშირის შექმნის შესახებ კიდევ უფრო აქტუალური გახდება. ამ ტიპის პრობლემების თავიდან ასაცილებლად და მსოფლიოში მშვიდობის შესანარჩუნებლად საჭიროა მექანიზმი, რომელიც ამ პრობლემის წინააღმდეგ იბრძოლებს. ახლა ეს მექანიზმი ნატოა, რომელიც აქტიურად იბრძვის პრობლემების მოსაგვარებლად, მისი წევრი და არაწევრი სახელმწიფოების მეშვეობით. ამ პროცესში აქტიურად არის ჩართული საქართველოც, რომელიც 1994 წლიდან აქტიურ მონაწილეობას იღებს ნატო-ს პარტნიორობა მშვიდობისთვის პროგრამაში (PfP) [5.]. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ნატო-ს და პარტნიორ ქვეყნებს შორის პოლიტიკური დიალოგი, ასევე სხვა და სხვა ტიპის პროგრამები და ღონისძიებები. საქართველო არის პირველი ქვეყანა, რომელმაც 2004 წელს ნატო-ს წარუდგინა და დაამტკიცა ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმა (IPAP). თანამშრომლობის ეს მეტად ეფექტური მექანიზმი ამოქმედდა ნატოს 2002 წლის პრადის სამიტის გადაწყვეტილების შედეგად. იგი მაქსიმალურად მისადაგებელია პარტნიორი ქვეყნის ინდივიდუალურ მოთხოვნებთან.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Wallander, Celeste A.: Institutional Assets and Adaptability: NATO After the Cold War. In: International Organization 54, 4, Autumn 2000, pp. 705-735
2. Hoffmann, Stephanie C.: Debating Strategy in NATO: Obstacles to Defining a Meaningful New Strategic Concept. In: Politique étrangère, 1:2008
3. Duffield, John S.: NATO's Functions after the Cold War. In: Political Science Quarterly, Vol. 109, No. 5, pp. 763-787
4. The North Atlantic Treaty signed in Washington D.C. on 04. April 1949; to be seen here: <http://www.brookings.edu/~media/research/files/reports/1999/4/nato%20daalder/reportch1.pdf>
5. www.mod.gov.ge

ნატო–ს შექმნის ისტორიისათვის

ოთარ ადვიშვილი
ევროპისა და ამერიკის ახალი და უახლესი ისტორიის მაგისტრი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

აბსტრაქტი

1989 წელს მსოფლიოს ეცნობა ცივი ომის დასრულება, მაგრამ რუსეთი დღემდე რჩება ბოროტების იმპერიად. მცოცავი ოკუპაცია, ადამიანების გატაცება, წამება და მკვლელობა, არის ის გამოწვევები, რომელთა ავტორი თანამედროვე რუსეთია. ნატო–ში განვევრიანების კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც ტერიტორიული მთლიანობის პრობლემების მქონე ქვეყნების მიღება იზღუდება, მოსკოვის სასარგებლოდ მუშაობს. ნატო პოულობს გზებს ამ პრობლემის გადასჭრელად. გასათვალისწინებელია, რომ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა დაკავშირებულია არა ომთან, არამედ პოლიტიკურ-ეკონომიკურ აღორძინებასთან. ამ მშვიდობიანი პროცესის სამხედრო თვალსაზრისით დაცულობის გარანტიები კი ნატო-ს უკავშირდება. საქართველო მარტო ვერ შეძლებს რუსეთთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრას ისევე, როგორც ვერ შეძლო ეს მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებმა. ამიტომაც უაღრესად აქტუალური ხდება ნატო–ს დაფუძნების ისტორიის ღრმად შესწავლა.

ნატო-ს დაარსების ისტორია უკავშირდება შემდეგ თემებს: ჯორჯ ქენანის დეპუტა (1946 წლის 22 თებერვალი); უინსტონ ჩერჩილის გამოსვლა ფულტონის ვესტმინსტერის კოლეჯში (1946 წლის 5 მარტი); ირანის პირველი კრიზისი (1946 წლის 4–5 მარტიდან 25 მარტამდე); პოლონეთში არჩევნების გზით კომუნისტური რეჟიმის დამყარება (1947 წლის 19 იანვარი); დიუნკერკში საფრანგეთ-ბრიტანეთის კავშირისა და ურთიერთდახმარების პაქტის გაფორმება (1947 წლი 4 მარტი); ჰარი ტრუმენის დოქტრინა (1947 წლის 12 მარტი); ჯორჯ მარშალის გეგმა (1947 წლის 5 ივნისი); შკლიარსკა–პორემბაში კომინფორმის დაარსება (1947 წლის 22 სექტემბერი); ერნესტ ბევინის მემორანდუმი (1948 წლის 8 იანვარი); სახელმწიფო გადატრიალება ჩეხოსლოვაკიაში (1948 წლის 20–25 თებერვალი); ბრიუსელის პაქტი (1948 წლის 17 მარტი); ტრუმენის გამოსვლა კონგრესის გაერთიანებულ სესიაზე (1948 წლის 17 მარტი); მარშალის გეგმის ამოქმედება (1948 წლის 3 აპრილი); საიდუმლო სხდომები პენტაგონში და ჰევერსონ–აქილესის მიერ შედგენილი საიდუმლო დოკუმენტი (1948 წლის 22 მარტი – 1 აპრილი); კომუნისტების დამარცხება იტალიის საპარლამენტო არჩევნებში (1948 წლის 18 აპრილი); არტურ ვანდერბერგის რეზოლუცია (1948 წლის 11 ივნისი); ბერლინის ბლოკადა (1948 წლის 21 ივნისი – 1949 წლის 11 მაისი); ვაშინგტონის კონფერენცია და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების გაფორმება (1949 წლის 4 აპრილი).

ნატო-ს დაარსების ისტორიის გაანალიზებით ნათელი ხდება, რომ რუსეთის აგრესიული ქმედებების შეჩერება პოლიტიკური და სამხედრო კონსოლიდაციის გარეშე შეუძლებელია. ეს საკითხი დღესაც ისევე აქტუალურია, როგორც მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდგომ.

ON THE HISTORY OF THE ESTABLISHMENT OF NATO

OTAR ADEISHVILI,
MASTER IN MODERN AND CONTEMPORARY HISTORY OF EUROPE AND AMERICA
PROFESSOR OF AKAKI TSERETELI STATE UNIVERSITY

ABSTRACT

In 1989, the world was informed of the end of the Cold War, but Russia remains the evil empire. The “creeping” occupation, kidnapping, torture and killing of people are the challenges, of which present-day Russia is the author. The NATO membership criteria, which limit the accession of countries with territorial integrity problems, work for the benefit of Moscow. NATO is seeking to address this problem. It should be borne in mind that the restoration of territorial integrity is connected not to war, but rather to the political and economic revival. Military security guarantees for this peaceful process are linked to the NATO. Georgia alone will not be able to solve problems relating to Russia, just as the Western European states were unable to do so after the Second World War. That is why it is extremely important to provide a more insightful look into the history of the establishment of NATO.

The history of the establishment of NATO is associated with the following topics: George Kennan’s telegram (February 22, 1946); Winston Churchill’s speech at Westminster College in Fulton (March 5, 1946); the first Iranian Crisis (March 4-5, 1946); the establishment of the communist regime in Poland through elections (January 19, 1947); signing the Franco-British Union and Mutual Assistance Treaty in Dunkirk (March 4, 1947); the Harry Truman Doctrine (March 12, 1947); the George Marshall Plan (June 5, 1947); the establishment of Cominform in Szklarska-Poreba (September 22, 1947); Ernest Bevin’s Memorandum (January 8, 1948); the coup in Czechoslovakia (February 20-25, 1948); the Brussels Treaty (March 17, 1948); Truman’s Speech at the United States Congress (March 17, 1948); the Marshall Plan enactment (April 3, 1948); the secret hearings at the Pentagon and a secret document drafted by Hickerson-Achilles (March 22-April 1, 1948); the defeat of the Communists at the Italian Parliamentary Elections (18 April 1948); Arthur Vandenberg’s Resolution (June 11, 1948); the Berlin Blockade (June 21, 1948 - May 11, 1949); Washington Conference and signing the North Atlantic Treaty (April 4, 1949).

Analyzing the history of the establishment of NATO, it becomes clear that Russia’s aggressive actions cannot be stopped without political and military consolidation. This issue is as relevant today as it was after the end of the Second World War.

70 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც დაფუძნდა ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია - ნატო და იმ დროიდან მოყოლებული მისი როლი საერთაშორისო უსაფრთხოების და ჰუმანური ღირებებულების დაცვის პროცესში უაღრესად მნიშვნელოვანია. მისი მასშტაბები გასცდა ევროატლანტიკურ საზღვრებს.

1989 წელს მსოფლიოს ეცნობა ცივი ომის დასრულება, მაგრამ რუსეთი დღემდე რჩება ბოროტების იმპერიად. მცოცავი ოკუპაცია, ადამიანების გატაცება, წამება და მკვლელობა, არის ის გამოწვევები, რომელთა ავტორი თანამედროვე რუსეთია. ნატო-ში განევრიანების კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც ტერიტორიული მთლიანობის პრობლემების მქონე ქვეყნების მიღება იზღუდება, მოსკოვის სასარგებლოდ მუშაობს. ნატო პოულობს გზებს ამ პრობლემის გადასჭრელად. გასათვალისწინებელია, რომ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა დაკავშირებულია არა ომთან, არამედ პოლიტიკურ-ეკონომიკურ აღორძინებასთან. ამ მშვიდობიანი პროცესის სამხედრო თვალსაზრისით დაცულობის გარანტიები კი ნატო-ს უკავშირდება. საქართველო მართო ვერ შეძლებს რუსეთთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრას (ისევე, როგორც ვერ შეძლო ეს მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებმა). რუსეთის აგრესიული პოლიტიკა არ არის მხოლოდ საქართველოს პრობლემა. რუსეთის ქმედებების შეჩერება ამერიკის შეერთებული შტატებისათვის, პოსტსაბჭოთა სივრცისათვის, დასავლეთ ევროპისა და ნატო-სათვის ცივი ომის პერიოდზე არანაკლებ აქტუალურია დღეს. ყოველივეს გათვალისწინებით, უაღრესად მნიშვნელოვანი ხდება ნატო-ს დაფუძნების ისტორიის შესწავლა. საქართველომ ამ ისტორიის ცალკეულ მოვლენებთან გარკვეული პარალელები უნდა გაავლოს. ცხადია, ეს პარალელები ბოლომდე „სიმეტრიული“ ვერ იქნება, მაგრამ, უდავოდ, არსებობს ბევრი საერთოც, რომელთა გათვალისწინებაც არაერთ პრობლემას ააცილებს საქართველოს. ისტორია მკაცრი მასწავლებელია და სჯის ყველას, ვინც არ ისწავლა და არ გაითვალისწინა წარსულის გაკვეთილები.

ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის დაარსების წინმსწრები მოვლენების გათვალისწინების გარეშე წარმოუდგენელია ამ ალიანსის ისტორიასთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხის შესწავლა.

ოფიციალური მონაცემებით, ნატო-ს ისტორიამ სტარტი აიღო 1949 წლის 4 აპრილს ვაშინგტონში, მაგრამ რეალურად ეს უფრო ადრე დაიწყო. ნატო-ს იდეის ჩანასახი მეორე მსოფლიო ომის დასრულებისთანავე გაჩნდა და ოთხი წლის განმავლობაში მომხდარმა ისტორიულმა ფაქტებმა ამ იდეის საბოლოო განხორციელების გარდაუვალობა ცხადყო.

მეორე მსოფლიო ომით დაზარალებული ქვეყნებისადმი ფულადი და ტექნიკური საშუალებებით მხარდაჭერის მიზნით დაარსებულ ორგანიზაციებთან - საერთაშორისო სავალუტო ფონდსა და მსოფლიო ბანკთან თანამშრომლობაზე უარი განაცხადა საბჭოთა კავშირმა. ვაშინგტონმა მიზეზების განმარტება დაავალა მოსკოვში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოში მოღვაწე ჯორჯ ქენანს. მან 1946 წლის 22 თებერვალს მოსკოვიდან ვაშინგტონში გააგზავნა 8000 სიტყვიანი დეპეშა 511, სადაც მკაფიოდ ახსნა, რომ წერტილი უნდა დასმოდა რუზველტისეულ მოლოდინებს პარტნიორობაზე, რადგანაც საბჭოთა კავშირი დასავლეთის ქვეყნებს აღიქვამდა მტრებად და საერთაშორისო ურთიერთობების მთავარ საშუალებად მიიჩნევდა „ძალას“, არ ითვალისწინებდა სხვა ქვეყნების პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტერესებს, მისი მისწრაფება იყო გავლენის სფეროების გაზრდა და ამის მისაღწევად ცდილობდა განხეთქილების ჩამოგდებას სხვადასხვა პარტიებსა და სოციალურ ჯგუფებს შორის არა მარტო აღმოსავლეთ ევროპაში, არამედ დასავლეთშიც. ქენანი ასაბუთებდა, რომ აუცილებელია უნდა ამუშავებულიყო „შეჩერების პოლიტიკა“, რათა შესაძლებელი გამხდარიყო „წითელი იმპერიის“ გავლენის შემცირება მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში [13]. ფაქტობრივად, 1946 წლის 22 თებერვალს ქენანის დეპეშით მსოფლიოში ცივი ომი დაიწყო. ამერიკელმა დიპლომატმა თავის გზავნილში მკაფიოდ დაასაბუთა, რომ საბჭოთა კავშირის სახით დასავლეთს ჰყავდა ძალიან საშიში საერთო მტერი.

ქენანის მიერ ვაშინგტონში დეპეშის გაგზავნიდან რამდენიმე დღის შემდეგ, 1946 წლის 5 მარტს ამერიკის მისურის შტატში, პრემიერენტ ტრუმენის მშობლიური ქალაქის – ფულტონის ვესტმინსტერის კოლეჯში ლექცია წაიკითხა უინსტონ ჩერჩილმა, იმდროისათვის დიდი ბრიტანეთის ოპოზიციის ლიდერმა. კოლეჯის სტუდენტებთან საუბრისას ორატორმა მსოფლიოს აღუწერა ომისა და ტირანიის ის გარდაუვალი საშიშროება, რომელიც თან ახლდა საბჭოთა კავშირის მიერ ომისშემდგომი მსოფლიოს მონყობის პროცესს. ევროპის კონტინენტი რკინის ფარდით გაიყო და მოსკოვის ტოტალურ კონტროლს დაქვემდებარებული აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების პოლიციური სისტემები

სრულიად უგულვებელყოფდა დემოკრატიულ პრინციპებს. მეხუთე კოლონები მხოლოდ აღმოსავლეთ ვეროპაში არ მოქმედებდნენ აქტიურად. კომუნიზმის საშიშროება ემუქრებოდა მთელ მსოფლიოს. საბჭოთა კავშირის გავლენის უპირობო ზრდა ანადგურებდა დასავლეთის პოლიტიკურ და ჰუმანურ ფასეულობებს. ჩერჩილი, კაცობრიობის უსაფრთხოების დაცვის მიზნით, აუცილებლობად მიიჩნევდა ინტერნაციონალური შეიარაღებული ძალების გაერთიანებას და თვლიდა, რომ ამ იდეასთან თავსებადი იყო ამერიკის შეერთებული შტატებისა და ბრიტანეთის თანამეგობრობის საერთო სტრატეგიულ კონცეფცია [5].

ჩერჩილის გამოსვლას დაემთხვა ირანში განვითარებული მოვლენები. ამერიკის შეერთებული შტატების ჯარებმა ირანი დატოვეს 1946 წლის 1 იანვრამდე, დიდმა ბრიტანეთმა გასვლა დაამთავრა ამავე წლის 2 მარტისთვის, საბჭოთა კავშირმა კი დაარღვია პირობა და არათუ გამოვიდა ირანიდან, არამედ 4–5 მარტს ტანკების ნაწილი დაძრა თეირანისაკენ, ნაწილი კი – თურქეთისა და ერაყის საზღვრების მიმართულებით. ირანი, გაეროს უშიშროების საბჭო და დასავლეთ ვეროპა წინ აღუდგა კრემლის აგრესიულ პოლიტიკას. საბჭოთა კავშირი იძულებული გახდა 25 მარტს დაეწყო ჯარების გაყვანა [15]. 1947 წლის 19 იანვარს პოლონეთის საპარლამენტო არჩევნების შედეგებმა ნათელყო სტალინიზაციის პროცესის შეუქცევადობა. სეიმში 444 ადგილიდან 382 კომუნისტებმა დაიკავეს. საბჭოთა კავშირმა რეპრესიული მეთოდებით პოლონეთში დაამყარა რეჟიმი, რომელიც აბსოლუტურად უგულვებელყოფდა დასავლური დემოკრატიის პრინციპებს. ამ მოვლენამ მსოფლიო კომუნიზმის საშიშროება ორმაგი კონტურებით გამოკვეთა და ცხადი გახადა, რომ მას დასავლეთი გაერთიანებული ძალების გარეშე ვერ გაუმკლავდებოდა.

ფრანგულ ქალაქ დიუნკერკში 1947 წლის 4 მარტს 50 წლიანი ვადით ხელი მოეწერა საფრანგეთ - ბრიტანეთის კავშირისა და ურთიერთდახმარების პაქტი. ეს იყო დასავლეთ ვეროპის სამხედრო-პოლიტიკური გაერთიანების გზაზე გადადგმული პირველი ნაბაჯი. ტექსტში აღნიშნული იყო, რომ ხელშეკრულება მიზნად ისახავდა ვეროპის უსაფრთხოების განმტკიცებასა და გერმანიის მხრიდან შესაძლო აგრესიის აღკვეთას. ამერიკელი პოლიტოლოგის – მარკ თრაჩტენბერგის აზრით, დიდი ბრიტანეთისათვის გერმანია იყო საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ თავდაცვითი კავშირის შექმნის მხოლოდ საბაბი [Trachtenberg M., 1999]. დიუნკერკის ხელშეკრულება (რომლის ინიციატორი დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი - ერნესტ ბევინი იყო) ომისშემდგომ მსოფლიოში დასავლური ძალების გაერთიანების პირველი მაგალითი და ნატო-ს ყველაზე ადრინდელი წინამორბედა. 1947 წლის 12 მარტს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი – ჰარი ტრუმენი კონგრესის წინაშე წარსდგა დოქტრინით, რომელშიც გაცხადებული იყო საბჭოთა კავშირისა და კომუნიზმის ექსპანსიონიზმის შეჩერების სტრატეგია. ეს ტრუმენის ადმინისტრაცია მზად იყო, დახმარებოდა ვეროპის ქვეყნებს ომით დაზარალებული ეკონომიკის აღორძინებაში იმ პირობით, თუ სახელისუფლებო და საკანონმდებლო ორგანოებიდან განდევნილი იქნებოდნენ კომუნისტები და შესაძლებელი გახდებოდა ამ ტერიტორიებზე ამერიკული სამხედრო ბაზების განლაგება.

1947 წლის ივნისში ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა - ჯორჯ მარშალმა ჰარვარდის უნივერსიტეტში გამოსვლისას აუდიტორიას გააცნო გეგმა, რასაც შემდგომში „მარშალის გეგმა“ ეწოდა. მარშალმა აღწერა ის უკიდურესი გაჭირვება და უიმედობა, რომელიც მეორე მსოფლიო ომგამოვლილ ვეროპაში სუფევდა. ამის შემდეგ მან შეახსენა ამერიკელებს, რა გავლენა შეიძლებოდა მოეხდინა ვეროპის სამუდამო განადგურებას მათსავე ეკონომიკაზე.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ვეროპის გადასარჩენად ეკონომიკური გეგმის შედგენიდან სამი თვის შემდეგ, 1947 წლის 22 სექტემბერს, საბჭოთა კავშირის ინიციატივით პოლონეთის ქალაქ შკლიარსკა-პორეშაში დაარსდა კომუნისტური პარტიების საინფორმაციო ბიურო – „კომინფორმი“, რომლის მუშაობაშიც მონაწილეობას ღებულობდნენ არა მარტო აღმოსავლეთ ვეროპის, არამედ იტალიისა და საფრანგეთის კომუნისტური პარტიებიც. ამ მოვლენამ კიდევ უფრო მკაფიო გახადა მოსკოვიდან მოსალოდნელი საფრთხეები.

დასავლეთის ქვეყნების გაერთიანების იდეა 1948 წლის იანვარში დიდი ბრიტანეთის თემთა პალატის წინაშე გამოსვლის დროს წინ წამოსწია საგარეო საქმეთა მინისტრმა – ერნესტ ბევინმა და დაასაბუთა საბჭოთა კავშირის აგრესიული პოლიტიკის დასავლეთში გავრცელების საშიშროება [1]. მან 1948 4 იანვარს შეადგინა გაერთიანებული სამეფოს მთავრობის მემორანდუმი, სადაც ხაზგასმით მიუთითა, რომ ვეროპული ცივილიზაციის ფასეულობებს ამერიკის შეერთებული შტატების მიერ განეული მხოლოდ ეკონომიკური დახმარება ვერ გადაარჩენდა, თუ არ შეიქმნებოდა დასავლეთის სამხედრო-პოლიტიკური კავშირი [2].

საბჭოთა კავშირის აქტიური მხარდაჭერით 1948 წლის თებერვალში ჩეხოსლოვაკიაში კომუნისტურმა პარტიამ, ფაქტობრივად, სახელმწიფო გადატრიალება მოაწყო და ქვეყნის მართვის სადავეები ხელში ჩაიგდო. ამ მოვლენამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა დასავლური ძალების გაერთიანებასა და ერნსტ ბევინის იდეების განხორციელებაში.

1948 წლის 17 მარტს ბრიუსელში დასავლეთ ევროპის ხუთი ქვეყნის: ბელგიის, დიდი ბრიტანეთის, ლუქსემბურგის, ნიდერლანდებისა და საფრანგეთის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს პაქტს ეკონომიკური, სოციალური, კულტურული თანამშრომლობისა და კოლექტიური თავდაცვის შესახებ. ბრიუსელი პაქტში, მართალია, პირდაპირ არ იყო მითითებული, მაგრამ, უდავოდ, დასავლეთ ევროპის კავშირი მიზნად ისახავდა მჭიდრო თანამშრომლობას და თავდაცვის საერთო სისტემის შექმნას, რომელიც წინ აღუდგებოდა საბჭოთა კავშირის იდეოლოგიურ, პოლიტიკურ და სამხედრო ექსპანსიას. მოსკოვის ზრახვების ჩასაშლელად აუცილებელი იყო დასავლურ კოალიციაში ვაშინგტონის ჩართვა. ომის შედეგად დაუძღვრებული ევროპა ურთულეს გამონკვევას წარმატებით თავს ვერ გაართმევდა. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი – ჰარი ტრუმენი და სახელმწიფო მდივანი – ჯორჯ მარშალი თავდაპირველად არ იყვნენ დარწმუნებული ევროპის დაცვის კავშირში შესვლის აუცილებლობაში. მათთვის ამერიკის შეერთებული შტატების ძლიერი მრეწველობა და მონოპოლია ბურთვულ იარაღზე იყო ცივ ომში გამარჯვების გარანტია, მაგრამ მოვლენები ნეგატიურად და სწრაფად ვითარდებოდა. საბჭოთა კავშირის პოლიციური სისტემის ექსპანსიონიზმი მიწვდა სკანდინავიის ნახევარკუნძულს, ხმელთაშუა ზღვის რეგიონს. ევროპის მდგომარეობა აღმოჩნდა უადრესად კრიტიკული. ბრიუსელის ხელშეკრულებაზე მუშაობის პარალელურად ბევინმა 1948 წლის 11 მარტს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტს და კანადის¹ საგარეო საქმეთა დეპარტამენტს ალიანსის სამი სხვადასხვა სქემა წარუდგინა. პირველი გულისხმობდა დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, ბენილუქსის ქვეყნებისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთთანამშრომლობას; მეორე იყო ატლანტიკური უშიშროების სისტემა, ხოლო მესამე ითვალისწინებდა ხმელთაშუაზღვის რეგიონსაც, ვერძოდ, იტალიაზე ზრუნვას. ჯორჯ მარშალმა და კანადის პრემიერ მინისტრმა – მაკენზი კინგმა ბევინის წინადადება – მოლაპარაკებების დროულად დაწყების თაობაზე, გაიზიარეს [Baylis J., 1993: p.92–93; Sloan S., 2015]. ბრიუსელის პაქტის გაფორმების დღეს, 1948 წლის 17 მარტს ჰ. ტრუმენი ვაშინგტონში კონგრესის გაერთიანებულ სესიაზე წარსდგა ევროპის გადასარჩენად საჭირო ერთობის მოთხოვნით, რომელიც უნდა გამყარებულიყო საკანონმდებლო ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებებით მარშალის გეგმის ამოქმედებისა და სამხედრო რეფორმის² გატარების მიმართულებით. „ისტორიაში დგება დრო, როცა მოქმედება არის უფრო გონივრული, ვიდრე ყოყმანი. მოქმედებას ყოველთვის ახლავს რისკები, მაგრამ უმოქმედობაში ისინი გაცილებით მეტია“ - ამ სიტყვებით პრეზიდენტმა ლაკონურად ჩამოაყალიბა ამერიკის შეერთებული შტატების გლობალური მისია ფაშიზმზე არანაკლები კომუნისტური დიქტატურის დამარცხებაში [4]. აღსანიშნავია, რომ პრეზიდენტის გამოსვლას პირდაპირ ეთერში გადაცემდა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო რადიო.

ვენეტაგონში 1948 წლის 22 მარტიდან პირველ აპრილამდე საერთო ცივილიზაციისა და ენის მქონე სამი სახელმწიფოს (ამერიკის შეერთებული შტატები, კანადა, დიდი ბრიტანეთი) წარმომადგენლებს შორის იმართებოდა საიდუმლო სხდომები. კონსპირაციულობა განპირობებული იყო საბჭოთა კავშირის ფაქტორით. სხდომებზე ხელშეკრულების პროექტი წარადაგინა კანადის მხარემა. რამდენიმე დღიანი დისკუსიების შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციამ შეიმუშავა მემორანდუმი, რომელიც ასახავდა ჩრდილოატლანტიკური ზონის უსაფრთხოების უზრუნველყოფის ხელშეკრულების იდეისადმი მხარდაჭერას“ [Sloan S., 2015].

ამრიგად, 1948 წელს ვაშინგტონში ნატო–ს დაფუძნების მომავალი ხელშეკრულების ძირითადი პარამეტრების პარაფირება განხორციელდა. ავტორები იმ დოკუმენტისა, რომელსაც ერთი წლის შემდეგ ოფიციალურად მოაწერა ხელი თორმეტმა სახელმწიფომ, იყვნენ ჯონ ჰევერსონი და თეოდორ აქილესი .

მარშალის გეგმა ძალაში შევიდა 1948 წლის 3 აპრილს. გეგმა არცერთი იდეოლოგიისა თუ სახელმწიფოს წინააღმდეგ არ იყო მიმართული. მიუხედავად ამისა, სტალინის მითითებით, სოციალისტური ბანაკის ქვეყნებმა უარი თქვეს ამერიკის შეერთებული შტატების დახმარების მიღებაზე. მარშალის გეგმა

¹ კანადა ამდროისათვის იყო დიდი ბრიტანეთის სამეფოს დომენიონი.

² სამხედრო რეფორმაში იგულისხმებოდა: 1) კანონის მიღება უნივერსალური საყოველთაო სამხედრო განათლების (შეიარაღებული ძალების სამოქალაქო კომპონენტების საჭირო დონემდე განვითარების) შესახებ და 2) დროებითი კანონის მიღება არჩევით სამხედრო სამსახურზე [4].

ითვალისწინებდა დახმარებას ევროპის რეკონსტრუქციისა და ეკონომიკური აღორძინების პროცესში. ჰ. ტრუმენის დოქტრინა და ჯ. მარშალის გეგმა იყო ევროპის პოლიტიკურად და ეკონომიკურად გადარჩენის წინაპირობა. ამას ხატოვნად ასახვას ჰ. ტრუმენის ცნობილი ფრაზა: „დოქტრინა და გეგმა ერთი ნივთის ორი ლეხანია.“

1948 წლის 18 აპრილს იტალიაში ჩატარდა არჩევნები. ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოსა (CIA – Central Intelligence Agency) და ეროვნული უშიშროების საბჭოს (NSC – National Security Council) სამსახურების სპეცტექნოლოგიების გამოყენებით, ყოველგვარი ძალისმიერი მეთოდების გარეშე ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უზრუნველყო იტალიის არჩევნებში კომუნისტების დამარცხება [Батюк В., Богатыров А. ..., 2003: ст.44]. ვაშინგტონი ზრუნავდა, რათა განითქვას გადარჩენოდა დასავლეთ ევროპა ისე, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სტრატეგიული მიზნები კვლავ პირველხარისხოვანი დარჩენილიყო. ამისათვის კი საჭირო იყო ტრანსატლანტიკური იდეის განხორციელება.

ნატო–ს შექმნის ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ამერიკის შეერთებული შტატების სენატის 239 რეზოლუციას, რომელიც ისტორიაში შევიდა ვანდერბერგის რეზოლუციის სახელწოდებით. ამერიკის შეერთებული შტატების 1787 წლის კონსტიტუციით აკრძალული იყო საზღვარგარეთის სახელმწიფოებთან სამხედრო ხელშეკრულებების დადება. 1948 წლის 11 ივნისს სენატმა 82 ხმით 13–ის წინააღმდეგ მიიღო რეზოლუცია, რომლის თანხმდაც ამერიკის შეერთებულ შტატებს მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში სამხედრო–პოლიტიკური ბლოკების შექმნის ინიციატივისა და თავისი სამხედრო ბაზების განთავსების უფლებამოსილება მიენიჭა.

ვანდერბერგის რეზოლუციის მიღების აუცილებლობა რამდენიმე დღის შემდეგ ნათელყო ბერლინის პირველმა კრიზისმა. 1948 წლის 21 ივნისს ღამეს საბჭოთა სამხედრო ადმინისტრაციამ დაარღვია დასავლელ მოკავშირეებთან დადებული შეთანხმება და ბერლინის დასავლეთ სექტორში ბლოკადაში მოაქცია სარკინიგზო და საავტომობილო გზები, აკრძალა ყველა სახის სავაჭრო საქონლის მიწოდება და შეწყვიტა ელექტროენერჯით მომარაგება. ჰუმანიტარული კატასტროფისათვის განწირული მოსახლეობა გადაარჩინა დასავლელი მოკავშირეების მიერ მოფიქრებულმა „ბერლინის საჰაერო ლიფტმა („Berlin airlift““ [14]. ბერლინის კრიზისით მკაფიოდ გამოიკვეთა, რომ საბჭოთა კავშირი საერთაშორისო ურთიერთობებში ეყრდნობოდა მხოლოდ ძალის პოლიტიკას და პატივს არ სცემდა დიდი სამუელის კონფერენციების გადაწყვეტილებებს. დასავლეთისათვის ცხადი გახდა, რომ მკაცრი და გამძვინვარებული ზომები უნდა მიეღო ფაშინგტონში არანაკლები საბჭოთა სისასტიკის თავიდან ასაცილებლად. 1948 წლის ივლისში, როცა სამი თვის ამოქმედებული იყო მარშალის გეგმა, ბრიუსელის ხელშეკრულების წევრმა ქვეყნებმა, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და კანადამ დაიწყეს აქტიური მოლაპარაკებები ჩრდილოატლანტიკური რეგიონის თავდაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხზე. 1948 წლის ოქტომბერში ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და კანადამ ჩრდილოატლანტიკურ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით მიიწვიეს ბრიუსელის პაქტის ქვეყნები [Уткин А., 2005: ст.275]. 1948 წლის დეკემბერში ვაშინგტონში განახლდა მოლაპარაკებები ჩრდილოატლანტიკური ალიანსის შექმნის თაობაზე. ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა - ერნესტ ბევინმა სწორად განჭვრიტა, რომ ევროპის გაერთიანებისა და ერთიანი ევროპული არმიის იდეის განხორციელებაც კი კონტინენტს მსოფლიო კომუნიზმისაგან ვერ გადაარჩენდა და, რომ ცივი ომის პირობებში დასავლეთის დემოკრატიული ძალები გამარჯვებას მხოლოდ და მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო მხარდაჭერით მიაღწევდა. მიგვაჩნია, რომ ერნესტ ბევინის როლი სამი პაქტის მომზადების ისტორიაში არის გამორჩეულად მნიშვნელოვანი. დიუნკერვის და ბრიუსელის ხელშეკრულებები მას ჩრდილოატლანტიკური ალიანსის აუცილებელ უვერტიურად ჰქონდა გათვლილი. ერნესტ ბევინი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ სპეციალისტთა წრეებს, საყოველთაოდ აღიარებული პოლიტიკოსების რიცხვს არ მიეკუთვნება. ჩვენი აზრით, ის არის ნატო–ს მთავრი არქიტექტორი, რომლის ღვაწლიც ნაკლებად ცნობილია ფართო საზოგადოებისათვის.

1949 წლის 18 მარტს გამოქვეყნდა ხელშეკრულების პროექტი. ამავე დროს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, კანადამ და ბრიუსელის ხელშეკრულების წევრმა ქვეყნებმა დანიას, ისლანდიას, იტალიას, ნორვეგიასა და პორტუგალიას შესთავაზეს, მიერთებოდნენ ჩრდილოატლანტიკურ ხელშეკრულებას. როგორც ჯონ ეიზენჰაუერი³ წერდა, 1949 წლის 3 აპრილის საღამოს, ვაშინგტონის კონფერენციის

³ ჯონ ეიზენჰაუერი – ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის – დუაიტ ეიზენჰაუერის ვაჟი. მამის პრეზიდენტობის პერიოდში სხვადასხვა დროს იყო თანამშენი, როგორც სახელმწიფო მდივნის – კრისტიან ჰერტერის, ასევე პრეზიდენტის მრჩეველის – გენერალ ენდრიუ გუდპასტერის; 1969–1971 წლებში – ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი ბელგიაში; 1975 წლიდან – ლტოლვილთა საკითხების საკონსულტაციო კომიტეტის თავმჯდომარე პრეზიდენტ ჯერალდ ფორდის ადმინისტრაციაში...

დამდევს ჰარი ტრუმენს, დინ აჩენსონს (ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი), ლუის ჯონსონსა (ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრი) და ხელშეკრულებების ხელმოსაწერად ევროპიდან ჩამოსულ საგარეო საქმეთა მინისტრებს შორის, ყოველგვარი წინასწარი მომზადებისა და კონსულტაციების გარეშე, შედგა ვერძო შეხვედრა, სადაც ვაშინგტონის მხარემ პირდაპირ და მკვეთრად აღნიშნა, რომ საერთო ამრი და ქმედება პრაქტიკაში იქნებოდა ძნელად მისაღწევი, მაგრამ ამის გარეშე დიდი პრობლემები დადებითად ვერ გადაიჭრებოდა. ჰ. ტრუმენის სიტყვებით, ნდობისა და გულწრფელობის ატმოსფერო, თანასწორობასა და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული აუცილებელი პარტნიორობა უნდა დადებოდა საფუძვლად „გათვლილ რისკებს“ („calculated risks“). ალიანსის ამერიკული კონცეფცია დაკავშირებული იყო არა მარტო საბჭოთა კავშირიდან მომდინარე საფრთხეების არიდებასთან, არამედ ევროპის კონსოლიდაციის ურყევ მრწამსთან და ატლანტიკის, როგორც საყოველთაო პროგრესის კატალიზატორის, აქტუალობასთან [3]. 1949 წლის 4 აპრილს ვაშინგტონში გაიხსნა კონფერენცია. იმავე დღეს დელეგატებმა ხელი მოაწერეს ჩრდილოატლანტიკურ ხელშეკრულებას (NAT – North Atlantic Treaty). „ტერმინი ნატო – ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია (NATO –North Atlantic Treaty Organisation) პირველად გამოიყენეს 1951 წლის 20 სექტემბერს ოტავაში მიღებულ კონვენციაში [Батюк В., Боратыров А., 2003: с.49]. ამრიგად, 1949 წლის 4 აპრილს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 51-ე მუხლის („სახელმწიფოს ინდივიდუალური და კოლექტიური თავდაცვის უფლების შესახებ“) პრინციპების საფუძველზე დაფუძნდა ჩრდილოატლანტიკური ალიანსი. პაქტი რატიფიკაციის პროცედურების შემდეგ ძალაში შევიდა იმავე წლის 24 აგვისტოს.

ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია – ნატო დააფუძნა ორმა ჩრდილო ამერიკულმა და ათმა ევროპულმა სახელმწიფომ: ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, კანადამ, დიდმა ბრიტანეთმა, საფრანგეთმა, ბელგიამ, ლუქსემბურგმა, ნიდერლანდებმა, დანიამ, ისლანდიამ, იტალიამ, ნორვეგიამ და პორტუგალიამ. ჩრდილო ამერიკის ჩართვა დასავლეთ ევროპის დაცვის კონტექსტში მოწოდდა იმას, რომ გერმანიის რევანშიზმი და, რაც მთავარია, საბჭოთა კავშირის მხრიდან დასავლეთ ევროპაზე პოლიტიკური თუ სამხედრო ზეწოლის ნებისმიერი მცდელობა იქნებოდა წარუმატებელი. 1952 წლიდან ნატო–ს გენერალური მდივნის –ჰასტინგს ლიონელ ისმაის ფრთიანი ფრაზა ლაკონურად განსაზღვრავდა ნატო–ს შექმნის მისიას: „სსრკ – ევროპის მიღმა, აშშ - ევროპასთან მჭიდრო კავშირში, გერმანია – ზეგავლენის ქვეშ“. ნატო – ეს უდავოდ არის ურთიერთობა თანასწორთა შორის, ამ თანასწორობის ერთ–ერთი განმაპირობებელი მიზეზი კი გახდა ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ევროპისადმი განეული უდიდესი ეკონომიკური დახმარება. ჰარი ტრუმენის ცნობილი სიტყვების პერიფრაზირება უმცროსმა ეიზენჰაუერმა ასე ჩამოაყალიბა: „მარშალის გეგმა და ვაშინგტონის ხელშეკრულება ერთი ნივთის ორი ლეხანია“ [3]. ადვილი არ ყოფილა ამერიკის შეერთებული შტატების თანამდებობის პირებისათვის თავიანთი ქვეყნის მოქალაქეების დარწმუნება ასეთი ხარჯების გაღების მიზანშეწონილობაში. დრომ მკაფიოდ აჩვენა, რომ ატლანტიკური სივრცის ორივე მხარისათვის ეს იყო შემდგომი წარმატებების საწინდარი. ნატო–ს შიგნით ყველა გადანყვეტილება კონსენსუსის პრინციპით მიიღება. ბლოკის წევრ ქვეყნებს თანაბარი უფლებები აქვთ. ნატო ეს არის არამარტო სამხედრო გაერთიანება, არამედ პროგრესული პოლიტიკური და ეკონომიკური მოვლენების განვითარების გარანტი.

ბამოყენებული ლიტერატურა

ა) წყაროები:

1. Address given by Ernest Bevin (22 January 1948)– URL: [https:// www.cvce.eu/content/publication/2002/9/9/7bc0ecbd-c50e-4035-8e36-ed70bfbd204c/publishable_en.pdf](https://www.cvce.eu/content/publication/2002/9/9/7bc0ecbd-c50e-4035-8e36-ed70bfbd204c/publishable_en.pdf) (მოძიების თარიღი: 16.01.2019)
2. Cabinet memorandum by the Foreign Secretary, E. Bevin, on the aims of British foreign policy, dated 4 January 1948: www.lse.ac.uk/ideas/.../1948/1948-01-04-Cabinet-memorandum-Bevin-aims. (მოძიების თარიღი:16.01.2019)
3. Secretary General’s Eisenhower Lecture, The Relevance of Atlanticism – URL: https://www.nato.int/cps/en/SID-2821CD68-5CAB3595/natolive/opinions_18356.htm (მოძიების თარიღი: 20.02.2019)
4. Special Message to the Congress on the Threat to the Freedom of Europe - URL: <https://www.trumanlibrary.org/publicpapers/index.php?pid=1417> (მოძიების თარიღი: 2. 02. 2019)
5. Winston Churchill’s Iron Curtain Speech - URL: <http://www.historyguide.org/europe/churchill.html> (მოძიების თარიღი: 23.01.2018)

ბ) მონოგრაფიები, რეფერატები და სტატიები:

6. Baylis John. The Diplomacy of Pragmatism: Britain and the Formation of NATO, 1942–1949. (American Diplomatic History, number 5.) Kent, Ohio: Kent State University Press. 1993. Pp. xi, 194. –URL: <http://www.book-metrix.com/detail/chapter/8ac4d6f2-c517-4e44-9d9e-115d1ad61e50#downloads7> The Pentagon Talks, 22 March – 1 April 1948 (მოძიების თარიღი: 22.04.2019)
7. Baylis John (1993) 7 The Pentagon Talks, 22 March – 1 April 1948. In: The Diplomacy of Pragmatism. Palgrave Macmillan, London – URL: https://link.springer.com/chapter/10.1057/9780230372375_8 (მოძიების თარიღი: 22.04.2019)
8. Sloan Stenli. NATO, the European Union and the Atlantic community: a challenge to the transatlantic deal, Rowman & Littlefield Publishers, Inc.; Second edition (July 28, 2005): Стэнли Р. Слоан, „НАТО, Европейский союз и атлантическое сообщество: вызов, брошенный трансатлантической сделке“, НАТО ВЕСТНИК – URL: : <https://www.nato.int/docu/review/2006/issue2/russian/art4.html> (მოძიების თარიღი: 7.02.2019)
9. Trachtenberg Marc. A Constructed Peace: The Making of the European Settlement, 1945–1963. (Princeton Studies in International History and Politics.) Princeton: Princeton University Press. 1999. Pp. Xv: Дюнкерский пакт, Материал из Википедии — свободной энциклопедии, URL: <https://ru.wikipedia.org/wiki/> (მოძიების თარიღი: 25.01.2019)
10. Батюк В.И., Богатуров А.Д., Бордачев Т.В., Коргун В.Г., Княжинский В.Б., Луне С.И., Мартынов Б.Ф., Поликанов Д.В., Смирнов П.Е., Хрусталеv М.А., Шаклеина Т.А., Язькова А.А., „Системная история международных отношений“, 1918-2003. Том третий. События 1945-2003 – URL: <https://studopedia.org/7-112312.html> (მოძიების თარიღი: 17.03.2019)
11. Уткин А. И., „Мировая холодная война“, Москва, Эксмо, 2005 – URL: 1)http://www.vixri.ru/d/Utkin%20A.I.%20_%20Mirovaja%20xolodnaja%20vojna.pdf; 2)https://www.rulit.me/books/mirovaya-holodnaya-vojna-read-8340-135.html#section_147 (მოძიების თარიღი: 3.04.2019)

გ) საცნობარო და სხვა მასალები:

12. ნატოს ისტორია, საქართველო და ნატო, საინფორმაციო ცენტრი – URL: <http://infocenter.gov.ge/nato-history/>(მოძიების თარიღი: 5.02.2018)
13. ჯორჯ ფროსტ ქენანი– „გრძელი ტელეგრამა“ – URL: <http://genia.ge/?p=16600> (მოძიების თარიღი: 5.02.2018)
14. Berlin Blockade – URL: <https://www.history.com/topics/cold-war/berlin-blockade> (მოძიების თარიღი: 28.02.2019)
15. Soviets announce withdrawal from Iran – 1946 <https://www.history.com/this-day-in-history/soviets-announce-withdrawal-from-iran> (მოძიების თარიღი: 11.03.2018)



სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის
საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

LEPL - DAVID AGHMASHENEBELI
NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA

2019